

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში
საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების დინამიკა
სასამართლოს ინსტიტუციური ევოლუციის ჭრილში



Gnomon Wise

თამარ ქეცბაია

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს
წინააღმდეგ წარმოებული საქმეების დინამიკა სასამართლოს
ინსტიტუციური ევოლუციის ჭრილში

კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise

თბილისი 2023



კვლევის ავტორი:

თამარ ქეცბაია - Gnomon Wise-ის მკვლევარი

კვლევის რედაქტორი:

ირინა გურგენაშვილი - Gnomon Wise-ის აღმასრულებელი დირექტორი

©კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise

მისამართი: მ. კოსტავას 77ა, თბილისი, საქართველო.

+995 322 55 22 22 (326)

www.gnomonwise.org

info@gnomonwise.org

<https://www.facebook.com/gnomonwise>

სარჩევი

1. შესავალი.....	4
2. პროცედურები, რეფორმები და მათი გავლენა სასამართლოს ფუნქციონირებაზე.....	11
2.1. კონვენციის მე-11 ოქმი - „ახალი სასამართლო“ და ინდივიდუალური საჩივრის უფლების სავალდებულო ხასიათი.....	17
2.1.1. კონვენციის მე-11 ოქმამდე.....	17
2.1.2. მე-11 ოქმის შემდგომ.....	18
2.2. კონვენციის მე-14 ოქმის მიღება - ახალი სასამართლო სტრუქტურები და დასაშვებობის კრიტერიუმები	20
2.3. პრიორიტეტულობის პოლიტიკა (ნაწილი 1).....	23
2.4. საპროცესო ნაწილის ცვლილება - სასამართლოსთვის საჩივრის წარდგენის გართულება	28
2.5. გადაწყვეტილებათა აღსრულების პრობლემაზე პასუხი	32
2.6. ცალმხრივი დეკლარაციები და მეგობრული მორიგებები	36
2.6.1. მეგობრული მორიგება.....	37
2.6.2. ცალმხრივი დეკლარაციები	38
2.7. საპილოტე გადაწყვეტილება (Pilot-Judgment)	41
2.8. სუბსიდიარობის პრინციპი.....	42
2.9. პრიორიტეტულობის პოლიტიკა (ნაწილი 2).....	46
2.10. რეფორმების შეჯამება და შედეგები.....	47
3. საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.....	49
3.1. შესავალი.....	49
3.2. ევროპულ სასამართლოში საქართველოსთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე გავლენის მქონე ფაქტორები	53
3.2.1. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გავლენა სტატისტიკურ მონაცემებზე.....	54
3.2.2. სასამართლო, როგორც ახალი ინსტიტუცია და შესაბამისი ცოდნის ნაკლებობა	57
3.2.3. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ პირობებთან დაკავშირებული დავების შესახებ საქმეები.....	62
3.2.4. 2012 წელს ხელისუფლების ცვლილება და მასთან დაკავშირებული მოლოდინები	69
3.2.5. სასამართლოში გართულებული პროცედურები და გადათქმევინების ეფექტი	72
3.2.6. მეგობრული მორიგებები და ცალმხრივი დეკლარაციები.....	76
3.2.7. ხელმისაწვდომობა და არასამთავრობო ორგანიზაციების ფაქტორი	93
3.3. შეჯამება.....	97
4. დასკვნითი დისკუსია.....	101
დანართი 1: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დანაყოფების მიერ, კონვენციის 37-ე და 39-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საჩივრებზე, ამორიცხვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები (31.12.2022-ის მდგომარეობით)	105
დანართი 2: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დანაყოფების მიერ, კონვენციის 35-ე საფუძველზე, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საჩივრებზე, დაუშვებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებები (31.12.2022-ის მდგომარეობით)	114

1. შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში - ევროპული სასამართლო/სასამართლო) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომ - ევროპული კონვენცია/კონვენცია)¹ საფუძველზე 1959 წელს შექმნილი, რეგიონალური საზედამხებდველო ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია აკონტროლოს კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოების მთავრობების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი აღსრულება და შესაბამისად, უზრუნველყოს კონვენციაში განმტკიცებული უფლებების დაცვა.² ამასთან, სასამართლო უფლებების დინამიური განმარტებისა და უფლებებთან დაკავშირებულ ახალ გამოწვევებზე რეაგირებით, ევროპულ კონვენციას ცოცხალ ინსტრუმენტად (Living Instrument) აქცევს.³ კერძოდ, მის მიერ განვითარებული პრაქტიკით, რიგ შემთხვევაში, ისე აფართოებს კონვენციის უფლებებს, რომ ის ისეთ სიტუაციებსაც შეიძლება მოერგოს, რომელიც უშუალოდ კონვენციის მიღების დროს სრულიად წარმოდგენილი და განუჭვრეტელი იყო.⁴

კონვენციის მიერ დაფუძნებული თავდაპირველი სისტემის მიხედვით, რომელიც 1998 წლის 31 ოქტომბრამდე ფუნქციონირებდა, ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ წვერი ქვეყნების მთავრობების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა სამ ინსტიტუტზე იყო განაწილებული: ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაზე (რომელიც 1954 წელს დაფუძნდა), ადამიანის უფლებათა სასამართლოსა (1959 წელს დაფუძნდა) და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტზე (რომელიც წვერი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისგან შედგება).⁵ 1998 წლის პირველი ნოემბრიდან, მე-11 ოქმის ძალაში შესვლით, პირველი ორი ინსტიტუტი, ერთი მუდმივმოქმედი ინსტიტუტით - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოთი ჩანაცვლდა,⁶ რომელიც ზედამხედველობას კონვენციაში მოცემულ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, ინდივიდუალური თუ სახელმწიფოთაშორისი საჩივრების განხილვითა და მათზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების გზით ახორციელებს. ხოლო, ცვლილების შედეგად, მინისტრთა კომიტეტს ჩამოერთვა კვაზისასამართლო ფუნქცია და მას უშუალოდ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე გამლჩერებული ზედამხედველობა დაევალა.

¹ ევროპის საბჭოს ეგიდით, 1950 წლის 4 ნოემბერს ქ.რომში მოეწერა ხელი, ძალაში 1953 წლის სექტემბერს შევიდა.

² "Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms," opened for signature November 4, 1950, European Treaty Series no.5, Article 19. https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

³ Council of Europe, "The European Convention on Human Rights - A Living Instrument," Public Relations Unit – Registry of the ECHR (2022), 7. https://www.echr.coe.int/Documents/Convention_Instrument_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁴ Ibid.

⁵ Council of Europe, "Survey: Forty years of activity 1959 -1998 of the European Court of Human Rights" (September 1998), 1. https://www.echr.coe.int/Documents/Survey_19591998_BIL.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁶ Ibid.

2018 წლის 1-ლი აგვისტოდან სასამართლოს დაემატა საკონსულტაციო როლიც. კერძოდ, კონვენციის მე-16 ოქმის მიხედვით, ოქმის ხელმომწერი სახელმწიფოების⁷ უმაღლეს სასამართლოებსა და ტრიბუნალებს საშუალება ეძლევათ, მათ წინაშე მიმდინარე კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს კონვენციის ან მისი რომელიმე ოქმით განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო დასკვნის მისაღებად.⁸

სასამართლო, ზემოთ ჩამოთვლილ უფლებამოსილებებს სუბსიდიარობის პრინციპის (The Principle of Subsidiarity) დაცვით ახორციელებს, რაც ევროპული კონვენციის მიერ შექმნილი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სისტემის საფუძველს წარმოადგენს. სუბსიდიარობის პრინციპის მნიშვნელობა განმტკიცებულია კონვენციის მე-15 ოქმით,⁹ რომლის შედეგადაც 2021 წლის 1-ლი აგვისტოდან ეს პრინციპი კონვენციის პრეამბულაში გაიწერა.¹⁰ სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად, კონვენციითა და მისი ოქმებით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა პირველ რიგში, ხელშემკვრელი სახელმწიფოების პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სამართლებრივი ორგანოების პასუხისმგებლობაა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უნდა ჩაერიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული ხელისუფლების ორგანოები ვერ ასრულებენ კონვენციის ხელმოწერით ნაკისრ ვალდებულებებს.¹¹

თავის მხრივ, ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილი საჩივარი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საჩივრის ავტორისთვის, როგორც ერთი ინდივიდისთვის, რომელიც უფლების დარღვევაზე სათანადო რეაგირებას ითხოვს, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის და ზოგადად კონვენციის სისტემისთვის,¹² რამდენადაც, ერთმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე. კერძოდ, ევროპული სასამართლოს მიერ ინდივიდის საჩივრის დაკმაყოფილება არა მხოლოდ ამ კონკრეტული ინდივიდის უფლებების დაცვისთვის უფლების დარღვევიდან გამომდინარე, შესაბამისი

⁷ 2018 წლის 1-ელ აგვისტოს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმი, სხვა 9 სახელმწიფოსთან ერთად (ალბანეთი, სომხეთი, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ლიეტუა, სან-მარინო, სლოვენია და უკრაინა), საქართველოს მიმართაც შევიდა ძალაში. იხ. Council of Europe, "Entry into force of Protocol No. 16 to the European Convention on Human Rights," Council of Europe Office in Georgia News (Council of Europe, August 2, 2018), <https://www.coe.int/en/web/tbilisi/-/entry-into-force-of-protocol-no-16-to-the-european-convention-on-human-rights>.
წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁸ Council of Europe, Protocol No. 16 amending the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, *Council of Europe Treaty Series* - no. 214. 2.X.2013.
https://rm.coe.int/1680084832?_cf_chl_managed_tk=HT5FOFyCr4QKbOljsXUksXu3oN39zUQpniMawgMmS1c-1642590682-0-gaNycGzNCCU, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁹ Council of Europe, Protocol No. 15 amending the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Strasbourg, 24.VI.2013. *Council of Europe Treaty Series* - no. 213.
https://rm.coe.int/1680084831?_cf_chl_managed_tk=N NtbigTM4XrmXsjwff4AdLtDWd9 aEEKAWccoW3I-1642586217-0-gaNycGzNB 0 წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁰ "Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms."

¹¹ Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution 1226 (2000) on Execution of Judgments of the European Court of Human Rights (Adopted by the Assembly on 28 September 2000 (30th Sitting), §2.
<https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=16834&lang=en>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹² David Kosar and Jan Petrov, "The Architecture of the Strasbourg System of Human Rights: The Crucial Role of the Domestic Level and the Constitutional Courts in Particular," *Zeitschrift Für Ausländisches Öffentliches Recht Und Völkerrecht* 77, no. 3 (2017): pp. 585-621, 590-593. https://www.zaoerv.de/77_2017/77_2017_3_a_585_621.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

ლონისძიებების გატარებით უნდა დასრულდეს, არამედ სამომავლოდ, როგორც მინიმუმ მსგავსი დარღვევებისგან თავშეკავების სიგნალი უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში კი კონკრეტული გადაწყვეტილება, შესაძლოა, სისტემური ცვლილებების (კანონმდებლობაში თუ პრაქტიკაში) განხორციელების მავალდებულებლად იქცეს.¹³

ამასთან, მართალია ქვეყნისთვის პირდაპირ სავალდებულო ძალა მხოლოდ იმ გადაწყვეტილებას აქვს, რომლის მონაწილეს უშუალოდ იყო ის, თუმცა, გასათვალისწინებელია მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელზეც დგას კონვენციის სისტემა - სოლიდარობის პრინციპი (The Principle of Solidarity).¹⁴ კერძოდ, ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს კონვენციის ნაწილს. შესაბამისად, „სახელმწიფოებმა არა მხოლოდ უნდა აღასრულონ სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია იმ საქმეებზე, რომელშიც თავად ეს სახელმწიფოები მონაწილეობენ, არამედ უნდა გაითვალისწინონ ის შესაძლო შედეგები, რაც სხვა საქმეებში გამოტანილმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მათ სამართლებრივ სისტემასა და პრაქტიკაზე.“¹⁵ აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ამ მხრივაც მნიშვნელოვანია, რადგან ის, შესაძლოა, წამახალისებელი გახდეს ეროვნულ დონეზე არაერთი ცვლილების, პირდაპირი ვალდებულების არსებობის გარეშე.¹⁶

საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი 1999 წლიდან გახდა და სწორედ ამ დროიდან მოქმედებს მასზე ევროპული სასამართლოს იურისდიქცია¹⁷ (2022 წლის ჩათვლით, სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ საქმეზე 143 გადაწყვეტილება გამოიტანა,¹⁸ მათგან, როგორც მინიმუმ, ერთი მუხლის დარღვევა 118 გადაწყვეტილებაში დადგინდა).¹⁹ პირველი გადაწყვეტილება, საქართველოსთან დაკავშირებით, 2004 წელს იქნა მიღებული - *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ (Asanidze v. Georgia)*²⁰ - რომელიც არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთლიანად კონვენციის სისტემისთვის გახდა პრეცედენტული.²¹ ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება დამატებითი

¹³ Ibid., 592.

¹⁴ Council of Europe Parliamentary Assembly, "Resolution 1226 (2000)", § 3.

¹⁵ Ibid.

¹⁶ სხვა მაგალითებთან ერთად, ავტორებს მოჰყავთ, გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ საქმეზე *Hirst v. UK* (no. 2), მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც პატიმართა ხმის მიცემის უფლებას ეხებოდა და რომლის მიხედვითაც ირლანდიამ, ლატვიამ და კვიპროსმა ასევე შეცვალეს ამ საკითხთან დაკავშირებით რეგულაციები. იხ. Kosar and Petrov, *The Architecture of the Strasbourg System of Human Rights*, 593-595.

¹⁷ Council of Europe European Court of Human Rights, "The ECHR And Georgia: Facts and Figures," May 2022. https://www.echr.coe.int/Documents/Facts_Figures_Georgia_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023. 2022 წლის მონაცემებთან დაკავშირებით იხილეთ, European Court of Human Rights, "Press country Profile – Georgia," July 2022. https://echr.coe.int/Documents/CP_Georgia_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁸ 2022 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით.

¹⁹ 143 გადაწყვეტილებიდან მხოლოდ 21 მათგანში არ დადგინდა კონვენციის რომელიმე მუხლის დარღვევა. იხ. European Court of Human Rights, "Violations by Article and by State". https://www.echr.coe.int/Documents/Stats_violation_1959_2022_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁰ *Assanidze v. Georgia* [GC], no. 71503/01, 8 April 2004.

²¹ 2004 წელს შესამჩნევია იყო სასამართლოს მხრიდან მთავრობებისთვის მითითების მიცემის ტენდენცია, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მსხვერპლთა სამართლიანი დაკმაყოფილება. ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ საქმეზე კი სასამართლომ, რომელიც აქამდე სულ აპელირებდა, რომ პირველ რიგში სახელმწიფოს უნდა შეერჩია გადაწყვეტილების აღსრულების გზები, ამ შემთხვევაში პირდაპირ მიუთითა გადაწყვეტილებაში, რომ

როლიც ითამაშა საქართველოს წინააღმდეგ სასამართლოსთვის მიმართვიანობაზე, რომელსაც პირველივე წლებიდან ზრდის ტენდენცია ახასიათებდა.²² საქართველოს წინააღმდეგ მიმართვიანობა პიკს 2008 წელს აღწევს (3 594 საჩივარი), შემდეგ წელს, 2008 წელთან შედარებით, მკვეთრი კლება ფიქსირდება, თუმცა, 2009-2012 წლებში, 2008 წლის წინა პერიოდთან შედარებით, მიმართვიანობის სტაბილურად მაღალი მაჩვენებელია. რეალური კლება²³ 2013 წლიდან არის შესამჩნევი²⁴ (იხ. [გრაფიკი 7](#)). ამასთან, მიმართვიანობასთან ერთად, 2013 წლიდან კლება უშუალოდ სასამართლოს დანაყოფებისთვის გადაცემული საქმეების რაოდენობასაც ახასიათებს (იხ. [გრაფიკი 8](#)) და ასევე, ზოგადად, მიმდინარე საქმეების რაოდენობას (იხ. [გრაფიკი 9](#)). თავის მხრივ, ეს მონაცემები, ხშირ შემთხვევაში, კორელაციაშია სასამართლოს ზოგად ტენდენციებთან.

მაჩვენებლებს შორის ასეთი გამოკვეთილი ცვლილება, თავისთავად აჩენს კითხვებს მის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით და მოითხოვს გამომწვევი მიზეზების შესწავლას. ის თუ რას შეიძლება ნიშნავდეს და რას შეიძლება გამოეწვიოს ამ მაჩვენებლების კლება, საქართველოს შემთხვევაში არ არის გაანალიზებული. ამ სახის დაკვირვებას არც თავად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ აწარმოებს. სასამართლომ გამონაკლის შემთხვევებში, მის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მხოლოდ კონკრეტულ პერიოდში, წევრ ქვეყანასთან დაკავშირებით ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მონაცემის ცვლილებასა და მის გამომწვევ მიზეზებზე შესაძლოა გაამახვილოს ყურადღება.

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს მაჩვენებლების ცვლილების შესახებ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე საუბარი არსებული ცოდნით შეუძლებელია და მას მხოლოდ ვარაუდის სახე თუ ექნება. თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოში პოლიტიკის გამტარებელი პირების მხრიდან შესამჩნევია ევროპულ სასამართლოში საქართველოსთან დაკავშირებული აბსოლუტური მაჩვენებლების ინტერპრეტაციის შემთხვევები. კერძოდ, ამ მონაცემებს ძირითადად მართლმსაჯულების კუთხით მათ მიერ გატარებული პოლიტიკის ეფექტიანობის - ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის გაუმჯობესების, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხისა და საზოგადოების მხრიდან სასამართლოს მიმართ ნდობის ზრდის მტკიცებულებად იყენებენ. ამგვარი მტკიცება თვალშისაცემია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017-2019 წლების საქმიანობის ანგარიშში, რომელიც თავის მხრივ, მხოლოდ აბსოლუტურ მაჩვენებლებზე აკეთებს აქცენტს და არ გვთავაზობს მათ სიღრმისეულ ანალიზს. კერძოდ, ევროპული სასამართლოს წინაშე საქართველოს

„მოპასუხე სახელმწიფოს უნდა გაენთავისუფლებინა აპლიკანტი [უკანონო პატიმრობიდან] უახლოეს შესაძლებელ დროს“. იხ. Council of Europe, "Annual Report 2004 of the European Court of Human Rights," *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2005), 57. https://echr.coe.int/Documents/Annual_report_2004_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²² 2000 წ. – 13; 2001 წ. – 29; 2002 წ. – 42; 2003 წ. – 44; 2004 წ. – 60; 2005 წ. – 97; 2006 წ. – 117; 2007 წ. – 219.

²³ 2009 წელს, 2008 წელთან შედარებით კლება არ ასახავს რეალურ სურათს, რამდენადაც, 2008 წელს დაფიქსირებული მაღალი მაჩვენებელი წარმოადგენს რუსეთის მიერ წარმოებული კამპანიის ნაწილს, რაც ქვევით დეტალურად იქნება განხილული. შესაბამისად, 2009-2012 წლებში 2008 წლის წინა პერიოდთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ ზრდა არის შენარჩუნებული. რეალური კლება კი 2013 წლიდან იწყება.

²⁴ 2009 წ. – 377; 2010 წ. – 428; 2011 წ. – 401; 2012 წ. – 418; 2013 წ. – 141; 2014 წ. – 199; 2015 წ. – 119; 2016 წ. – 108; 2017 წ. – 89; 2018 წ. – 99.

წინააღმდეგ შეტანილი საჩივრებისა თუ სასამართლოს დანაყოფებისთვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გადაცემული საჩივრების რაოდენობაზე დაყრდნობით,²⁵ სათანადო მსჯელობის არ არსებობის მიუხედავად, ანგარიშში ვხვდებით ერთგვარ დასკვნას: „ამდენად, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება სახეზეა, რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ ეროვნულ დონეზე უფლებათა სასამართლოს გზით დაცვის გარანტიები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი“.²⁶

მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს თავად მოსამართლეთა კორპუსის შეფასებები. 2021 წლის 28 ივნისის მოსამართლეთა დიდი ნაწილის საერთო განცხადება,²⁷ რომელიც სხვადასხვა აქტორების მიერ (ცალკეული პოლიტიკური პარტიები, მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები) სასამართლოს კრიტიკის საპასუხოდ შემუშავდა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მტკიცებას ემსახურებოდა, ვკითხულობთ, რომ მართლმსაჯულების სფეროში მიღწეულ ფუნდამენტურ პროგრესს, სხვა მონაცემებთან ერთად, ცხადყოფს ის ფაქტი, რომ „მკვეთრად (რამდენჯერმე) შემცირდა საქართველოდან სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გაგზავნილი საჩივრების რაოდენობა“.

ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან, ისევე, როგორც წლების განმავლობაში ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთა თუ ზოგადად პოლიტიკოსთა მიერ გავრცელებული ათეულობით განცხადებიდან, ნათლად ჩანს, რომ ამ სახის განცხადების ავტორთათვის სასამართლოში საქართველოსთან დაკავშირებული კონკრეტული სტატისტიკური მაჩვენებლების შემცირება უდაოდ დადებითი მოვლენაა და მეტიც, ამას განაპირობებს მართლმსაჯულების სფეროში განხორციელებული რეფორმები, რომელთაც, მათი მტკიცებით, როგორც ზოგადად ადამიანის უფლებების, ასევე განსაკუთრებით სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის მხრივ, მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მოჰყვა.²⁸

²⁵ აღსანიშნავია, რომ ანგარიშში მოყვანილი მაჩვენებელი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში სასამართლოს დანაყოფებისთვის განაწილებული საჩივრების რაოდენობას (Applications allocated to a judicial formation). ანგარიშში კი ეს მონაცემები შეცდომით მოხსენიებულია როგორც „ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივრები“. სინამდვილეში შეტანილ საჩივრებსა და „სასამართლო დანაყოფებისთვის განაწილებულ საჩივრებს“ შორის დიდი განსხვავებაა. ეს შეცდომა არის გავრცელებული ამ საკითხზე საუბრისას.

²⁶ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, „სასამართლო სისტემის საქმიანობის ანგარიში: „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, ხარისხიანი და ეფექტიანი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული, მართლმსაჯულება 2017-2019,““ (2020), 12-13. <https://bit.ly/3QL36WF>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁷ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართვა“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 28 ივნისი 2021. <https://bit.ly/3ckljuf>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁸ „დეტალურად არ შევჩერდებით იმ კომპლექსური რეფორმების ჩამონათვალზე, რაც ამ წლების განმავლობაში სასამართლო სისტემაში განხორციელდა და იმ აზრისგანაც შორს ვართ, რომ ყველაფერი იდეალურად არის. თუმცა, იმის საილუსტრაციოდ, თუ რას მივალწიეთ ამ რეფორმების შედეგად, რამდენიმე სტატისტიკურ მონაცემს წარმოგიდგენთ, რათა ობიექტური წარმოდგენა შეიქმნას, სად ვიყავით გზის დასაწყისში და სად ვართ ახლა: ...11-ჯერ (4553-დან 415-მდე) შემცირდა საქართველოდან სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი სარჩელების რაოდენობა“. „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო განცხადებას ავრცელებს,“ IPN ინტერპრესნიუსი, 05.02.2019. <https://www.interpressnews.ge/ka/article/531396-kartuli-ocnebis-politsabcho-gancxadebas-avrcelebs>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

„11-ჯერ (4 453-დან 415-მდე) შემცირდა საქართველოდან სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი სარჩელების რაოდენობა“, „ინტერვიუ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან ბიძინა ივანიშვილთან“, იმედი, 09 აპრილი, 2019. <https://www.imedi.ge/ge/video/36126/interviu--qartuli-otsnebis-tavmidomarestan--bidzina-ivanishviltan>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

მსმენელთა უმრავლესობისთვის ეს მართლაც შთამბეჭდავი მაჩვენებლებია,²⁹ თუმცა, საინტერესოა რა იგულისხმება ამ ნიშნულების მიღმა და აუცილებელია იმ მიზეზების გამოკვლევა თუ რა განაპირობებს წლების განმავლობაში ასეთ მკვეთრ ცვლილებას. მიზეზების საფუძვლიანად გამოკვლევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გადაჭრით არც იმის თქმა არის შესაძლებელი, რომ კლება აუცილებლად დადებითი მოვლენაა. შეგვიძლია დავუშვათ, რომ კლება თავად ევროპული სასამართლოს მიმართ ინდივიდების ნდობის დაკარგვას, მოლოდინების გაუმართლებლობას, გაწეილ სამართალწარმოებას და გართულებულ პროცედურებს უკავშირდება ან შესაძლოა მართლაც ქვეყანაში ადამიანის უფლებების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის გამოსწორების, ეროვნული სასამართლების ეფექტიანი მუშაობით მოქალაქეთა კმაყოფილების ინდიკატორიც იყოს. გამორიცხული არც ამ ორი ფაქტორის თანაარსებობაა ან თუნდაც არცერთი მათგანის არ არსებობა. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სხვადასხვა გარემოებები (პროცედურული ცვლილებები, სასამართლოს მიდგომისა და პრიორიტეტების ცვლილება, გლობალური მოვლენები, ეროვნული კონტექსტი და სხვა ფაქტორები) რომლებსაც ცალკე აღებულს შესაძლოა არ ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა, თუმცა ერთიანობაში შესაძლოა რადიკალურად ცვლიდეს სურათს.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის მიზანი ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ საქმეთა წარმოების დინამიკაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლაა. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლევის მიზანს არ წარმოადგენს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესწავლა და არც სასამართლოს დამოუკიდებლობის და სანდოობის ხარისხის გაზომვა.

ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების რაოდენობის ცვლილების ფაქტორები კვლევის მიზნებისთვის ორ კატეგორიად - ენდოგენურ და ეგზოგენურად იყოფა. ენდოგენურში იგულისხმება ის ფაქტორები, რომელიც უშუალოდ საქართველოს ხელისუფლების შტოების ქმედებების/უმოქმედობის, ქვეყნის შიდა პოლიტიკის შედეგია, ხოლო ეგზოგენური კი გულისხმობს ყველა სხვა დანარჩენს, რომელიც შიდა პოლიტიკის მიღმაა, უპირატესად კი თავად ევროპული სასამართლოს მიერ გატარებულ რეფორმებს.

ეგზოგენური ფაქტორების გამოსაკვლევად, კვლევა ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშებს,³⁰ საკვლევი საკითხისთვის მნიშვნელოვან სასამართლო გადაწყვეტილებებს, აკადემიურ სტატიებსა და სხვა პუბლიკაციებს. ენდოგენური ფაქტორების იდენტიფიცირებისთვის კი - პირველ რიგში, სიღრმისეული ინტერვიუს გზით, სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა ფორმით, საქართველოს მხრიდან ევროპული სასამართლოს წინაშე საქმისწარმოებაში ჩართული აქტორების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა.

²⁹ იხ. [გრაფიკი 7](#), [გრაფიკი 8](#) და [გრაფიკი 9](#).

³⁰ **შენიშვნა:** წლების მიხედვით ანგარიშებში შეინიშნება მცირედი ცდომილებები. ასეთ შემთხვევებში, კვლევისთვის გამოყენებულია უახლესი ანგარიშები და მათში მოცემული მაჩვენებლები, რამდენადაც მიიჩნევა, რომ მათში წინა წლის მონაცემები დაკორექტირებულია.

რამდენადაც სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები გაანალიზებულია შესწავლილი ფაქტორების კრილში, ამ მხრივ კვლევის მთავარ შეზღუდვას თავად სტატისტიკური მონაცემების სიმწირე წარმოადგენს, რაც განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებით არის თვალშისაცემი. კერძოდ, ევროპული სასამართლო, სტატისტიკურ მონაცემებს ამუშავებს რა უპირველესად თავად ევროპული სასამართლოს ეფექტიანობის გაზომვის მიზნით, არ იძლევა ყველა სახის მონაცემს, რომელიც კვლევის ფოკუსის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემი შეიძლება ყოფილიყო და სურათის უფრო მრავალხმრიდან დანახვის შესაძლებლობას მოგვცემდა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მოცემულ კვლევაში, პირველ რიგში, გამოკვლეული იქნება ევროპული კონვენციის სისტემა და მისი სისტემური ევოლუცია, რაც დაგვეხმარება იმის განსაზღვრაში თუ რა სისტემური ფაქტორები ახდენენ ზოგადად გავლენას საჩივრების რაოდენობაზე და რა კონტექსტუალური გარემოებები განაპირობებენ ამა თუ იმ ფაქტორების განსხვავებულ გავლენას შედეგებზე ([თავი 2](#)).

ამ უკანასკნელის სიღრმისეული შესწავლის შემდეგ, გაანალიზებული იქნება, ერთი მხრივ, სასამართლო სისტემაში განხორციელებული რეფორმების, ხოლო მეორე მხრივ, თავად ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური ფაქტორებისა და სხვა კონტექსტუალური გარემოებების შესაძლო გავლენა საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებზე ([თავი 3](#)).

დოკუმენტის ბოლოს, შემოთავაზებული იქნება დასკვნითი დისკუსია, რომელიც წინა თავებიდან მიღებული ცოდნის დახმარებით, კვლევის მთავარ კითხვაზე - **არის თუ არა ევროპულ სასამართლოში საქმეთა დინამიკა ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობისა და ეროვნული სასამართლოების მიმართ ნდობის ხარისხის ცვლილების სათანადო საზომი?** - პასუხის გაცემის მცდელობას წარმოადგენს და ასევე წარმოაჩენს იმ საკითხებს, რომელთა სამომავლო გამოკვლევაც მნიშვნელოვანია წინამდებარე კვლევით წამოჭრილი დისკუსიისათვის და საკითხის ყოველმხრივი ანალიზისთვის ([თავი 4](#)).

2. პროცედურები, რეფორმები და მათი გავლენა სასამართლოს ფუნქციონირებაზე

„სასამართლო მისი წარმატების მსხვერპლი გახდა“³¹ - ეს არის ფრაზა, რომელიც წლების განმავლობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმართულებით ისმოდა. წარმატება, იურისდიქციას დაქვემდებარებული სახელმწიფოების რაოდენობის, სასამართლოს მიერ გამოტანილი ასეულობით გადაწყვეტილებისა და კონვენციის ვრცლად განმარტების გათვალისწინებით, მისი რეპუტაციის ზრდაში გამოიხატებოდა, რასაც შედეგად, უპრეცედენტო რაოდენობის ინდივიდუალური საჩივრების შედინება მოჰყვა. სასამართლოს წინაშე შეტანილმა ასეულობით საჩივარმა, რომელიც წლიდან-წლამდე ათეულ-ათასობით იზრდებოდა, სათანადო ფილტრისა თუ საკმარისი რესურსების არ არსებობისა და განმეორებადი საჩივრების ზრდის გათვალისწინებით (რაც მეტწილად გადაწყვეტილებათა სათანადო აღუსრულებლობის პრობლემის შედეგი იყო), სასამართლო კოლაფსის წინაშე დააყენა. არასერიოზულ, უიმედო საჩივრებთან გასამკლავებლად სასამართლოს არასაკმარისმა რესურსმა, ფუნდამენტური უფლებების სერიოზულ დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების წლების განმავლობაში განუხილველობა განაპირობა.

სასამართლოს გადატვირთულობამ და არაეფექტიანობამ კითხვები გააჩინა მისი საზედამხედველო ფუნქციის სათანადო განხორციელებისა და ზოგადად, სასამართლოს ავტორიტეტის შესახებ. როგორც ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ყოფილმა კომისარმა თომას ჰამარბერგმა 2012 წელს სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ის თავად შეხვედრია ისეთ ადამიანებს რომელთაც წლობით გაწელილი სამართალწარმოების გამო, სასამართლოში სასწრაფო საქმის წაღებაზე უარი უთქვამთ. რაც, მისივე განმარტებით, განსაკუთრებით პრობლემურია ისეთ შემთხვევებში, როდესაც საჩივრის ავტორები ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ზეწოლას განიცდიან ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის გამო.³²

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეფექტიანობისა და მისი სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სისტემაში არაერთი ფუნდამენტური რეფორმა განხორციელდა. თითოეული მათგანი, უმეტესწილად, სწორედ სასამართლოში შეტანილი და მის წინაშე არსებული საჩივრების რაოდენობის შემცირებისკენ იყო მიმართული. მართალია რეფორმებმა მნიშვნელოვნად შეცვალა სასამართლოს ფუნქციონირება, შედარებით განტვირთა სასამართლო და გარკვეულწილად დააჩქარა საქმისწარმოების პროცესი, თუმცა თითოეულ რეფორმას

³¹ Laurence R. Helfer, “Redesigning the European Court of Human Rights: Embeddedness as a Deep Structural Principle of the European Human Rights Regime,” *The European Journal of International Law* Vol.19 no.1, (2008): 125-159, 126. https://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2591&context=faculty_scholarship, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

³² Speech Given by Mr Thomas Hammarberg, Council of Europe Commissioner for Human Rights, on the occasion of the opening of the judicial year, 27 January 2012. in. Council of Europe, “Annual Report 2012 of the European Court of Human Rights,” *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2013), 48. https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2012_ENG.pdf წვდომის თარიღი: 30/04/2023.

მწვავე კრიტიკა ახლდა თან, რამდენადაც სასამართლოს განტვირთვა მეტწილად ინდივიდის მართლმსაჯულებაზე წვდომის შესაძლებლობის შეზღუდვის ხარჯზე ხდებოდა.³³

კონკრეტულ მაჩვენებლებზე დამოკიდებულება სასამართლოს საქმიანობის შეფასების ყოველი წლის ანგარიშში იგრძნობოდა, რამდენადაც მთავარ პრობლემად სწორედ საქმეთა დიდი ნაკადის შედინება და დაგროვილი საჩივრები, ძირითად ამოცანად კი ინდივიდუალური საჩივრის უფლების შენარჩუნებით, სასამართლოს გადატვირთვის პრობლემის მოგვარება სახელდებოდა. პირველად 2013 წელს გაცხადდა, რომ სასამართლო აღარ იყო მისი წარმატების მსხვერპლი.³⁴ თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, „პროგრესს“ კი პირველ რიგში შენარჩუნება ესაჭიროებოდა. ამასთან, პრობლემა არა მხოლოდ ცალკეულ მაჩვენებლებში, არამედ კიდევ უფრო სიღრმეებში იყო, რაც შესაძლოა სწორედ ამ მაჩვენებლებზე ფიქრში გამოიპარა. კერძოდ, მაშინ, როდესაც კონვენციის დაფუძნების ერთ-ერთი მიზანი სწორედ ადრეული გამაფრთხილებელი სისტემის შექმნა იყო, რომელიც განგაშის ზარს ჩართავდა იმ შემთხვევაში თუ შეამჩნევდა, რომ ევროპის ახალბედა დემოკრატიებმა დაიწყეს ავტორიტარიზმისკენ უკუსვლა,³⁵ სასამართლოს ყოფილმა პრეზიდენტმა (2010-2019 წწ.), გუიდო რაიმონდიმ, 2019 წელს სიტყვით გამოსვლისას, ზოგადად და არა ერთ კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებით, დემოკრატიის ჩამოშლის რეალური საფრთხე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დაასახელა.³⁶ რაიმონდის მოსაზრებით, ამ რისკს განსაკუთრებით ზრდის ოპოზიციის უფლებებისა და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შელახვა, მედიის ჩახშობა და ასევე, ოპონენტების დაპატიმრების შემთხვევები. ეს უკანასკნელნი კი იმ პოლიტიკური ლიდერების ხელშია აქტუალური, რომლებიც უარს ამბობენ შეკავებასა და გაწონასწორებაზე და მართლმსაჯულების სისტემას, პრესას და ოპოზიციას „ხალხის მტრად“ ხედავენ.³⁷

ამასთან, გუიდო რაიმონდის განმარტებით, სიღრმისეული პრობლემებისა და სამართლის უზენაესობის მხრივ მდგომარეობის გაუარესების კარგ ინდიკატორს კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ კონვენციის მე-18 მუხლის³⁸ დარღვევების შემთხვევების ზრდა წარმოადგენს. კერძოდ, განცხადების დროისთვის მე-18 მუხლის დარღვევის შემთხვევების რაოდენობა 12-ს შეადგენდა, რომელთაგან 5 უშუალოდ

³³Janneke H. Gerards and Lize R. Glas, “Access to justice in the European Convention on Human Rights system”, *Netherlands Quarterly of Human Rights* Vol. 35(1), (2017): 11-30, 19. <https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0924051917693988>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

³⁴Speech Given by Mr Dean Spielmann, President of The European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial year, 25 January 2013. in. Council of Europe, “Annual Report 2013 of the European Court of Human Rights,” *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2014), 26.

https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2013_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

³⁵ Helfer, “Redesigning the European Court of Human Rights: Embeddedness as a Deep Structural Principle of the European Human Rights Regime,” 129.

³⁶ Speech Given by Mr Guido Raimondi, President of The European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial year, 25 January 2019. in. Council of Europe, “Annual Report 2019 of the European Court of Human Rights,” *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2020), 15. https://echr.coe.int/Documents/Annual_report_2019_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

³⁷ Ibid.

³⁸ „დაუშვებელია ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით ნებადართული შეზღუდვების გამოყენება არა იმ მიზნით, რისთვისაც ისინია გათვალისწინებული“. იხ. “Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms”, Article 18.

2018 წლის განმავლობაში დაფიქსირდა.³⁹ აღსანიშნავია, რომ მათ შორის ერთ-ერთი და სასამართლოს მიერ პრეცედენტის დამდგენი, *მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Merabishvili v. Georgia)* საქმე იყო.⁴⁰

ევროპაში სამართლის უზენაესობისა და სასამართლო დამოუკიდებლობის პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება 2020 წელს სიტყვით გამოსვლისას ასევე ევროპული სასამართლოს ყოფილმა პრეზიდენტმა (2020-2022 წწ), რობერტ სპანომ, რამდენადაც ამის საშუალებას მას სწორედ სასამართლოს ბოლო დროინდელი გადაწყვეტილებები და არსებული ტენდენცია აძლევდა. მისი განცხადებით, ის, რომ ევროპაში სამართლის უზენაესობა ზეწოლას განიცდის, აღარ წარმოადგენს კმათის საგანს.⁴¹ ევროპული საბჭოს ადამიანის უფლებათა მოქმედი კომისარი, დუნია მიატოვიჩი, 2022 წლის სიტყვით გამოსვლისას, კიდევ უფრო ხისტი აღმოჩნდა ამ საკითხთან მიმართებით. მისი განცხადებით, სამართლის უზენაესობა სულ უფრო მეტ წევრ ქვეყანაში განიცდის ეროზიას, რაც „ვლინდება მაშინ როცა მთავრობები უარს ამბობენ სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე, ძირს უთხრიან სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას, არღვევენ სასამართლოს დამოუკიდებლობას, ასუსტებენ სასამართლო ორგანოებს, ახორციელებენ ზეწოლას ცალკეულ მოსამართლეებზე და პარლამენტს ბეჭდის დამსმელებად აქცევენ.“⁴²

ერთი მხრივ, არსებული გამოწვევების და რეალური საფრთხეების გათვალისწინებით, მეორე მხრივ, კი სასამართლოს შეძლებისდაგვარად განტვირთვის შედეგად, 2020 წლის ბოლოსთვის, სტატისტიკურ მაჩვენებლებზე დამოკიდებულების დასასრული დაანონსდა. კერძოდ, რობერტ სპანომ პარადიგმის ცვლილების აუცილებლობაზე ისაუბრა და მან ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „სასამართლოს წარმატება ამიერიდან აღარ შეფასდება ძირითადად მოცემული პერიოდში განხილული საქმეების საერთო რაოდენობით, არამედ, თუ როგორ განიხილავს ის ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებს ჩვენი პრიორიტეტულობის პოლიტიკის მიხედვით, იმ საქმეებს, რომელშიც აუცილებელია განმცხადებლებისთვის, თითოეული წევრი სახელმწიფოსა და უფრო ფართო ევროპული სამართლებრივი არეალისთვის“.⁴³ ეს სიტყვები, შესაბამისად, სასამართლოს გაცხადებული სამომავლო პოლიტიკა, კიდევ ერთი მსუყე არგუმენტია

³⁹ Speech Given by Mr Guido Raimondi, President of The European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial year, 25 January 2019. in. Council of Europe, “Annual Report 2019 of the European Court of Human Rights”.

⁴⁰ *Merabishvili v. Georgia* [GC], no. [72508/13](#), 28 November 2017.

⁴¹ Speech Given by Mr Robert Spano, President of The European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial year, 10 September 2021. in. Council of Europe, “Annual Report 2021 of the European Court of Human Rights,” *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2022), 16.
https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2021_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁴² Speech Given by Ms Dunja Mijatović, Council of Europe’s Commissioner for Human Rights, on the Solemn Hearing, 25 June 2022. in. Council of Europe, “Annual Report 2022 of the European Court of Human Rights,” *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2023), 23. https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2022_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁴³ European court of human rights, “The European Court of Human Rights in launching a new case processing strategy,” (ECHR 092(2021)), 17.03.2021.

იმისათვის, რომ შეწყდეს სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების ხისტი დათვლა, „რიცხვებით თამაში“⁴⁴ და მეტი ყურადღება შინაარსობრივ ანალიზს მიექცეს.

წინამდებარე თავში მიმოხილულია სასამართლოში განხორციელებული რეფორმები და ჩვენ მიერ დამუშავებული მონაცემებისა და მათ საფუძველზე შედგენილი გრაფიკებით წარმოდგენილია რეფორმების შესაძლო გავლენა სასამართლოს სტატისტიკურ მონაცემებზე. აღსანიშნავია, რომ ამ სახის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების უმეტეს ნაწილზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი წლიური ანგარიშებიც ამახვილებს ყურადღებას. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2010 წლის ინტერლაკენის დეკლარაცია (Interlaken Declaration),⁴⁵ რომელსაც, პირველ რიგში, პოლიტიკურად დიდი მნიშვნელობა გააჩნია და რომელმაც სრულად განსაზღვრა სასამართლოს მომდევნო 10 წლის პრიორიტეტები. ინტერლაკენის შეთანხმება სასამართლოსთვის იმდენად წყალგამყოფი აღმოჩნდა, რომ, ფაქტობრივად, სასამართლოს (ახალი სასამართლოს) მოღვაწეობა „ინტერლაკენამდე და ინტერლაკენის შემდეგ პერიოდებად“ დაიყო (Before and After Interlaken).⁴⁶ ინტერლაკენის შედეგების დასასრული ოფიციალურად 2020 წელს გამოცხადდა.⁴⁷

გასათვალისწინებელია, რომ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე და ზოგადად სასამართლოს მუშაობაზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი გავლენის მქონე მოვლენად შეიძლება იქცეს 2022 წლის 16 მარტს რუსეთის ფედერაციის მიერ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის დენონსაცია.⁴⁸ აღნიშნული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით,⁴⁹ ძალაში 2022 წლის 16 სექტემბრიდან შევიდა.⁵⁰ დენონსაცია თავის მხრივ, უკრაინის სუვერენულ ტერიტორიაზე სამხედრო თავდასხმისა და ევროპის საბჭოს შექმნის დღიდან ევროპის

⁴⁴Speech Given by Mr Thomas Hammarberg, Council of Europe Commissioner for Human Rights, on the occasion of the opening of the judicial year, 27 January 2012. in. Council of Europe, “Annual Report 2012 of the European Court of Human Rights”, 49.

⁴⁵ High Level Conference on the Future of the European Court of Human Rights – Interlaken Declaration, 19 February 2010. https://www.echr.coe.int/Documents/2010_Interlaken_FinalDeclaration_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁴⁶ Council of Europe, “Annual Report 2010 of the European Court of Human Rights,” *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2011), წინათქმა. https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2010_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁴⁷ Speech Given by Mr Robert Spano, President of The European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial year, 10 September 2021. in. Council of Europe, “Annual Report 2021 of the European Court of Human Rights”, 14.

⁴⁸ Committee of Ministers, Resolution CM/Res (2022)2 on the cessation of the membership of the Russian Federation to the Council of Europe (Adopted on 16 March 2022, at the 1428th meeting of the Ministers’ Deputies) https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=0900001680a5da51, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁴⁹ European Court Of Human Rights, Resolution of the European Court of Human Rights on the consequences of the cessation of membership of the Russian Federation to the Council of Europe in light of Article 58 of the European Convention on Human Rights (Adopted by The European Court of Human Rights, sitting in the plenary session on 21 and 22 March) https://echr.coe.int/Documents/Resolution_ECHR_cessation_membership_Russia_CoE_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁵⁰ „მაღალ ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია შეუძლია მის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან ხუთი წლის შემდეგ და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის ექვსი თვით ადრე გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინების მეშვეობით...“ იხ. “Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms”, Article 58(1). Council of Europe – “Russia ceases to be party to the European Convention on Human Rights,” 16 September 2022. <https://www.coe.int/en/web/portal/-/russia-ceases-to-be-party-to-the-european-convention-on-human-rights>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

კონტინენტზე უპრეცედენტო მასშტაბის მშვიდობის დარღვევის გამო,⁵¹ 2022 წლის 16 მარტს ევროპის საბჭოს წესდების მე-8 მუხლის⁵² კონტექსტში რუსეთისთვის საბჭოს წევრობის შეწყვეტის ავტომატურ შედეგს წარმოადგენს.⁵³ რამდენადაც დენონსაციიდან მხოლოდ მცირე პერიოდი გავიდა, შედეგებზე საუბარი გაგვიჭირდება. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი საჩივრების რაოდენობის მიხედვით წევრობიდან მოყოლებული (1996 წ.), უმეტესწილად იმ ქვეყნების რიგებში იყო, რომელთა წინააღმდეგაც ყველაზე მეტი საჩივარი იყო შეტანილი და შესაბამისად, მიმდინარე საქმეებითაც გამოირჩეოდა,⁵⁴ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფაქტორი გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებლად აისახება, როგორც მინიმუმ, სასამართლოს მუშაობასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე და მეტიც, შესაძლოა მნიშვნელოვანი განტვირთვა გამოიწვიოს.⁵⁵ თუმცა, რთულია მის მოკლევადიან შედეგებზე საუბარი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსეთის მხრიდან დენონსაციის ძალაში შესვლამდე (16 სექტემბერი) კონვენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით, შესაძლებელია საჩივრის შეტანა.⁵⁶ ეს კი გულისხმობს იმას, რომ უშუალოდ დენონსაციის შემდეგაც კი შეიძლება ათასობით ახალი საჩივარი შევიდეს რუსეთის წინააღმდეგ. ამასთან, სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, დენონსაციის ძალაში შესვლის დროისთვის, რუსეთის

⁵¹Council of Europe Committee of Ministers, Consequences of the aggression of the Russian Federation against Ukraine (Adopted by Ministers' Deputies on 1428bis meeting, 10 March 2022). CM/Del/Dec(2022) 1428bis/2.3 https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=0900001680a5c619, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁵² „ევროპის საბჭოს ნებისმიერ წევრს, რომელმაც სერიოზულად დაარღვია მე-3 მუხლი, შეიძლება შეუჩერდეს წარმომადგენლობის უფლება და მინისტრთა კომიტეტის მიერ მოეთხოვოს გასვლა მე-7 მუხლის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ შეასრულებს ამ მოთხოვნას, კომიტეტს შეუძლია შეუწყვიტოს მას საბჭოს წევრობა, კომიტეტის მიერ დადგენილი დღიდან“. იხ. ევროპის საბჭოს წესდება, 16/11/1999; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3751036?publication=0>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁵³ რუსეთის მიერ ომის დაწყებიდან მეორე დღესვე, 2022 წლის 25 თებერვალს, მინისტრთა კომიტეტმა შეუჩერა რუსეთს წარმომადგენლობის უფლება Council of Europe Committee of Ministers, - Situation in Ukraine – Measures to be taken, including under Article 8 of the Statute of the Council of Europe (Adopted by Ministers' Deputies on 1426er meeting, 25 February 2022). CM/Del/Dec (2022) 1426ter/2.3

https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=0900001680a5a360, წვდომის თარიღი: 30/04/2023. საპარლამენტო ასამბლეასთან კომუნიკაციის ფარგლებში, ასამბლეისგან მიღებული მოსაზრების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც რუსეთი აღარ შეიძლება ყოფილიყო საბჭოს წევრი. იხ. Council of Europe Parliamentary Assembly, Consequences of the Russian Federation's aggression against Ukraine. Opinion 300(2022). <https://pace.coe.int/pdf/c31443e940156c87eced0fbb80aee5a6de0aec5c3eebbc5b08e2448fb47149cd/opinion%20300.pdf> წვდომის თარიღი: 30/04/2023. რუსეთის ფედერაციამ გენერალურ მდივანს საბჭოდან გასვლის შესახებ აცნობა. რუსეთს წესდების მე-8 მუხლის კონტექსტში 2022 წლის 16 მარტიდან ევროპის საბჭოს წევრობა შეუწყდა (CM/Res(2022)2 on the cessation of the membership of the Russian Federation to the Council of Europe, 16 March 2022. https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=0900001680a5da51, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁵⁴სასამართლო დანაყოფების წინაშე მიმდინარე საქმეების სტატისტიკის მიხედვით, 2006 წლიდან მოყოლებული, ამ მხრივ რუსეთი წევრ ქვეყნებს შორის მეტწილად პირველ ადგილს იკავებდა. კერძოდ, 2006 წ. - საერთო რაოდენობის 21.5% (19 300) მოდიოდა რუსეთზე, 2007 წ. – 20 300 (26.0%); 2008 წ. – 27 250 (28.0%); 2009 წ. – 33 550 (28.1%); 2010 წ. – 40 300 (28.9%); 2011 წ. – 40 250 (26.6%); 2012 წ. – 28 600 (22.3%); 2013 წ. – 16 800 (16.8%); 2014 წ. – 10 000 (14.3%); 2015 წ. – 9 200 (14.2%); 2016 წ. – 7 800 (9.8%); 2017 წ. – 7 750 (13.8%); 2018 წ. – 11 750 (20.9%); 2019 წ. – 15 050 (25.2%); 2020 წ. – 13 650 (22.0%); 2021 წ. – 17 000 (24.2%), 2022 წ. – 16 750 (22.4%).

⁵⁵ თამარ ქეციაია, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და რუსეთის 24 წლიანი ტოქსიკური ურთიერთობის „დასასრულის დასაწყისი“, Gnomon Wise, 21 ნოემბერი 2021.

<https://gnomonwise.org/ge/publications/researches/87>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁵⁶ „დენონსაცია არ ათავისუფლებს მაღალ ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისგან ისეთი ქმედებისათვის, რომელიც წარმოადგენს ამ ვალდებულებათა შესაძლო დარღვევას და ჩადენილია დენონსაციის ძალაში შესვლამდე“. „Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms“, Article 58(2).

წინააღმდეგ 17 450 მიმდინარე საჩივარი ირიცხებოდა,⁵⁷ რომელთა განხილვასაც დიდი რესურსი და დრო სჭირდება. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი კი კვლავ განაგრძობს რუსეთის სახელმწიფოს მიერ კონვენციის დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედლობას, რომელთა რიცხვი დენონსაციის დროისთვის 2 129-ს შეადგენდა.⁵⁸ შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული საქმეების სრულად ამოწურვასა და ყველა გადაწყვეტილების სათანადო აღსრულების უზრუნველყოფას კვლავ დიდი დრო და ფინანსური თუ ადამიანური რესურსი სჭირდება, მაშინ, როცა უცნობია თავად რუსეთის მთავრობის შემხვედრი ქმედებები და სასამართლოსთან შემდგომი ურთიერთობა. როგორც მინიმუმ, ამ დროისთვის უკვე ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობა არ აპირებს აღასრულოს ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ძალაში 2022 წლის 15 მარტის შემდეგ შევიდა.⁵⁹

სასამართლოს ფუნქციონირების ისტორიაში, არაერთია წინა აბზაცში აღწერილი შემთხვევის მსგავსი გარდამტეხი მოვლენები, რომელთაც თავის მხრივ, დიდი გავლენა აქვთ სასამართლოში საქმეების ტენდენციაზე. შესაბამისად, სტატისტიკურ მონაცემებზე მსჯელობისას, განსაკუთრებით კი მათზე დაყრდნობით გარკვეული ანალიზის გაკეთების მცდელობისას, უმნიშვნელოვანესია იმ გარემოებების გამოკვეთა და გათვალისწინება, რასაც შესაძლოა კონკრეტულ მაჩვენებელზე ჰქონოდა გავლენა. წინამდებარე თავი, სწორედ ამ გარემოებების გამოკვლევას დაეთმობა.

ამასთან, გასათვალისწინებელია რომ ჩვენი მიზანი არა პროცედურებისა და რეფორმების სრულყოფილად განხილვა, არამედ მათი იმ დონეზე წარმოჩენაა, რომ შესაძლებელი გახდეს წლიდან წლამდე სასამართლოს საერთო სურათის დანახვა, ამ დიდი სურათის ფონზე, საქართველოსთან დაკავშირებული სტატისტიკური მაჩვენებლების გაანალიზება და მონაცემთა რადიკალური ცვლილებების შესაძლო გამომწვევი მიზეზების (უშუალოდ სასამართლოს ფაქტორზე დამოკიდებული) იდენტიფიცირება. შესაბამისად, ქვემოთ განხილული რეფორმები არ არის სრული ჩამონათვალი სასამართლოს სისტემაში განხორციელებული რეფორმებისა.

⁵⁷ Council of Europe, “Russia ceases to be party to the European Convention on Human Rights”.

⁵⁸ Ibid.

⁵⁹ “Подписаны законы о прекращении исполнения постановлений ЕСПЧ,” SOVA информационно-аналитический центр, 14 июня 2022 года. <https://www.sova-center.ru/misuse/news/lawmaking/2022/06/d46432/>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

2.1. კონვენციის მე-11 ოქმი - „ახალი სასამართლო“ და ინდივიდუალური საჩივრის უფლების სავალდებულო ხასიათი

2.1.1. კონვენციის მე-11 ოქმამდე

სასამართლოს შექმნიდან მოყოლებული, ევროპის საბჭოს წევრები მუდმივად ცდილობდნენ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ეფექტიანობის გაზრდას, შესაბამისად, სასამართლოს საზედამხედველო მექანიზმის გაძლიერებას. ამ მხრივ პირველ მნიშვნელოვან რეფორმას კონვენციის მე-11 ოქმის⁶⁰ მიღება წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც 1998 წლიდან, ჩანაცვლდა 40 წლის განმავლობაში საჩივრების განხილვისა და ზედამხედველობის ორდონიანი, საკმაოდ რთული სისტემა, რომლის ფარგლებშიც არსებული სისტემის შედარება მე-11 ოქმის მიღების შემდეგ მუდმივმოქმედ სასამართლოსთან, პრაქტიკულად შეუძლებელია. ახალი სისტემის მთავარ მიღწევას ინდივიდუალური საჩივრის უფლების მნიშვნელობის აღიარება და წევრი ქვეყნების მიერ მისი აღიარების სავალდებულო ხასიათი წარმოადგენდა, რამაც სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, მომავალში არაერთი „თავსატეხი“ გაუჩინა სასამართლოს.

ინდივიდუალური საჩივრის უფლება, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოსთვის ინდივიდუალური განაცხადით მიმართვას და შესაბამისად, პირებს ანიჭებს რეალურ უფლებას განახორციელონ სამართლებრივი ქმედება საერთაშორისო დონეზე,⁶¹ წარმოადგენს კონვენციის ეფექტურობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ გარანტიას - გასაჩივრებული დარღვევები, რომელიც ეფექტიანად არ იქნა განხილული ეროვნული ინსტიტუტების მიერ, შესაძლებელია წაღებულ იქნას ევროპული სასამართლოს წინაშე.⁶² შესაბამისად, ის ადამიანის უფლებათა დაცვის „მექანიზმის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია“.⁶³ თუმცა ამ უფლების აღიარება თავდაპირველად სახელმწიფოებისთვის არჩევანს წარმოადგენდა. როდესაც კონვენცია შევიდა ძალაში, ათიდან მხოლოდ სამი სახელმწიფო აღიარებდა ამ უფლებას. 1990 წლისთვის, ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფო (იმ დროისთვის 22) აღიარებდა მას, რომელიც შემდეგ მიღებული იქნა ყველა ქვეყნის მიერ რომლებიც უერთდებოდნენ კონვენციას.⁶⁴

ინდივიდუალური განმცხადებლის მიერ (იმ ქვეყნების შემთხვევაში, რომლებიც ამ უფლებას აღიარებდნენ) ან ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ წარდგენილი საჩივრები, ექვემდებარებოდა კომისიის მიერ თავდაპირველ გამოკვლევას, რომელიც მათ დასაშვებობას განსაზღვრავდა. კერძოდ, საჩივრის შესაბამისად, აცხადებდა მას დასაშვებად და სადაც მეგობრული მორიგება ვერ მიიღწეოდა, მოხსენების ფორმით, ადგენდა ფაქტებსა

⁶⁰ Council of Europe, “Protocol No. 11 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, restructuring the control machinery established thereby,” *European Treaty Series* - No. 155, (Strasbourg, 11.V.1994). <https://rm.coe.int/168007cda9>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁶¹ *Interlaken declaration*.

⁶² Ibid. Interlaken declaration Action Plan, A. 1.

⁶³ *Mamatkulov and Askarov v. Turkey* [GC], nos. 46827/99 and 46951/99, §§100, 122, 4 February 2005.

⁶⁴ Council of Europe, “Annual Report 2007 of the European Court of Human Rights,” *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2008), 11. https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2007_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

და გამოთქვამდა მოსაზრებას არსებით ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც შესასრულებლად არ იყო სავალდებულო. მოხსენება გადაეცემოდა მინისტრთა კომიტეტს.⁶⁵

იმ შემთხვევაში თუ ხელშემკვერელ მხარეს თანხმობა ჰქონდა გამოთქმული სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციაზე, კომიტეტისთვის მოხსენების გადაცემიდან სამ თვეში, კომისია ან შესაბამისი ქვეყნის მთავრობა ევროპულ სასამართლს საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილების გამოსატანად მიმართავდა. 1994 წლის პირველ ოქტომბრამდე, კერძოდ მე-9 ოქმის ძალაში შესვლამდე,⁶⁶ საჩივრის ავტორს არც ამ შემთხვევაში შეეძლო თავისით საქმის სასამართლოსთვის გადაცემა. ამ ოქმის მიხედვით და იმ შემთხვევაში როცა ეს ოქმი სახელმწიფოებს რატიფიცირებული ჰქონდათ,⁶⁷ ინდივიდუალურ განმცხადებლებს უფლება ეძლეოდათ სასამართლოსთვის თავად მიემართათ, ესეც იმ შემთხვევაში თუკი სასამართლოსთვის გადაცემის საკითხზე თანხმობას სასამართლოს სამი წევრისგან შემდგარი წინასწარი შეფასების პანელი (Screening Panel) გასცემდა.⁶⁸

იმ შემთხვევაში თუ საქმე სასამართლოს არ გადაეცემოდა, მას საბოლოოდ მინისტრთა კომიტეტი წყვეტდა. კერძოდ, კომიტეტი ადგენდა იყო თუ არა კონვენციის დარღვევა და შესაძლებლობის შემთხვევაში, მსხვერპლების სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას აწესებდა.⁶⁹ მინისტრთა კომიტეტს, ამავდროულად, გადაწყვეტილებათა აღსრულების ზედამხედველობაც ევალებოდა.

2.1.2. მე-11 ოქმის შემდგომ

როდესაც მე-11 ოქმი ძალაში შევიდა, 1998 წელს, სავალდებულო გახდა როგორც სასამართლოს იურისდიქციის, ასევე ინდივიდუალური საჩივრის უფლების აღიარება.⁷⁰ ეს უფლება ეხება როგორც კერძო, ასევე იურიდიულ პირებს, ინდივიდთა ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ცვლილებების შედეგად საჩივრის განხილვის კონვენციით განსაზღვრული პროცესი მთლიანად სასამართლოზე დაფუძნებული გახდა და კომისიის ფუნქცია, როგორც წინასწარი შემოწმების პანელის, სასამართლოს ხელში გადავიდა, რომლის იურისდიქცია სავალდებულო გახდა. მინისტრთა კომიტეტის სასამართლო ფუნქცია გაუქმდა და რეფორმირებული სისტემის ფარგლებში, ის გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ზედამხედველ ორგანოდ დარჩა.⁷¹ ამასთან, ოქმის მიხედვით, 1999 წლის 31 ოქტომბრამდე

⁶⁵ Council of Europe, "Survey: Forty years of activity 1959 -1998 of the European Court of Human Rights," 1.

⁶⁶ Council of Europe, "Protocol No. 9 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms," *European Treaty Series* – No. 140 (Rome, 6.10.1990). <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=treaty-detail&treatynum=140>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁶⁷ 1998 წლის 31 დეკემბრისთვის, მე-9 ოქმი რატიფიცირებული ჰქონდათ 24 სახელმწიფოს: ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, გერმანია, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, სან მარინო, სლოვაკეთი, სლოვენია, შვედეთი და შვეიცარია. Council of Europe, "Forty years of activity of the European Court of Human Rights".

⁶⁸ Council of Europe, "Protocol No. 9", Article 5(2).

⁶⁹ Ibid.


⁷⁰ Council of Europe, "Protocol No. 11".

⁷¹ Ibid. Article 1.

მხოლოდ იმ საქმეების განხილვის უფლებამოსილება შეუნარჩუნდა, რომლებიც ოქმის ძალაში შესვლამდე გამოცხადდა დასაშვებად.⁷²

ამ ფუნდამენტურ ცვლილებებთან ერთად, იურისდიქციას დაქვემდებარული სახელმწიფოების მზარდი რაოდენობის, მისი რეპუტაციის ზრდის, სასამართლოს მიერ ინდივიდუალური თავისუფლების ფართო ინტერპრეტაციის, ზოგიერთ ქვეყანაში შიდა სასამართლოების და ადამიანის უფლებების შესახებ არსებული პრობლემების ზრდის ფონზე და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, სასამართლოში დიდი რაოდენობით ინდივიდუალური საჩივრის შედინება დაიწყო.⁷³ მათი რაოდენობა წლიდან-წლამდე იზრდებოდა (იხ. [გრაფიკი 1](#)).

გრაფიკი 1: ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივრების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ ევროპული სასამართლოს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით.

[გრაფიკი 1](#)-დან კარგად ჩანს სასამართლოში მიმართვიანობის ზრდის ტენდენცია. მე-11 ოქმის ძალაში შესვლიდან ორი წლის თავზე, თითქმის გაორმაგდა შეტანილ საჩივართა რაოდენობა.⁷⁴ 2006 წლის რაოდენობა კი აღემატებოდა 34-წლიან (1955-1989 წწ.) პერიოდში შესულ საჩივართა საერთო რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის შემდეგ,

⁷² Ibid. Article 5(3).

⁷³ Helfer, "Redesigning the European Court of Human Rights: Embeddedness as a Deep Structural Principle of the European Human Rights Regime," 126.

⁷⁴ გაგზავნილი/შეტანილი საჩივარი - განმცხადებლის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი საჩივარი (lodged application), რომელიც ჯერ არ არის ოფიციალურად რეგისტრირებული და შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს, რომელიც საჭიროა სასამართლოს მიერ საჩივრის რეგისტრაციისთვის. შესაბამისად მათი რიცხვი არ შედის „სასამართლოს დანაყოფების წინაშე არსებული (მიმდინარე) საჩივრების“ (Applications pending before a judicial formation) რაოდენობაში, რამდენადაც, თუკი აპლიკანტი ვერ შეძლებს სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, სამდივნოს წინაშე ყველა საჭირო ინფორმაციის წარდგენას, ისინი ადმინისტრაციული წესით შეიძლება ამოირიცხო. გაგზავნილი საჩივრები „წინასასამართლო ფაილების“ (Pre-judicial files) მონაცემებში იყრის თავს. ეს უკანასკნელი კი მიმდინარე საჩივრების შესახებ ოფიციალურ სტატისტიკაში ძირითადად არ აღირიცხება. იხ. Council of Europe, "ECHR - Understanding the Court's Statistics", March 2019, 7. https://www.echr.coe.int/Documents/Stats_understanding_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

სასამართლომ შეწყვიტა შეტანილი საჩივრების რაოდენობის ცალკე აღრიცხვა/გამოქვეყნება, მიიჩნია რა, რომ ეს რიცხვი არ არის რელევანტური უშუალოდ სასამართლოს საქმიანობის შესაფასებლად.⁷⁵ ეს ფაქტი კი დამატებით მიუთითებს იმაზე, რომ შეტანილი საჩივრების რაოდენობა მეთოდოლოგიურად უსარგებლოა ხარისხობრივი შეფასებებისთვის.

2.2. კონვენციის მე-14 ოქმის მიღება - ახალი სასამართლო სტრუქტურები და დასაშვებობის კრიტერიუმები

საჩივართა რაოდენობის მკვეთრმა და განგრძობადმა ზრდამ, რაც როგორც უკვე აღინიშნა, მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული, მათ შორის კი უკვე მიღებული გადაწყვეტილებების აღურსულებლობით,⁷⁶ რაც თავის მხრივ, ბევრი განმეორებადი საჩივრის შედინებას იწვევდა, სასამართლოს გადატვირთვა გამოიწვია.

მეტიც, განცხადებების დიდი ნაწილი სასამართლოს მიერ უარყოფილი იყო კონვენციით დადგენილი დასაშვებობის კრიტერიუმებთან შეუსაბამობის გამო. შესაბამისად, ვინაიდან სასამართლოს მოეთხოვებოდა რეაგირება მოეხდინა თითოეულ საჩივარზე, მას აღარ რჩებოდა შესაძლებლობა გონივრულ ვადაში გადაეწყვიტა ის საქმეები, რომლებიც არსებით განხილვას საჭიროებდნენ.⁷⁷ შედეგად, სერიოზული დარღვევის შესახებ საქმეები, წლების განმავლობაში რეაგირების გარეშე რჩებოდა.

საჩივართა რაოდენობის მკვეთრი ზრდის ტენდენციის შენარჩუნებისა და იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რასაც განცხადებათა უპრეცედენტო ზრდა მოასწავებდა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა სათანადო ზომების მიღების საჭიროებაზე ჯერ კიდევ 2000 წელს გაამახვილა ყურადღება.⁷⁸ თუმცა, ამ საფრთხის (სასამართლოს გადატვირთულობა და ფაქტობრივი კოლაფსი) თავიდან არიდება მაინც ვერ მოხერხდა (იხ. [გრაფიკი 2](#)).


⁷⁵ Council of Europe, “Annual report 2007 of the European Court of Human Rights”, 133.

⁷⁶ Council of Europe, “Annual Report 2008, of the European Court of Human Rights,” *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2009), 5. https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2008_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁷⁷ European Court of Human Rights, “Practical Guide on Admissibility Criteria,” Updated on 30 April 2022, გვ.7. https://www.echr.coe.int/Documents/Admissibility_guide_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁷⁸ Council of Europe Committee of Ministers, European Ministerial Conference on Human Rights, Resolution I, Institutional and Functional Arrangements for the Protection of Human Rights at National and European Level, Rome, 3-4 Nov. 2000. CM(2000)172. <https://rm.coe.int/16805e2eec>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

გრაფიკი 2: ევროპული სასამართლოს დანაყოფების წინაშე არსებული (მიმდინარე) საჩივრების (pending applications)⁷⁹ რაოდენობა თითოეული კალენდარული წლის დასასრულისთვის⁸⁰



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ ევროპული სასამართლოს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით.

როგორც [გრაფიკი 2](#)-დან ირკვევა, 2011 წელს სასამართლოს დანაყოფების წინაშე 1998 წლიდან მოყოლებული, ყველაზე დიდი რაოდენობით საჩივარი (151 600 საჩივარი) ირიცხებოდა (რასაც, თავის მხრივ, წინასასამართლო ეტაპზე არსებული 22 600 საჩივარიც ემატებოდა).

„სასამართლოს ეფექტიანობის ვარდისფერი სურათი, ისტორიულ პორტრეტად რომ არ დარჩენილიყო“⁸¹ მკვეთრი ნაბიჯების აუცილებლობა გარდაუვალი გახდა. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ქმედება ჯერ კიდევ 2004 წლის მაისში კონვენციის მე-14 ოქმის⁸² მიღება გახლდათ.⁸³ აღნიშნული ოქმი, რომელიც მიზნად

⁷⁹ მიმდინარე საჩივრებში 2008 წლის პირველ იანვრამდე, იგულისხმებოდა, როგორც: 1.სასამართლო დანაყოფებში გადაცემული მიმდინარე საჩივრების რაოდენობა; ასევე 2. წინა-სასამართლო ეტაპზე მყოფი საჩივრები. ეს უკანასკნელი გულისხმობს ისეთ განცხადებებს, რომელიც არ არის სრული, იმისათვის რომ გადაეცეს სასამართლო დანაყოფს. მათი შესამჩნევად დიდი რაოდენობა, ადმინისტრაციული წესით ამოირიცხება. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ამ სახის საქმეების გამორიცხვით სასამართლოს აქტივობის ამსახველი უფრო ზუსტი მონაცემი იარსებებდა - მიმდინარე საჩივრების ქვეშ. 2008 წლის 1-ლი იანვრიდან, მიმდინარე საჩივრების (pending application) საერთო რაოდენობაში წინა-სასამართლო ეტაპზე მყოფი საჩივრები აღარ აღირიცხება და მათ შესახებ მონაცემები ცალკე არის წარმოდგენილი „წინასასამართლო ფაილებში“. იხ. Council of Europe, „Annual Report 2007 of the European Court of Human Rights“, 133. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მიმდინარე საჩივრების რაოდენობაში შედის ისეთი საჩივრებიც, რომლებზეც შესაძლოა უკვე მიიღო სასამართლომ გადაწყვეტილება, თუმცა, კონვენციის მიხედვით ის ჯერ საბოლოოდ არ არის გამოცხადებული. Council of Europe, „ECHR - Understanding the Court's Statistics“, 7.

⁸⁰ **შენიშვნა:** სქოლიო 79-ში მითითებული გარემოების გათვალისწინებით, [გრაფიკი 2](#)-ში მონაცემები ახალი აღრიცხვის მიხედვით არის დაკორექტირებული.

⁸¹ Helfer, „Redesigning the European Court of Human Rights: Embeddedness as a Deep Structural Principle of the European Human Rights Regime“, 127.

⁸² Council of Europe, „Protocol No. 14 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, amending the control system of the Convention,“ *Council of Europe Treaty Series – No. 194*, Strasbourg, 13.V.2004. <https://rm.coe.int/1680083711>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁸³ 2006 წლისთვის, იმ დროისთვის არსებული 47 წევრი ქვეყნიდან 46 სახელმწიფოს რატიფიცირებული ჰქონდა აღნიშნული ოქმი. მხოლოდ რუსეთი არ ახდენდა მის რატიფიცირებას, რაც მის ძალაში შესვლას აფერხებდა. 2010 წლის 18 თებერვალს მოახდინა რატიფიცირება. იხ. Council of Europe, „Chart of signatures and ratifications of Treaty 194.“ <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatynum=194>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

ისახავდა სასამართლოს გრძელვადიანი ეფექტურობის უზრუნველყოფას, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებდა მარტივი საქმეების განხილვისთვის ახალი სასამართლო დანაყოფის შექმნას და დასაშვებობის ახალ კრიტერიუმებს. კერძოდ, აშკარად დაუშვებელი განცხადების საკითხი სამი მოსამართლესგან შემდგარი კომისიის ნაცვლად, ერთი მოსამართლის მიერ გადაწყვეტას დაექვემდებარებოდა, რომელსაც არასასამართლო მომხსენებელი გაუწევდა დახმარებას. ხოლო სამი მოსამართლისგან შემდგარ კომიტეტს დასაშვებობის საკითხის განხილვასთან ერთად, იმ საჩივრების არსებით ნაწილზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მიეცემოდა, რომელში წამოჭრილ საკითხებზეც კარგად ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა იარსებებდა. ამ ცვლილების პრინციპული მიზანი იყო მცირე სასამართლო დანაყოფის შექმნით, გამოეთავისუფლებინა სასამართლოს დრო და რესურსი უფრო დიდი სამართლებრივი მნიშვნელობის საქმეების ან სასწრაფო საქმეებისთვის. ამასთან, ოქმით განისაზღვრა განმცხადებლისთვის მიყენებული ზიანის ხარისხთან დაკავშირებული დასაშვებობის ახალი კრიტერიუმი, რაც მიზნად ისახავდა განცხადების შეტანის თავიდან აცილებას იმ პირთაგან, რომელთაც მნიშვნელოვანი ზიანი (Significant Disadvantage) არ განუცდიათ.

მართალია მე-14 ოქმზე დიდი იმედები მყარდებოდა, მაგრამ ის არასდროს ყოფილა მიჩნეული პანაცეად, რომელიც „ამ ისტორიის დასასრული“ იქნებოდა.⁸⁴ მისი ამოქმედების 6 წლით გადავადებამ, რაც განპირობებული იყო რუსეთის მიერ რატიფიცირების გახაგრძელებით, სასამართლო იმდენად მძიმე კრიზისში შეიყვანა, რომ მხოლოდ ამ ოქმის ამარა დარჩენა წარმოუდგენელი იქნებოდა.

პირველი დაბრკოლება 2009 წლის 12 მაისს მადრიდში გადაილახა, როცა კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ⁸⁵ კონსენსუსის საფუძველზე, რომ დაუყოვნებლივ აემოქმედებინათ დროებითი დებულებები (ერთი მოსამართლის დანაყოფის შექმნისა და სამი მოსამართლისგან შემდგარი კომიტეტის გაძლიერების შესახებ) იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც თანხმობას გამოთქვამდნენ ამ ოქმის წინასწარ გამოყენებაზე⁸⁶ ან მათთვის, ვინც მე-14 bis ოქმზე⁸⁷ (რომელიც მადრიდში მიიღეს და ძალაში 2009 წლის 1-ელ ოქტომბერს შევიდა) თანხმობას გამოთქვამდნენ. შედეგად 19 ქვეყნის შემთხვევაში აღნიშნული ნორმები ძალაში შევიდა უშუალოდ მე-14 ოქმის ძალაში შესვლამდე, მათ შორის იყო საქართველოც (01/01/2010).⁸⁸ აქვე უნდა აღინიშნოს რომ მე-14 ოქმი ძალაში 2010 წლის 1-ლი ივნისიდან შევიდა, მას შემდეგ რაც რუსეთმა საბოლოოდ მოახდინა ამ ოქმის რატიფიცირება,

⁸⁴ Speech given by Mr Luzius Wildhaber, President of the European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial Year, 21 January 2005. in. Council of Europe, *“Annual Report 2004 of the European Court of Human Rights”*, 32.

⁸⁵ Council of Europe, *“Protocol No. 14 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, amending the control system of the Convention: Agreement on the provisional application of certain provisions of Protocol No. 14 pending its entry into force” Council of Europe Treaty Series – no. 194, Madrid, 12.05.2009.* <https://rm.coe.int/1680083718>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁸⁶ Ibid. *“List of the High Contracting Parties having accepted the provisional application of certain provisions of Protocol No. 14.”*

⁸⁷ Council of Europe, Protocol No. 14 bis to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, *Council of Europe Treaty Series – no. 204, Strasbourg, 27.05.2009.* <https://rm.coe.int/1680084825>, წვდომის თარიღი: 30/04/2023. მან ძალა დაკარგა 2010 წლის 1-ელ ივნისს მე-14 ოქმის ძალაში შესვლისთანავე.

⁸⁸ Council of Europe - Chart of signatures and ratifications of Treaty 204. <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treaty=204>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

შესაბამისად, ამ დღიდან, ოქმით გათვალისწინებული ცვლილებები სავალდებულო გახდა კონვენციის ხელშემკვრელი ყველა ქვეყნისთვის.⁸⁹

სწორედ 2009-2010 წლიდან იწყება სასამართლოს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის გატარებული რიგი რეფორმები, რომელთაც საქმეთა მიმდინარეობის დინამიკაზე შესაძლოა მოეხდინა გავლენა. სანამ აღნიშნული ნაბიჯების შედეგებზე ვისაუბრებთ, აუცილებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეფორმის განხილვა (საქმეთა განხილვის პრიორიტეტულობის პოლიტიკა), რომელიც თანადროული იყო ამ ცვლილებების ძალაში შესვლის. ეს ორი ასპექტი კი იმდენად გადაჯაჭვულია ერთმანეთთან, რომ შედეგების თვალსაზრისით, მათი ცალ-ცალკე გამოყოფა შეუძლებელია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამ მნიშვნელოვან პროცედურულ ცვლილებებთან ერთად, დიდი როლი ითამაშა პოლიტიკურმა თანხმობამ, რომელიც ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა უპირველესად სწორედ ინტერლაკენის დეკლარაციით⁹⁰ (2010 წლის 19 აპრილი) მიაღწიეს, დანარჩენი დეკლარაციები (იზმირის - 2011 წლის 27 აპრილი;⁹¹ ბრაიტონის - 2012 წლის 20 აპრილი,⁹² ბრიუსელის - 2015 წლის 27 მარტი;⁹³ კოპენჰაგენის - 2018 წლის 13 აპრილი⁹⁴), რომელთაც ასევე ქმედითი ნაბიჯები მოჰყვა სასამართლოსთვის, დაფუძნებული იყო და იმეორებდა ინტერლაკენის შეთანხმების სულისკვეთებას.

2.3. პრიორიტეტულობის პოლიტიკა (ნაწილი 1)

სასამართლომ განსაკუთრებული იმედები საქმისთვის პრიორიტეტის მინიჭების პოლიტიკის ცვლილებაზე დაამყარა, რომელიც საჩივრების განხილვის თანმიმდევრობის განსაზღვრის, საკითხის მნიშვნელობისა და მისი დაჩქარებული წესით განხილვის აუცილებლობის გათვალისწინებას გულისხმობს.

2009 წლის ივნისში სასამართლომ ცვლილებები შეიტანა მის საპროცესო ნაწილში, უფრო კონკრეტულად კი იმ ნაწილში თუ რა პრინციპით და რიგითობით უნდა განიხილოს საქმეები. ამ დრომდე, საქმეები განიხილებოდა ქრონოლოგიურად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმეები განიხილებოდა იმ რიგითობით, რა თანმიმდევრობითაც სასამართლოს განსახილველად გადაეცემოდა⁹⁵ (თუმცა, პალატას ან მის თავმჯდომარეს, საკუთარი

⁸⁹ Council of Europe, "Annual Report 2009 of the European Court of Human Rights," *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2010), 12. https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2009_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁹⁰ "Interlaken Declaration".

⁹¹ High Level Conference on the Future of the European Court of Human Rights (Izmir Declaration), Izmir, 26-27 April 2011, https://www.echr.coe.int/Documents/2011_Izmir_FinalDeclaration_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁹² High Level Conference on the Future of the European Court of Human Rights (Brighton Declaration), Brighton, 19-20 April, 2012. https://www.echr.coe.int/Documents/2012_Brighton_FinalDeclaration_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁹³ High-level Conference on the "Implementation of the European Convention on Human Rights, our shared responsibility" (Brussels Declaration), Brussels, 26-27 March 2015. https://www.echr.coe.int/Documents/Brussels_Declaration_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

⁹⁴ Copenhagen Declaration, Copenhagen, 12-13 April 2018. <https://rm.coe.int/copenhagen-declaration/16807b915c>, წვდომის თარიღი: 31/01/2023.

⁹⁵ European Court of Human Rights, The Court's Priority Policy. <https://www.echr.am/resources/echr/pdf/b4058b61d0e79e44439e8c86a9b7b4a6.pdf>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

გადაწყვეტილებით შეეძლო უპირატესობა მიენიჭებინა კონკურენტული საჩივრისთვის და შესაბამისად, დაექარებინა მისი განხილვა).

საჩივართა რაოდენობის გაზრდის პირობებში, ეს მიდგომა ნიშნავდა რომ ზოგიერთი ძალიან სერიოზულ დარღვევასთან დაკავშირებული საქმე, მისი რიგის მოსვლის მოლოდინში, წლების განმავლობაში განუხილველი რჩებოდა. ეს კი განსაკუთრებით იმ ქვეყნების შემთხვევაში არის აქტუალური, საიდანაც საჩივრების ძალიან დიდი რაოდენობა შედიოდა. ეს არა მხოლოდ საჩივრის ავტორთათვის იყო არადამაკმაყოფილებელი, არამედ ასევე ნიშნავდა იმას, რომ დარღვევები და მათი გამომწვევი მიზეზები დაუდგენელი რჩებოდა, რომელიც თავის მხრივ, უფრო მეტ მსხვერპლს წარმოშობდა და პოტენციურად უფრო მეტ საჩივარს სასამართლოს წინაშე.⁹⁶

სწორედ ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ შემუშავებინა ახალი პოლიტიკა, რომელიც სასამართლოს რეგლამენტის 41-ე მუხლში არის გამოხატული. ამ მუხლის მიხედვით, სასამართლომ მნიშვნელობისა და სასწრაფოება/გადაუდებლობის მიხედვით დააჯგუფა საჩივრები. კერძოდ, საჩივართა კატეგორიზაცია შემდეგნაირად მოხდა:⁹⁷

1. სასწრაფო/გადაუდებელი საჩივრები (კერძოდ, საჩივრები რომლებიც უკავშირდება განმცხადებლის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის რისკებს, პერსონალურ ან ოჯახურ სიტუაციებს, სადაც ბავშვის კეთილდღეობის საკითხი დგას, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის („დროებითი ღონისძიება“) გამოყენებას);
2. ის საჩივრები, რომლებსაც შესაძლოა კონვენციის სისტემის ეფექტიანობაზე ჰქონდეს გავლენა - (კერძოდ, სტრუქტურული ან ენდემური სიტუაცია, რომელიც სასამართლოს ჯერ არ განუხილავს, საპილოტე-გადაწყვეტილების პროცედურა) ან საჩივრები რომლებიც საზოგადო ინტერესის მნიშვნელობის კითხვას სვამს (კერძოდ, სერიოზული კითხვა რომელსაც შეიძლება დიდი შედეგები ჰქონდეს ეროვნულ სამართლებრივ სისტემებზე ან ევროპულ სისტემაზე), სახელმწიფოთაშორისი საქმეები;
3. საჩივრები, რომლებიც ეხება კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა), მე-4 (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა) ან მე-5(1) (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) მუხლებს („core rights“), რომლებიც ქმნიან ფიზიკური მთლიანობისა და ადამიანის ღირსებისთვის პირდაპირ საფრთხეებს, იმის მიუხედავად, ისინი არიან თუ არა განმეორებადი.
4. პოტენციურად კარგად დასაბუთებული საჩივრები რომლებიც სხვა მუხლებს ეხება;
5. საჩივრები რომლებიც ისეთ საკითხს ეხება, რომლებიც უკვე განხილულია საპილოტე/წამყვან გადაწყვეტილებაში („განმეორებადი საქმეები“);
6. საჩივრები რომლებიც დასაშვებობის პრობლემას შეიცავს;
7. საჩივრები რომლებიც აშკარად დაუშვებელია.

ამ სქემის მიხედვით, საჩივრები, რომლებიც შედარებით უფრო წინა კატეგორიებში მოექცევა, უფრო ადრე/პრიორიტეტულად განხილვას ექვემდებარება, ვიდრე შედარებით


⁹⁶ Ibid.

⁹⁷ Ibid.

ქვედა კატეგორიების საჩივრები (თუმცა, პალატას ან მის პრეზიდენტს შეუძლია შეცვალოს საქმის პრიორიტეტულობა და განსხვავებულად მოეპყრას მას).⁹⁸

ამასთან, მართალია პრიორიტეტულობის ახალი პოლიტიკით V-VII კატეგორიის საქმეები რიგითობის მიხედვით ყველაზე ბოლოს განსახილველ საქმეებს განეკუთვნება, თუმცა პარალელურად მე-14 ოქმით გათვალისწინებული ცვლილებების ამოქმედებამ და ამ ტიპის საქმეებისთვის ცალკე დანაყოფების შექმნამ, სწორედ ამ საჩივრების დაჩქარებული განხილვა განაპირობა, რომლებიც რეალურად მიმდინარე საჩივრების უდიდეს წილს შეადგენდა (იხ. [გრაფიკი 3](#) და [გრაფიკი 4](#)).

გრაფიკი 3: თითოეული წლის ბოლოს ევროპული სასამართლოს დანაყოფების (ერთი მოსამართლე, კომიტეტი, პალატა) წინაშე არსებული (მიმდინარე) საჩივრები



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ, ევროპული სასამართლოს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით.

შენიშვნა: 2009 წლის მონაცემებში, ერთი მოსამართლის წინაშე არსებული საჩივრების რაოდენობა მოიცავს ასევე კომიტეტის წინაშე არსებულ საჩივრებს, რადგან ამ წლის სტატისტიკაში ეს ორი მონაცემი ცალკე არ არის გამოყოფილი.


[გრაფიკი 3](#)-ზე ჩანს, რომ 2006 წლიდან მიმდინარე საჩივრების რაოდენობას ზრდის ტენდენცია გააჩნია, რომელიც პიკს 2011 წელს აღწევს. 2012 წლიდან ნელ-ნელა თვალშისაცემი ხდება მიმდინარე საჩივრების რაოდენობის კლება. ამასთან, საყურადღებოა, რომ 2010-2012 წლებში მიმდინარე საჩივრების დიდი წილი ერთი მოსამართლის (Single Judge Formation) მიერ განსახილველ საჩივრებზე მოდის, რომელთაც პრიორიტეტულობის პოლიტიკის მიხედვით, VII კატეგორიის, ანუ აშკარად დაუშვებელი საქმეების განხილვა უწევთ. შესაბამისად, კარგად ჩანს, რომ სასამართლოს გადატვირთვა, მეტწილად, სწორედ ასეთი საჩივრების დამსახურება იყო (მხოლოდ 2011 წელს დაახლოებით 100 000 საჩივარი იქნა მიჩნეული ერთი მოსამართლის განსახილველად),⁹⁹ განტვირთვა კი განსაკუთრებით

⁹⁸ Ibid.

⁹⁹ Council of Europe, "Annual Report 2015 of the European Court of Human Rights," *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2016), 5. https://www.echr.coe.int/Documents/Annual_Report_2015_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

2012-2014 წლებში სასამართლოს წარმოებიდან დიდი რაოდენობით საჩივრების ამორიცხვამ და დაუშვებლად ცნობამ განაპირობა¹⁰⁰ (იხ. [გრაფიკი 4](#)).

გრაფიკი 4: ევროპული სასამართლოს დანაყოფების მიერ გადაწყვეტილი საჩივრების (გადაწყვეტილების გამოტანით, ამორიცხული და დაუშვებლად ცნობილი საჩივრები) რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ ევროპული სასამართლოს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით

როგორც [მე-3](#) და [მე-4](#) გრაფიკების შეჯერებით ირკვევა, ერთი მოსამართლის დანაყოფს საკუთარ თავზე დიდი ტვირთის აღება მოუწია, რასაც აშკარად დაუშვებელი საჩივრების ამორიცხვა მოჰყვა, შედეგად კი სასამართლო შედარებით განიტვირთა ამ სახის საჩივრებისგან და გამოთავისუფლდა რესურსი მნიშვნელოვანი საქმეების განსახილველად.

ამასთან, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ [გრაფიკი 3](#)-ის მიხედვით, მომდევნო წლებში იკლო როგორც სასამართლოს წინაშე არსებულმა (მიმდინარე) საჩივრებმა, ასევე მიმდინარე საჩივრებში ერთი მოსამართლის განსახილველი საჩივრების წილმაც. ეს ერთი მხრივ, შესაძლოა განპირობებული იყოს ახალი, მოქნილი მექანიზმის არსებობით, რომელმაც გაწმინდა უკვე დაგროვილი საჩივრები. თუმცა, მეორე მხრივ, საინტერესოა, რამდენად ჰქონდა ამ ცვლილებას დამოუკიდებლად შემდეგში მსგავსი აშკარად დაუშვებელი საჩივრების შემოძინების პრევენციის ფუნქცია. ამისთვის, ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი, რომელსაც ქვევით განვიხილავთ: 1. ერთი მოსამართლის მიერ დაუშვებლად ცნობის დასაბუთებულობის ხარისხი და შედეგად ამ მხრივ განმცხადებელთა ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა; 2. ერთი მოსამართლის დანაყოფამდე საჩივრის მიერ გასავლელი გზა. კერძოდ, ამ უკანასკნელის დროს მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, თუ რამდენად მკაცრ ფილტრს გადიოდა საჩივრები რეგისტრაციამდე და რა ცვლილებები გატარდა ამ მხრივ.

¹⁰⁰2010 წელს დაუშვებლად ცნობისა და ამორიცხვის შესახებ 38 576 გადაწყვეტილებიდან, 22 260 ერთი მოსამართლის დანაყოფის მიერ იქნა მიღებული. 2011 წელს - 46 930 (50 677-დან); 2012 წელს - 81 764 (86 201-დან); 2013 წელს - 80 583 (89 739-დან), 2014 წელს - 78 700 (83 680-დან). იხ. Franklin Dehousse and Benedetta Marsicola, "The Reform of the EU Courts (III): The Brilliant Alternative Approach of the European Court of Human Rights." *Egmont Institute*, (2016): 33.

ერთი მოსამართლის მიერ საჩივრების სწრაფი გამორიცხვის ერთ-ერთი მთავარი კრიტიკის საგანს, სწორედ ამ გადაწყვეტილებათა ხელმიუწვდომლობა და ამავე დროს, შაბლონურობა - მასში კონკრეტული საქმიდან გამომდინარე შესაბამისი დასაბუთების არ არსებობა წარმოადგენდა.¹⁰¹ კრიტიკოსებს ეჭვი უჩნდებოდათ, რომ ძირითად სამუშაოს რეგისტრატორები გასწევდნენ, რომელთაც არ აქვთ მოსამართლეთა შესაბამისი კომპეტენცია, მოსამართლეებს კი მხოლოდ ბეჭდის დასმის ფუნქცია ჰქონდათ, რამაც დაგროვილი საჩივრებისგან სასამართლოს სწრაფი გაწმენდა განაპირობა.¹⁰² დაუსაბუთებელი უარი საჩივრის დასაშვებობაზე, პასუხის გარეშე ტოვებდა და უსამართლობის განცდას უჩენდა არა მხოლოდ იმ კონკრეტულ ინდივიდს, რომლის საჩივარიც მოსამართლემ განიხილა, არამედ ბუნდოვანს ტოვებდა იმ სტანდარტს, რომელსაც ერთი მოსამართლის დანაყოფი დასაშვებობაზე მსჯელობისას იყენებდა, რაც ერთი მხრივ, ვერ მოახდენდა აშკარად დაუშვებელი საჩივრების შემოღინების პრევენციას, რამდენადაც ამის შესაბამისი ცოდნა არ იარსებებდა, ხოლო მეორე მხრივ, ბუნდოვან მიდგომას შესაძლოა იმ პირებზე ჰქონოდა გადათქმევინების ეფექტი, რომელთა საჩივარიც, დიდი ალბათობით, ამ ეტაპს უპრობლემოდ გადალახავდა. ეს პრობლემა 2015-2016 წლებში სასამართლოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა.¹⁰³ კერძოდ, ბრიუსელის კონფერენციაზე, ხელშემკვრელმა მხარეებმა პირდაპირ მოთხოვეს სასამართლოს რომ უზურუნველყო ამ სახის დასაბუთება,¹⁰⁴ რაც მომდევნო წლებში განხორციელდა კიდევაც, თუმცა ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ათეულ თუ ასეულ ათასობით საჩივარი უკვე დაუშვებლად იყო ცნობილი.

შესაბამისად, პირველ ეტაპზე ერთი მოსამართლის დანაყოფი არა იმდენად დაუშვებელი საჩივრების შემოღინების პრევენციას, არამედ არსებული გადატვირთულობის განტვირთვის ისახავდა მიზნად.

თუმცა, სასამართლოს წინაშე მიმდინარე საქმეების სტატისტიკას თუ შევხედავთ, ვნახავთ, რომ წლიდან წლამდე ერთი მოსამართლის დანაყოფის მიერ განსახილველი საჩივრების რაოდენობაც იკლებდა, რაც ერთი მხრივ, შესაძლოა აჩენდეს განცდას რომ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიუხედავად, ერთი მოსამართლის დანაყოფს მაინც ჰქონდა უიმედო საჩივრების შემოღინების პრევენციის ფუნქცია. შესაძლოა ეს დაშვება სიმართლეს შეესაბამება და მართლაც იქონია პრევენციული ფუნქცია, თუმცა ამ დასკვნის გაკეთებამდე, არ უნდა დაგვავიწყდეს ამ პერიოდში არსებული სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებიც.

კერძოდ, მიმდინარე საქმეების სტატისტიკა ეხება უშუალოდ სასამართლოს დანაყოფებისთვის გადაცემულ იმ საჩივრებს, რომელთაც პირველი ეტაპის - ადმინისტრაციული წესით დასაშვებობის გავლა მოახერხეს. აქედან გამომდინარე, ერთი

¹⁰¹ Speech given by Mr Guido Raimondi, President of the European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial Year, 29 January 2016. in. Council of Europe, "Annual Report 2016 of the European Court of Human Rights," *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2017), 18.

https://echr.coe.int/Documents/Annual_report_2016_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁰² Gerards and Glas, "Access to justice in the European Convention on Human Rights system", 24.

¹⁰³ Council of Europe, "Annual Report 2015 of the European Court of Human Rights"; ასევე, Speech given by Mr Guido Raimondi, President of the European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial Year, 29 January 2016. in. Council of Europe, "Annual Report 2016 of the European Court of Human Rights", 18.

¹⁰⁴ იხ. სქოლიო 93.

მოსამართლის დანაყოფამდე მისული საჩივრების რაოდენობაზე ადმინისტრაციული წესით შემოწმების ეტაპზე არსებული ფილტრიც ახდენს გავლენას. შესაბამისად, ამ პროცედურის განხილვითაც უნდა დავინტერესდეთ.

2.4. საპროცესო ნაწილის ცვლილება - სასამართლოსთვის საჩივრის წარდგენის გართულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2007 წლიდან მოყოლებული სასამართლოში შეტანილი საჩივრების რაოდენობა აღარ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. 2007 წლამდე კი, როგორც [გრაფიკი 1](#) გვიჩვენებს, მას ზრდის ტენდენცია ახასიათებდა. ასევე, როგორც წლიური ანგარიშებიდან ირკვევა, მომდევნო წლებშიც ზრდის ტენდენცია იყო შენარჩუნებული. ეს ინტერლაკენის დეკლარაციითაც (2010 წ.) არის დადასტურებული, განსაკუთრებით კი ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ სასამართლოში ძალიან ბევრი არასერიოზული და უპერსპექტივო განცხადებების შედინება ხდებოდა.¹⁰⁵

ამ პრობლემაზე საპასუხოდ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრისთვის ეს აღქმული იყო როგორც ინდივიდუალური საჩივრის უფლების მნიშვნელოვანი შეზღუდვა, საპროცესო ცვლილებით სასამართლოსთვის მიმართვა გამკაცრდა.¹⁰⁶ კერძოდ, 2014 წლის 1-ლი იანვრიდან, სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის მიხედვით, გართულდა საჩივრის შეტანის პროცესი.¹⁰⁷ ამიერიდან, განმცხადებლები იძულებულნი გახდნენ, საჩივარი სპეციალური გართულებული ფორმით შეეტანათ, რაც მათი მხრიდან მეტ სიფრთხილეს და შესაძლოა მეტ ცოდნასაც მოითხოვდა, რამდენადაც, რეგლამენტის 47-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების დაუცველობა, ფორმის რომელიმე ნაწილის შეუვსებლობა ან არასწორედ შევსება, საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.¹⁰⁸ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:¹⁰⁹

ა) საჩივრის ავტორი წარმოადგენს მოთხოვნათა შეუსრულებლობის სათანადო განმარტებას;¹¹⁰

ბ) საჩივარი ეხება დროებით ღონისძიების გამოყენების მოთხოვნას;

¹⁰⁵ იხ. სქოლიო 45.

¹⁰⁶ European Court of Human Rights, "Report on the implementation of the revised rule on the lodging of new applications," February 2015. https://www.echr.coe.int/Documents/Report_Rule_47_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁰⁷ European Court of Human Rights, "Rules of Court," *Registry of the Court*, Strasbourg, 3 June 2022, Article 47. https://www.echr.coe.int/documents/rules_court_eng.pdf?cf_chl_managed_tk=wOMOUb7b5syxlm62ocmFxQDqePJeV46PHaNXLV.5t9s-1642588533-0-gaNycGzNCVE, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁰⁸ მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობა აუცილებლად საბოლოო უარს არ ნიშნავს, რამდენადაც აპლიკანტებს შეუძლიათ თავიდან მიმართონ საჩივრით, თუკი კონვენციით დადგენილი ვადა ამოწურული არ არის.

¹⁰⁹ European Court of Human Rights, "Rules of Court," Article 47 (5)(1).

¹¹⁰ მაგალითად, პრაქტიკაში ასეთ გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენდნენ თავისუფლება აღკვეთილი და დაკავებული პირები, რომელთაც არ ჰქონდათ წვდომა კონკრეტულ დოკუმენტებზე, პატიმრობაში მყოფი უცხოელები, რომელთაც უჭირდათ მოთხოვნათა გარკვევა. ასევე 2014 წელს უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტიდან გამომდინარე, აპლიკანტები, რამდენადაც ქონების განადგურება და საჯარო სერვისების შეფერხება, გავლენას ახდენდა სასამართლოსთვის წარსადგენ დოკუმენტებსა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაზე. იხ. სქოლიო 106.

გ) სასამართლო საკუთარი შუამდგომლობის ან მომჩივნის მოთხოვნის საფუძველზე მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას.¹¹¹

ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, 2014 წლის მონაცემებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ევროპულ სასამართლოში შესულ საჩივართა (52 758 საჩივარი) 23% (12 191 საჩივარი) ვერ აკმაყოფილებდა ახალ მოთხოვნებს.¹¹² რაც თავის მხრივ, მიანიშნებს, რომ ამ სახის ცვლილებებამდე, სამდივნოს დიდი რესურსი ეხარჯებოდა არასრულად წარდგენილი საჩივრების¹¹³ დამუშავებასა და შეკრებაზე.¹¹⁴

ამასთან, 2014 წლის 1-ლი იანვრიდან გამკაცრდა 6 თვიან ვადასთან დაკავშირებით სასამართლოს მიდგომა. კერძოდ, კონვენციის 35-ე მუხლის თანახმად: „სასამართლოს შეუძლია, საჩივარი განსახილველად მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების თანახმად და საქმეზე ეროვნულ დონეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში“.¹¹⁵ კონვენციის მე-15 ოქმის საფუძველზე,¹¹⁶ 2022 წლის თებერვლიდან, 6 თვიანი ვადა 4 თვემდე შემცირდა.¹¹⁷

ამ ვადის დანიშნულებას, პირველ რიგში, კონვენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით საჩივრების გონივრულ ვადაში განხილვა წარმოადგენს, თუმცა ამასთან, ხელისუფლების ორგანოებისა და სხვა პირების ხანგრძლივი დროით გაურკვევლობაში ყოფნის თავიდან არიდებას ემსახურება. ბოლოს, ამ წესის მიზანია, „ფაქტების დადგენის გაადვილება იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც ფაქტების დადგენა ძალიან გართულებოდა დროის გასვლის შემდეგ.“¹¹⁸

2014 წლის 1-ელ იანვრამდე, სასამართლო და მისი სამდივნო განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიმართ საკმაოდ ლმობიერი იყო. დამკვიდრებული პრაქტიკისა და სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის მე-5 პარაგრაფის შესაბამისად, საჩივრის წარდგენის თარიღად, როგორც წესი, განიხილებოდა განმცხადებლის პირველი კომუნიკაციის თარიღი, როდესაც იგი წარადგენდა განაცხადს - თუნდაც მის მოკლე შინაარსს (მთავარი იყო განაცხადში წარმოჩენილი ყოფილიყო მიზანი და მიზნების

¹¹¹ „ძალიან საგამონაკლისო შემთხვევებში, როდესაც საჩივარი წამოჭრის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ან კონვენციის ინტერპრეტაციის საკითხებს, რომლებიც საქმის ინდივიდუალური გარემოებების მიღმა, მნიშვნელოვანია კონვენციის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის“. იხ. სქოლიო 106.

¹¹² იხ. სქოლიო 106.

¹¹³ ახალი წესის საფუძველზე, 2014 წლის განმავლობაში განუხილველად დატოვებული საჩივრების შესწავლით დგინდება, რომ უარის ყველაზე გავრცელებული საფუძველები იყო: საჩივრის განცხადების ფორმით წარუდგენლობა; აპლიკანტის მიერ სადავოდ გამხდარ გადაწყვეტილებებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებული დოკუმენტების წარუდგენლობა; დარღვევასთან დაკავშირებული განაცხადის წარუდგენლობა; დასაშვებობის კრიტერიუმების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების არ არსებობა; ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის დამადასტურებელი დოკუმენტების არ არსებობა. იხ. სქოლიო 106.

¹¹⁴ Ibid.

¹¹⁵ „Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms“, Article 35.

¹¹⁶ Council of Europe, „Protocol No. 15“.

¹¹⁷ Council of Europe, „Time limit for ECHR applications reduced to four months“, 1 February 2022. იხ. <https://www.coe.int/en/web/portal/-/time-limit-for-echr-applications-reduced-to-4-months>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹¹⁸ *Mercier De Bettens v. Switzerland*, no. 12158/86, ECHR 1987.


თუნდაც ზოგადი მოკლე მიმოხილვა) - იმ პირობით, რომ შესაბამისი წესით შევსებული საჩივარი წარმოდგენილი იქნებოდა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. ეს პირველი კომუნიკაცია, აჩერებდა ექსპერტიზის ვადის დინებას.¹¹⁹ თუმცა, მნიშვნელოვანია რომ შემდეგ სასამართლოს მიერ დადგენილი ვადა დაცული ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი დაეკარგებოდა 6 თვიან ვადას.¹²⁰

ცვლილებების მიხედვით, ზოგადი წესი არ იცნობს პირველად განაცხადს და მის საფუძველზე სასამართლოს მიერ 6 თვიანი ვადის გახანგრძლივების შესაძლებლობას. განმცხადებელი ვალდებულია 6 თვიან ვადაში წარადგინოს საჩივარი სრულად. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება ვადა დაცულად.¹²¹

თავად სასამართლოს განმარტებით, რეგლამენტის 47-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების შედეგი ერთი წლის თავზეც შესაძენევი იყო, რაც სასამართლოს გადატვირთვის შემსუბუქებასა და საჩივართა მიღება/განხილვის დაჩქარებულ პროცესში გამოიხატა. კერძოდ, შემცირდა კორესპონდენციითა რაოდენობა, გაუმჯობესდა საჩივართა ორგანიზებულობა, რამაც შესული საჩივრების ანალიზი და დამუშავება გააადვილა და რაც მთავარია, გამოათავისუფლა დრო სხვა ისეთი საჩივრებისთვის, რომელთაც წარმატების უფრო მაღალი ალბათობა გააჩნიათ.¹²²

შესაძლო შედეგზე საუბრისას, საყურადღებოა, უშუალოდ ამ ცვლილებების შემდეგ ადმინისტრაციული წესით ამორიცხულ საჩივართა რაოდენობის ზრდა. კერძოდ, 2014-2015 წლებში ადმინისტრაციულად გაცხრილული საჩივრების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა (იხ. [გრაფიკი 5](#)).

გრაფიკი 5: სამდივნოს მიერ ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული წესით ამორიცხული საქმეების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ სასამართლოს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით

¹¹⁹ *Kemevuako v. The Netherlands*, (dec.), no. [65938/09](#), § 19, 1 June 2010.

¹²⁰ *P.M. v. The United Kingdom*, (dec.), no. [6638/03](#), 24 August 2004.

¹²¹ *Malysh And Ivanin v. Ukraine* (dec.), nos. [40139/14](#) and [41418/14](#), 9 September 2014.

¹²² იხ. სქოლიო 106.

როგორც, [გრაფიკი 5](#)-დან ჩანს, ეს მაჩვენებელი 2016 წლიდან 2014-2015 წლებთან შედარებით კლებას იწყებს, თუმცა ადმინისტრაციული წესით ამორიცხულ საქმეთა აბსოლუტური მაჩვენებელი, წინა წლებთან (იგულისხმება 2014 წლამდე) შედარებით, მაინც მაღალია. მხოლოდ 2020 წელს შედარებით უბრუნდება ძველ ნიშნულს. ეს შესაძლოა აიხსნას იმით, რომ საჩივრის ავტორებმა ისწავლეს და გაიგეს გამკაცრებული პოლიტიკის შესახებ,¹²³ რასაც, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო სასამართლოს მიერ წარმოებულმა კამპანიამ,¹²⁴ მათ შორის ამ პერიოდში შეძენილმა გამოცდილებამ. ამასთან, გატარებულმა პოლიტიკამ შესაძლოა სასამართლოსთვის მიმართვაზე გადათქმევინების ეფექტი იქონია იმ აპლიკანტებზე, რომლებიც ცვლილებებამდე ყველა შემთხვევაში სრულიად უიმედო და არასერიოზული საჩივრებით მიმართავდნენ სასამართლოს, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ისეთმა აპლიკანტებმაც გადაიფიქრეს სასამართლოში საქმის წარმოება, რომელთა საჩივარიც პერსპექტიული შეიძლება ყოფილიყო.

შესაბამისად, რომ დავუბრუნდეთ ზევით წამოჭრილ საკითხს და შევაჯამოთ განხილული ცვლილებების შედეგები, 2014-2015 წლებში დანაყოფებზე გადაცემული საჩივრების მკვეთრი შემცირება, განსაკუთრებით კი ერთი მოსამართლისთვის გადაცემული საქმეების რაოდენობის კლება, შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ ამ პერიოდში ბევრი საჩივარი ადმინისტრაციული წესით ამორიცხებოდა, რაც თავის მხრივ, განპირობებული იყო პროცედურულ ნაწილში შესული არაერთი ცვლილებით - დაწყებული წმინდა პროცედურული საკითხებით, რომელშიც გართულებული ფორმის წარდგენა და ამ ფორმის ზედმიწევნით სწორედ შევსება იგულისხმება, დასრულებული საჩივრისთვის წარდგენის ვადის დაცვის მკაცრი პოლიტიკით და დასაშვებობის კრიტერიუმების გამკაცრებით. ამასთან, საჩივართა რაოდენობის კლებაზე, სავარაუდოდ, გავლენა იქონია ერთი მოსამართლის მიერ საქმეთა გახშირებულმა ამორიცხვამ, რომელიც მართალია პირველ ეტაპზე არ იყო დასაბუთებული, შესაბამისად, კონკრეტული მიზეზის შესახებ აპლიკანტები არ იყვნენ ინფორმირებული, თუმცა პოტენციური აპლიკანტებისთვის შესაძლოა გართულებულ პროცედურებთან ერთად, ეს ფაქტორი საჩივრის შეტანის გადათქმევინების განმაპირობებელიც ყოფილიყო.

სასამართლო დანაყოფებისთვის განაწილებული და მათ წინაშე მიმდინარე საქმეების კლების ტენდენციას რიგი ქვეყნებიც იზიარებენ, მაგალითად, რუსეთი (რომელიც მიმდინარე საჩივართა რაოდენობით ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე იყო),¹²⁵ ზოგიერთ ქვეყანასთან მიმართებით რთულია ამის პირდაპირ თქმა, ზოგიერთ შემთხვევაში კი გამოკვეთილია კონტექსტი, რომელიც ხსნის არა კლებას, არამედ მატებას. კლების ტენდენციას იმეორებს საქართველოც, რაც უფრო დაწვრილებით ქვევით იქნება განხილული. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ კონვენციის მთავარი მიზანი ის კი არ არის რომ რაც შეიძლება მეტი განცხადება ამორიცხოს და დატოვოს განუხილველად, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ არსებით დაუსაბუთებლობასთან ერთად, ამორიცხვის/არ მიღების საფუძვლები განმცხადებლის მიერ პროცედურების არცოდნაც შეიძლება იყოს,

¹²³ Ibid.

¹²⁴ Ibid.

¹²⁵ იხ. სქოლიო 54.

არამედ ის რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფს წევრ ქვეყნებში ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვა.¹²⁶

აღსანიშნავია, რომ ერთი მოსამართლის მიერ განსახილველ საჩივართა კლების ტენდენციასთან ერთად, შესამჩნევია კომიტეტის მიერ განსახილველი საჩივრების როგორც აბსოლუტური მაჩვენებლის (ზრდა ან მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნება), ასევე დანაყოფების მიერ განსახილველ საჩივრებში მისი წილის ზრდა (იხ. [გრაფიკი 3](#)), რაც კომიტეტის მიერ განსახილველი საქმეების გათვალისწინებით, მეტწილად, სასამართლოს გადაწყვეტილებათა სათანადო აღუსრულებლობას უკავშირდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყურადღება ამ პრობლემაზე და მის გადასაჭრელად განხორციელებულ ქმედებებზე გამახვილდეს.

2.5. გადაწყვეტილებათა აღსრულების პრობლემაზე პასუხი

ჯერ კიდევ 2000 წლიდან მოყოლებული, სასამართლოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად გადაწყვეტილებათა აღუსრულებლობა განიხილებოდა, რაც თავის მხრივ, სასამართლოს გადატვირთულობის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზიც იყო.

გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულება ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია კონვენციის სისტემის ფუნქციონირებისათვის. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევხედოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორც „დასასრულს“,¹²⁷ რამდენადაც სწორედ ის არის დასაწყისი არანაკლებ მნიშვნელოვანი ეტაპის. როგორც ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ყოფილი კომისარი, თომას ჰამარბერგი, აღნიშნავს: „გადაწყვეტილების აღსრულებლობა არის კიდევ ერთი უსამართლობა ინდივიდის წინააღმდეგ, რომლის უფლებაც სასამართლოს მიერ არის აღიარებული. ის ამვე დროს ასუსტებს უფლებების დაცვის სისტემის სანდოობას“.¹²⁸ შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება გადამწყვეტია როგორც სასამართლოს ლეგიტიმაციისათვის, ასევე ზოგადად კონვენციის სისტემის ფუნქციონირებისათვის.

აღსრულებლობით გამოწვეული პრობლემის მასშტაბები კარგად ჩანს სტატისტიკური მონაცემებით. კერძოდ, იმ ფონზე როცა, მაგალითად, 2012 წლიდან მოყოლებული სასამართლო დანაყოფების წინაშე არსებული საქმეების რაოდენობას კლების ტენდენცია ახასიათებდა (იხ. [გრაფიკი 3](#)), კომიტეტის წინაშე განსახილველი საქმეების რაოდენობა, როგორც ფარდობით, ასევე აბსოლუტურ მაჩვენებელშიც შესამჩნევად იზრდებოდა. პიკს კი 2016 წელს მიაღწია, როდესაც მიმდინარე საქმეების (79 750 საჩივარი) 60% კომიტეტის წინაშე არსებულ საქმეებზე მოდიოდა (47 500 საჩივარი). კომიტეტი კი, როგორც ცნობილია, განიხილავს ისეთ საქმეებს, რომელზეც სასამართლოს ნამსჯელი აქვს და არსებობს კარგად ჩამოყალიბებული პრაქტიკა. შესაბამისად, კომიტეტის წინაშე მეტწილად განმეორებადი საჩივრები ხვდებოდა, რაც აღსრულებლობის პრობლემაზე მიაჩნებოდა.

¹²⁶ Speech given by Mr Luzius Wildhaber, President of the European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial Year, 21 January 2005. in. Council of Europe, “Annual Report 2004 of the European Court of Human Rights”, 32.

¹²⁷ Council of Europe Committee of Ministers, “CM (2000)172”.

¹²⁸ Speech Given by Mr Thomas Hammarberg, Council of Europe Commissioner for Human Rights, on the occasion of the opening of the judicial year, 27 January 2012. in. Council of Europe, “Annual Report 2012 of the European Court of Human Rights”, 47.

აღსრულების პროცედურა, კონვენციის თანახმად, გადაწყვეტილების საბოლოოდ ცნობის შემდეგ იწყება, რომელსაც ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობს.¹²⁹ თუმცა, საინტერესოა რა იგულისხმება ზედამხედველობაში და აღსრულების რა ნაწილს ეხება თავად სასამართლო. თავდაპირველად სასამართლო ადგენდა მხოლოდ კონვენციის დარღვევის ფაქტს და მაქსიმუმ განსაზღვრავდა სათანადო კომპენსაციის გადახდის საკითხს, (საბოლოო ვადა, მიმღები, ვალუტა და ა.შ), თუმცა, სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით (რაც გადაწყვეტილების ეფექტიანად აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით კომპენსაციის პარალელურად უნდა გატარდეს) მითითებისგან თავს იკავებდა. ზოგადად, სასამართლოს განმარტებით, ამ ღონისძიებების (როგორც ინდივიდუალური, ასევე ზოგადი ღონისძიებები) განსაზღვრა რესპონდენტ ქვეყნას, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ, თავად ევალება.

სასამართლოს მიერ ამ სახის შეზღუდვა შეესაბამებოდა კონვენციის შემქმნელთა განზრახვას, რომ შეექმნათ „სუვერენიტეტის ფარი“ რომელიც შეზღუდავდა სასამართლოს ჩარევას და დაზარალებული მხარის რეპარაცია მოხდებოდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა შიდასამართლებრივი წესრიგის ფარგლებში.¹³⁰ თუმცა, ამ სახის თავისუფლება და სასამართლოს მხრიდან ჩაურევლობა, ხშირად სათანადო აღუსრულებლობის გამომწვევი მიზეზი ხდებოდა, რამდენადაც ხელშემკვრელი მხარეები, მხოლოდ მინიმალურ ზომებს მიმართავდნენ ან საერთოდ უპასუხოდ ტოვებდნენ გადაწყვეტილებას. მდგომარეობა მცირედით გამოსწორდა მას შემდეგ, რაც 2000 წელს ევროპის საბჭოს მიერ დაწყებული რეფორმის პროცესის საპასუხოდ, სასამართლომ მომდევნო წლებში გადაწყვეტილებებში მითითების მიცემა დაიწყო, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ შეიძლება მომხდარიყო მსხვერპლთა სამართლიანი დაკმაყოფილება. ამ მხრივ კი როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებული და პრეცედენტული იყო 2004 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ*, რომელშიც სასამართლომ პირდაპირ, სარეზოლუციო ნაწილშივე მითითებით, დაავლადებულება მთავრობა დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა აპლიკანტი.¹³¹

გარდა იმისა, რომ თავად სასამართლოს როლი არის უმნიშვნელოვანესი რომ ხელი შეუწყოს აღსრულებას, არაორაზროვანი გადაწყვეტილებებით და ხშირ შემთხვევაში პირდაპირ მიუთითოს აღსრულების გზებზე, ასევე, ამ პროცესში მნიშვნელოვანია აღსრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოს - მინისტრთა კომიტეტის და რაც მთავარია, თავად მონაწილე სახელმწიფოს როლიც. თუმცა, თუკი სასამართლო მხოლოდ სამართლებრივი გზით ერევა, მინისტრთა კომიტეტი გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, პოლიტიკურ ზომებს მიმართავს. მის ხელშია ისეთი ძლიერი ინსტრუმენტიც, როგორიც არის ხელშემკვრელი მხარის ევროპის საბჭოდან გარიცხვა, რაც უკიდურესი ზომაა, რომელსაც წინ პროცედურულად ბევრი აუცილებელი ნაბიჯი უძღვის და რომელიც (კონკრეტულად აღუსრულებლობის საფუძვლით), ამ დრომდე არცერთი

¹²⁹ "Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms", Article 46.

¹³⁰ Helfer, "Redesigning the European Court of Human Rights: Embeddedness as a Deep Structural Principle of the European Human Rights Regime," 147.

¹³¹ Council of Europe, "Annual Report 2004 of the European Court of Human Rights", 57.

ქვეყნის მიმართ არ ამოქმედებულა,¹³² რამდენადაც ეს არც წევრი ქვეყნის და მით უფრო, არც მინისტრთა კომიტეტის ინტერესში არ არის.

აღსანიშნავია, რომ პროცესის მეტი ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ინტერლაკენის შეთანხმებიდან გამომდინარე, 2011 წლის იანვრიდან ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ზედამხედველობის ახალი სისტემა¹³³ ამოქმედდა, რომელმაც მინისტრთა კომიტეტი მეტად მოქნილი გახადა და ზემოქმედების უფრო ძლიერი საშუალებებით აღჭურვა. კერძოდ, ახალი სისტემის მიხედვით, მინისტრთა კომიტეტი აღსრულებაზე ზედამხედველობას ორი სახის პროცედურის (twin-track supervision system) შესაბამისად ახორციელებს. ესენია: ზედამხედველობის სტანდარტული და გაძლიერებული პროცედურები.

როგორც წესი, ყველა საქმე ზედამხედველობის სტანდარტულ პროცედურას ექვემდებარება, რომლის ფარგლებშიც მინისტრთა კომიტეტის მონაწილეობა საკმაოდ შეზღუდულია¹³⁴ და მხოლოდ შესრულების გეგმისა და ანგარიშის წარდგენის ვადების განსაზღვრითა და მათი გაცნობით შემოიფარგლება. რაც შეეხება გაძლიერებულ პროცედურას, ის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენება, როცა მინისტრთა

¹³²მაგალითად, ამ საფუძველზე გარიცხვის საფრთხის წინაშე იდგა აზერბაიჯანი, ილგარ მამადოვის საქმეზე (Ilgar Mammadov v. Azerbaijan) გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო. კერძოდ, მინისტრთა კომიტეტმა 3 წლიანი უშედეგო მცდელობის შემდეგ, 2017 წლის სექტემბრის თვეში, უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც აზერბაიჯანს, ერთ თვიანი ვადა მისცა, ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კი საბოლოოდ მიმართა სასამართლოს 46-ე მუხლით გათვალისწინებული კითხვით, შეასრულა თუ არა აზერბაიჯანმა სასამართლოს გადაწყვეტილება. დადებითი პასუხის შემთხვევაში, მინისტრთა კომიტეტი შეწყვეტდა საქმეს, უარყოფითის შემთხვევაში კი შემდეგ ღონისძიებებს მიმართავდა, მათ შორის მოიაზრება ევროპის საბჭოდან ქვეყნის გარიცხვის პროცედურის დაწყება. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა საბოლოოდ აზერბაიჯანის მიერ ილგარ მამადოვის ციხიდან გათავისუფლებითა და აზერბაიჯანის უზენაესი სასამართლოს მიერ აპლიკანტის უკანონო დაკავებისა და პატიმრობისათვის მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციის მინიჭებითა და სასამართლოების გაუქმებით დასრულდა, რის საფუძველზეც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება შესრულებულად ჩაითვა და შეწყდა აღსრულების პროცედურა. იხ. Council of Europe Committee of Ministers, Resolution CM/RESDH(2020)178 on Execution of the judgments of the European Court of Human Rights (Adopted by the Committee of Ministers on 3 September 2020 at the 1377bis meeting of the Ministers' Deputies) <https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-204747>, წვდომის თარიღი: 30/04/2023. მსგავს პროცედურას მიმართავს მინისტრთა კომიტეტი თურქეთის წინააღმდეგაც, საქმეზე Kavala v. Turkey-ზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებლობისთვის. იხ. Council of Europe Committee Of Ministers – Supervision Of The Execution Of Judgments And Decisions of The European Court Of Human Rights 2021, March 2022, 17. <https://rm.coe.int/2021-cm-annual-report-en/1680a60140>, თუმცა, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულებლობის გამო თურქეთის მთავრობის მხრიდან კონვენციის 46(1)-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის დადგენის, ზომების მისაღებად საქმის კვლავ კომიტეტისთვის გადაცემის და ამ უკანასკნელის მიერ გაღებული დიდი მალისხმევის მიუხედავად, აპლიკანტი კვლავ არ გათავისუფლებულა. იხ. Council of Europe Committee of Ministers, Notes and decisions adopted by the Committee of Ministers on 06-08 December at the 1451st CM-DH Meeting. [https://hudoc.exec.coe.int/FRE#{"EXECIdentifier":\["004-55161"\]}](https://hudoc.exec.coe.int/FRE#{), წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹³³ Council of Europe Committee of Ministers, Supervision of the execution of judgments and decisions of the European Court of Human Rights: implementation of the Interlaken Action Plan – Modalities for a twin-track supervision system, Ministers' Deputies Information Documents, 6 September 2010. CM/Inf/DH(2010)37

<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804a327f>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹³⁴ Council of Europe Committee Of Ministers, Supervision Of The Execution Of Judgments And Decisions of The European Court Of Human Rights 2017, March 2018, 254. <https://rm.coe.int/annual-report-2017/16807af92b>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

კომიტეტი მიიჩნევს,¹³⁵ რომ საქმე მისი სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროებს კომიტეტის უფრო აქტიურ მონაწილეობას და პრიორიტეტულ განხილვას.

ამასთან, გარკვეული კატეგორიის საქმეები ავტომატურად გაძლიერებულ პროცედურას ექვემდებარება. ესენია:

1. გადაწყვეტილება, რომელიც სასწრაფო ინდივიდუალური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს;
2. ე.წ. საპილოტე გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტის მოსაზრებით, სტრუქტურული ან/და კომპლექსური პრობლემა იკვეთება;
4. სახელმწიფოთაშორის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.

გარდა ამისა, კონკრეტულ საქმეზე, გაძლიერებული ზედამხედველობის განხორციელება შეიძლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს სახელმწიფომ ან მინისტრთა კომიტეტის სამდივნომ.

გაძლიერებული ზედამხედველობის პროცედურის ფარგლებში, უზრუნველყოფილია აღსრულების პროცესში მინისტრთა კომიტეტის უფრო მჭიდრო მონაწილეობა და აღსრულების მაქსიმალური ხელშეწყობა, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს სპეციალური გადაწყვეტილებებისა თუ შუალედური რეზოლუციების მიღებაში (რომელიც შეიძლება გამოხატავდეს კმაყოფილებას, შეშფოთებას ან შეთავაზებას) და აღსრულების ღონისძიებებთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემაში.

კომიტეტის მხრიდან ჩარევა შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს. კერძოდ, შესაძლოა კომიტეტმა სამდივნოს სახელმწიფოს წარმომადგენლებთან უფრო ინტენსიური თანამშრომლობა მოსთხოვოს¹³⁶, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს სამოქმედო გეგმების მომზადებასა ან/და იმპლემენტაციის ეტაპზე დახმარებაში, ორმხრივი ან მრავალმხრივი შეხვედრების გამართვაში (მაგ. სემინარები, მრგვალი მაგიდები), საკონსულტაციო ვიზიტებისა და საკანონმდებლო ექსპერტიზაში.

ბოლო წლებში შესამჩნევია მინისტრთა კომიტეტის წინაშე არსებული საქმეების კლების ტენდენცია. თუკი 2012 წელს მათი რიცხვი 11 099 ერთეულს შეადგენდა (დროის ამ შუალედში ყველაზე მაღალი ნიშნული) 2012 წლიდან კლებას იწყებს, ბოლო სამ წელიწადში (2019-2021წწ) კი განახევრებულია.¹³⁷ კლების ტენდენცია ბევრ ფაქტორზე შეიძლება იყოს დამოკიდებული. როგორც თავად საჩივართა რაოდენობის, მათზე მიღებული გადაწყვეტილებებისა თუ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილებების კლებაზე (ამ უკანასკნელს ასევე კლების ტენდენცია ახასიათებს, თუმცა 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია),¹³⁸ ასევე თავად მინისტრთა კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდაზე ან/და სხვა ფაქტორებზე.

¹³⁵Council of Europe Committee of Ministers, CM/Inf/DH(2010)37”.

¹³⁶Council of Europe Committee of Ministers, “CM/Inf/DH(2010)37”, §20.

¹³⁷ Council of Europe Committee Of Ministers, Supervision Of The Execution Of Judgments And Decisions of The European Court Of Human Rights 2021, March 2022. <https://rm.coe.int/2021-cm-annual-report-en/1680a60140>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹³⁸ Ibid.

როგორც უკვე აღინიშნა, გადაწყვეტილებათა აღსრულებადობა გადამწყვეტ როლს თამაშობს სასამართლოს წინაშე საჩივრების რაოდენობის შემოდინების დინამიკაზე. თუმცა, მისი კონკრეტული როლის გამოკვეთაც რთულია. კერძოდ, თუკი გადაწყვეტილებათა წლობით აღსრულებადობამ შესაძლოა ერთი და იმავე საკითხზე საჩივრებით სასამართლოს გადატვირთვა გამოიწვიოს, თავის მხრივ, წლობით აღსრულებადობა, პოტენციური აპლიკანტისთვის გადათქმევინების ეფექტის მქონეც შეიძლება აღმოჩნდეს. შესაბამისად, ამ ფაქტორმა შესაძლოა როგორც საჩივართა დიდი რაოდენობით შედინება, ასევე, საჩივრების შეტანისგან თავშეკავებაც გამოიწვიოს და პირიქით, დაჩქარებულმა პროცესმა და გადაწყვეტილებათა აღსრულებამ, ერთი მხრივ, შესაძლოა სასამართლო ბევრი ანალოგიური საჩივრის შედინებისგან დაიცვას, თუმცა, თავის მხრივ, სასურველი შედეგის მიღწევით დაიმედებულ აპლიკანტებს სასამართლოსთვის მიმართვის სურვილი გაუჩინოს.

2.6. ცალმხრივი დეკლარაციები და მეგობრული მორიგებები

განმეორებად საჩივრებთან საბრძოლველად და ზოგადად სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმებს - ცალმხრივ დეკლარაციებსა და მეგობრულ მორიგებებს მიმართა. კერძოდ, ალტერნატიულობა იმაში მდგომარეობს, რომ ევროპული სასამართლოს წინაშე მხარეებს შორის წარმოშობილი დავა სრულდება¹³⁹ და საჩივარი ამოირიცხება სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა ნუსხიდან,¹⁴⁰ თუმცა სასამართლოს სხვა სახის გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, რომელიც საჩივრის ავტორისთვის სრულიად უშედეგოდ შეიძლება დასრულდეს, ორივე ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში, მთავრობებს ეკისრებათ ვალდებულება, გადადგან გამოსასწორებელი ნაბიჯები, რომლებიც სავალდებულო გახდება საერთაშორისო სამართლის მიხედვით.¹⁴¹ პრაქტიკის მიხედვით, ეს ნაბიჯები, როგორც მინიმუმ, საჩივრის ავტორისთვის კომპენსაციის მიცემას გულისხმობს, თუმცა, ასევე შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ინდივიდუალური ან სხვა ზოგადი ღონისძიებების გატარების ვალდებულებაც.¹⁴²

¹³⁹თუმცა, „სასამართლოს შეუძლია, ადადგინოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხაში, თუ გარემოებათა ძალით ამას გამართლებულად მიჩნევს“, *“Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms”*, Article 37(2).


¹⁴⁰„პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოირიცხოს საჩივარი, თუ გარემოების გათვალისწინებით ის დაასკვნის, რომ: a) მომჩივანს აღარ აქვს განზრახული ბოლომდე მისდოს თავის საჩივარს; b) დავა გადაწყდა; c) სასამართლოს მიერ დადგენილი რაიმე სხვა მიზეზით, საჩივრის შემდგომი შესწავლა აღარ არის გამართლებული. *“Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms”*, Article 37(1).

¹⁴¹ Nino Jamarjidze and Philip Leach, “What Future For Settlements And Undertakings In International Human Rights Resolution?” *Strasbourg Observers*, (Strasbourg Observers, April 15, 2019). <https://strasbourgobservers.com/2019/04/15/what-future-for-settlements-and-undertakings-in-international-human-rights-resolution/>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁴² ნინო ჯომარჯიძე, „ცალმხრივი დეკლარაცია და მორიგება - დავის მოგვარების მარტივი და ეფექტიანი გზა?“, *ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია*, რედ. კონსტანტინე კორკელია (თბილისი: სტატიათა ავტორები, 2020): 347-382, 349.

მეგობრული მორიგებისა და ცალმხრივი დეკლარაციის მნიშვნელობაზე განსაკუთრებული ყურადღება ინტერლაკენის შეხვედრაზე გამახვილდა, რასაც სასამართლოს მხრიდან სათანადო პროცედურული ცვლილებები და ამ მექანიზმების გამოყენების გააქტიურება მოჰყვა. ეს უკანასკნელი კარგად ჩანს სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით. კერძოდ, 2010 წელს ამ საფუძვლებით (როგორც ცალმხრივი დეკლარაცია, ასევე მეგობრული მორიგება) 1 200-ზე მეტი ამორიცხვის გადაწყვეტილება გამოვიდა (თითქმის 2-ჯერ მეტი ვიდრე 2009 წელს), პიკს 2015 წელს მიაღწია, ცალმხრივი დეკლარაციების დომინირებით (იხ. [გრაფიკი 6](#)).

გრაფიკი 6: ევროპული სასამართლოს დანაყოფების მიერ მეგობრული მორიგებისა და ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე საჩივართა ამორიცხვის გადაწყვეტილებები წლების მიხედვით



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ სასამართლოს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით

მსგავსებების მიუხედავად, ამ ორ მექანიზმს შორის არსებითი განსხვავებებია, ამასთან, სასამართლოს მიერ მათ გამოყენებასთან დაკავშირებით არაერთი კრიტიკული პოზიციაც არსებობს. შესაბამისად, იმისათვის, რომ გრაფიკში წარმოდგენილი მონაცემების სწორედ ინტერპრეტაცია და მონაცემთა ანალიზი შევძლოთ, მნიშვნელოვანია თითოეული მექანიზმის ინდივიდუალური მახასიათებლების ცალკე გამოყოფა და მათი მოკლე აღწერა.

2.6.1. მეგობრული მორიგება

სასამართლოს წინაშე წარდგენილი საჩივრის კომუნიცირების ან სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე (საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე), მოდავე მხარეებს აქვთ მეგობრული მორიგების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს მხარეთა მიერ მისაღები პირობების სანაცვლოდ, საქმის სასამართლოს მიერ შემდგომი არსებითი განხილვის გარეშე დასრულებას. მეგობრული მორიგების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს მხარეთა ნებაყოფლობითი მორიგება პირობებზე, მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების განხროციელების ან გარკვეული ღონისძიების გატარების ვალდებულების აღება და

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებით მისი დამტკიცება, რომლის წინაპირობასაც სასამართლოს მიერ იმ ფაქტში დარწმუნება წარმოადგენს, რომ შეთანხმება კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმებით განმტკიცებული ადამიანის უფლებათა პატივისცემის შესაბამისად არის მიღწეული.¹⁴³ თუ სასამართლო ჩათვლის, რომ შეთანხმებისას არ იყო დაცული ადამიანის უფლებათა პატივისცემის ტესტი,¹⁴⁴ ან ვერ დარწმუნდება რომ განმცხადებელი ნამდვილად თანახმაა დავის დასრულებაზე,¹⁴⁵ მაშინ ის საქმის განხილვას გააგრძელებს.

მეგობრული მორიგების მნიშვნელოვან მახასიათებელს, ასევე მისი კონფიდენციალობა წარმოადგენს. კერძოდ, დავასთან დაკავშირებული სამართალწარმოების დროს, დაუშვებელია მეგობრული მორიგების დროს გაჟღერებული ზეპირი თუ წერილობითი შეთავაზების ან დათმობის შესახებ მითითება ან მასზე დაყრდნობა.¹⁴⁶ ამ პრინციპის დარღვევა, მომჩივნის მხრიდან, საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს.¹⁴⁷

რაც შეეხება მეგობრული მორიგების პირობების აღსრულებას, მასზე ზედამხედველობას მინისტრთა კომიტეტი ახორციელებს.¹⁴⁸

2.6.2. ცალმხრივი დეკლარაციები

მეტი ეფექტიანობისთვის და განმეორებად საჩივრებთან საბრძოლველად, სასამართლო 1990 წლიდან ცალმხრივი დეკლარაციის მექანიზმს ითვალისწინებს.¹⁴⁹ ცალმხრივი დეკლარაციით, მთავრობა აღიარებს რომ მან დაარღვია კონვენცია და აპლიკანტის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდის ან სხვა ღონისძიების გატარების ვალდებულებას იღებს.¹⁵⁰ მეგობრული მორიგებისგან განსხვავებით, ცალმხრივი დეკლარაციის გასაფორმებლად, მის პირობებზე ან ზოგადად მის გაფორმებაზე აპლიკანტის თანხმობა საჭირო არ არის, მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში აპლიკანტი მეტწილად უარზეა, რამდენადაც ცალმხრივი დეკლარაცია დღის წესრიგში ძირითადად მეგობრული მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში დგება.¹⁵¹ თუმცა, ცალმხრივი დეკლარაციის დროს

¹⁴³European Court of Human Rights, "Rules of Court," Article, 62(3).

¹⁴⁴პრაქტიკაში, სასამართლო ადამიანის უფლებების პატივისცემის ტესტს, იშვიათად, საგამონაკლისო შემთხვევებში იყენებს, საქმის განხილვის გასაგრძელებლად. The European Human Rights Advocacy Centre, "Guide to Friendly Settlements And Unilateral Declarations Before The European Court Of Human Rights," Middlesex University, London, August 2018, 8. <https://ehrac.org.uk/wp-content/uploads/2021/03/Guide-to-Friendly-Settlements-and-Unilateral-Declarations-August-2018.pdf>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁴⁵Paladi v. Moldova, no. 39806/05, §§ 51-53, 10 July 2007.

¹⁴⁶European Court of Human Rights, "Rules of Court," Article, 62(2).

¹⁴⁷ნინო ჯომარჯიძე, „ცალმხრივი დეკლარაცია და მორიგება - დავის მოგვარების მარტივი და ეფექტიანი გზა?“, 354.

¹⁴⁸"Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms", Article 39(4).

¹⁴⁹Council of Europe, Protocol No.8 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, European Treaty Series no - 118, Vienna, 19.03.1985, Article 6. <https://rm.coe.int/168007a083>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁵⁰European Court of Human Rights, "Rules of Court," Article, 62A(1)(b), მიღებულია 2012 წლის 2 აპრილს.

¹⁵¹Lize R Glas, "Unilateral declarations and the European Court of Human Rights: Between efficiency and the interests of the applicant," *Maastricht Journal of European and Comparative Law*, Vol. 25(5), (2018): 607-630, 613.

მნიშვნელოვანია სასამართლოს ფილტრი, რამდენადაც, მხოლოდ მისი თანხმობისა და დამტკიცების შემთხვევაში არის შესაძლებელი დეკლარაციის გაფორმება და საჩივრის მთლიანად ან ნაწილობრივ ამორიცხვა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.¹⁵²

სასამართლომ ძალიან დიდი ყურადღებით უნდა შეამოწმოს თუ რამდენად ადეკვატური პასუხი გაეცემა დარღვევას და უნდა გადამოწმდეს თუ რა გარანტიებს იძლევა მთავრობა, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს სასამართლომ იმაში დასარწმუნებლად, რომ მთავრობის მხრიდან ცალმხრივი დეკლარაციის სურვილი, კონკრეტული აპლიკანტის კომპენსაციით დაკმაყოფილების გზით, ზოგადი სიტუაციის გაუმჯობესების პასუხისმგებლობისგან თავის არიდებით არ იყოს ნაკარნახევი.

სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომის მიხედვით, ცალმხრივი დეკლარაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ არასრულ კრიტერიუმებს:¹⁵³

1. უნდა არსებობდეს კარგად ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართალი საჩივრით წამოჭრილ საკითხზე;

2. მოპასუხე ქვეყნის მთავრობის მიერ კონვენციის დარღვევის მკაფიო აღიარება - დარღვევის ხასიათზე მკაფიო მითითებით;

3. ადეკვატური ანაზღაურება, სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად;

4. საჭიროების შემთხვევაში, ზოგადი ხასიათის ვალდებულებები (კანონმდებლობის ცვლილება ან ადმინისტრაციული პრაქტიკის, ახალი პოლიტიკის დანერგვა და ა.შ.)

5. ადამიანის უფლებების პატივისცემა - ცალმხრივი დეკლარაცია უნდა უზრუნველყოფდეს საკმარის საფუძველს სასამართლოსთვის, რომ ადამიანის უფლებების პატივისცემა არ საჭიროებს საჩივრის განხილვის გაგრძელებას.

მინისტრთა კომიტეტი არ არის უფლებამოსილი ზედამხედველობა გაუწიოს საჩივრის ამორიცხვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულ, ცალმხრივი დეკლარაციის ვალდებულებების შესრულებას.¹⁵⁴ იმ შემთხვევაში თუ მთავრობა არ განახორციელებს ინდივიდუალურ ღონისძიებებს, სასამართლომ შესაძლოა საჩივარი აღადგინოს სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა სიაში, თუმცა მხოლოდ საჩივრის ავტორის მიმართვის საფუძველზე და არა საკუთარი ნებით, რამდენადაც არც მინისტრთა კომიტეტი ახორციელებს ზედამხედველობას, არც სახელმწიფო არის სასამართლოს წინაშე ანგარიშვალდებული და შესაბამისად, სასამართლო ვერ ადევნებს თვალყურს თუ რამდენად ხდება დეკლარაციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.¹⁵⁵ ამასთან,

¹⁵² European Court of Human Rights, "Rules of Court," Article, 62A(3), მიღებულია 2012 წლის 2 აპრილს.

¹⁵³ European Court of Human Rights, "Unilateral Declarations: Policy and practice," September 2012. https://www.echr.coe.int/Documents/Unilateral_declarations_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁵⁴ მხოლოდ იმ შემთხვევაში ზედამხედველობს, თუკი ცალმხრივი დეკლარაცია ინკორპორირებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში და არა ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებაში. იხ. Jomarjidze and Leach, "What Future For Settlements And Undertakings In International Human Rights Resolution?"

¹⁵⁵ ნინო ჯომარჯიძე, „ცალმხრივი დეკლარაცია და მორიგება - დავის მოგვარების მარტივი და ეფექტიანი გზა?!", 369

ექსპერტთა დაკვირვებით, საქმის აღდგენის შემთხვევაში, სასამართლო მხოლოდ ინდივიდუალური ღონისძიებების განხორციელების ვალდებულების შესრულების შემოწმებით შემოიფარგლება და არა - ზოგადი ღონისძიებების, რაც კითხვის ნიშნებს აჩენს სასამართლოს კონტროლის მექანიზმის ეფექტიანობაზე კონკრეტულად ცალმხრივი დეკლარაციით დასრულებულ საქმეებზე.¹⁵⁶

* * *

*„იმ ფაქტს, რომ ინდივიდს შეუძლია საჩივრით მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს, მაშინ როდესაც ის შიდა მართლმსაჯულების სისტემისგან იმედგაცრუებულია და იმას, რომ მთავრობას მოუწევს მოუსმინოს ამ ორგანოს პასუხს - თავად საქმეზე და სისტემაზე, რომელმაც ეს საქმე წარმოშვა, - აქვს ფართო ფსიქოლოგიური ეფექტი“.*¹⁵⁷ შესაძლოა ორივე ინსტრუმენტი, იქნება ეს მეგობრული მორიგება თუ ცალმხრივი დეკლარაცია, ერთი შეხედვით სასამართლოს მეტად ეფექტიანს ხდის, რამდენადაც მხარეთა შორის წარმოშობილი დავის უფრო სწრაფ გადაწყვეტას უზრუნველყოფს, თუმცა ამ შემთხვევაში, მეტწილად, ეს ფსიქოლოგიური ეფექტი შეიძლება იყოს გამორიცხული. განსაკუთრებით, ეს უკანასკნელი აქტუალურია მეგობრული შეთანხმების დროს, რამდენადაც შესაძლოა ისეც დამთავრდეს დავა, რომ დაზარალებულმა მხარემ, იმის ოფიციალური აღიარებაც კი ვერ მოიპოვოს, რომ მისი კონვენციური უფლებები დაირღვა. ამ შემთხვევაში პროცესი შეიძლება დაემსგავსოს ვაჭრობას, რომლის დროსაც, გარკვეულწილად, გადამწყვეტ ფაქტორს არა სახელმწიფოს მიერ ზოგადად ამ კონკრეტული შემთხვევის გამომწვევი უფრო გლობალური პრობლემის იდენტიფიცირება, აღიარება, გამოსწორება და შესაბამისად, კონვენციის სისტემის დაცვა წარმოადგენს, არამედ დავის მაქსიმალურად სწრაფად შეწყვეტა და ამისთვის მოდავე მხარის „დაკმაყოფილება“.

მართალია მეგობრული მორიგებისგან განსხვავებით, ცალმხრივი დეკლარაციის დროს აუცილებელი პირობაა მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის დარღვევის ფაქტის აღიარება, თუმცა, ამ შემთხვევაში, რამდენადაც ცალმხრივ დეკლარაციაზე საუბარი, უმეტესწილად, სწორედ მეგობრული მორიგების მიუღწევლობის შემდეგ დგება, ცხადია, რომ მეორე მხარეს არ აკმაყოფილებს პირობები და შესაძლოა საქმის არსებითი განხილვის ინტერესი გააჩნია და ის არ არის თანახმა, აღიარების მიუხედავად, შეწყდეს მისი საქმის განხილვა, რაც შესაძლოა ზემოთ განხილული ფსიქოლოგიური ფაქტორითაც იყოს ნაკარნახევი. საქმის განხილვის შეწყვეტა და მისი განსახილველი საქმეებიდან ამორიცხვა განსაკუთრებით პრობლემურია მაშინ, როდესაც საქმე აშკარად დასაშვებია და როცა დიდია ალბათობა რომ სასამართლო ამ საქმეზე დარღვევას დაადგენდა, თუკი მას არსებითად განიხილავდა, რაც, ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, სასამართლოს მიმართ პროცედურული წვდომის პერსპექტივით, მეტად პრობლემურია.¹⁵⁸ თუმცა, ეს კრიტიკა ნაკლებად მისაღებია თუ არსებითი წვდომის პერსპექტივიდან შევხედავთ, რამდენადაც

¹⁵⁶ Ibid.

¹⁵⁷Speech Given by Mr Thomas Hammarberg, Council of Europe Commissioner for Human Rights, on the occasion of the opening of the judicial year, 27 January 2012. In. Council of Europe, “Annual Report 2012 of the European Court of Human Rights”, 41-50, 42.

¹⁵⁸ Gerards and Glas, “Access to justice in the European Convention on Human Rights system”, 26.

კონვენციის მთავარი მიზანი ადამიანების უფლებების ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფაა.¹⁵⁹ თუკი დარღვევა დაფიქსირდება, შესაბამისი აღდგენა უნდა მოხდეს. ცალმხრივი დეკლარაცია კი ამას აკეთებს: აღიარებს დარღვევას და კომპენსაციას აძლევს დაზარალებულს. ამასთან, ცალმხრივი დეკლარაციის დამტკიცებისას, სასამართლო სათანადო მზრუნველობას უნდა იჩენდეს და უარყოფდეს მის დამტკიცებას, თუკი ნახავს რომ ადამიანის უფლებების დაცვა მოითხოვს ამ საქმის განხილვას, მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ, სასამართლოს მხრიდან ცალმხრივი დეკლარაციის აღსრულების ზედამხედველობის ჩვეულებრივზე უფრო სუსტი მექანიზმი, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ, ამ პროცესიდან მინისტრთა კომიტეტის გამორიცხვით, ხოლო მეორე მხრივ, მოპასუხე სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების არ არსებობით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი, რომელიც გარკვეულ კითხვებს აჩენს ამ ორი მექანიზმის ეფექტიანობასა და შეიძლება ითქვას კონვენციურ მიზნებთან შესაბამისობაზე, შესაძლოა, ბევრი პოტენციური მოსარჩელისთვის გადათქმევინების საფუძველიც კი იყოს. ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია აქტუალური, როდესაც ამ მექანიზმების აქტიურად გამოყენება სასამართლოს ეფექტიანობის შესანარჩუნებლად და განსატვირთად, სასამართლოს პრიორიტეტად ღიად არის დაფიქსირებული, რითაც შესაძლოა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ არაკეთილსინდისიერად ისარგებლოს.

2.7. საპილოტე გადაწყვეტილება (Pilot-Judgment)

განხილული რეფორმების პარალელურად, სასამართლომ ასევე გადასინჯა თავისი სამუშაო მეთოდები ქმედითობის ამაღლებისა და რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიზნით. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაწყვეტილების გამოტანის საპილოტე პროცედურის (Pilot Judgment Procedure) შემუშავება იყო. ეს უკანასკნელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მიერ განსახილველ განცხადებაში წარმოდგენილი ფაქტები სტრუქტურული ან სისტემური პრობლემის ან სხვა მსგავსი დისფუნქციის შესახებ მიუთითებს, რომელმაც უკვე გამოიწვია ან შეიძლება მომავალში გამოიწვიოს მსგავსი, დიდი რაოდენობით განცხადებების შედინება.¹⁶⁰ შესაბამისად, საპილოტე გადაწყვეტილებაზე საპასუხოდ, ქვეყნის მთავრობებს, მეტწილად, კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება უწევთ ან პრაქტიკის შესაცვლელად კონკრეტული ღონისძიებების გატარება. აღსანიშნავია, რომ სასამართლო თავადვე ადგენს ზოგად ზომებს საპილოტე გადაწყვეტილებაში და შესაბამისად, ადგენს სავალდებულო წესით, რომელი ზომები უნდა განხორციელოს კონკრეტული სახელმწიფოს მთავრობამ. ეს კი თავის მხრივ, აფართოებს სასამართლოს გავლენას აღსრულების პროცესზე და მთავრობებს ნაკლებ თავისუფლებას უტოვებს.¹⁶¹ ამასთან, სასამართლოს შესაბამისი ქვეყნის მთავრობების მიერ გამოსასწორებელი ზომების მიღებამდე ყველა მსგავსი გადაწყვეტილების განხილვის შეჩერების უფლებამოსილება გააჩნია.¹⁶² შესაბამისად,

¹⁵⁹ Ibid.

¹⁶⁰ European Court of Human Rights, "Rules of Court," Article, 61(1).

¹⁶¹ Lize R. Glas, "Changes in the Procedural Practice of the European Court of Human Rights: Consequences for the Convention System and Lessons to be Drawn," *Human Rights Law Review*, 14(4), (2014): 671-699, 682.

¹⁶² European Court of Human Rights, "Rules of Court," Article, 61(6).

საპილოტე-გადაწყვეტილება ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი რესურსის დაზოგვის საშუალებას იძლევა, რამდენადაც სასამართლოს ერთი და იმავე საქმეზე არ უწევს ცალკე მსჯელობა, ხოლო მეორე მხრივ, კარგი მექანიზმია სტრუქტურული და სისტემური პრობლემების გადასაჭრელად.¹⁶³

თუმცა, ეს ფაქტორი, რომელიც რეალურად საპილოტე-გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი ელემენტია და რომელიც დიდ როლს ასრულებს სასამართლოს რესურსების დაზოგვაში, სწორედ საპილოტე-გადაწყვეტილებების საკრიტიკოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული. კერძოდ, აღქმულია, რომ სასამართლოს ამ შესაძლებლობის გამო, საპილოტე-გადაწყვეტილება აფერხებს ინდივიდუალური საჩივრის უფლების რეალიზებას და მართლმსაჯულებაზე ინდივიდუალურ ხელმისაწვდომობას,¹⁶⁴ რამდენადაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრიდან საჭირო ცვლილებების განხორციელების მოლოდინში, შეჩერებულია მსგავსი ხასიათის განცხადებების განხილვა, ეს პერიოდი კი შეიძლება დროში გაიწელოს. ხოლო მას შემდეგ, რაც სასამართლო ამ საჩივრების განხილვას მოუბრუნდება, შეიძლება სასამართლომ მათ განხილვაზე უარი თქვას, რამდენადაც ზოგადი ხასიათის პრობლემა უკვე მოგვარებულია.¹⁶⁵

ამასთან, კრიტიკის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს მთავრობებისთვის ნაკლები თავისუფლების მინიჭება, თავად გადაწყვეტიტონ თუ რა კონკრეტული ზომებით უპასუხოვნ გადაწყვეტილებაში წამოჭრილ პრობლემას. თუმცა, პრაქტიკაში შემოთავაზებს პირიქით, სასამართლოს მხრიდან მთავრობების მიერ მიღებული ზომების მიმართ ლმობიერი დამოკიდებულების გამოვლენა აჩენს, რაც საპილოტე-გადაწყვეტილებების შემდგომ საქმეებში შეფასების უფრო ფართო ზღვრის მინიჭებასა და კონვენციასთან შესაბამისობის სტანდარტების დაწევაში გამოიხატება.¹⁶⁶

2.8. სუბსიდიარობის პრინციპი

კონვენციის სისტემაში სუბსიდიარობის პრინციპი თანდათანობით ვითარდებოდა და სხვადასხვა კუთხით ყოველთვის განხილვის საგანს წარმოადგენდა.¹⁶⁷ უპირველეს ყოვლისა, ის ევროპული სასამართლოს მრავალწლიანი პრეცედენტული სამართლით განვითარდა, თუმცა არაერთხელ გამხდარა პოლიტიკური განხილვის საგანიც მთავრობათაშორის კონფერენციებზე.¹⁶⁸ საბოლოოდ, ნაწილობრივ სასამართლოს წინაშე არსებული დიდი რაოდენობის საქმეებზე პასუხად, ნაწილობრივ კი სწორედ პოლიტიკური

¹⁶³ Gerards and Glas, "Access to justice in the European Convention on Human Rights system", 27.

¹⁶⁴ Ibid.

¹⁶⁵ Glas, "Changes in the Procedural Practice of the European Court of Human Rights: Consequences for the Convention System and Lessons to be Drawn", 676.

¹⁶⁶ Gerards and Glas, "Access to justice in the European Convention on Human Rights system", 28.

¹⁶⁷ European Court of Human Rights, "Subsidiarity: From Roots to its Essence, Speech by judge Julia Laffranques, president of the Organising Committee of the seminar traditionally held to mark the opening of the judicial year of the European Court of Human Rights." https://www.echr.coe.int/documents/speech_20150130_seminar_laffranque_2015_bil.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁶⁸ Ibid.

მნიშვნელობიდან გამომდინარე,¹⁶⁹ სუბსიდიარობის პრინციპი შეფასების ზღვრის დოქტრინასთან (Margin of Appreciation) ერთად, კონვენციის მე-15 ოქმის მიღებით,¹⁷⁰ 2021 წლის 1-ლი აგვისტოდან, კონვენციის პრეამბულაში გაიწერა,¹⁷¹ რამაც მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

სუბსიდიარობის პრინციპის კონვენციის პრეამბულაში გაწერის პირდაპირი მოთხოვნა, სასამართლოს საზედამხედველო ძალაუფლების შეზღუდვის მიზნით,¹⁷² ჯერ კიდევ 2012 წელს, გაერთიანებული სამეფოს მიერ, მისსავე ორგანიზებით გამართულ ბრაიტონის კონფერენციაზე გაჟღერდა.¹⁷³ გაერთიანებული სამეფოს ინიციატივას თავის მხრივ, წინ „სასამართლო აქტივიზმით“ უკმაყოფილობა უძღოდა,¹⁷⁴ რომელიც კულმინაციას 2005 წელს აღწევს, რაც საქმეზე *ჰირსთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Hirst v. The UK*) ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას უკავშირდება. ამ საქმეზე კონვენციასთან შეუსაბამოდ გამოცხადდა გაერთიანებული სამეფოს მხრიდან პატიმრებისათვის საარჩევნო უფლების ბლანკეტური აკრძალვა,¹⁷⁵ რამაც მწვავე დებატები გამოიწვია თავად ბრიტანულ საზოგადოებაში.¹⁷⁶ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, პარლამენტმა უარი თქვა ამ აკრძალვის გაუქმებაზე და ის ძალაში დატოვა, რასაც თავის მხრივ, ევროპულ სასამართლოში ათასზე მეტი პატიმრის საჩივრის შედინება და სასამართლოს მხრიდან ანალოგიური პასუხი მოჰყვა (*მეჩიუ და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*McHugh And Others v. The United Kingdom*)).¹⁷⁷

თუმცა, პატიმრების საარჩევნო ხმის უფლებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიდგომა არ იყო ერთადერთი, რომელიც ბრიტანეთის უკმაყოფილებას იწვევდა.¹⁷⁸ შემდეგი საქმე, ტერორიზმში ექვიმიტანილ აბუ ქათადას (*Abu Qatada*) დეპორტაციას ეხებოდა. საქმეში (*ოთმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Othman v. The UK*)) არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ 2012 წელს დაადგინა, რომ ქათადას დეპორტაციის შემთხვევაში, დაირღვეოდა კონვენცია.¹⁷⁹ სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, გაერთიანებულმა სამეფომ მაინც განახორციელა დეპორტაცია, სასამართლო კი „ადამიანის უფლებების გიჟურ

¹⁶⁹ Marisa Iglesias Vila, “Subsidiarity, margin of appreciation and international adjudication within a cooperative conception of human rights,” *J•CON* 15 (2017): 393–413, 394.

¹⁷⁰ “Protocol No. 15”.

¹⁷¹ “Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms”.

¹⁷² Ralf Alleweldt, “Avoiding another Brexit: the subsidiarity principle, the European Convention on Human Rights and The United Kingdom,” *Commonwealth & Comparative Politics*, 57:2, (2019): 223-241, 224.

¹⁷³ “Brighton Declaration”.

¹⁷⁴ Commission On A Bill Of Rights, “A UK Bill Of Rights? The Choice Before Us,” Volume 1, December 2012, 182.:<https://webarchive.nationalarchives.gov.uk/ukgwa/20130128112038/http://www.justice.gov.uk/downloads/about/cbr/uk-bill-rights-vol-1.pdf>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁷⁵ *Hirst v. The United Kingdom* (no.2) [GC], no.74025/01, §82, 6 October 2005.

¹⁷⁶ Alleweldt, “Avoiding another Brexit: the subsidiarity principle, the European Convention on Human Rights and The United Kingdom,” 227.

¹⁷⁷ *McHugh And Others v. The United Kingdom* [Committee], no.51987/08 and 1,1014 others, 10 February 2015.

¹⁷⁸ Alleweldt, “Avoiding another Brexit: the subsidiarity principle, the European Convention on Human Rights and The United Kingdom,” 227.

¹⁷⁹ *Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom*, § 287, no. 8139/09, 17 January 2012.

ინტერპრეტაციაში“ დაადანაშაულეს, რის შემდეგაც აქტიურად დაიწყო გაერთიანებული სამეფოს კონვენციიდან გასვლის (“Another Brexit”) შესახებ საუბრები.¹⁸⁰

დარგის ექსპერტები ვარაუდს გამოთქვამდნენ, რომ გაერთიანებული სამეფოს „ანტისტრასბურგის“ რიტორიკა და გადაწყვეტილებათა აღუსრულებლობა შეიძლება გადამდები ყოფილიყო სხვა წვერი ქვეყნებისთვისაც¹⁸¹ და ერთგვარი მძლავრი სიგნალი, რომ გადაწყვეტილებების შესრულება შეიძლება არ იყოს შესაძლებელი, საჭირო ან მიზანშეწონილი, რაც კონვენციური სისტემის დასასრულის დასაწყისი იქნებოდა.¹⁸²

ამ ვარაუდის ერთგვარ გამამყარებელ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში 2015 წლის 14 დეკემბრიდან შესული ცვლილება, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიეცა უფლებამოსილება ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების „შესრულების შეუძლებლობის“ შესახებ განაცხადოს, თუ ეს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაშია რუსეთის კონსტიტუციასთან.¹⁸³ რის შედეგადაც, თანამედროვე ისტორიაში პირველად, საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებადობის საკითხი. კერძოდ, 2016 წლის 19 აპრილს რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება, რამდენადაც ის წინააღმდეგობაშია რუსეთის კონსტიტუციასთან.¹⁸⁴ ამ შემთხვევაში საქმე (*ანჩუგოვი და გლადკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Anchugov and Gladkov v. Russia)*) ეხებოდა რუსეთის კონსტიტუციის მიხედვით პატიმრებისთვის საარჩევნო უფლების შეზღუდვას, რაც 2013 წელს, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის დარღვევად ცნო და რუსეთის ფედერაციას სადავო კონსტიტუციური დებულებების ახლებური და იმგვარი ინტერპრეტაცია დაავალა, რომელიც უზრუნველყოფდა პატიმართა საარჩევნო უფლების დაცვას.¹⁸⁵

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციამ, რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, საერთაშორისო ორგანოების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, კონსტიტუციური ცვლილებების გზით, 2020 წლიდან რუსეთის კონსტიტუციით დაამტკიცა.¹⁸⁶ ცვლილებებსა და მის შესაძლო რისკებზე საუბრის

¹⁸⁰ Alleweldt, “Avoiding another Brexit: the subsidiarity principle, the European Convention on Human Rights and The United Kingdom,” 227.

¹⁸¹ Phillip Leach and Alice Donald, “Russia Defies Strasbourg: Is Contagion Spreading?,” *EJIL:Talk*, 19 December, 2015. <https://www.ejiltalk.org/russia-defies-strasbourg-is-contagion-spreading/>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁸² Ibid.

¹⁸³ Natalia Chaeva, “The Russian Constitutional Court and its Actual Control over the ECtHR Judgement in Anchugov and Gladkov,” *EJIL:Talk*, April 26, 2016. <https://www.ejiltalk.org/the-russian-constitutional-court-and-its-actual-control-over-the-ecthr-judgement-in-anchugov-and-gladkov/>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁸⁴ “Russian Federation: Constitutional Court Allows Country to Ignore ECHR Rulings,” Library of Congress <https://www.loc.gov/item/global-legal-monitor/2016-05-18/russian-federation-constitutional-court-allows-country-to-ignore-echr-rulings/>

¹⁸⁵ *Anchugov and Gladkov v. Russia*, nos. 11157/04 and 15162/05, 4 July 2013.

¹⁸⁶ European Commission for Democracy Through Law, “Opinion No. 981/2020 On The Draft Amendments To The Constitution Related To The Execution In The Russian Federation Of Decisions By The European Court Of Human Rights,” Strasbourg, 18 June 2020. CDL-AD(2020)009. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2020\)009-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2020)009-e), წვდომის თარიღი: 30/04/2023.

დროს, რაც სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღუსრულებლობას გულისხმობდა, ალბათ, ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ რუსეთის ფედერაცია ცვლილებიდან მალევე, კონვენციის სისტემას სრულებით გამოეთიშებოდა.¹⁸⁷ ამასთან, გაერთიანებული სამეფო, რომელთან დაკავშირებითაც უფრო დიდი იყო კონვენციის წევრობის შეწყვეტის მოლოდინები, მართალია ამ დრომდე რჩება კონვენციის ხელშემკვრელად, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან მიმართებით, მნიშვნელოვანი ცვლილებების პროცესშია. კერძოდ, მთავრობის ინიციატივით, პარლამენტის წინაშე დგას ადამიანის უფლებების აქტის (Human Rights Act)¹⁸⁸ ბრინატული უფლებების ბილით (British Bill Of Rights), ჩანაცვლების საკითხი. ამ უკანასკნელის მიზანია, რომ გამოარკვიოს და დააბალანსოს გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და პარლამენტს შორის ურთიერთობა და იმ შემთხვევაში, როდესაც სასწორზე კონკურენტი უფლებები და ინტერესებია, სხვა ნებისმიერ სასამართლოსთან მიმართებით, პრიორიტეტი მიენიჭოს პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებას.¹⁸⁹

სასამართლოს ირგვლივ განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე და სახელმწიფოთა თავისუფალი მოქმედების ფარგლების შესახებ არსებული დებატების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო უფრო მიდრეკილი გახდა ზედმეტი თავისუფლება მისცეს წევრ სახელმწიფოებს, რაც არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი. სახელმწიფოებისთვის ამ სახის თავისუფლების მინიჭება და სუბსიდიარობის პრინციპზე აპელირებით საქმეების განხილვაზე უარის თქმა, ყოველთვის კონვენციურ მიზნებს შეიძლება არ ემსახურებოდეს, თუმცა, თავის მხრივ, კარგი საშუალებაა საჩივრების დიდი რაოდენობისგან სასამართლოს განტვირთვისათვის. ამ უკანასკნელის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2017 წლის მოვლენები, როდესაც თურქეთში გადატრიალების მცდელობის შემდეგ გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, მეტწილად, პატიმრობაში მყოფი ჟურნალისტებისა და მოსამართლეების დიდი ოდენობით საჩივრები შევიდა. ამ კრიზისის დაწყების დღიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ სუბსიდიარობის პრინციპი სრულად უნდა ყოფილიყო დაცული და რომ განმცხადებლებს, საჩივრის შეტანამდე, უნდა ამოეწურათ შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებები. შედეგად, ამ კონტექსტში შეტანილი 27 000-ზე მეტი განცხადება დაუშვებლად გამოცხადდა შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების არ ამოწურვის გამო. კერძოდ, როგორც იმ საფუძველით, რომ საჩივრები არ გასაჩივრებულა საკონსტიტუციო სასამართლოში, ასევე - არ ყოფილა მცდელობა საჩივრები განხილულიყო 2017 წლის იანვარში შექმნილ ad hoc კომისიაში.¹⁹⁰

¹⁸⁷ Committee of Ministers, "Resolution CM/Res (2022)2 on the cessation of the membership of the Russian Federation to the Council of Europe".

¹⁸⁸ 1998 წელს მიღებული აქტი, რომელსაც გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში მოქმედებაში მოყავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები.

¹⁸⁹ Alice Donald, "What is the Bill of Rights Bill?" UK In A Changing Europe, 11 July 2022. <https://ukandeu.ac.uk/explainers/the-bill-of-rights-bill/>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁹⁰ Council of Europe, "Annual Report 2017 of the European Court of Human Rights," *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2018), 8. https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2017_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

ასევე, უნგრეთში ციხეების გადატვირთვასთან დაკავშირებული 6 000 საქმე ამოირიცხა ამავე საფუძველზე.¹⁹¹ ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლომ დააფიქსირა, რომ ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, ძალაში შევიდა 2015 წელს მიღებული საპილოტე გადაწყვეტილების შემდეგ, საქმეზე *ვარგა და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ (Varga and Others v. Hungary)*,¹⁹² სადაც სასამართლომ აღმოაჩინა ზოგადი პრობლემა უნგრეთის ციხეების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. ამგვარად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ციხეების გადატვირთულობასთან დაკავშირებით, ახალი განცხადებების შეტანა ამ სამართლებრივი საშუალების ამოწურვამდე, ნაადრევია. თავის მხრივ, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილმა პრეზიდენტმა, გუიდო რაიმონდიმ, აღნიშნა, ორივე, როგორც თურქეთის, ასევე უნგრეთის შემთხვევაში, ეს საშუალებები უნდა იყოს ეფექტიანი, რასაც დრო აჩვენებდა.¹⁹³

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, სუბსიდიარობის პრინციპი, რომელზეც დგას კონვენციის სისტემა, სასამართლოსთვის „ბეწვის ხიდად“ იქცა, რამდენადაც მასთან დაკავშირებით სასამართლოს მხრიდან ნებისმიერ მიდგომას, ყოველთვის აღმოაჩნდა მწვავე კრიტიკოსები. მეტიც, იმ პირობებშიც კი, როდესაც სასამართლო ბოლო წლებში მკვეთრად გადაიხარა სუბსიდიარობის პრინციპის მკაცრი დაცვისა და სახელმწიფოთათვის მეტი თავისუფლების მინიჭებისაკენ და მომავალშიც „სუბსიდიარობის ხანას“¹⁹⁴ აანონსებს, კონკრეტული ქვეყნების თვალში სასამართლოს რეპუტაციის აღდგენა კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რაც, როგორც მინიმუმ, მომავალში სასამართლოს გადაწყვეტილებების აღუსრულებლობაში ან ყველაზე ცუდ შემთხვევაში, მისი იურისდიქციის გავრცელებაზე უარის თქმაშიც შეიძლება გამოიხატოს.

2.9. პრიორიტეტულობის პოლიტიკა (ნაწილი 2)

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს ყოფილმა პრეზიდენტმა, რობერტ სპანომ, 2021 წლის დასაწყისში სასამართლოს პარადიგმის ცვლილების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება და პრიორიტეტად სწორედ საქმეთა პრიორიტეტულობის პოლიტიკის გაძლიერება, „გავლენის მქონე საქმეებისა“ (impact cases) და წევრი სახელმწიფოებისათვის აქტუალობის მქონე საქმეების სწრაფი იდენტიფიცირება და შესაბამისად, სწორედ ასეთ საქმეებზე სწრაფი რეაგირება დაასახელა.¹⁹⁵

¹⁹¹ Speech given by Mr Guido Raimondi, President of the European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial Year, 27 January 2017. in. Council of Europe, “Annual Report 2018 of the European Court of Human Rights,” *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2019), 15.

https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2018_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁹² *Varga and Others v. Hungary*, nos. 14097/12 and 5 others, 10 March 2015.

¹⁹³ Speech given by Mr Guido Raimondi, President of the European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial Year, 27 January 2017. in. Council of Europe, “Annual Report 2018 of the European Court of Human Rights,” 15-16.

¹⁹⁴ Robert Spano, “Universality or Diversity of Human Rights? Strasbourg in the Age of Subsidiarity,” *Human Rights Law Review*, (2014): 1-16, 5.

¹⁹⁵ European Court of Human Rights, “The European Court of Human Rights in launching a new case processing strategy,” ECHR 092(2021), 17.03.2021

შესაბამისად, 2021 წლის ივნისში საქმეთა განხილვის პრიორიტეტულობის პოლიტიკაში მომდევნო ცვლილება განხორციელდა, რომლის მიზანიც ყველაზე მნიშვნელოვანი, სერიოზული და სასწრაფო საქმეების განხილვის მაქსიმალურად დაჩქარება იყო. კერძოდ, გადაიხედა 2017 წლის 22 მაისს განსაზღვრული კატეგორიები. შედეგად, სახელმწიფოთაშორისი საქმეები, რომელიც II კატეგორიაში იყო, მისი სპეციფიური ხასიათისა და მოპყრობის საჭიროებიდან გამომდინარე, საერთოდ კატეგორიებს მიღმა გავიდა.¹⁹⁶ ამასთან, გაფართოვდა I კატეგორიის საქმეების განმარტება და მოიცვა ისეთი საქმეებიც, სადაც „აპლიკანტს შეზღუდული აქვს თავისუფლება როგორც პირდაპირი შედეგი მისი უფლების სავარაუდო დარღვევისა“.¹⁹⁷ IV კატეგორიას კი დაემატა, ახალი ქვეკატეგორია (IV-High), რომელშიც თავს იყრის გავლენის მქონე საქმეები (impact cases) ანუ საქმეები, რომლებიც პოტენციურად კარგად დასაბუთებულია, არ ეხება ძირითად უფლებებს და რომელთა განხილვასაც სასამართლო საშუალოდ 5-6 წელს ანდომებს, მაშინ როცა მათში წამოჭრილია ისეთი საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია აპლიკანტისა და ქვეყნისთვის ან კონვენციის სიტემისთვის ზოგადად და საჭიროებენ სწრაფ განხილვას.¹⁹⁸ ამ კატეგორიის საქმეთა იდენტიფიცირებისთვის სპეციალური კრიტერიუმები შემუშავდა: საქმის შესაძლო გავლენა საერთაშორისო ან შიდა კანონმდებლობის, ან პრაქტიკის ცვლილებაზე, ან განმარტებაზე; ეხება მორალურ ან სოციალურ საკითხებს, უფლებებთან დაკავშირებულ სხვა მხრივ მნიშვნელოვან ან ახალ (emerging) საკითხებს. თუ რომელიმე კრიტერიუმი სახეზეა, სასამართლომ დამატებით მხედველობაში შეიძლება მიიღოს მედიის მიერ საკითხის ფართოდ გაშუქება ან/და საქმის პოლიტიკური მნიშვნელობა/მგრძნობელობა.¹⁹⁹

პრიორიტეტულობის პოლიტიკის და ზოგადად სასამართლოს მიდგომის ცვლილება, შესაძლოა საქმისწარმოების დინამიკაზეც აისახოს, თუმცა სტატისტიკურ მონაცემებზე მის კონკრეტულ გავლენებზე, როგორც მინიმუმ, წინასწარ საუბარი გაგვიჭირდება. ერთი შეხედვით, შეცვლილი პოლიტიკა უფრო მეტად ორიენტირებულია არა სტატისტიკური მაჩვენებლების მხრივ სურათის გამოსწორებაზე, არამედ მნიშვნელოვანი, სერიოზული და სასწრაფო საქმეების განხილვის მაქსიმალურად დაჩქარებაზე.

2.10. რეფორმების შეჯამება და შედეგები

წინამდებარე თავში წარმოდგენილია სასამართლო სისტემაში საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდით გამოწვეულ გადატვირთულობასთან გასამკლავებლად გატარებული რეფორმები, რომელმაც ბევრ ასპექტში გაართულა და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეზღუდა ინდივიდის წვდომა

¹⁹⁶European Court of Human Rights, “The Court’s Priority Policy” https://echr.coe.int/Documents/priority_policy_ENG.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁹⁷ Ibid.

¹⁹⁸European Court of Human Rights, “A Court that matters/Une Cour qui compte” A strategy for more targeted and effective case-processing,” 17 March 2021, https://echr.coe.int/Documents/Court_that_matters_ENG.PDF, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

¹⁹⁹ Ibid.

(როგორც მინიმუმ პროცედურული, თუმცა ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, ზოგი ცვლილება არსებით წვდომასაც ზღუდავს) სასამართლოზე.

თითოეული რეფორმა შესაბამისად აისახა სასამართლოში საქმეების რაოდენობაზე, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ რეფორმები ტარდებოდა ყველა მიმართულებით და ხშირად თანადროულად, რთულია თითოეული მათგანის უშუალო წვლილის სრული სიზუსტით გამოთვლა. ამასთან, რეფორმებთან ერთად, აუცილებლად გასათვალისწინებელია მსოფლიოში ან რომელიმე წევრ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, რომელსაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა თითოეული წლის საერთო სტატისტიკურ მონაცემებზე და შესაბამისად, კიდევ უფრო გაერთულებინა რეფორმის უშუალო შედეგის დანახვა. გასათვალისწინებელია რუსეთის მიერ კონვენციის დენონსაციის შედეგები, რომელიც კიდევ უფრო გაართულებს სტატისტიკურ მაჩვენებლებზე მსჯელობას და შესაძლოა, როგორც მინიმუმ მოკლევადიან პერსპექტივაში, სასამართლო კვლავ დიდ გასაჭირში ჩააგდოს, რამდენადაც რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარე საქმეთა რაოდენობა, ისევე როგორც აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა რაოდენობა კვლავაც მაღალია. ამას ემატება უშუალოდ დენონსაციის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ დამატებული საჩივრები, რომელთა აღსრულებაზეც რუსეთმა ოფიციალურად უარი განაცხადა.

ზემოთ განხილულიდან ჩანს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სხვადასხვა პერიოდში გატარებული პოლიტიკა სასამართლოში საქმეების დინამიკაზე აისახა. ამ სახის ჩარევები კი იმდენად ხშირი და ბევრი იყო, რომ რთულია მხოლოდ ამ სახის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ მდგომარეობის ცვლილებაზე.

თუკი, მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს წინაშე არსებული საქმეების დინამიკას შევხედავთ და მას მხოლოდ „რიცხვებზე“ დაყრდნობით გავანალიზებთ, შეიძლება ისიც კი ვთქვათ, რომ წლების განმავლობაში ადამიანის უფლებები ნაკლებად ირღვეოდა, შემთხვევებმა იმატა 90-იან წლებში, პიკს მიაღწია 2011 წელს შემდეგ კი მდგომარეობა რადიკალურად გამოსწორდა და ევროპაში ადამიანის უფლებების დარღვევა სულ უფრო იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. თუკი ცალკე აღებულ ქვეყნებს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ამ ტენდენციას არაერთი ქვეყანა იზიარებს, მათ შორის, ნაწილობრივ რუსეთიც (2013 წლიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მკვეთრი კლება ახასიათებდა, თუმცა შემდეგ ისევ მატება შეინიშნება).

სწორედ ასეთ სურათს იძლევა მხოლოდ რიცხვებზე დაკვირვება. მხოლოდ ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობა, მათ მიღმა არსებული მთელი რიგი ფაქტორებისა და კონტექსტების გააზრების გარეშე, არა თუ უშედეგო შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასებისა და ამ მხრივ სამომავლო პოლიტიკის განსაზღვრის გზაზე, არამედ, შესაძლოა საზიანოც, რამდენადაც მაჩვენებლებით („რიცხვებით“) კმაყოფილებამ, შესაძლოა, მთავარი ფოკუსიდან გადაგვახვეწინოს.

შემდეგ თავში განხილული იქნება წარმოდგენილი რეფორმების შესაძლო გავლენა საქართველოზე და დამატებით ის გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოსთან მიმართებით და შესაბამისად, შესაძლოა გავლენა მოეხდინა უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებზეც.

3. საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

3.1. შესავალი

საქართველოს პარლამენტის მიერ ევროპული კონვენციის რატიფიცირების შედეგად, საქართველოსთვის იგი ძალაში 1999 წლის 20 მაისიდან შევიდა. რაც ნიშნავს, რომ საქართველოს კონვენციის წევრობა, დაემთხვა ერთ-ერთ ყველაზე დიდ რეფორმას სასამართლოში ე.წ. ახალი სასამართლოს შექმნას და მისი კრიზისში (გადატვირთვა) შესვლის პროცესის დასაწყისს. თავის მხრივ, საქართველოსთვის, ისევე როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უმრავლესობისთვის, ეს პერიოდი, დემოკრატიული ტრანზიციის საწყის ფაზებს ემთხვევა, შესაბამისად, მართალია ევროპის საბჭოში წევრობას სახელმწიფოთა მიერ გაერთიანების მხრიდან დადგენილი სავალდებულო წინაპირობების დაკმაყოფილება უძღოდა, თუმცა გაწევრიანების დროისთვის ამ ქვეყნების კანონმდებლობა თუ პრაქტიკა, ჯერ კიდევ ძალიან შორს იყო დემოკრატიული ღირებულებებისგან. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შემთხვევაში პოსტ-საბჭოთა ქვეყნის სტატუსს თან ერთვის სამოქალაქო ომი და ტერიტორიული ერთიანობის ხელყოფასთან დაკავშირებული სამხედრო კონფლიქტები, რაც ქვეყნის ძირითადი ფოკუსიდან გადახვევას იწვევდა და შესაბამისად, დემოკრატიზაციისკენ სწრაფ სვლას მნიშვნელოვნად აფერხებდა.

აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის ევროპის საბჭოსა და კონვენციის წევრობა მეტწილად არა უკვე გატარებული რეფორმების შედეგი, არამედ თავად რეფორმების საწინდარი იყო, რასაც ორივე მხარე (ევროპის საბჭო და საქართველო) კარგად იაზრებდა. შესაბამისად, პირველ ეტაპზე არც საქართველოს წინააღმდეგ დიდი რაოდენობით საჩივრების წარდგენა იყო მოულოდნელი.


როგორც არაერთხელ აღინიშნა, დემოკრატიულ ღირებულებებთან დაახლოებისათვის, ევროპული სასამართლოს მიერ თითოეულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას და შემდეგ მათი აღსრულების პროცედურებს მნიშვნელოვანი როლი აქვს დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში. კონკრეტულ საქმეში საქართველოს, როგორც მოპასუხე მხარის მარცხიც კი, ქვეყნის სასიკეთოდ ვითარების შემობრუნების მთავარი იარაღი იყო, რამდენადაც გადაწყვეტილება (მათ შორის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი) და შემდეგ მის საფუძველზე მინისტრთა კომიტეტის ჩართულობა, პოლიტიკის განმახორციელებელი პირებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებზე ხაზგასმასა და როგორც მათი გადაწყვეტის აუცილებლობაზე, ასევე გადაწყვეტის შესაძლო გზებზე მითითებებს იძლეოდა. როგორც თავად საქართველოსთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მომზადებული დოკუმენტი იუწყება, საქართველოს გადაწყვეტილებების გავლენის შედეგად, ეროვნულ დონეზე რიგი გაუმჯობესებები მოჰყვა სასამართლო პროცედურების სამართლიანობის, პატიმრობის პირობებისა და პატიმრობის გადასინჯვის მექანიზმის მხრივ. ასევე, გაძლიერდა გამოხატვის თავისუფლება, რაშიც შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწა და ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა იგულისხმება.²⁰⁰

²⁰⁰ Council of Europe, "European Court of Human Rights, "The ECHR And Georgia: Facts and Figures."

შესაბამისად, სასამართლოს, როგორც საზედამხედველო ორგანოს როლი, გაცილებით დიდი და მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დემოკრატიზაციასა და სამართლის უზენაესობის ხელშეწყობაში. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ საქართველო არ საჭიროებდა მსგავს ფრთხილ, სიღრმისეულ მიდგომას და სწრაფ რეაგირებას, რასაც თან ერთვოდა ინდივიდუალური საჩივრის უფლების აღიარებიდან და სასამართლოს მზარდი რეპუტაციიდან გამომდინარე, ინდივიდუალურ საჩივართა უპრეცედენტო ზრდა, სასამართლოს საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებას სერიოზული საფრთხე დაემუქრა და ამ მხრივ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პერიოდში, მისი ეფექტიანი დახმარების შესაძლებლობაც შეფერხდა.

თავის მხრივ, საქართველოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივრების რაოდენობა მზარდია კონვენციის რატიფიცირებიდან მოყოლებული და ზრდის ტენდენცია 2013 წლამდე არის შესამჩნევი. შემდეგ კი საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების კლება და მომდევნო წლებში, წინა წლებთან შედარებით, დაბალი ნიშნულია შენარჩუნებული. (იხ. [გრაფიკი 7](#)).

გრაფიკი 7: წლების მიხედვით ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების რაოდენობა




წყარო: სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული წლიური ანგარიშები (2000-2006 წწ); ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი - მოსამართლე ნონა წოწორია.²⁰¹

გარდა ამისა, კლება ახასიათებს საქართველოს წინააღმდეგ სასამართლოს დანაყოფებისთვის გადაცემული საჩივრების (იხ. [გრაფიკი 8](#)) რაოდენობას, თუმცა კლების ტენდენცია მხოლოდ 2016 წლის ჩათვლით არის თვალშისაცემი, შემდეგ წლებში კი ისევ ზრდა ფიქსირდება.

²⁰¹ „ევროსასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ საქმეების სტატისტიკა, პრობლემები და გამოწვევები“, ნონა წოწორია, Facebook პოსტი, 14 მარტი, 2021. <https://www.facebook.com/notes/398387994491547/>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

შენიშვნა: აღნიშნული მონაცემები შეიძლება არ ასახავდეს ზუსტ მონაცემებს, თუმცა, ერთი მხრივ, მისი გადმოწმების შესაძლებლობას მოკლებულნი ვართ, ხოლო, მეორე მხრივ, კვლევაში გამოყენებულია სწორედ იმ მიზეზით, რომ ამ სახის მონაცემები, სხვა მხრივ, ხელმისაწვდომი არ არის. კერძოდ, სასამართლო 2006 წლიდან არ ავრცელებს შეტანილი საჩივრების შესახებ მონაცემებს, შესაბამისად, საქართველოსთან მიმართებითაც 2006 წლის შემდეგ ამ სახის მონაცემები ოფიციალურად ხელმისაწვდომი არ არის.


გრაფიკი 8: ევროპული სასამართლოს დანაყოფებისთვის გადაცემული საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საჩივრები



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ ევროპული სასამართლოს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით.

რაც შეეხება უშუალოდ დანაყოფების წინაშე არსებული საქმეების (მიმდინარე საქმეების) რაოდენობას²⁰², რაც კარგად აჩვენებს სასამართლო დანაყოფების გადატვირთულობას, ამ მხრივაც 2013 წლიდან კლება შეინიშნება (იხ. [გრაფიკი 9](#)), რაც ევროპული სასამართლოს ზოგად ტენდენციას იზიარებს.

გრაფიკი 9: საანგარიშო პერიოდის ბოლოს საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს დანაყოფების წინაშე განხილვის ეტაპზე მყოფ საქმეთა რაოდენობა (მიმდინარე საქმეები)



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ ევროპული სასამართლოს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით.

²⁰² [გრაფიკი 9](#)-დან ირკვევა, რომ 2019 წელს წინა წლებთან შედარებით მკვეთრად იკლებს მიმდინარე საჩივრების რაოდენობა, რაც განპირობებულია 2019 წელს ერთდროულად 1 390 საჩივრის ამორიცხვით/დაუშვებლად ცნობით. თუმცა, საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებზე დაყრდნობით, შეუძლებელია 2019 წელს ამორიცხული და დაუშვებლად ცნობილი აპლიკაციების რიცხვის რადიკალური კლების პირდაპირი მტკიცებულების წარმოდგენა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინფორმაცია არც თავად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არ გააჩნია. მათ მიერ ჩვენს კითხვაზე გაცემული 2022 წლის 28 სექტემბრის N 13342 პასუხის მიხედვით: „...ევროპული სასამართლო არ აქვეყნებს ინფორმაციას ინდივიდუალური საჩივრების შინაარსთან დაკავშირებით და საჩივრების უმრავლესობა სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიუღებლად ცხადდება საწყის ეტაპზევე, მთავრობისთვის (მოპასუხე მხარე) შეტყობინების გამოგზავნისა და პოზიციის წარდგენის მოთხოვნის გარეშე. შესაბამისად, 2019 წლის განმავლობაში 1390 საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის/მიუღებლად გამოცხადების ზუსტი მიზეზები სამინისტროსთვის უცნობია“. თუმცა, ვარაუდებზე დაყრდნობით, რაც გამყარებულია [3.2.1-ე ქვეთავში](#) განვითარებული მსჯელობით და წარმოდგენილი ფაქტებით, ეს სწორედ რუსეთის კამპანიის ფარგლებში საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის ომთან დაკავშირებული 3 300-მდე საჩივრის მნიშვნელოვანი ნაწილის ამორიცხვით არის განპირობებული.

როგორც წინამდებარე კვლევის მეორე თავში განხილული ეგზოგენური ფაქტორების ანალიზით დგინდება, ბოლო წლებში სასამართლოს შედარებით განტვირთვა, სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდის მიზნით (მეტწილად ინტერლაკენის შეთანხმების შემდეგ) გატარებული არაერთი რეფორმის შედეგია. შესაბამისად, სასამართლოში გატარებული რეფორმების შედეგების გასაზომად, ხშირად შესადარებელ პერიოდებად, ინტერლაკენამდე (2010 წლამდე) და ინტერლაკენის შემდეგ პერიოდებს იღებენ (2010 წლის შემდეგ). გასათვალისწინებელია, რომ ინტერლაკენის შემდეგ პერიოდი, თავის მხრივ, ემთხვევა 2012 წელს საქართველოში არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებას. ეს უკანასკნელი ფაქტორი კი ხშირად ეროვნულ დონეზე ევროპულ სასამართლოში საქართველოსთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით დასკვნების გასაკეთებლად, დასკვნების ავტორთათვის წყალგამყოფად არის მიჩნეული და შესაბამისად, ხშირად სტატისტიკურ მაჩვენებელთა შესადარებელი პერიოდები 2013 წლამდე და 2013 წლის შემდეგ პერიოდებად იყოფა. შესაბამისად, საქართველოს შემთხვევაში ეროვნულ დონეზე სხვადასხვა აქტორების მხრიდან შესადარებელი პერიოდების შერჩევა თავად ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდება და ის მხოლოდ ემთხვევა (მეტწილად) ევროპულ სასამართლოში მიმდინარე პროცესებს. საინტერესო კი სწორედ იმის გამოკვლევაა, თუ რამდენად იქონია ევროპულ სასამართლოში მიმდინარე პროცესებმა გავლენა საქართველოსთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე და რამდენად შეიძლება განსაზღვრავდეს ეს პროცესები მაჩვენებლების შესადარებელ პერიოდებს.

ამ თავის მიზანია, მაქსიმალურად ამომწურავად და შესაბამისი თანმიმდევრობით წარმოაჩინოს ყველა ის ფაქტორი, გარემოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა უშუალოდ საქართველოსთან მიმართებით (კონვენციის რატიფიცირებიდან დღემდე) და რასაც შესაძლოა მცირედი გავლენა მაინც ჰქონოდა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეთა რაოდენობაზე. ამასთან, აღნიშნული გარემოებები წარმოჩენილ იქნება მეორე თავში განხილული ეგზოგენური ფაქტორების ჭრილში და შესაბამისად, გამოვლენილი იქნება საქართველოსთან მიმართებით, სასამართლოს მიერ განხორციელებული ცვლილებების შესაძლო გავლენები.

საქართველოსთან მიმართებით, გასათვალისწინებელი ფაქტორების იდენტიფიცირებაში დაგვეხმარება ერთი მხრივ, თავად ევროპული სასამართლოს ანგარიშები, სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვა რელევანტური დოკუმენტები, ხოლო მეორე მხრივ, სიღრმისეული ინტერვიუს გზით, სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა ფორმით, ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოებაში ჩართული რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაცია.

რესპონდენტთა უმრავლესობის მხრიდან ანონიმურად დარჩენის სურვილის გათვალისწინებით, ჩვენ შეზღუდულები ვართ კვლევაში მათი ნებისმიერი სახის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამჟღავნებისგან, მათ შორის, მათ პოზიციებზე მინიშნებისგან. შესაბამისად, კვლევაში, მათი პასუხები გენერალიზებულია და ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მათი მოსაზრებები ციტირებულია შესაბამისი ავტორის მითითების გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენს ინტერვიუში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაცია - „ახალგზარდა იურისტთა ასოციაცია“, რომელიც

ევროპულ სასამართლოში ასეულობით აპლიკანტის წარმომადგენლობით და მათ მიერ წარმოებულ საქმეებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, ერთ-ერთ ყველაზე დიდ კონტრიბუტორს წარმოადგენს ქვეყნის შიგნით ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების შესახებ ცოდნის დაგროვებაში. გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზაცია დათანხმდა მის მიერ მოწოდებული მონაცემები და გამოთქმული მოსაზრებები ანონიმურობის დაუცველად გამჟღავნებულიყო, მათ მიერ გაზიარებული ინფორმაცია, კვლევაში შესაბამისი მითითებით არის წარმოდგენილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, კვლევაში სიღრმისეული მონაწილეობის სურვილი იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებთან წარმომადგენლობის დეპარტამენტს არ გამოუხატავს. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა საკვლევ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ საჯაროდ გავრცელებულ, სამინისტროს ოფიციალურ პოზიციებზე მიგვითითა.

3.2. ევროპულ სასამართლოში საქართველოსთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე გავლენის მქონე ფაქტორები

ზემოთ განხილულია არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც ევროპულმა სასამართლომ ეფექტიანად ფუნქციონირების მოტივით გაატარა და რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ინდივიდუალური საჩივრით მიმართვის შესაძლებლობაზე. საფუძველს მოკლებული არ იქნება თუ დავუშვებთ, რომ განხორციელებულმა ცვლილებებმა და ხშირ შემთხვევაში აპლიკანტისთვის დაწესებულმა არაერთმა დამატებითმა ბარიერმა, გავლენა იქონია საქართველოს წინააღმდეგ მოდავე ინდივიდებსა და საჩივრებზეც. თუმცა, ამ გავლენების ეფექტის შესწავლის მცდელობაც კი არ ყოფილა ამ დრომდე და მეტიც, სურვილის შემთხვევაშიც, მხოლოდ ლოგიკური ბმებისა და ვარაუდების გამოთქმა არის შესაძლებელი და არა უტყუარი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენა.

ამას თან ერთვის ეროვნულ დონეზე რამდენიმე გარემოების არსებობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული დავების დინამიკაზე. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს, რომელთა რესპონდენტებსაც სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ფორმით უშუალოდ ევროპულ სასამართლოში საქმისწარმოებაში ჩართული პირები წარმოადგენდნენ, საქართველოსთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე შესაძლო გავლენის მქონე ფაქტორებზე საუბრისას ყურადღება გაამახვილეს რამდენიმე ძირითად გარემოებაზე: საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების დრო; ევროპული სასამართლოსა და მასში საქმისწარმოების პროცედურების შესახებ ნაკლები ცნობადობა და გამოცდილება (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე); საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრების რაოდენობა და არსებული პირობები; ევროპული სასამართლოს მიმართ ხელმისაწვდომობის პრობლემა, განსაკუთრებით გართულებული პროცედურების ფონზე და ბოლოს - 2012 წელს ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლილება, რომელმაც ბევრი მიმართულებით განსხვავებული მოლოდინი შექმნა.

ამასთან, კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტმა განსაკუთრებული ყურადღება 2008 წლის აგვისტოს ომის ფაქტორზე - ომიდან გამომდინარე საქართველოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში ათასობით საჩივრის შეტანა - გაამახვილა. ეს საჩივრები საქართველოსთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს, როგორც შეტანილი საჩივრების რაოდენობის (იხ. [გრაფიკი 7](#)), ასევე სასამართლოს დანაყოფებისთვის გადაცემულ (იხ. [გრაფიკი 8](#)) და მიმდინარე საქმეთა მხრივ (იხ. [გრაფიკი 9](#)) რადიკალურად ზრდის, თუმცა ისინი ვერ იქნება ქვეყანაში არსებული ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის ან სასამართლოს ეფექტიანობის ინდიკატორი. შესაბამისად, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ამ ფაქტორის (რომელიც თავისი არსით ეგზოგენურია) ცალკე და უწინარესად განხილვა.

3.2.1. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გავლენა სტატისტიკურ მონაცემებზე

2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ომის შემდეგ, საქართველომ 2008 წლის 11 აგვისტოს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს რუსეთის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორისი საჩივრით მიმართა (*საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (III)*), რომელიც 2021 წლის 21 იანვარს, სასამართლოს დიდი პალატის მიერ საქართველოს მნიშვნელოვანი გამარჯვებით დასრულდა, კერძოდ, სასამართლომ ყველა ძირითად ნაწილში რუსეთის მხრიდან კონვენციის დარღვევა დაადგინა.²⁰³

საქართველოს მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი საჩივრის პასუხად, 2008 წელს, რუსეთის სახელმწიფოს ორგანიზებით, სამაჩაბლოში²⁰⁴ საომარი მოქმედებებიდან გამომდინარე, საქართველოს წინააღმდეგ 3 300-მდე ინდივიდუალური საჩივარი შევიდა.²⁰⁵ აღსანიშნავია, რომ ამ საჩივართა უმეტესობაში, რომლებიც ინდივიდუალურად წარედგინა სასამართლოს და შემდეგ გაერთიანდა ერთ საქმედ, საჩივრის ავტორთა წარმომადგენლები ერთი და იგივე პირები, ვლადიკავკაზში მოღვაწე ადვოკატები იყვნენ.

დიდი რაოდენობის საქმეების შეტანა იყო რა რუსეთის სტრატეგიის ნაწილი, პირველ რიგში, სწორედ საქართველოს ქმედებების შესახებ მაქსიმალურად მძიმე სურათის დახატვასა და ამის თავისთავად სასარგებლოდ გამოყენების მცდელობას წარუადგენდა. ამასთან, სტრატეგია სასამართლოს კიდეც უფრო მეტად გადატვირთვას ისახავდა მიზნად, რაც რეალურად მოხდა.²⁰⁶ სასამართლოს გადატვირთვა კი, როგორც არაერთხელ აღინიშნა,

²⁰³ *Georgia v. Russia (III)*, [GC], no. [38263/08](#), 21 January 2021.

²⁰⁴ **შენიშვნა:** გადაწყვეტილებაში მოხსენებულია „სამხრეთ ოსეთი“ შემდეგი მითითებით: „ტერმინი სამხრეთ ოსეთი აღნიშნავს საქართველოს რეგიონს, რომელიც საქართველოს მთავრობის დე ფაქტო კონტროლიდან არის გასული.“ იხ. *Abayeva And Others v. Georgia (striking out)*, nos. [52196/08](#), [52200/08](#), [49671/08](#), [46657/08](#) and [53894/08](#), 23 March 2010.

²⁰⁵ გარდა ამისა, 20 განცხადება შევიდა როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომლებშიც განმცხადებლები (საქართველოს მოქალაქეები) ამტკიცებენ, რომ 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად მათი კონვენციით გათვალისწინებული უფლებები დაირღვა და არცერთ სახელმწიფოში ადეკვატური გამოძიება არ წარმოებულა.

²⁰⁶ Council of Europe, “*Annual Report 2008, of the European Court of Human Rights*,” 12.

მთავარი თემიდან ყურადღების გადატანასა და მასზე სასამართლოს მხრიდან დროული რეაგირების შესაძლებლობის შემცირებას იწვევს.

საჩივრებთან მიმართებით, რუსეთის მხრიდან უშუალოდ შინაარსობრივი ინტერესის არ ქონას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სასამართლოს არაერთი მცდელობის მიუხედავად, საჩივრის ავტორებთან დაემყარებინა პროცედურულად გათვალისწინებული კომუნიკაცია, ეს ვერ მოხერხდა. შედეგად, 2010 წელს, ხუთი კომუნიცირებული საქმე (*აბაიევა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Abayeva and Others v. Georgia)*)²⁰⁷ და 1 549 ახალი საჩივარი (*ხეთაგუროვა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Khetagurova and Others v. Georgia)*),²⁰⁸ რომლებიც მიეკუთვნებოდა ამ ჯგუფს, ამოიღეს სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა სიიდან, რადგან შემდეგი კომუნიკაციის არ არსებობის გამო, სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლებს აღარ სურდათ გაეგრძელებინათ თავიანთი საჩივრების განხილვა კონვენციის 37-ე მუხლის 1 (a) პუნქტის მნიშვნელობით.²⁰⁹

2022 წლის 24 მარტს სასამართლომ, აგვისტოს ომთან დაკავშირებულ საჩივართა სიიდან საქმეზე *ცხოვრებოვა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Tskhovrebova and 369 others v. Georgia)* 370 ანალოგიური ინდივიდუალური საჩივარი ამორიცხა დაუშვებლად ცნობის საფუძველით.²¹⁰ კერძოდ, აღნიშნულ საჩივრებში მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის აქტიურ ფაზაში (7-12 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში), საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოქმედებებმა მათი, ისევე როგორც მათი სხვა ოჯახის წევრების სიცოცხლეები, რეალური და მყისიერი საფრთხის წინაშე დააყენა და იძულებული გახადა ისინი რომ რამდენიმე დღე შიშსა და შფოთში გაეტარებინათ, შეზღუდა მათი ფიზიკური თავისუფლება და გაანადგურა მათი საკუთრება.²¹¹ სასამართლომ, დაეყრდნო რა დაუშვებლად ცნობის შესახებ 2021 წლის 5 ოქტომბრის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობას (*ბეკოიევა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Bekoyeva and 3 others v. Georgia)*);²¹² *შავლოხოვა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Shavlokhova and 4 others v. Georgia)*)²¹³, განმარტა, რომ ვინაიდან საქართველოს ტერიტორიული იურისდიქციის ნორმალური განხორციელების შეზღუდვა (მის იმ ტერიტორიაზე, რომელზეც საომარი დარტყმები ხორციელდებოდა) იყო მხოლოდ დროებითი ხასიათის, პრინციპის დონეზე, კონვენციის თანახმად, საქართველოს მხრიდან დიპლომატიური, ეკონომიკური, სასამართლო და სხვა სახის პოზიტიური ზომების განხორციელება მოსალოდნელი იყო, თუმცა მიმდინარე მასიური შეიარაღებული კონფლიქტის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი წესრიგის ხასიათის პოზიტიური ღონისძიებები, ერთი მხრივ, შეუძლებელი იყო განხორციელებულიყო და მეორე მხრივ, არავითარი რეალური მნიშვნელობა არ ექნებოდა, რადგან მათ არ შეეძლოთ მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანათ განმცხადებლების უფლებების დაცვაში ომის დროს. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ შეიძლებოდა დაკისრებოდა იმ აქტებზე.

²⁰⁷ “Abayeva And Others v. Georgia, (striking out)”.

²⁰⁸ *Khetagurova and Others v. Georgia* (striking out), nos. [43253/08 and 1548 others](#), 14 December 2010.

²⁰⁹ იხ. სქოლიო 140.

²¹⁰ *Tskhovrebova and 369 others v. Georgia* (dec.) [Committee], no. [43733/08](#), 3 March 2022.

²¹¹ Ibid.

²¹² *Bekoyeva and 3 others v. Georgia* (dec.), no. [48347/08](#), §§ 32-40, 5 October 2021.

²¹³ *Shavlokhova and 4 others v. Georgia* (dec.), no. [45431/08](#), §§ 27-35, 5 October 2021.

რომლებიც განხორციელდა სამაჩაბლოში შესაბამისი საომარი მოქმედებების აქტიურ ფაზაში.²¹⁴

აღნიშნულ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა საქართველოს იუსტიციის მინისტრი, რატი ბრეგაძე და ის საქართველოს მორიგ გამარჯვებად შეაფასა, რომლითაც, მისი განმარტებით, წერტილი დაესვა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ორგანიზებით წარდგენილი 3 300-ზე მეტი საჩივრის განხილვას. „სასამართლოს დღევანდელი განჩინებით 2008 წლის აგვისტოს ომის დროს აქტიურ საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებული ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრები ამოიწურა და ამ საკითხის ირგვლივ არსებული ყველა დავა დასრულდა“ - განაცხადა რატი ბრეგაძემ.²¹⁵

ზემოთ განხილულის გათვალისწინებით, ნათელი ხდება რომ ეს კონკრეტული საჩივრები (3 300-ზე მეტი საჩივარი, რომელიც თავის მხრივ, საქართველოს მიერ კონვენციის რატიფიცირებიდან დღემდე შესული საერთო საჩივრების, დაახლოებით 50%-ია), რუსეთის ხელისუფლების სტრატეგიის ნაწილია და ვერ იქნება ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობის გასაზომად ვარგისი. შესაბამისად, ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესაფასებლად, თუ სასამართლოს მიმართ ნდობის ხარისხის გასაზომად, ამ კონკრეტული საჩივრების გამოყენება, სტატისტიკური მაჩვენებლებით მანიპულირებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად ვიცით, რუსეთის მიერ წარმოებულ საჩივართა გავლენა სტატისტიკურ მონაცემებზე, ერთი მხრივ, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, რომ სტატისტიკური მონაცემები „შევასწოროთ“ ამ სახის საჩივრების გამოკლების გზით, რადგან მათი ზუსტი რიცხვი და თითოეული წლის მონაცემზე გავლენა ჩვენთვის უცნობია, რამდენადაც ამ სახის ინფორმაციას სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები და შესაბამისი ანგარიშები არ იძლევა. ამასთან, ზუსტი მონაცემები არც იუსტიციის სამინისტროს აქვს, რადგან, საქართველოს მთავრობა, როგორც მხარე, მხოლოდ საქმის კომუნიცირების შემდეგ იგებს კონკრეტული საჩივრის შესახებ ინფორმაციას.

მეორე მხრივ კი, სულაც რომ შესაძლებელი იყოს ზედმიწევნით კორექტირება, ამ ქმედებით წაიშლება ის კონტექსტი, რაც საქართველოსთან მიმართებით აქტუალურია, კერძოდ, იგულისხმება სასამართლოს გადატვირთვა, რასაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქმეთა განხილვის მიმდინარეობაზე. სწორედ ეს კონტექსტი ხსნის იმას, თუ რატომ იყო 2022 წლამდე საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების რაოდენობა მაღალი.²¹⁶ როგორც იუსტიციის მინისტრი თავად განმარტავს, მხოლოდ 2022 წელს ამოიწურა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ორგანიზებით წარმოებული საჩივრების განხილვა და სწორედ ამ დროიდან შეგვიძლია დავინახოთ შედარებით „სუფთა სურათი“.

²¹⁴ „Tskhovrebova and 369 others v. Georgia (dec.) [Committee].“

²¹⁵ „სტრასბურგის სასამართლომ ცხინვალის რეგიონში მცხოვრებთა მიერ რუსეთის კოორდინაციით წარდგენილი საჩივრები დაუშვებლად ცნო“, პირველი არხი, 24.03.2022. <https://1tv.ge/news/strasburgis-sasamartlom-ckhinvalis-regionshi-mckhovrebt-mier-rusetis-koordinacii-wardgenili-sachivrebi-daushveblad-cno/>,
წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²¹⁶ ამასთან, ეს რიცხვი ხსნის თუ რატომ იყო საქართველო (2009, 2013, 2014, 2015, 2016, 2017, 2018 წლებში) იმ წევრ სახელმწიფოთა რიგში (ათეულში) რომლების წინააღმდეგაც, ყველაზე მეტი საჩივარი იყო სასამართლოსთვის განსახილველად გადაცემული.

ამ სურათის მიხედვით კი, როგორც რატი ბრეგაძე აღნიშნავს: „საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი განცხადებებიდან მხოლოდ 154 საჩივარი განიხილება, რაც ევროპის საბჭოს წევრობის მანძილზე საქართველოსთვის საუკეთესო მაჩვენებელია“.²¹⁷ რამდენადაც კვლევის ფოკუსი იმ ფაქტორების იდენტიფიცირებაა, რომელთაც შესაძლოა გავლენა მოეხდინათ „საუკეთესო მაჩვენებლების“²¹⁸ ფორმირებაში, ამ მნიშვნელოვანი დათქმის შემდეგ, რომ ეროვნულ დონეზე არსებული ვითარების შესაფასებლად რუსეთის მიერ ორგანიზებული საჩივრების მხედველობაში მიღება არასწორია, უნდა გავაგრძელოთ სხვა მნიშვნელოვანი კონტექსტუალური გარემოებების განხილვა. ეს გარემოებები, როგორც უკვე აღინიშნა, ინტერვიუების დროს რესპონდენტების მიერ დასახელდა, თუმცა მათ გადასამოწმებლად და განსაზღვრებად კვლევის მასშტაბების გაზრდა გახდა საჭირო. შესაბამისად, რესპონდენტთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია სათითაოდ იქნება გამოკვლეული და გაანალიზებული.

3.2.2. სასამართლო, როგორც ახალი ინსტიტუცია და შესაბამისი ცოდნის ნაკლებობა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირების შემდეგ (1999 წელი) საქართველოს წინააღმდეგ საჩივართა ზრდის ტენდენცია (იხ. [გრაფიკი 7](#)), ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, ახალი ინსტიტუტის ეფექტია და ლოგიკურია. თუმცა, რესპონდენტი ასევე აზუსტებს, რომ ეს დაემთხვა ადამიანის უფლებების დარღვევის ზრდას, რეფორმებს თუ სხვა გარემოებებს, ამ საკითხზე დასკვნების გამოტანა მეტად რთულია.

ამ მოსაზრების, კერძოდ, ახალი ინსტიტუციის ეფექტის ჭრილში, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ პირველი გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ - *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ (Asanidze v. Georgia)* - სასამართლომ 2004 წელს მიიღო, რომელიც, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, პრეცედენტული იყო თავად კონვენციის სისტემისთვის, რამდენადაც სასამართლომ პირველად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა გადაწყვეტილების აღსრულების კონკრეტული ღონისძიების, უკანონო პატიმრობაში მყოფი პირის დაუყოვნებლივი გათავისუფლების შესახებ, რაც არ არის სასამართლოსთვის დამახასიათებელი.²¹⁹ შესაბამისად, შეიძლება დავუშვათ ისიც, რომ ამ გადაწყვეტილებამ საქართველოში სასამართლოს მიმართ ცნობადობა და სასამართლოს მხრიდან დარღვევებზე ხისტი რეაგირებისა და როგორც მინიმუმ, აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის დავალდებულების მოლოდინები კიდევ უფრო გაზარდა და მეტად პოპულარული გახდა სიტყვები „სტრასბურგში წავალ“.

²¹⁷ იხ. [გრაფიკი 9](#).

²¹⁸ სიტყვები „საუკეთესო მაჩვენებელი“ ბრჭყალებში მოქცეულია, რადგან კვლევის ყველა ეტაპი სწორედ ცალკე აღებული, მხოლოდ აბსოლუტური მაჩვენებლების საფუძველზე ანალიზის შეუძლებლობაზე მიანიშნებს.

²¹⁹ „Asanidze v. Georgia“.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ როგორც მეორე თავშია განხილული, სასამართლო პირველ ეტაპზე მეტად ღია იყო ინდივიდუალური განმცხადებლებისთვის და მათ ნაკლებ დაბრკოლებას უქმნიდა საჩივრის შეტანის გზაზე, ეს ბარიერები მაინც არსებობდა და ყველა საკითხზე „სტრასბურგში წასვლა“ ფიზიკურად შეუძლებელი იყო. ამ უკანასკნელის შესახებ კი ცოდნა ძალიან მწირი იყო, სწორედ იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქართველოსთვის ახალი ინსტიტუცია იყო, ადვოკატები არ იყვნენ სპეციალურად გადამზადებულნი, თავად სასამართლო კი რეფორმების კვალდაკვალ, პრიორიტეტების ცვლილებისა და დასაშვებობის კრიტერიუმების ცოცხალ პროცესში იმყოფებოდა, განსაკუთრებით კი სასამართლოს გადატვირთვის შემდეგ, როცა სასამართლო მკაცრი ფილტრის შემოღების რეალური საჭიროების წინაშე დადგა.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ, ისეთ ფაქტორებზე როგორიცაა: 1. საქართველოში ევროპული სასამართლოს ძირითადი როლის, მისი ფუნქციონირებისა და პროცედურების შესახებ შესაბამისი ცოდნის არ ქონის საკითხი; და 2. სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება, რაც თავის მხრივ, სასამართლოს გადატვირთვას იწვევდა ზოგადად და უფრო კონკრეტულად, საქართველოსთან მიმართებით, დავების განხილვის ნაწილში.

3.2.2.1. შესაბამისი ცოდნის არ ქონა

ახალი ინსტიტუციის მიმართ არასწორ მოლოდინებსა და შესაბამისი ცოდნის ნაკლებობაზე გაამახვილა ყურადღება ინტერვიუს დროს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) წარმომადგენელმა, თამარ ონიანმა, იმ მიზეზთა ჩამოთვლისას, რასაც, შესაძლოა, პირველ ეტაპზე საჩივართა სწრაფი ზრდა გამოეწვია.

„სხვა მიზეზებს შორის ერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის, რომ ადრეულ წლებში სტრასბურგის მექანიზმი იყო ახალი. იურისტებმა არ იცოდნენ რა პრიორიტეტებით შეიძლება ეხელმძღვანელათ და ყველა საქმე იგზავნებოდა. მათ შორის, სასამართლოს უყურებდნენ როგორც ერთგვარ მეოთხე ინსტანციას. როცა ეროვნულ დონეზე გაიზარდა ცოდნა, ადამიანებმა ისწავლეს სამართალწარმოება და ის თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს, აღმოაჩინეს, რომ არ აქვს მათ საქმეებს პერსპექტივა. მათ შორის დაინახეს რომ სტრასბურგი მარტივად არ იღებს გადაწყვეტილებას და იწელება. ადრე ეს მოლოდინები არ იყო. ადრე უნდოდათ რომ მალე ყოფილიყო... ადრე შეიძლება გაჩენილიყო კითხვები, მაგრამ დღეს როცა სასამართლო პრაქტიკა უფრო მყარად არის ჩამოყალიბებული, შედარებით უფრო მარტივია იმის დაიდენტიფიცირება თუ რა საფუძვლით იქნება დაუშვებლად ცნობილი საჩივარი“.

შესაბამისად, საიას დაკვირვება აძლიერებს წინა რესპონდენტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სწრაფი მატება ახალი ინსტიტუტის ეფექტი იყო და ერთი მხრივ, მისი

მიმზიდველობით, ხოლო მეორე მხრივ, სამართალწარმოების შესახებ შესაბამისი ცოდნის არ არსებობით იყო გამოწვეული.

დაუშვებლად ცნობის საფუძველით ამორიცხულ გადაწყვეტილებათა (იხ. [დანართი 2](#)), ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი 97%, 2013 წლამდე შეტანილ საჩივრებზე მოდის, რომელთა შორის ჭარბობს როგორც ვადის დაუცველობისა და შიდა სამართლებრივი საშუალებების არ ამოწურვის საფუძველი, ასევე განსაკუთრებით ხშირია აშკარა უსაფუძვლო ან კონვენციასთან შეუთავსებადი საჩივრები. 2013 წლის შემდეგ შეტანილ საჩივრებთან დაკავშირებით კი დაუშვებლად ცნობის შესახებ მხოლოდ 5 გადაწყვეტილება გვხვდება. თუმცა, ევროპულ სასამართლოში არსებული გადატვირთვიდან გამომდინარე, რომელიც თითოეულ საჩივართან დაკავშირებით მყისიერი რეაგირების შესაძლებლობას არ იძლევა, ვერ ვიტყვით გადაჭრით, რომ ამ პერიოდის შემდეგ შეტანილი საჩივრები (რომელთა რიცხვიც, წინა წლებთან შედარებით, ასევე დაბალია (იხ. [გრაფიკი 7](#))), მეტწილად აკმაყოფილებს დასაშვებობის კრიტერიუმებს, სანამ მათზე საბოლოო გადაწყვეტილება არ დადგება. ამასთან, დიდი ალბათობით, შემცირება გამოწვეული იყო ერთი მოსამართლის დანაყოფის შექმნით, რომელსაც სწორედ აშკარად დაუშვებელი საჩივრების განხილვა დაევა და რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც არ შედის [დანართ 2](#)-ში ჩამოთვლილ საქმეებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების შესახებ ცოდნის ნაკლებობა და ამით გამოწვეულ საჩივართა დიდი რაოდენობა, ზოგადად (და არა მხოლოდ საქართველოსთან მიმართებით), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა. ამაზე ჯერ კიდევ 2009-2010 წლებში, იმ პერიოდში მოქმედმა სასამართლოს პრეზიდენტმა, ჟან პოლ კოსტამ გაამახვილა ყურადღება და წევრი ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციებს, აკადემიას და არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწოდა, დახმარებოდნენ აპლიკანტებს და ამასთან სასამართლოს, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული არასერიოზული და უიმედო საჩივრები.²²⁰

„მიუხედავად იმისა, რომ ყველას აქვს ინდივიდუალური საჩივრის უფლება, ის ვერ დააკმაყოფილებს ყველას მოლოდინს და ვერ მოიცავს ყველა საქმიანობას და ცხოვრების ყველა ასპექტს, რომლის დაცვასაც, ჩვენ, როგორც ადამიანები, ვცდილობთ“ - ჟან პოლ კოსტა.²²¹

პოტენციური განმცხადებლებისთვის განაცხადის შეტანის პროცედურებისა და დასაშვებობის კრიტერიუმების შესახებ სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდების იდეა საგანგებოდ არის ხაზგასმული ასევე ინტერლაკენის დეკლარაციის გ-6 (ა) და (ბ) პუნქტებში,²²² რამდენადაც დაუშვებელი საჩივრების შემცირების ერთ-ერთი

²²⁰ Speech Given by Mr Jean-Paul Costa, President of The European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial year, 30 January 2009. in. Council of Europe, “Annual Report 2009 of the European Court of Human Rights”, 37.

²²¹ Ibid., 39.

²²² “Interlaken Declaration”.

ეფექტური გზა, სწორედ, მოქალაქეთა ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდაა, რასაც, ცნობიერების ამაღლების მიზნით, არაერთი ქმედითი ნაბიჯი მოჰყვა. მათ შორის საქართველო, ჩაითვალა რა ისეთ ქვეყნად, საიდანაც დიდი რაოდენობით საჩივრები შედიოდა (თუმცა ეს გამოწვეული იყო ისევ და ისევ რუსეთის მიერ ორგანიზებული საჩივრების გამო) სახელმძღვანელო პრინციპები ქართულ ენაზეც ითარგმნა.²²³

3.2.2.2. ინდივიდუალური საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენება

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს დროს რესპონდენტებმა ყურადღება გამამხვილეს საწყის ეტაპზე ადვოკატთა მიერ სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენების (Abuse of the right of application) ფაქტებზეც, რაც გარკვეულ შემთხვევებში სასამართლოს მიმართ ხშირი, დაუსაბუთებელი და არასერიოზული საჩივრებით მიმართვაში და ასევე, სასამართლოსთვის საქმეზე მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და გარემოებების შეუტყობინებლობაში გამოიხატებოდა და რაც შესაძლოა ახალი ინსტიტუტის ეფექტთან ბმაშიც დავინახოთ. კერძოდ, შესაბამისი ცოდნის არ არსებობის ან უბრალოდ განზრახ ქმედებების გამო (რაც თავის მხრივ, ასევე შესაძლოა ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობას უკავშირდებოდეს), ხშირი იყო ქართველი ადვოკატების მხრიდან ისეთი ქმედებები, რომელიც სასამართლოს მხრიდან მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებად ფასდებოდა, რაზეც სასამართლოს რამდენიმე შემთხვევაში საკმაოდ მკაცრი გამოხმაურებაც ჰქონდა.

ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ საქმედ შეიძლება მივიჩნიოთ *ბეკაური საქართველოს წინააღმდეგ (Bekauri v. Georgia)*, რომელშიც სასამართლოს შეფასებით, ადვოკატებმა „გამაოგნებელი უპასუხისმგებლობა“ გამოიჩინეს.²²⁴ აღნიშნულ საქმეში საჩივრის ავტორი მის მიმართ შეფარდებული სამუდამო თავისუფლების აღკვეთის კონვენციის მე-3 მუხლთან შეუთავსებლობაზე დაობდა. სასამართლომ მე-3 მუხლთან მიმართებით, 2010 წელს დასაშვებად ცნო საჩივარი. თუმცა, საჩივრის წარდგენიდან (2002 წლის 31 მარტი) ამ პერიოდამდე სასამართლოს ადვოკატთა მხრიდან (პირველ ეტაპზე ჩართული იყო მხოლოდ ერთი, ხოლო შემდეგ ეტაპზე ორი ახალი ადვოკატი ჩაერთო) არაერთ უპასუხისმგებლო ქმედებას გადააწყდა, როგორიც არის მთელი რიგი პროცედურული შეცდომები თუ დარღვევები, სასამართლოსთან არასათანადო კომუნიკაცია, დადგენილი ვადების დარღვევა, საქმის მასალების ორჯერ დაკარგვა და რაც მთავარია, სასამართლოსთვის იმის შეუტყობინებლობა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, აპლიკანტს უვადო თავისუფლების აღკვეთა ვადიანით (16 წლით) შეეცვალა, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული საჩივრის არსთან. სასამართლომ პირველი ადვოკატის გულგრილი დამოკიდებულება უაღრესად სამწუხარო

²²³ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, „პრაქტიკული სახელმძღვანელო დასაშვებობის კრიტერიუმების შესახებ“, 2011. https://www.echr.coe.int/Documents/Admissibility_guide_KAT.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

შენიშვნა: დოკუმენტი არ წარმოადგენს განახლებულ ვერსიას.

²²⁴ *Bekauri v. Georgia* (preliminary objection), no. [14102/02](#), § 24, 10 April 2012.

ფაქტად, ერთობლიობაში კი სამივე მათგანის ქმედებები „უპასუხისმგებლობის გამოგნებელ გამოვლინებად“ შეაფასა.²²⁵ სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ ადვოკატთა შეცდომებმა სასამართლოს ადმინისტრაციული გადატვირთვა გამოიწვია²²⁶ და საკმაოდ მკაცრად შეახსენა მხარეებს, რომ „*მის მოვალეობას არ წარმოადგენს, დაკავდეს მთელი რიგი დაუსაბუთებელი და ჭირვეული პრეტენზიების ან განმცხადებლებისა თუ მათი ადვოკატების მხრიდან აშკარად შეუსაბამო ქმედებების განხილვით, რაც მას უზარმაზარ სამუშაოს უქმნის და ყოვლად შეუთავსებელია კონვენციით დადგენილ მის ნამდვილ ფუნქციასთან*“.

მართალია ამ საქმის ადვოკატების მიმართ სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება დადგინდა, თუმცა სასამართლოს მათთვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოღვაწეობა არ აუკრძალავს, როგორც მოგვიანებით (2013 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით) ადვოკატ მამუკა ნოზაძის შემთხვევაში მოიქცა. მას არა მხოლოდ მიმდინარე 25 საქმეზე, არამედ მომავალში ნებისმიერ საჩივარზე აეკრძალა წარმომადგენლობის უფლება.²²⁷

ამასთან, ეს საქმეები არ არის ამომწურავი ჩამონათვალი იმ შემთხვევებისა, რომლებშიც სასამართლომ ადვოკატებს არასათანო ქმედებებზე მიუთითა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება დაადგინა.²²⁸ აღსანიშნავია, რომ პირველ წლებში, სწორედ ჩვენ მიერ დასახელებული, სასამართლოს მიერ არაერთგზის გაფრთხილებული ადვოკატები წარმოადგენდნენ მოსაჩივრეებს არა ერთ, არამედ ათეულობით საქმეებში.

თავის მხრივ, მართალია ეს საქმეები დარღვევების მასშტაბის გათვალისწინებით, საყურადღებოა, თუმცა ამ შემთხვევების განზოგადება და მასზე დაყრდნობით იმ დასკვნის გამოტანა, რომ ადვოკატთა უმრავლესობა პროცედურების უხეში დარღვევით გამოირჩეოდა, არასწორია, თუმცა, არც ეს უკანასკნელია გამორიცხული. ამასთან, როგორც დასაწყისში აღინიშნა, საწყის ეტაპზე უშუალოდ ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოებასთან დაკავშირებით ადვოკატთა დაბალ კომპეტენციასა და მათი მხრიდან უხეში დარღვევების სიხშირეზე ყურადღება ჩვენმა არაერთმა რესპონდენტმა გაამახვილა, რაც დამატებითი ფაქტორი შეიძლება იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლის არასწორად გააზრების და ნაკლები ცოდნის პირობებში, უპერსპექტივო საჩივრით სასამართლოს გადატვირთვაზე მსჯელობისას.

²²⁵Ibid. §§ 22,24.

²²⁶Ibid. § 22.

²²⁷ *Mazanashvili v. Georgia* (dec.), no. [19882/07](#), §27, 28 January 2014.

²²⁸ იხილეთ ასევე, *Keretchashvili v. Georgia* (dec.), no. [5667/02](#), 2 May 2006; *Khvichia and others v. Georgia* (dec.), no. [26446/06](#), 23 June 2009; *Pirtskhalaishvili v. Georgia* (dec.), [44329/905](#), 29 April 2010.

3.2.3. სასჯელადსრულების დაწესებულებებში არსებულ პირობებთან დაკავშირებული დავების შესახებ საქმეები

2011-2012 წლამდე საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეთა რაოდენობის მზარდი ტენდენცია, რესპონდენტთა დაკვირვებით შესაძლოა, ერთი მხრივ, სასჯელადსრულების დაწესებულებებში არსებული მძიმე მდგომარეობით, ხოლო, მეორე მხრივ, პირობებთან დაკავშირებით პირდაპირ ევროპულ სასამართლოში მიმართვის შესაძლებლობით იყო გამოწვეული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი ფაქტორი უფრო სიღრმისეულად გამოვიკვლიოთ.


მართალია საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი ოფიციალური სტატისტიკა იმისა, თუ საქართველოს მიმართ ევროპულ სასამართლოში განსახილველ საქმეთა რა წილი მოდიოდა და მოდის უშუალოდ სასჯელადსრულების დაწესებულებაში უფლებების დარღვევაზე (ჯანდაცვა/არასათანადო მოპყრობა/წამება), თუმცა სხვადასხვა მონაცემებით²²⁹ და კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუში მონაწილე რესპონდენტების განცხადებით, აღნიშნული მაჩვენებელი 2010 წლის მდგომარეობით, როგორც მინიმუმ, 60-70%-ს აღემატებოდა. ამასთან, თუკი დავაკვირდებით განსახილველ საქმეთა ამორიცხვის შესახებ (იხ. [დანართი 1](#)) მიღებულ გადაწყვეტილებებს, ვნახავთ, რომ 46% სწორედ სასჯელადსრულების დაწესებულებებში არსებულ პირობებს ეხება, ისევე როგორც შესამჩნევია ამ სახის საქმეთა წილი დაუმჯობესად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებებშიც (იხ. [დანართი 2](#))

ასეთი სურათი, პირველ რიგში, სასჯელადსრულების დაწესებულებებში არსებული მძიმე პირობებით იყო გამოწვეული, რაზეც არაერთ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ანგარიშში იყო გამახვილებული ყურადღება²³⁰ და რასაც თავის მხრივ, გარკვეულწილად იწვევდა და ამასთან, განსაკუთრებით ამძიმებდა პატიმართა დიდი რაოდენობა (იხ. [გრაფიკი 10](#)).

²²⁹ აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, არჩილ თალაკვაძემ, საკუთარ Facebook გვერდზე, 2014 წლის 15 თებერვალს, ევროპული სასამართლოს სტატისტიკაზე ისაუბრა და სასამართლოში განსახილველ საქმეებში იმ საქმეთა წილი გამოყო, რომელიც სასჯელადსრულების სისტემაში არსებულ დარღვევებს ეხებოდა. მის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2009-2013 წლებში, მათი წილი 70-80%-ს შეადგენდა. კერძოდ, 2009 წელს (კომუნიცირებული) საჩივრების დაახლოებით 62% ეხებოდა სასჯელადსრულების სისტემას; 2010 წელს - 81%; 2011 - 89%, 2012 - 81%. <https://www.facebook.com/photo.php?fbid=10152341716667317&set=a.10150889073062317.467565.575047316&type=1&theater>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²³⁰ იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშები. <https://www.ombudsman.ge/geo/saparlameto-angarishebi>, წვდომის თარიღი: 30/04/2023. ასევე, ევროპის საბჭო, „წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშთა კრებული საქართველოში ვიზიტების შესახებ“. <https://rm.coe.int/1680081270>, წვდომის თარიღი: 30/04/2023. თომას ჰამარბერგი, „საქართველო გარდამავალ პერიოდში, ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები“, სექტემბერი, 2013წ. https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/8987288_38635_607369_Hammarbergreport-getm.pdf, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

გრაფიკი 10: საქართველოში პატიმართა რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

მეორე მხრივ, უშუალოდ ევროპულ სასამართლოში, მოკლე დროში, ამ სახის საჩივართა დიდი რაოდენობის შედინება სხვა ობიექტური გარემოებითაც შეიძლება აიხსნას. კერძოდ, ეს გარემოება არის პატიმრებისთვის ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის ნაკლები დაბრკოლების არსებობა, რომელიც ეფუძნებოდა სასამართლოს მიერ 2010 წლამდე განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით გამოტანილ არაერთ გადაწყვეტილებას, სადაც სასამართლო განმარტავდა და ხელმძღვანელობდა რა იმ გარემოებით, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უფლებების დარღვევებზე რეაგირებისთვის არ არსებობდა ეფექტური შიდა დაცვის საშუალება,²³¹ საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე, სხვა კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, განსახილველად იღებდა აღნიშნული ტიპის საქმეს (როგორც მინიმუმ შიდა საშუალებების ამოუწურველობის მოტივით უარს არ ეტყოდა განმცხადებელს). ამ სახის დავებზე სასამართლო ადგენდა მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნას, რომელიმე ხელისუფლების წარმომადგენელი ორგანოს მიმართ პრეტენზიის დაფიქსირების ფაქტის არსებობას და აპლიკანტს ყველა შიდა სამართლებრივი საშუალების ამოწურვის ვალდებულებას არ აკისრებდა, რაც კარგად ჩანს, საქმეზე *ნოზაძე საქართველოს წინააღმდეგ (Nozadze v. Georgia)* 2017 წლის საჩივრის ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებაში. კერძოდ, სასამართლოს დასაბუთებაში ვკითხულობთ:

²³¹ „სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ 2010 წლის 1-ლ ოქტომბრამდე, საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა მიმართვის ეფექტური შიდასამართლებრივი საშუალებების მიწოდებას, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მოსარჩელეს ეპოვნა შვება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამედიცინო დახმარების ვერგაწევასთან დაკავშირებული შემთხვევის დროს. შესაბამისად, ავადმყოფი პატიმრისთვის, რომელსაც სურდა სასამართლოში გაესაჩივრებინა ადეკვატური სამედიცინო დახმარების არარსებობა, საკმარისი იყო გაეფრთხილებინა შესაბამისი ადგილობრივი ორგანოები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“. იხ. *Jashi v. Georgia*, no. [10799/06](#), § 51, 8 January 2013; *Goginashvili v. Georgia*, no. [47729/08](#), § 54, 4 October 2011.

„იმ დროისთვის საქართველოს საპატიმრო დაწესებულებებში პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით მის პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, სასამართლო იმეორებს წესს, რომ ყოველთვის როცა, აპლიკანტი მოისურვებდა საქართველოს ციხეებში მისი სავარაუდოდ ცუდი მატერიალური პირობების გასაჩივრებას, თუნდაც ასეთი საჩივრები რაიმე კონკრეტული სისხლის სამართლის ან სამოქალაქო დაცვის საშუალებების სრულად და ზედმიწევნით ამოწურვას არ მოითხოვდა, როგორც მინიმუმ, მაინც საჭიროებდა რომ **განმცხადებელს სულ მცირე ერთი პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებისთვის ეცნობებინა მისი სუბიექტური შეფასების შესახებ**, რომ სადავოდ გამხდარი პატიმრობის პირობები გამოხატავდა მის მიმართ პატივისცემის ნაკლებობას, ან მის ადამიანურ ღირსებას შეურაცხყოფდა“.²³²

შედეგად, უტყობიერებულად რომ ვთქვათ, როგორც ჩვენმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში „[2010 წლამდე] ვიღაცას თავი რომ ატკივდებოდა, მიდიოდა სტრასბურგში და ამის უფლება ჰქონდა“. სასამართლოსთვის პირდაპირ მიმართვის უფლება, მხოლოდ მინიმალური წინაპირობის არსებობით, პატიმართა დიდი რაოდენობის ფონზე და მათი უფლებების დაცვის მხრივ არსებული რეალობის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლოს წინაშე საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრების რაოდენობის ზრდას განაპირობებდა.

თავის მხრივ, ამ პრაქტიკასთან მიმართებით, 2010 წლამდე პერიოდზე მითითება, შემთხვევითი არ არის, რამდენადაც ის უკავშირდება საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის რადიკალურ ცვლილებებს. საქმეზე *გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Goginasvili v. Georgia)* სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში (2011 წლის 4 ოქტომბერი) რომელშიც ციხეში ადეკვატური სამედიცინო დახმარების არარსებობის გამო კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა იყო სადავოდ გამხდარი, ევროპულმა სასამართლომ 2010 წლის პირველ ოქტომბერს პატიმრობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, დადებითად შეაფასა:

„ახალი კოდექსი, რომელიც ძალაში 2010 წლის 1-ელ ოქტომბერს შევიდა, გარკვევით აღიარებს პატიმრობაში მყოფი პირის ჯანმრთელობის დაცვის უფლებას (კოდექსის 24-ე მუხლი). კოდექსში კონკრეტულადაა აღწერილი საჩივრების წარდგენის პროცედურა, თუ პატიმარი თვლის, რომ მისი უფლებები, მათ შორის ჯანმრთელობის უფლება დაცული არ არის ციხის ადმინისტრაციის მიერ. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ პროცედურას მნიშვნელოვანი პროცესუალური გარანტიები ახლავს თან...“.²³³

შესაბამისად, ამ ცვლილებების შედეგად მიღებული საჩივრის განხილვის მექანიზმი, სასამართლომ ეფექტურ მექანიზმად მიიჩნია და ამ მოტივით თქვა უარი მის მიერ მანამდე განვითარებულ პრაქტიკაზე.

ამასთან, სასამართლომ გოგინაშვილის საქმეშივე გამოიყენა 2010 წლის 1-ელ ოქტომბრამდე და 1-ლი ოქტომბრის შემდეგ სიტუაციები და განმარტა მისი განსხვავებული

²³² *Nozadze v. Georgia* (dec.) [Committee], no. [41541/05](#), § 30, 9 May 2017.

²³³ *Goginashvili v. Georgia*, §55.

მიდგომა, რაც სწორედ საკანონმდებლო ცვლილებებით იყო განპირობებული. კერძოდ, დასაშვებობის ეტაპზე, იმაზე მსჯელობისას ამოწურა თუ არა საჩივრის ავტორმა შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებები, სასამართლომ ერთ ნაწილში (რომელიც მოიცავდა იმ პერიოდს, როცა ახალი პატიმრობის კოდექსი არ იყო ჯერ ძალაში შესული), დასაშვებად ცნო საჩივარი და არ მიიჩნია გამართლებულად ამ შემთხვევაში კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის²³⁴ მოქმედების გავცრელება, ხოლო მეორე ნაწილში (ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ პერიოდთან მიმართებით), ჩათვალა, რომ უნდა ამოქმედდეს კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და შესაბამისად, დაუშვებლად ცნო ამ ნაწილში, იმ არგუმენტით, რომ ამოწურული არ იყო შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებები.

ამ სახის პრეცედენტის შექმნის შემდეგ, 2010 წლის პირველი ოქტომბრის მერე შეტანილი ყველა საქმე, რომელშიც სადავოდ იყო გამხდარი ციხის ადმინისტრაციის მიერ პატიმრობაში მყოფი პირის უფლებების დარღვევის საკითხი და რომელშიც ახალი კანონმდებლობის შესაბამისად ამოწორული არ იყო შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებები, გოგინაშვილის საქმის საფუძველზე, დაუშვებლად ცხადდებოდა.

ამასთან, ერთ-ერთმა რესპონდენტმა მიაჩნია, იმ გავლენაზე, რომელიც სასამართლოს მიერ შეცვლილ პოლიტიკას სამომავლო საჩივრებზე შესაძლოა ჰქონოდა. კერძოდ, გასჩივრების მექანიზმის გამოყენების ვალდებულებას, თავის მხრივ, საერთო სასამართლოების გადატვირთულობისა და საქმეების განხილვის ვადების გათვალისწინებით, შესაძლოა ეროვნულ დონეზე დროში გაეწელა პროცესი და შესაბამისად, წლებითაც გადაევადებინა ევროპულ სასამართლოში მიმართვის შესაძლებლობა, ევროპულ სასამართლოს კი, ასევე მისი გადატვირთულობის გათვალისწინებით, თავის მხრივ, კიდევ უფრო გაეხანგრძლივებინა აპლიკანტის განცხადების განხილვა და მასზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის პროცესი. ამის გაცნობიერება კი არა მხოლოდ მოტივაციას აკარგვინებდა დაზარალებულს, არამედ პრაქტიკულად გასაჩივრებასაც უკარგავდა აზრს, რამდენადაც მისი საქმის განხილვის დროს, აპლიკანტი შესაძლოა აღარც კი ყოფილიყო პენიტენციურ დაწესებულებაში. შესაბამისად, რესპონდენტის ეს მოსაზრება გვაფიქრებინებს, რომ ამ სახის ცვლილებებს, რომელიც მნიშვნელოვანი ბარიერი აღმოჩნდა ევროპულ სასამართლოში საჩივრის შეტანის გზაზე, გარკვეულწილად, გადათქმევინების ეფექტი შეიძლება ჰქონოდა ზოგიერთ აპლიკანტზე.

სასამართლოს გადაწყვეტილებების საქართველოზე გავლენასთან დაკავშირებით, სასამართლო განსაკუთრებით ხაზს უსვამს სწორედ პატიმართა უფლებების დაცვის მხრივ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების შტოების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. ესენია, როგორც პატიმრობის შესახებ კანონში 2010 წელს განხორციელებული ცვლილებები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში - 2010 წელს, ასევე თავად სასჯელაღსრულების სისტემაში ჯანმრთელობის დაცვის მხრივ 2011-2013 წელს განხორციელებული ღონისძიებები (უკეთესი ინფრასტრუქტურა, უკეთ კვალიფიცირებული სამედიცინო პერსონალი, რეგულარული სამედიცინო შემოწმებები და

²³⁴ საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმში, რომლის მიხედვითაც, სასამართლო განიხილავს საკითხს, რომელიც მის წინაშე დაყენებულია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 4 თვის ვადაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა აპლიკანტის მიერ ამოწურულია ყველა შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალება. *"Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms", Article 35(1).*

პატიმართა მიმართ სათანადო მოპყრობა).²³⁵ კერძოდ, ციხის პირობების, როგორც ჯანმრთელობის დაცვის, ასევე სხვა პირობების, გაუმჯობესების პოზიტიურ ტრენდებზე, სასამართლომ ჯერ კიდევ 2011 წლის გადაწყვეტილებაში გაამახვილა ყურადღება, სადაც ხაზი გაუსვა, რომ: „სასამართლო შემდგომად ვერ დატოვებს მთავარ რეფორმას სასჯელაღსრულების სისტემაში, რომელიც საქართველოს სახელმწიფომ ამ საქმეზე კომუნიკაციის შემდეგ განახორციელა, როდესაც მიიღო ახალი პატიმრობის კოდექსი“.²³⁶ საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელი ამონარიდი, ისევე, როგორც პოზიტიური ტრენდების შესახებ ინფორმაცია და მათი გავლენების შეფასება, თავად საქართველოს მთავრობის მიერ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ სტრუქტურულ პრობლემებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან საჩივრებზე, ე.წ. ღავთაძის ჯგუფის საქმეებზე,²³⁷ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით 2014 წელს წარდგენილ ანგარიშშია ხაზგასმული.²³⁸ ეს მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც არც თავად მოქმედი ხელისუფლებისთვის არ არის სადავო ის ფაქტი, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მდგომარეობის გამოსწორება, რაც საფუძველი გახდა ევროპულ სასამართლოში ამ სახის საჩივრების კლების ტენდენციისა, ჯერ კიდევ 2010 წლიდან იწყება, რომლის შედეგიც შემდგომ პერიოდში გახდა ხელშესახები.

ამასთან, ის რომ ეს ღონისძიებები სახელმწიფოს დიდ მიღწევად და კონვენციის სისტემის ფარგლებში მოქცევისათვის მნიშვნელოვან ნაბიჯად შეფასდა, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ მსგავს საკითხზე ცვლილებების შემდეგ შესული საქმეებისთვის, ეს გადაწყვეტილებები, მეტწილად, მათი დაუშვებლად ცნობის საფუძველად იქცა ან ნაკლები პრიორიტეტის მიმნიჭებლად, რამდენადაც სასამართლო სისტემურ პრობლემას ამ მხრივ მოხსნილად მიიჩნევდა.

შესაბამისად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი რესპონდენტების მოსაზრება რეალობას ასახავდეს და ციხეში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებული საჩივრების მოკლე დროში რადიკალური კლება, სწორედ ამ ფაქტორებთან იყოს დაკავშირებული. თუმცა, აქვე უნდა განვიხილოთ პოლიტიკური მომენტიც, რომელზეც რესპონდენტებმა ასევე გაამახვილეს ყურადღება. „თუ გავითვალისწინებთ რომ ხელისუფლების ცვლილება დაკავშირებული იყო ციხის ამბებთან, პოლიტიკური ინტერესი დაკარგა ციხეში“ - განაცხადა ერთ-ერთმა რესპონდენტმა. მანვე დაასახელა რიგი გარემოებები, რამაც შესაძლოა პატიმართა განწყობებზე იქონია გავლენა, მათ შორის, ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე განხორციელებული უპრეცედენტო ამნისტია, რომელიც კანონმდებელთა განმარტებით, სამართლიანობის აღდგენას და მათ შორის, პოლიტპატიმრების გათავისუფლებას ისახავდა მიზნად და რომელიც ამავე დროს, მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირებით იყო

²³⁵Council of Europe, “European Court of Human Rights, “The ECHR And Georgia: Facts and Figures”.

²³⁶Council of Europe Committee of Ministers, Communication from Georgia concerning the *Ghavitadze* group of cases against Georgia (Application No. 23204/07)”, Secretariat Of The Committee of Ministers, 10 October 2014, 6. DH-DD (2014)1198.

<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804aa158>,

წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²³⁷ *Ghavitadze v. Georgia*, no. [23204/07](#), 3 March 2009; *Poghosyan v. Georgia*, no. [9870/07](#), 24 February 2009; *Mindadze v. Georgia*, no. [17012/09](#), 11 December 2012; *Jeladze v. Georgia*, no. [1871/08](#), 18 December 2012; *Ildani v. Georgia*, no. [65391/09](#), 23 April 2013.

²³⁸ Council of Europe Committee of Ministers, “DH-DD (2014)1198”.

მიზანშეწონილი.²³⁹ მართლაც, ამნისტია ათასობით ადამიანს შეეხო. ზოგიერთ მათგანს შეუმცირდა პატიმრობის ვადა, ხოლო ზოგიერთი პირდაპირ გათავისუფლდა. შედეგად, 2013 წელს პატიმართა რაოდენობა 2012 წელთან შედარებით, განახევრდა (იხ. [გრაფიკი 10](#)).

პოლიტიკური ინტერესის ჭრილში, ასევე, საინტერესოა პენიტენციურ დაწესებულებებში უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ საჩივრებზე საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებასა და ქმედებებზე დაკვირვება. კერძოდ, განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხული საქმეების ანალიზით, ირკვევა, რომ 2013 წლამდე არსებული პრაქტიკა განსხვავდება მის შემდეგ წლებში არსებული პრაქტიკისგან, რაც, დიდი ალბათობით, მთავრობის მიდგომის ცვლილებით არის განპირობებული, თუმცა უცნობია რა განაპირობებდა ამ ცვლილებას.

2013 წლამდე, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ საჩივრებთან დაკავშირებით, ხშირი იყო საჩივრის ამორიცხვა იმ საფუძველზე, რომ აპლიკანტს არ ჰქონდა ინტერესი დავის გაგრძელების, რამდენადაც მთავრობას სასამართლოში წარდგენილ მის პრეტენზიებთან დაკავშირებით ჰქონდა ადეკვატური რეაგირება და არ არსებობდა დავის გაგრძელების საფუძველი.²⁴⁰ ამორიცხვას ან მთავრობა ითხოვდა და აპლიკანტი თანხმდებოდა ან თავად აპლიკანტი ითხოვდა საჩივრის გახმობას იმ მოტივით რომ პენიტენციურ დაწესებულებაში გაუმჯობესდა მისი მდგომარეობა, ყოველგვარი ანაზღაურების მოთხოვნისა და მიღების გარეშე. ამასთან, როგორც ამორიცხვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ირკვევა, ასეთ შემთხვევაში მთავრობა წარადგენდა შესაბამის მტკიცებულებებს, რომლითაც დასტურდებოდა მის მიერ შესაბამისი რეაგირება და აპლიკანტის მდგომარეობის გაუმჯობესება.

თუმცა, 2013 წლიდან, დავის ამ სახით დასრულება არ გვხვდება. ნაცვლად ამისა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2013 წლამდე არსებულ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ საჩივრებზე ახალი ხელისუფლება დავას, უმეტესწილად, შეთანხმების გაფორმებით ასრულებდა, რომელიც სტანდარტულად, კონვენციის დარღვევის აღიარებასა და აპლიკანტისთვის კომპენსაციის გადახდას გულისხმობდა (მეტწილად 2 000 – 5 000 ევროს ფარგლებში), ზოგიერთ შემთხვევაში მორიგებასა და კომპენსაციის გადახდას, აპლიკანტის გათავისუფლებაც (მათ შორის ამნისტიისა თუ პრეზიდენტის მიერ შეწყალების გზით) უძღოდა წინ.²⁴¹ მეტიც, მთავრობა რიგ შემთხვევებში, არათუ მხარესთან შეთანხმებით, არამედ პირდაპირ ცალმხრივი დეკლარაციის გაფორმების გზით დავის დასრულების სურვილსაც გამოხატავდა, თუმცა, დეკლარაციის პირობებზე მეორე მხარის თანხმობა, მას მეგობრულ მორიგებად აქცევდა.²⁴²

²³⁹ საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 202-რს, 28/12/2012. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1819020?publication=0>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁴⁰ მაგ. იხ. *Sanamashvili v. Georgia* (striking out) [Committee], no. [26173/10](#), 14 December 2010; *Gabedava v. Georgia* (striking out) [Committee], no. [65063/09](#), 28 January 2011 და სხვა.

²⁴¹ მაგ. საქმეზე გუჯეჯიანი საქართველოს წინააღმდეგ, აპლიკანტი 2012 წლის 31 დეკემბერს გაათავისუფლეს, ნაცვლად სასჯელით განკუთვნილი 2020 წლის 22 მარტისა იხ. *Gujejiani v. Georgia* (striking out) [Committee], no. [40123/10](#), 14 May 2013; ასევე *Kekelia v. Georgia* (striking out) [Committee], no. [32997/10](#), 14 May 2013; *Kikvadze v. Georgia* (striking out) [Committee], no. [5456/09](#), 14 May 2013; *Abashidze v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [51437/10](#), 18 June 2013.

²⁴² *Bakradze v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [3658/10](#), 20 May 2014.

2013 წლამდე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული მიდგომის ჩამოყალიბების კონტექსტში, განსაკუთრებით საყურადღებოა, ასევე საქმე *ბარბაკაძე საქართველოს წინააღმდეგ (Barbakadze v. Georgia)*, სადაც მართალია მთავრობას ჯერ კიდევ 2011 წელს წარდგენილი ჰქონდა მტკიცებულებები, რითაც დასტურდებოდა რომ მათ დაიწყეს აპლიკანტისთვის მკურნალობა, თუმცა, მთავრობის ინიციატივით, 2014 წელს ამ საქმეზეც შეთანხმება შედგა, რომლის მიხედვითაც, საჩივრის გახმოვანების საწინააღმდეგო, მთავრობამ, აპლიკანტს, კომპენსაციის სახით, 2 500 ევრო შესთავაზა.²⁴³ ამორიცხვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მოცემული მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტიანი თუ არა ეფექტიანი იყო მთავრობის მიერ თავის დროზე გადადგმული ნაბიჯები და რამდენად იდგა მთავრობა კონვენციის დარღვევის აღიარების საჭიროების წინაშე და რატომ არ იყო შესაძლებელი ძველი პრაქტიკის მიხედვით, ამ შემთხვევაშიც, მორიგების გარეშე ამორიცხულიყო საჩივარი განსახილველ საქმეთა სიიდან. მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი საქმეზე *კობულიძე საქართველოს წინააღმდეგ (Kobulidze v. Georgia)*²⁴⁴ და საქმეზე *ბაკურიძე საქართველოს წინააღმდეგ (Bakuridze v. Georgia)*,²⁴⁵ სადაც ერთი მხრივ, მთავრობამ 2010 წელს წარადგინა მტკიცებულება მკურნალობის შესახებ, ხოლო, დამატებით, 2013 წელს ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლდა აპლიკანტი, თუმცა მთავრობა მასთან მაინც მორიგდა და კომპენსაციის სახით 3 500 ევრო შესთავაზა საჩივრის ავტორს.²⁴⁶

როგორც აღინიშნა, უცნობია თუ კონკრეტულად რამ განაპირობა პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანმრთელობის პირობების დარღვევასთან დაკავშირებულ საჩივრებზე საქმეების განსხვავებული შედეგით დასრულება და მათი განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვა. კერძოდ, ეს მთავრობის მიდგომის ცვლილების შედეგია თუ თავად აპლიკანტების, რომლებიც წინა შემთხვევებში თავად აცხადებდნენ პრობლემის გადაჭრის შედეგად ევროპულ სასამართლოში საქმის დახურვის სურვილს, ხოლო ახალი ხელისუფლების პირობებში, უარს ამბობდნენ საქმის შეწყვეტაზე, მთავრობისგან სტანდარტული კომპენსაციის მიღების იმედით. თავის მხრივ, მთავრობის მიდგომის ცვლილებაში შეიძლება დავინახოთ ერთი მხრივ, რაც შეიძლება მეტ საჩივარზე დარღვევის აღიარების სურვილი ან თუნდაც, აპლიკანტებისთვის მიყენებული ზიანისთვის (მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ თავად გადადგა ნაბიჯები მის გამოსასწორებლად), კომპენსაციის მიცემის სურვილი.

მთავრობის მიდგომის ცვლილებაზე საუბრისას, არანაკლებ საყურადღებოა თავად განმცხადებლების ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირება, რაც თავის მხრივ შესაძლოა ხსნიდეს განსხვავებულ პრაქტიკას. კერძოდ, ადვოკატი მამუკა ნოზაძე, რომლის საქმიანობაც სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებად არაერთგზის შეფასდა, მათ შორის, სასამართლოს მხრიდან კრიტიკდებოდა იმისათვის, რომ მთავრობასთან მორიგების შესახებ მარწმუნებლის სურვილის მიუხედავად ითხოვდა

²⁴³ *Barbakadze v. Georgia* (striking out) [Committee], no. [13008/11](#), 11 March 2014.

²⁴⁴ *Kobulidze v. Georgia* (striking out) [Committee], no. [30385/10](#), 11 March 2014.

²⁴⁵ *Bakuridze v. Georgia* (striking out) [Committee], no. [26538/10](#), 11 March 2014.

²⁴⁶ ასევე, ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლდა აპლიკანტი შემდეგ საქმეში: *Sarukhanyan v. Georgia* (striking out), no. [56161/09](#), 11 March 2014.

საქმის განხილვის გაგრძელებას. თავად ადვოკატის განმარტებით, მარწმუნებლის სურვილის საწინააღმდეგოდ იქცეოდა იმ მოტივით, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა პატიმრობაში მყოფი მარწმუნებლის ნების თავისუფლებას და აცხადებდა, რომ მათზე აღმასრულებელი ხელისუფლების პირები ახდენდნენ გავლენას (რასაც თავად მარწმუნებლები უარყოფდნენ).²⁴⁷ ის თუ რამდენად ჰქონდა ადგილი წინა ხელისუფლების პირობებში მსგავს პრაქტიკას, ასევე განმცხადებლებისა თუ მთავრობის წარმომადგენლების ქცევის განმსაზღვრელი მოტივების კვლევა, ცდება წინამდებარე კვლევის ფარგლებს და საჭიროებს დამატებით სიღრმისეულ კვლევას.

3.2.4. 2012 წელს ხელისუფლების ცვლილება და მასთან დაკავშირებული მოლოდინები

რესპონდენტებმა 2012 წლიდან საჩივართა რადენობის მკვეთრი კლების შესაძლო მიზეზად ერთხმად დააფიქსირეს 2012 წელს ხელისუფლების სათავეში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლა და მისგან გამომდინარე მოლოდინებისა და აღქმების ცვლილების გავლენა. შესაბამისად, ეს ქვეთავი სწორედ ამ ფაქტორის გამოკვლევას დაეთმობა.

ჯერ კიდევ „ქართული ოცნების“ 2012 წლის საარჩევნო პროგრამა, სასამართლოს სისტემის ინსტიტუციურ რეფორმას ითვალისწინებდა, რაც თავის მხრივ, ძირეული ცვლილების გატარებას გულისხმობდა, როგორც საერთო სასამართლოების სისტემაში, ისე საკონსტიტუციო სასამართლოში.²⁴⁸ კერძოდ, პროგრამა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოებით, ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანი შიდა სამართლებრივი დაცვის მექანიზმის შექმნას ითვალისწინებდა, რაც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილების მინიჭებას გულისხმობდა.

„საკონსტიტუციო სასამართლო შეასრულებს ერთგვარი ფილტრის ფუნქციას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან მიმართებით. იგი გახდება ეგრეთ წოდებული „პატარა სტრასბურგი“ ადამიანის უფლებათა დასაცავად და, თავის მხრივ, დაეფუძნება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციასა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს“ - ვკითხულობთ საარჩევნო პროგრამაში.²⁴⁹

²⁴⁷ მაგ. იხ. *Kotchlamazashvili v. Georgia* (striking out), no. [42270/10](#), 3 April 2012; *Aladashvili v. Georgia* (striking out), no. [17491/09](#), 3 April 2012.

²⁴⁸ საარჩევნო ბლოკი „ზიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ – 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო პროგრამა, თბილისი, 2012.

<http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁴⁹ Ibid., 10.

პარტია „ქართული ოცნების“ თვალთახედვით, მათ მიერ შემუშავებული ახალი მოდელი მნიშვნელოვნად შეამცირებდა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან შეტანილ საჩივართა რაოდენობას.²⁵⁰

მეტიც, იუსტიციის მინისტრის პოსტის დაკავებიდან მალევე, თეა წულუკიანი მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ ინიციატივით გამოვიდა და შესაბამისი კანონპროექტი შეიმუშავა,²⁵¹ რომელიც 2004 წლის პირველი იანვრიდან 2012 წლის პირველ ნოემბრამდე სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი სასამართლო განაჩენების გადასინჯვასა და იმ პირებთან მიმართებით კანონის და სამართლიანობის აღდგენას ისახავდა მიზნად, რომლებიც უკანონოდ ან/და უსამართლოდ გაასამართლეს. შესაძლოა სწორედ აღნიშნულმა დაპირებამაც, რომლის პოპულარიზაციაც საზოგადოებაში აქტიურად მიმდინარეობდა, იქონია დამატებითი გავლენა ევროპული სასამართლოსგან ინდივიდების მოლოდინების ეროვნულ დონეზე მიღწევით ჩანაცვლებაზე.

თუმცა, 2013 წლის მიწურულს, იუსტიციის მინისტრმა დროებით და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, სამუდამოდ, უარი თქვა აღნიშნულ ინიციატივაზე.²⁵² უარის ოფიციალურ მიზეზად საკმარისი რესურსების არარსებობა დასახელდა. სისრულეში, არც „პატარა სტრასბურგის“ შექმნის იდეა მოსულა.

ერთ-ერთი რესპონდენტის დაკვირვებით, ამ სახის მოლოდინებმა, რომლებიც რიგ შემთხვევაში არ გამართლდა, არაერთი საჩივარი ევროპულ სასამართლოში განხილვის პერსპექტივის გარეშე დატოვა.

„2012-ში უკმაყოფილო ხალხი შემცირდა. დაკავებები იყო შემცირებული და მიმართვიანობა შემცირდა და ხალხს მიეცა იმედი, რომ სულ რომ დააკავონ, პროკურატურა გამოიძიებს და სასამართლო გამოიტანს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. ამის ფონზე თავს იკავებდნენ სტრასბურგისთვის მიმართვაზე. ეს გაგრძელდა რამდენიმე წლის განმავლობაში. დაახლოებით 4-5 წელი. ამის მერე კი უკვე დაგვიანებული იყო სასამართლოსთვის მიმართვა... მიმართვის საფუძველი რომც ყოფილიყო არსებითი კუთხით, დასაშვებობის პრობლემა იქმნებოდა და გაგზავნას აზრი არ ჰქონდა“.

ამასთან, თავად რესპონდენტმავე განმარტა თუ რატომ იყო ასეთ შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვა დაგვიანებული. კერძოდ, მან მიუთითა სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც არაეფექტიან გამოძიებაზე საჩივრით მიმართვისას, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ მომენტს, საიდანაც მომჩივანი აღმოაჩენს, რომ გამოძიება არის არაეფექტიანი და 6-თვიანი ვადა სწორედ აქედან აითვლება. ასევე, როგორც საიას წარმომადგენელმა დააზუსტა ეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებით:

²⁵⁰ Ibid., 9-10.

²⁵¹ „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20/05/2013. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1924705?publication=0>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁵² „წულუკიანის თქმით, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა შეჩერდა,“ Civil.ge 28 ნოემბერი, 2013. <https://old.civil.ge/geo/article.php?id=27613>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

„მომჩივანს ამ სახის საქმეებში ევალება, რომ მისდიოს საქმეს და მაქსიმალურად დროულად და დროში ადეკვატურად აკონტროლოს პროკურატურა. ის ფაქტი, რომ მომჩივანს ერთი წელი არ მოუკითხავს საქმე, იმის მიუხედავად რომ გამოძიება მიმდინარეობდა, სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში შიდა სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის ნაწილში, განუხილველად დატოვების საფუძვლად ჩათვალა, იმიტომ რომ მომჩივანი უფრო ადრე უნდა მიმხვდარიყო რომ არაეფექტიანი იყო უფლების დაცვის საშუალება“.

შესაბამისად, ისევ წინა რესპონდენტის მიერ შემოთავაზებულ ლოგიკას რომ დავუბრუნდეთ, იმ შემთხვევებში როდესაც მოლოდინებ გაცრუებული ადამიანები 5 წლის მერე ხვდებოდნენ რომ პროკურატურა მათ საქმეზე არაფერს აკეთებდა და შემდეგ იწყებდნენ ევროპულ სასამართლოზე ფიქრს, მათი საჩივრები პროცედურული თვალსაზრისით უკვე დაგვიანებული იყო. *„ამან გამოიწვია რომ გამოძიების არაეფექტიანობაზე თითქმის აღარ იგზავნებოდა საჩივრები“*.

მოლოდინებთან დაკავშირებით, აქვე უნდა აღინიშნოს რამდენიმე რესპონდენტის მიერ დასახელებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფაქტორი, რომელშიც, მეტწილად, 2012 წლიდან საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობადობის, მის მიერ გამოტანილი არაერთი რეზონანსული და პოლიტიკური ხელისუფლების შემზღუდავი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, მის მიმართ ნდობის ზრდა და იმ განცდის გაჩენა იგულისხმება, რომ ევროპულ სასამართლოში წასვლის გარეშე კი შესაძლებელი იყო ეროვნულ დონეზე, გარკვეულწილად, უფლებების ეფექტიანი დაცვა. *„საკონსტიტუციო სასამართლო არის ასევე მნიშვნელოვანი. რადგან ის მაინც ახერხებდა გარღვევებს და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების დადებას. ყოველ შემთხვევაში ეს ხდებოდა 2016 წლამდე“* - განაცხადა ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

თუმცა, ის თუ რა დროიდან ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ ამ ნდობის ჩამოყალიბება, რამ განაპირობა ან როდის და რატომ დასრულდა, ეს ცალკე სიღრმისეული კვლევის საგანია, რაც სცდება აღნიშნული კვლევის ფარგლებს. ამასთან, მართალია აკადემიურ ლიტერატურაში, ბოლო დროს, ეროვნულ დონეზე ევროპული სასამართლოს პრაქტიკის იმპლემენტაციის ხელშემწყობ მნიშვნელოვან ინსტიტუციად საკონსტიტუციო სასამართლოები სახელდება, რაც თავის მხრივ, იდეალურ სცენარში შეიძლება ევროპული სასამართლოს განტვირთვის საშუალებად იქცეს,²⁵³ არ უნდა დაგვავიწყდეს რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ წარმოადგენს ევროპული სასამართლოსთვის იმ ინსტიტუციას, რომლისთვის მიმართვა ან არ მიმართვა გავლენას იქონიებდა დასაშვებობის ეტაპზე, შიდა სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ამოწურვის მექანიზმის გამოყენებაზე მსჯელობისას.²⁵⁴

შესაბამისად, ამ კვლევის ფარგლებში რესპონდენტთა აღნიშნული მოსაზრების განვრცობას არც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და ამასთან, კვლევის შეზღუდული

²⁵³ Kosar and Petrov, *“The Architecture of the Strasbourg System of Human Rights: The Crucial Role of the Domestic Level and the Constitutional Courts in Particular”*.

²⁵⁴ *Apostol v. Georgia*, no. 40765/02, § 46, 28 November 2006.

ფოკუსის გათვალისწინებით, არც მისი ფაქტებით გამყარება ან გაბათილდება არის შესაძლებელი.

3.2.5. სასამართლოში გართულებული პროცედურები და გადათქმევინების ეფექტი

მეორე თავში დეტალურად არის განხილული ყველა ის რეფორმა და მათგან მომდინარე გართულებული პროცედურები, რომლებმაც ინდივიდუალურ აპლიკანტს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის გზაზე არაერთი ბარიერი დაუწესა. ერთი მხრივ, სასამართლოს უკიდურესმა გადატვირთულობამ და აქედან გამომდინარე ადამიანის უფლებების დარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების შესაძლებლობის დაკარგვამ, გადათქმევინების ეფექტი იქონია აპლიკანტებზე, რომელთაც მოლოდინები არ გაუმართლდათ და გული აიცრუეს სასამართლოზე. თუმცა, მეორე მხრივ, ამ პრობლემაზე საპასუხოდ, სასამართლოს რეაგირებამ, იმდენად ბევრი დაბრკოლება შეუქმნა აპლიკანტებს და იმდენად გაურთულა მათ სასამართლოსთვის მიმართვა, რომ ბევრისთვის შესაძლოა ამ ფაქტორებსაც გადათქმევინების ეფექტი ჰქონოდა. რესპონდენტებმა, სწორედ ამ გავლენებზე გაამახვილეს ყურადღება კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუსას.

კერძოდ, იმ პროცედურული ცვლილებებიდან, რომელთაც დიდი გავლენა იქონია სასამართლოში საქმეების რაოდენობაზე, რესპონდენტებმა, დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, გამოყვეს: 1. **ერთი მოსამართლის დანაყოფის შექმნა და ამ გზით საჩივართა დაუშვებლად ცნობის პრაქტიკა**; 2. **საჩივრის გართულებული ფორმა**; 3. **სასამართლოში მიმართვის ვადასთან დაკავშირებით გამკაცრებული მიდგომა**. შესაბამისად, საჭიროა თითოეული მათგანის ცალ-ცალკე განხილვა.

3.2.5.1. ერთი მოსამართლის დანაყოფის შექმნა

როგორც [2.3. ქვეთავში](#) განხილული, კონვენციის მე-14 ოქმის საფუძველზე, ერთი მოსამართლის დანაყოფი შეიქმნა, რომელსაც აშკარად დაუშვებელი საჩივრების განხილვა დაევა. საქართველოსთან მიმართებით, ეს ცვლილება 2009 წლის 1-ლი ოქტომბრიდან შევიდა ძალაში. თუმცა რამდენადაც არ არსებობს ზუსტი, ჩაშლილი სტატისტიკა იმისა თუ დაუშვებლად ცნობილი საჩივრებიდან რა წილი მოდის ერთი მოსამართლის დანაყოფის მიერ დაუშვებლად ცნობილ საჩივრებზე, ამასთან, ერთი მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით, სასამართლოს გადაწყვეტილებათა არც საძიებო სისტემაში იტვირთება, არ არის საჯარო და შესაბამისად უშუალოდ ამ გზით მათი რაოდენობის დადგენის შესაძლებლობასაც მოკლებულნი ვართ, შეუძლებელია იმის ზუსტად თქმა თუ, ჯამში, ერთი მოსამართლის დანაყოფმა რამდენი საჩივარი ცნო დაუშვებლად.²⁵⁵

ეს მონაცემები საყურადღებოა იმ ფონზე, რომ ერთი მოსამართლის მიერ საქმის განხილვა, პირველ ეტაპზე საკმაოდ ბევრ წუხილს იწვევდა საჩივრის ავტორებისათვის.


²⁵⁵ ამასთან, ერთი მოსამართლის განსახილველ საქმეებზე გადაწყვეტილებები არც HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში ქვეყნდება. ხელმისაწვდომია: <https://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=caselaw/HUDOC&c=>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

ცვლილებას, რომლის მთავარი მიზანი სასამართლოს დროული განტვირთვა წარმოადგენდა, კრიტიკოსები ეჭვის თვალით უყურებდნენ, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს დასაბუთება ასეთ შემთხვევაში შაბლონური და მწირი იყო და არ იძლეოდა ერთი მხრივ, კონკრეტული საჩივრის ავტორისთვის პასუხებს იმაზე თუ რა საფუძვლით ეთქვა უარი მას საჩივრის შემდგომ განხილვაზე, ხოლო მეორე მხრივ, შემაფერხებელი იყო სხვა აპლიკანტებისთვისაც, რამდენადაც სასამართლოს მიდგომას კონკრეტული საკითხის მიმართ და სტანდარტს ბუნდოვანს ტოვებდა, რაც ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, იწვევდა ორჭოფობას იმაზე, უნდა გაგზავნილიყო თუ არა იგივე ტიპის საჩივარი.

მას შემდეგ რაც ეს პრობლემა სასამართლოს ფოკუსში მოექცა და ბრიუსელის კონფერენციაზე მასზე რეაგირება ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახელდა,²⁵⁶ 2016 წლიდან ამ მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა.²⁵⁷ სათანადო დასაბუთებულობის ვალდებულებამ, აპლიკანტებს გაუადვილათ იმის გაგება თუ კონკრეტულად რამ განაპირობა მათი საჩივრების დაუშვებლად ცნობა, შესაბამისად, მეტ-ნაკლებად შესაძლებელი გახდა შემდეგი საჩივრების პერსპექტიულობის პროგნოზირება. თუმცა, ფაქტია, რომ ამ პერიოდში სასამართლო ათასობით საჩივრისგან „გაიწმინდა“, დასაბუთებული, არგუმენტირებული უარის გარეშე, რასაც, შესაძლოა, არა მხოლოდ გადათქმევინების ეფექტი ჰქონოდა პოტენციური აპლიკანტებისთვის, არამედ სასამართლოს მიმართ ნდობაზეც უარყოფითად ემოქმედა.

უშუალოდ სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით, მხოლოდ იმის დანახვაა შესაძლებელი, რომ 2013 წლიდან რადიკალურად იკლებს ერთი მოსამართლის დანაყოფისა და კომიტეტის მიერ, VI-VII კატეგორიების საქმეებზე განსახილველი საჩივრების რიცხვი მაშინ, როცა 2010 წლისთვის მათი რიცხვი 501-ს შეადგენდა, 2011 წ. – 589; 2012 წ. – 400-ს (იხ. [გრაფიკი 11](#)).

გრაფიკი 11: ერთი მოსამართლისა და კომიტეტის წინაშე, საქართველოს წინააღმდეგ არსებული VI-VII კატეგორიების საქმეებზე საჩივრების რაოდენობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ ევროპული სასამართლოს წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით.

²⁵⁶ "Brussels Declaration".

²⁵⁷ Speech given by Mr Guido Raimondi, President of the European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial Year, 29 January 2016. in. Council of Europe, "Annual Report 2016 of the European Court of Human Rights", 18.

[გრაფიკი 11](#)-დან ირკვევა, რომ 2013 წლის ბოლოდან მცირდება ერთი მოსამართლისა და კომიტეტის წინაშე არსებული VI-VII კატეგორიის საქმეებზე განსახილველ საჩივართა რაოდენობა. მართალია ერთი მოსამართლის დანაყოფის მიერ დაუშვებლად ცნობილ საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებები საჯარო არ არის, თუმცა კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია და ისინი [დანართ 2](#)-შია წარმოდგენილი. მათი რაოდენობის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ [გრაფიკი 11](#) -ში წარმოდგენილი სურათი, რომელიც 2013 წლიდან ერთი მოსამართლის დანაყოფისა და კომიტეტის წინაშე VI-VII კატეგორიის საჩივრების რაოდენობის მკვეთრ შემცირებას გულისხმობს, სწორედ ერთი მოსამართლის დანაყოფის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგია.

3.2.5.2. საჩივრის სპეციალური (გართულებული) ფორმა

როგორც [2.4 ქვეთავშია](#) განხილული, 2014 წლის 1-ლი იანვრიდან სასამართლოს რეგლამენტის 47-ე მუხლის მიხედვით, გართულდა განცხადების შეტანის პროცესი. კერძოდ, დაწესდა საჩივრის სპეციალური ფორმით შეტანის ვალდებულება, რაც როგორც აღინიშნა, განმცხადებელთა მხრიდან მეტ სიფრთხილესა და შესაძლოა, მეტ ცოდნასაც მოითხოვდა, რადგან ფორმის რომელიმე ნაწილის შეუვსებლობა ან არასწორედ შევსება, საჩივრის ავტომატურად მიუღებლობას გამოიწვევდა.

როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა განმარტა, პირველ ეტაპზე ახალი ფორმა ბევრ კითხვას ბადებდა. მართალია არსებობდა შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები, თუმცა ბევრი ნიუანსის გათვალისწინება იყო საჭირო და საბოლოო ჯამში, მაინც „პრაქტიკაში უწევდათ დატესტვა“ თუ როგორ მუშაობდა ახალი ფორმა. მაშინ როდესაც სასამართლოში სამართალწარმოების გამოცდილების მქონე ადამიანებისთვისაც კი ბევრი ბუნდოვანება არსებობდა, გასაკვირი არ არის, რომ ეს ფორმა მით უფრო დიდ დაბრკოლებად იქცა ისეთი პირებისთვის, რომელთაც არ ჰყავდათ შესაბამისი კომპეტენციის მქონე წარმომადგენელი. რესპონდენტმა გაიხსენა ისეთი შემთხვევები, როდესაც ამ ფორმისა (რომლის შევსებაც თავად უწევდათ აპლიკანტებს) და თანმხლები სირთულეების გამო, ადამიანებმა სასამართლოსთვის მიმართვა გადაიფიქრეს.

თუკი სასამართლოს მთლიან სურათს შევხედავთ, ვნახავთ, რომ 2014-2015 წლებში ადმინისტრაციული წესით ამორიცხულ საჩივართა რაოდენობა სხვა წლებთან შედარებით, მაღალია (იხ. [გრაფიკი 5](#)), რაც სწორედ გართულებულ ფორმას უკავშირდება. ეს რიცხვი 2016 წლიდან სტაბილურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ფორმის სირთულეს ხანგრძლივი ეფექტი არ ჰქონია, რაზეც სასამართლომაც გაამახვილა ყურადღება, თუმცა, ის რაც სტატისტიკაში არ ჩანს, არის სწორედ იმ პირთა რაოდენობა, რომლებისთვისაც ეს ფაქტი, სასამართლოსთვის მიმართვისთვის გადათქმევინების საფუძველი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, სტატისტიკურ ანგარიშებში არ არის ინფორმაცია თუ უშუალოდ საქართველოს წინააღმდეგ შეტანილმა რამდენმა საჩივარმა ვერ გაიარა ადმინისტრაციული წესით დასაშვებობა.

3.2.5.3. სასამართლოში მიმართვის ვადასთან დაკავშირებით შეცვლილი პოლიტიკა

რესპონდენტთა განმარტებით, საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დავის სურვილის მქონე პირებზე, სასამართლოსთვის მიმართვის ვადასთან დაკავშირებით შეცვლილმა პოლიტიკამაც იქონია გავლენა. კერძოდ, როგორც [2.4 ქვეთავშია](#) განხილული, სასამართლოს ღმობიერი მიდგომა, რომლის მიხედვითაც, განმცხადებლის მხრიდან გასაჩივრების ვადის დაცვისა და მისი გახანგრძლივების მიზნით, საკმარისი იყო თუნდაც სასამართლოსთან მარტივი კომუნიკაციის დამყარება, რაც განაცხადის წარდგენას და მისი მოკლე შინაარსის გაცნობას გულისხმობდა, შემდეგ კი დამატებითი დოკუმენტაციის სრულად წარდგენას, 2014 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედებული წესით სასამართლოს მხრიდან ხისტი მიდგომით შეიცვალა. ახალი წესი, არ იძლევა ამ შესაძლებლობას და მისი მიხედვით, განმცხადებელი ვალდებულია 6 თვით ვადაში წარადგინოს საჩივარი სრულად, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარი განუხილველად დარჩება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ 6 თვიანი ვადა, 2022 წლიდან 4 თვემდე შემცირდა, რაც კიდევ უფრო ურთულესს განმცხადებელს მიმართვის შესაძლებლობას ყველა სხვა გართულებული პროცედურის ფონზე.

როგორც ფორმის ცვლილებასთან დაკავშირებით ნაწილში აღინიშნა, შესაძლოა სტატისტიკური მონაცემების შესაბამისი დამუშავების შემთხვევაში ვნახოთ თუ რამდენ განმცხადებელზე იმოქმედა უარყოფითად შეცვლილმა პოლიტიკამ, თუმცა, სტატისტიკაში ვერ მოხვდებიან ის ადამიანები, რომელთაც საჩივრის მომზადება და შეტანა ვერ მოასწრეს ამ დროში ან ამ და სხვა სირთულეების გამო, უარი თქვეს უფლებების ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დაცვაზე.

შეჯამებისთვის - განხილული ცვლილებების და სასამართლოში საქმეების რაოდენობის ანალიზზე დარყდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავად სასამართლოს მიერ საპროცესო ნაწილში გატარებულ პოლიტიკას, 2012 წლის შემდეგ პერიოდში, საქართველოს წინააღმდეგ საქმეთა წარმოებაზე ჰქონდა გავლენა (თუმცა ამ გავლენის ზუსტი შეფასებისა და რიცხვებში გამოსახვის შესაძლებლობას მოკლებულნი ვართ). კერძოდ, ერთი მხრივ, ევროპული სასამართლოსთვის მიმართვიანობის, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოს დანაყოფებისთვის გადაცემული საჩივრების რაოდენობის კლების კუთხით. აღნიშნული კი მოსალოდნელი იყო, რადგან სასამართლოს პოლიტიკა - ადამინისტრაციულ-ბიუროკრატიული ბარიერების შექმნა - საქმეებს მიღების პროცედურის გართულებას გულისხმობდა. ამ უკანასკნელის მიზანივე იყო მთლიანად სასამართლოში საქმეების შედინების შემცირება.

3.2.6. მეგობრული მორიგებები და ცალმხრივი დეკლარაციები

როგორც [2.6 ქვეთავშია](#) განხილული, დავის მეგობრული მორიგებით ან ცალმხრივი დეკლარაციით დასრულებას, დადებითთან ერთად, ბევრი პრობლემური მხარეც აქვს. თუმცა, სასამართლოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, დავების ალტერნატიული გზით და რაც შეიძლება სწრაფად და ნაკლები რესურსის დანახარჯით, საქმეების განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვა, თავად სასამართლოს მხრიდან იყო წახალისებული და მხარდაჭერილი. შესაბამისად, წლების განმავლობაში მეგობრული მორიგებებისა და ცალმხრივი დეკლარაციების ზრდის ტენდენცია თვალშისაცემია, რაც საქართველოს შემთხვევაშიც იყო გაზიარებული.

სწორედ ამ ფაქტზე გაამახვილა ყურადღება ერთ-ერთმა რესპონდენტმა. კერძოდ მან ამ მექანიზმების გზით დავის დასრულების ტენდენცია მთავრობის პოლიტიკურ ინტერესს დაუკავშირა, რაც მისივე განმარტებით, ასევე, დაემთხვა ევროპული სასამართლოს ინტერესს:

„პრაქტიკულად მორიგების ამბავში სასამართლოს ინტერესი და ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესი ერთმანეთს დაემთხვა. სასამართლოს თავისი ინტერესი ჰქონდა რომ საქმეები ამოერიცხა დროულად და განეტვირთა სასამართლო, ხელისუფლებას კი თავისი ინტერესი, რომ რაც შეიძლება მეტ საქმეზე ელიარებიანა წინა ხელისუფლების დროს დარღვევების ფაქტები და მორიგებოდა“.

ამ მოსაზრების მიხედვით, დავის არსებითი განხილვის გარეშე გადაწყვეტა, კონვენციის დარღვევის აღიარებითა თუ მის გარეშე, 2012 წლის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ახალი მმართველი ძალის ინტერესში იყო, იმდენად, რამდენადაც ამით აღიარება მოხდებოდა იმ ფაქტის, რომ მათი წინამორბედი ხელისუფლების დროს კონვენციის და შესაბამისად, ადამიანის უფლებების დარღვევას მასიური ხასიათი ჰქონდა. ამასთან, იმდენად, რამდენადაც ცალმხრივი დეკლარაციისა თუ მეგობრული მორიგების აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს ზოგადი ღონისძიებების გატარების ვალდებულების აღება, მთავრობა თავიდან აირიდებდა ამ სახის ვალდებულებებს და უმეტესწილად, კომპენსაციის გადახდით ან ეფექტიანი გამოძიების წარმოების ვალდებულებით შემოიფარგლებოდა. ის ფაქტი კი, რომ ამ მექანიზმების გამოყენება თავად სასამართლოს ინტერესს წარმოადგენდა, თავის მხრივ, ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლოა, სასამართლოს დავის დროულად და მარტივად დასრულების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, ნაკლები ბარიერი დაეწესებინა მთავრობისთვის და ნაკლებ ფილტრშიც გაეტარებინა თითოეული ის საქმე, რომელშიც მეგობრული მორიგების სურვილს დაინახავდა.

კვლევის დროს გამოკითხული მეორე რესპონდენტი ამ მექანიზმის გამოყენების ზრდის ტენდენციაში თავისთავად პრობლემას ვერ ხედავს. მისი აზრით, კვლევის საგანი უნდა იყოს არა ის თუ რამდენად ხშირად მიმართავდა მთავრობა ამ მექანიზმს, არამედ ის თუ რამდენად შენარჩუნდა ეს პრაქტიკა და რამდენად თანმიმდევრულია ამ მხრივ მთავრობის ქმედებები.

ამასთან, მართალია რესპონდენტთა უმრავლესობა ამ მექანიზმის დადებით მხარეებზეც ამახვილებს ყურადღებას, თუმცა, პრაქტიკიდან გამომდინარე, არაერთ პრობლემურ საკითხზეც მიგვითითებენ, რაც სასამართლოს მხრიდან მათი გამოყენების წახალისებისა და გამოყენების მაჩვენებლის ზრდის ფონზე, კიდევ უფრო აქტუალური და საყურადღებო ხდება და შეიძლება ითქვას, რომ პოტენციური აპლიკანტისთვის დამაფიქრებელია თუ რამდენად უღირს ევროპულ სასამართლოში დავა, რომელიც, დიდი ალბათობით, შეიძლება სწორედ ამ მექანიზმების გამოყენებით დასრულდეს.

შესაბამისად, მართალია ერთი შეხედვით ეს გზა მომგებიანი უნდა იყოს როგორც სასამართლოსთვის, ასევე თავად მხარეებისთვისაც, თუმცა არის ამ მექანიზმებისთვის დამახასიათებელი ნიუანსები, რომლებიც უფრო სიღრმისეულ მსჯელობას საჭიროებს მის შესახებ უფრო ზუსტი სურათის დასანახად და ასევე, არსებობს ნიუანსები, რომლებიც პრაქტიკაში იჩენს თავს და შესაბამისად, გავლენას ახდენს ამ სურათზეც.

წინამდებარე ქვეთავში ცალ-ცალკე იქნება განხილული საქართველოსთან მიმართებით თითოეული ამ მექანიზმის გამოყენების პრაქტიკა და პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემური საკითხები, შემდეგ კი შეჯამებული იქნება ყველა ეს ფაქტორი და აღნიშნული მექანიზმები გაანალიზებული იქნება რესპონდენტთა პერსპექტივიდან.

3.2.6.1. მეგობრული მორიგების პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით

ა) მეგობრული მორიგების შემთხვევაში საჩივრის კონვენციის 39-ე მუხლის საფუძველზე ამორიცხვა

ევროპული კონვენცია კონკრეტულად მეგობრული მორიგების გზით საჩივრის ამორიცხვას 39-ე მუხლით არეგულირებს. ამორიცხვის ამ საფუძველს თავისი სპეციფიკა აქვს და სხვა საფუძვლებისგან გამოირჩევა იმით, რომ სასამართლოს წინაშე წარმოებული პროცედურა კონფიდენციალურია და რაც მთავარია, მორიგების პირობების აღსრულებას მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობს.²⁵⁸

საქართველოს წინააღმდეგ განსახილველ საქმეთა სიიდან მეგობრული მორიგების საფუძველით საჩივრის ამორიცხვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების²⁵⁹

²⁵⁸ "Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms", Article 39.

²⁵⁹ გასათვალისწინებელია, რომ გადაწყვეტილებათა რაოდენობა შესაძლოა არ ემთხვეოდეს საჩივართა რაოდენობას, რამდენადაც, თითოეული გადაწყვეტილება შესაძლოა რამდენიმე საჩივარს აერთიანებდეს.

(განჩინებების)²⁶⁰ ანალიზი²⁶¹ გვიჩვენებს, რომ უშუალოდ 39-ე მუხლის საფუძველზე²⁶² საჩივრების ამორიცხვასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ 48 გადაწყვეტილებაა მიღებული²⁶³ (იხ. [დანართი 1](#)).

კონვენციის 39-ე მუხლის საფუძველზე ამორიცხულ საჩივრებში მეგობრული მორიგების მიღწევის დინამიკას თუ დავაკვირდებით (იხ. [დანართი 1](#)), ვნახავთ, რომ 2012 წლამდე საქართველო ამ სახის პრაქტიკას თითქმის არ მიმართავდა.²⁶⁴ ზრდის ტენდენცია 2012 წლიდან შეიმჩნევა (2012 – 4), პიკს 2014 წელს აღწევს (15 გადაწყვეტილება), 2015 წლიდან კი შედარებით იკლებს. ეს სურათი ცხადყოფს, რომ საქართველოსთან მიმართებით, 39-ე მუხლით საჩივრების ამორიცხვის ზრდა, ზოგადად, სასამართლოს მხრიდან ამ პრაქტიკის გააქტიურებას ემთხვევა (იხ. [გრაფიკი 6](#)) და რომ 2015 წლის ჩათვლით, საქართველოს მიერ ამ მხრივ სრულად იყო გაზიარებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზოგადი ტენდენცია.

2016 წლიდან, საქართველოსთან მიმართებით თვალშისაცემია რადიკალური კლება. 2017 წლიდან 2022 წლის პერიოდში კი საქართველოს მთავრობის მიერ საანგარიშო პერიოდში ან საერთოდ არ გაფორმებულა მეგობრული მორიგება ან, მაქსიმუმ, წელიწადში 1 მორიგება თუ ფიქსირდებოდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 48 მეგობრული მორიგებიდან, მხოლოდ ორი ეხება 2012 წლის შემდგომ პერიოდში შეტანილ საჩივარს (*თედლიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Tedliashvili v. Georgia)* და *ილაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Ilashvili v. Georgia)*).²⁶⁵

²⁶⁰ პრაქტიკაში, დამკვიდრებულია ამ სახის გადაწყვეტილებების (decision), განჩინებად მოხსენიება. თუმცა, წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში, მათთან მიმართებით გამოიყენება არა სიტყვა განჩინება, არამედ - „ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილება/გადაწყვეტილება“.

²⁶¹ აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამის საძიებო სისტემაში მოცემული, სასამართლოს მიერ კონვენციის 39-ე მუხლით ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებების ანალიზით მიღებული მონაცემები, მცირედით (2 გადაწყვეტილება) განსხვავდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ანალიზის შესახებ დოკუმენტებზე დაყრდნობით 2012-2022 წლებში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული დავების მეგობრული მორიგებით გადაწყვეტის მაჩვენებლისგან (ზუსტი მიზეზების დადგენა ვერ მოხერხდა). კერძოდ, ამ უკანასკნელზე დაყრდნობით, სულ 50 შემთხვევა დასრულდა მეგობრული მორიგებით, აქედან: 2012 წ. - 4; 2013 წ. - 11; 2014 წ. - 15; 2015 წ. - 12; 2016 წ. - 4; 2017 წ. - 1; 2018 წ. - 1; 2019 წ. - 1; 2020 წ. - 1, 2021 წ. - 0; 2022 წ. - 0. იხ: European Court of Human Rights, “Analysis of statistics” (2012-2022).

[https://www.echr.coe.int/sites/search_eng/pages/search.aspx#f{"sort":\["createdAsDate%20Descending"\],"Title":\["\analytics%20of%20statistics\""\],"contentlanguage":\["ENG"\]}](https://www.echr.coe.int/sites/search_eng/pages/search.aspx#f{), წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁶² აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ანალიზის წლიური ანგარიშები, მეგობრული მორიგების მონაცემებში, მხოლოდ კონვენციის 39-ე მუხლით ამორიცხულ გადაწყვეტილებებს მოიაზრებს, თუმცა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მეგობრული მორიგების არსებობის მიუხედავად, სხვა საფუძველით ხდება ამორიცხვა, რაც მოგვიანებით იქნება განხილული. შესაბამისად, ამ ნაწილში განხილული იქნება მხოლოდ 39-ე მუხლით ამორიცხული საჩივრები და მონაცემებზე მითითებისას სიტყვა - „უშუალოდ“ ან სიტყვები - „მხოლოდ უშუალოდ“ სწორედ ამ ფაქტიდან გამომდინარეა გამოყენებული.

²⁶³ მეგობრული მორიგება უშუალოდ კონვენციის 39-ე მუხლის საფუძველზე: 2012 წელს - 4 მეგობრული მორიგება, 2013 წ. - 9; 2014 წ. - 15; 2015 წ. - 12; 2016 წ. - 4; 2017 წ. - 1; 2018 წ. - 1; 2019 წ. - 1; 2020 წ. - 1, 2021 წ. - 0; 2022 წ. - 0.

²⁶⁴ ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებების ანალიზის მიხედვით, მეგობრული მორიგების საფუძველით 2008 წელს - 1; 2009 წელს - 2, ხოლო 2011 წელს - 2 საქმე ამორიცხა, თუმცა, არცერთ შემთხვევაში არ არის მითითებული კონვენციის კონკრეტული მუხლი, რომლის საფუძველზეც მოხდა ამორიცხვა (იხ. [დანართი 1](#)).

²⁶⁵ მათგან, მხოლოდ ერთ საქმეზე - ილაშვილი საქართველოს წინააღმდეგ - ვხვდებით კონვენციასთან შეუსაბამო სადავო ქმედებების სრულად 2012 წლის შემდეგ განხორციელებას.

შინაარსობრივად თუ განვიხილავთ, 48 გადაწყვეტილებიდან,²⁶⁶ 29 უშუალოდ პატიმრობის პირობებთან დაკავშირებულ დავას ეხება, რომელთა 50%-ში მთავრობამ კონვენციის მუხლების დარღვევა აღიარა. ყველა საქმეში შესთავაზა ზიანის ასანაზღაურებლად თანხის გადახდა, შედარებით ნაკლებ შემთხვევაში - საქმის ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფა და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში - ზოგადი ღონისძიების გატარება.

დანარჩენ 19 გადაწყვეტილებაში იყო ისეთი საქმეებიც, რომლებიც პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებას ეხებოდა, რასაც რიგ შემთხვევებში პირის გარდაცვალება მოჰყვა. ამ უკანასკნელი სახის ყველა გადაწყვეტილებისთვის (რომელშიც აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან დარღვევას თან ახლდა დაზარალებულის გარდაცვალება) დამახასიათებელია ხელისუფლების მხრიდან კონვენციის დარღვევის აღიარება, სხვა შემთხვევებთან შედარებით, მაღალი კომპენსაციის გადახდა (უმეტესწილად 10 000 ევროს ოდენობით) და ეფექტიანი გამოძიების წარმოების დაპირება,²⁶⁷ რაც, თავად სასამართლოს ხაზგასმით, უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს და შესაბამისად, მკაცრ კონტროლს ექვემდებარება.

აღსანიშნავია, რომ პოლიციის მიერ ძალის გადამეტებასთან დაკავშირებულ დავაზე ის გამონაკლისი შემთხვევა, რომელშიც მთავრობის მხრიდან არც კონვენციის დარღვევის აღიარებას ჰქონია ადგილი ან/და არც გამოძიების წარმოების შესახებ დაპირებას, არის ერთ-ერთი ყველაზე ახალი საქმე, *ილაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Ilashvili v. Georgia)*,²⁶⁸ რომელიც განსხვავებით ყველა სხვა მსგავსი საქმისგან, 2019 წელს²⁶⁹ განვითარებულ მოვლენებს ეხება.

ამ კონკრეტულ საქმეში აპლიკანტ უჩა ილაშვილის საჩივარი, 2019 წლის 23 მარტს მომხდარ შემთხვევას ეხება, რომლის შედეგადაც განმცხადებელი ადმინისტრაციული წესით დააკავეს და როგორც მისი უფლებადამცველი განმარტავდა, მას მთელი ღამის განმავლობაში პოლიციელები ფიზიკური ძალადობის გზით, მისივე მეგობრის

²⁶⁶ მართალია სტატისტიკის ანალიზის დოკუმენტის თანახმად სულ 50 მეგობრული შეთანხმება შედგა, თუმცა საჯაროდ ხელმისაწვდომი, მხოლოდ, 48 გადაწყვეტილებაა. შესაბამისად, შინაარსობრივი ანალიზისთვის, მხოლოდ ეს მონაცემებია გამოყენებული.

²⁶⁷ აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტის წინააღმდეგ კონვენციის დარღვევას წლების წინ ჰქონდა ადგილი, ასეთი შემთხვევების უმეტესობაში, მეგობრული მორიგებები, მთავრობის მხრიდან ეფექტიანი გამოძიების წარმოების ვალდებულებასაც ითვალისწინებდა. მაგალითად, 2014 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე *Baghashvili v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [5168/06](#), 18 March 2014, რომელიც 1999 წელს განხორციელებულ ქმედებებს ეხება. ასევე, 2014 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე *Kiziria v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [4728/08](#), 11 March 2014 - 2006 წელს განხორციელებულ ქმედებებს და სხვა. შედეგად, ასეთი მორიგებები ამ დრომდე არ არის აღსრულებული (იხ. ცინცაბაძის ჯგუფის საქმეები) და მეტიც, მთავრობის განცხადებით ზოგიერთ საქმეში შესაძლოა მათ გამოძიების შეწყვეტა მოუწიოთ, რამდენადაც, ამ საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოება ობიექტურად შეუძლებელია. იხ. Council of Europe Committee of Ministers, "Communication from Georgia concerning the case of Tsintsabadze Group v. Georgia (Application no.35403/06)," Secretariat Of The Committee Of Ministers, 16.10.2020. DH-DD(2020)889. [:https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680a003a0](https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680a003a0),

წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁶⁸ *Ilashvili v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [62866/19](#), 29 September 2020.

²⁶⁹ 2019 წელზე მინიშნება მიზნად ისახავს იმ ფაქტზე ხაზგასმას, რომ მეგობრული მორიგებები წინა („ნაციონალური მოძრაობის“) ხელისუფლების პირობებში მომხდარ ქმედებებს (2013 წლამდე ქმედებებს) უკავშირდება. ეს კონკრეტული შემთხვევა, წარმოადგენს 2013 წლის შემდეგ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გაფორმებულ პირველ მეგობრულ მორიგებას.

საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას აიძულებდნენ.²⁷⁰ უშედეგო მცდელობის შემდეგ კი ილაშვილს სისხლის სამართლის წესით წაუყენეს ბრალი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის.²⁷¹ ევროპულ სასამართლოში აპლიკანტი სწორედ პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობასა და ამ ფაქტთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების არ არსებობაზე დაობდა.²⁷² მოგვიანებით, მხარეებმა სასამართლოში წარადგინეს მეგობრული მორიგების დეკლარაციები, რომელთა მიხედვითაც აპლიკანტი უარს ამბობდა საქართველოს წინააღმდეგ ამ ფაქტებთან დაკავშირებით დავის გაგრძელებაზე, მის მიმართ ეროვნულ დონეზე წარმოებული სისხლის სამართლებრივი პროცედურების შეწყვეტისა და მისთვის 10 000 ევროს გადახდის სანაცვლოდ. მორიგებაში არაფერია ნათქვამი პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის არსებობის ან მისი უარყოფის და არც ამ სახის გამოძიების სამომავლო წარმოების შესახებ.²⁷³ თუმცა, აპლიკანტის უფლებადამცველი მთავრობის მხრიდან ამ სახის შეთანხმებაზე წამოსვლას, დარღვევის ირიბ აღიარებად მიიჩნევს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ამ გზით მთავრობამ თავიდან აირიდა საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამამტყუნებელი გადაწყვეტილების გამოტანა და უფრო მეტი კომპენსაციის გადახდა.²⁷⁴ საბოლოოდ, აღნიშნული საქმე მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციის თანახმად დაიხურა,²⁷⁵ რამდენადაც მთავრობის მიერ წარდგენილი დოკუმენტებით გამოიკვეთა, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა ილაშვილის მიმართ შეწყდა და ასევე, მთავრობამ განსაზღვრულ ვადაში აპლიკანტს 10 000 ევრო გადაუხადა.²⁷⁶ უცნობია, რა რეაგირება მოხდა უშუალოდ ილაშვილის მიმართ სავარაუდო ძალადობასა და მასთან დაკავშირებულ გამოძიებაზე.

შედარებისთვის, საქმეში *მზეკალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Mzekalishvili v. Georgia)*, აპლიკანტი 2010 წლის 6 აპრილს ასევე პოლიციელთა მიერ ძალის გადამეტებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე და ამ ფაქტთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების არ არსებობაზე დაობდა.²⁷⁷ თუმცა, ამ შემთხვევაში სასამართლოსთვის მთავრობის მიერ წარდგენილ დეკლარაციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა და ამ დარღვევიდან გამომდინარე მთავრობის მზაობა ყველა საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისა და აპლიკანტისთვის კომპენსაციის სახით 4 500 ევროს

²⁷⁰ „პოლიციელებს ძალადობაში, გარემოს დამცველ ინსპექტორს კი მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებენ“, Netgazeti.ge, 4 აპრილი, 2019. <https://netgazeti.ge/news/353864/>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁷¹ Ibid.

²⁷² *Ilashvili v. Georgia (friendly settlement) [Committee]*.

²⁷³ Ibid.

²⁷⁴ „კაცს, რომელიც პოლიციელებს ცემაში ადანაშაულებდა, 10 ათას ევროს გადაუხდის საქართველო“, ბათუმელები, 23 ოქტომბერი, 2020. <https://batumelebi.netgazeti.ge/news/307759/>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁷⁵ Council of Europe Committee of Ministers, Execution of the decision of the European Court of Human Rights Ucha Ilashvili against Georgia (Adopted by the Committee of Ministers on 9 March 2022 at the 1428th meeting of the Ministers' Deputies). CM/ResDH(2022)57, [https://hudoc.echr.coe.int/eng#f{"itemid":\["001-216608"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#f{), წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁷⁶ Council of Europe Committee of Ministers, Communication from Georgia concerning the case of Ilashvili v. Georgia (Application no. 62866/19) (Adopted by the Committee of Ministers on 16 December 2020 at the 1398th meeting). DH-DD(2020)1168. https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=0900001680a0bf7e, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁷⁷ *Mzekalishvili v. Georgia (friendly settlement) [Committee]*, no. [8177/12](https://www.echr.coe.int/ViewDoc.aspx?id=1817712), 10 February 2015.

გადახდის შესახებ.²⁷⁸ შესაბამისად, ილაშვილის საქმისგან განსხვავებით, მზექალიშვილის საქმეში:

1. მთავრობამ პირდაპირ აღიარა კონვენციის დარღვევის ფაქტი;

2. საგამოძიებო მოქმედებების განახლების პირობა დადო;

3. დარღვევის აღიარების მიუხედავად, მთავრობამ აპლიკანტს 4 500 ევროს ოდენობის კომპენსაცია შესთავაზა მაშინ, როცა ილაშვილის საქმეში მსგავსი აღიარება არ ყოფილა და ისე შესთავაზა 10 000 ევროს გადახდა. საყურადღებოა, რომ 10 000 ევრო იმ ოდენობის თანხაა, რომელიც, გადაწყვეტილებათა ანალიზის მიხედვით, მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში გამოიყენება. მეტწილად²⁷⁹ კი მაშინ, როდესაც ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ პირი, რომლის მიმართაც მთავრობის ქმედებითა თუ უმოქმედობით დაირღვა კონვენცია, გარდაიცვალა.²⁸⁰

4. და ბოლოს, განსხვავებით ილაშვილის საქმისგან (მეგობრული მორიგება - 29/09/2020), მზექალიშვილის საქმეში 2015 წლის 10 თებერვალს მიღწეული მეგობრული მორიგება ამ დრომდე არ აღსრულებულა.²⁸¹

აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩნდება ლოგიკური კითხვა თუ რამდენად თანმიმდევრულია მთავრობა მეგობრული მორიგებების გაფორმებისას. თუმცა, სანამ მთავრობაზე ვისაუბრებთ, საინტერესოა, თავად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანმიმდევრულობის განხილვაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რამდენადაც მთავრობის ქმედებები თავად სასამართლოს არათანმიმდევრულობით შეიძლება იყოს განპირობებული და ამასთან, რაც მთავარია, თავად სასამართლოს შეუძლია მთავრობის არათანმიმდევრულობის კონტროლი და მეტიც, სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა შეიძლება გადაწყვეტიც კი იყოს ინდივიდისთვის, ერთი მხრივ, დავის გადასაწყვეტად ამ მექანიზმით სარგებლობისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, თუ უფრო შორს წავალთ, ზოგადად, ევროპული სასამართლოსთვის მიმართვისთვისაც.

ბ) მეგობრული მორიგების არსებობის შემთხვევაში საჩივრის კონვენციის 37(1)(ბ)-ე მუხლის საფუძველზე ამორიცხვა

²⁷⁸ Ibid.

²⁷⁹ აღსანიშნავია, რომ საქმეები, რომელშიც მეგობრული მორიგებით მთავრობა კომპენსაციის გადახდას სთავაზობს, არ აჭარბებს 10 000 ევროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეგობრული მორიგებით ხდება ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებლობით დაგროვილი ვალის გადახდა, რაც ნიშნავს, რომ მთავრობა როგორც მინიმუმ კომპენსაციის ქვედა ზღვარის განსაზღვრისას არ არის თავისუფალი. მაგ. *JSC Vaziani v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [19377/09](#), 13 September 2016, სადაც მთავრობამ მეგობრული მორიგების გზით აპლიკანტს 360 000 ლარის გადახდა შესთავაზა. ასევე, უნდა აღინიშნოს ის გამოწვევები, რომლებიც მთავრობამ თავად შესთავაზა 20 000 ევროს გადახდა აპლიკანტს. ეს მოხდა ერთადერთ შემთხვევაში და ისიც გახმაურებულ საქმეზე - *Molashvili v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [39726/04](#), 30 September 2014.

²⁸⁰ *Chkotua And Arkania v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [60909/08](#), 20 May 2014; *Kiziria v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [4728/08](#), 11 March 2014; *Baghashvili v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [5168/06](#), 18 March 2014; *Surmanidze And Artmelidze v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [11323/08](#), 24 June 2014.

²⁸¹ როგორც მინისტრათა კომიტეტის წინაშე საქართველოს მთავრობის კომუნიკაციიდან ირკვევა, არა თუ არ აღსრულდა, არამედ ამ საქმეს არც აქვს აღსრულების პერსპექტივა და შესაბამისად, მასზე დაწყებული გამოძიება უნდა შეწყდეს. Council of Europe Committee of Ministers, "DH-DD(2020)889", §§. 69-70.

მართალია სასამართლოს ოფიციალურ სტატისტიკაში მეგობრულ მორიგებად მხოლოდ კონვენციის 39-ე მუხლის საფუძველზე ამორიცხული საქმეები არის ჩათვლილი, თუმცა საჩივართა ამორიცხვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესწავლით დგინდება, რომ პრაქტიკაში, მეგობრული მორიგების (მორიგება) შემთხვევაში, არა მხოლოდ კონვენციის 39-ე, არამედ 37(1)(ბ)-ე მუხლითაც²⁸² ხდება ამორიცხვა. ამ სახის გადაწყვეტილებებში პირდაპირ არის მითითებული, რომ „სასამართლო ითვალისწინებს მხარეებს შორის მეგობრულ მორიგებას. კმაყოფილია, რომ საკითხი გადაწყდა კონვენციის 37(1)(ბ)-ე მუხლის მნიშვნელობით და რომ ადამიანის უფლებების პატივისცემა, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციაში და მის ოქმებში, არ მოითხოვს 37(1) მუხლის შესაბამისად (in fine) საჩივრის განხილვის გაგრძელებას“. საქართველოსთან მიმართებით მსგავსი 14 შემთხვევა დაფიქსირდა (იხ. [დანართი I](#)), სადაც მხარეები პირდაპირ უთითებდნენ რომ მათ სურდათ მეგობრული მორიგებით დავის დასრულება და სასამართლოს მორიგების პირობების დამტკიცების მიზნით, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილ მეგობრული მორიგების დეკლარაციას წარუდგენდნენ. რამდენიმე შემთხვევაში, მხარეები თავად მორიგების დეკლარაციაშივე უთითებდნენ, რომ სასამართლოს საჩივრის კონვენციის 39-ე მუხლით ამორიცხვას თხოვდნენ.²⁸³

ასევე, გადაწყვეტილებების შესწავლიდან დგინდება, რომ არის შემთხვევები, როცა დავა, ფაქტობრივად, მეგობრული მორიგებით წყდება და რეალურადაც არსებობს ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება, თუმცა სასამართლო საჩივარს არც 39-ე მუხლით ამორიცხავს და სარეზოლუციო ნაწილში არც იმაზე უთითებს, რომ ამორიცხვისას მხარეთა მიერ მიღწეულ მეგობრულ მორიგებას ითვალისწინებს და მხოლოდ იმ ფაქტზე აპელირებს, რომ დავა გადაწყდა 37(1)(ბ)-ე მუხლის მნიშვნელობით.²⁸⁴ საქართველოს შემთხვევაში გადაწყვეტილებათა შესწავლიდან მსგავსი 20 შემთხვევა გამოვლინდა (იხ. [დანართი I](#)), თუმცა, თითოეულ მათგანში სასამართლოს მიდგომა იმდენად განსხვავებულია, ამ შემთხვევაშიც გაგვიჭირდება რაიმე კრიტერიუმის ამოკითხვა. ამ მხრივ საინტერესოა ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილება საქმეზე გოგიჩაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (*Gogichaishvili v. Georgia*), რამდენადაც სასამართლომ ფაქტებსა და პროცედურულ ნაწილზე საუბრისას ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ „სასამართლომ მიიღო ორივე მხარის მიერ შესაბამისად ხელმოწერილი მორიგების შეთანხმება, რომელიც მხარეთა მიერ პირდაპირ იქნა მიღწეული, სასამართლოს ჩართულობის გარეშე“ და სწორედ ამის გათვალისწინებით 37(1)(ბ)-ე მუხლით ამორიცხა საჩივარი განსახილველ საქმეთა სიიდან.²⁸⁵ ეს განმარტება გვიჩენს ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლოა, 39-ე მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში ამორიცხვას, როდესაც მორიგების პროცედურა თავად

²⁸² „პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხოს საჩივარი, თუ გარემოებათა ძალით ის დაასკვნის, რომ დავა გადაწყდა“, „Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms“, Article 37(1)(b).

²⁸³ *Gujajani v. Georgia* (striking out) [Committee], no. [40123/10](#), 14 May 2013; *Kekelia v. Georgia* (striking out) [Committee], no. [32997/10](#), 14 May 2013; *Kikvadze v. Georgia* (striking out) [Committee], no. [5456/09](#), 14 May 2013.

²⁸⁴ „The Court considers that the matter has been resolved within the meaning of Article 37 1(b) of the Convention and that respect for human rights as defined in the Convention and its Protocols does not require it to continue the examination of the application under Article 37 1 in fine“. მაგ. იხ. *Purtskhvanidze v. Georgia* (striking out) [Committee], no. [26056/11](#), 4 March 2014.

²⁸⁵ *Gogichaishvili v. Georgia* (striking out) [Committee], no. [229/10](#), 29 August 2017.

სასამართლოს მიერ არის მართული. კონვენციის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის ფორმულირებასაც რომ დავაკვირდეთ, „სასამართლო სთავაზობს დაინტერესებულ მხარეებს თავის სამსახურს საქმეზე მორიგების მისაღწევად...“, რაც შეიძლება ისე გავიგოთ, თითქოს ამ მუხლით ამოირიცხება მხოლოდ სასამართლოს მიერ მორიგების პროცედურით მიღწეული შეთანხმება, ისევე როგორც მხოლოდ ამ პროცედურით წარმოებულ პროცედურაზე ვრცელდება კონფიდენციალურობის პრინციპი. თუმცა, 37(1)(ბ)-ე მუხლის საფუძველზე ამორიცხულ სხვა გადაწყვეტილებებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ამავე მუხლით ამორიცხვისას არის ისეთი შემთხვევებიც, სადაც ჯერ მთავრობა წარადგენს მეგობრული მორიგების დეკლარაციას, რომელზეც სასამართლო აზრს ეკითხება აპლიკანტს და მისი თანხმობის შემთხვევაში იღებს ამორიცხვის გადაწყვეტილებას.²⁸⁶ შესაბამისად, გოგიჩაიშვილის საქმეში სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტებით წარმოშობილი ვარაუდი, თითქოს იმ შემთხვევაში თუკი მორიგების პროცედურა უშუალოდ სასამართლოს მიერ არის წარმოებული 39-ე მუხლით ხდება ამორიცხვა, სხვა გადაწყვეტილებებზე სასამართლოს მიდგომით კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

და ბოლოს, გასათვალისწინებელია ასევე საქართველოსთან მიმართებით არსებული 8 შემთხვევა (იხ. [დანართი I](#)), სადაც მართალია სასამართლო პირდაპირ ამბობს რომ ამორიცხვისას ითვალისწინებს მხარეებს შორის მეგობრულ მორიგებას, თუმცა არ არის მითითებული კონკრეტული საფუძველი და მხოლოდ იმაზეა ხაზგასმია, რომ 37(1)-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ვერ ხედავს საქმის განხილვის გაგრძელების საჭიროებას (მაგ, საქმეებში *კობახიძე და ნინუა საქართველოს წინააღმდეგ (Kobakhidze And Ninua v. Georgia)* *ჭანტურია საქართველოს წინააღმდეგ (Tchanturia v. Georgia)*).²⁸⁷ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საჩივარი, როგორც მინიმუმ, 39-ე მუხლის საფუძველზე არ ამორიცხულა. თუმცა, საწინააღმდეგოზე მეტყველებს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია ამ კონკრეტულ საქმეებზე²⁸⁸ (8 გადაწყვეტილებიდან მხოლოდ 2 გადაეცა მინისტრთა კომიტეტს), რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ სასამართლომ აღნიშნული საჩივრები სწორედ 39-ე მუხლის საფუძველზე ამორიცხა და შემდეგ ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით აღსრულებაზე ზედამხედველობის მიზნით მინისტრთა კომიტეტს გადასცა.²⁸⁹

ყოველივე ზემოთ ხსენებული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, როგორც ირკვევა, მეგობრული მორიგების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან

²⁸⁶ მაგალითად, *Ogbaidze and others v. Georgia (striking out)* [Committee], no. [36298/12](#), 19 September 2017, სადაც მთავრობის მიერ სასამართლოს წინაშე წარდგენილი მეგობრული მორიგების შეთავაზება, სასამართლომ გადასცა აპლიკანტებს და მოუწოდა მათ მეგობრული მორიგების შესახებ მთავრობის შეთავაზებაზე თავიანთი კომენტარები წარედგინათ. პასუხად, რამდენიმე მოსარჩელემ შეატყობინა სასამართლოს, რომ ისინი მზად იყვნენ დათანხმდებოდნენ მთავრობის შეთავაზებას. რის შედეგადაც, სასამართლომ ამ აპლიკანტების საჩივრები განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხა 37 (1)(ბ)-ე მუხლის საფუძველზე. §§ 5-8, 10, 14.

²⁸⁷ „სასამართლო ითვალისწინებს მხარეებს შორის მეგობრულ მორიგებას. კმაყოფილია, რომ საკითხი გადაწყდა კონვენციის 37(1)(ბ)-ე მუხლის მნიშვნელობით და რომ ადამიანის უფლებების პატივისცემა, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციაში და მის ოქმებში და ვერ ხედავს საჭარო პოლიტიკიდან გამომდინარე მიზეზს აპლიკაციის განხილვის გასაგრძელებლად (კონვენციის 37 (1)-ე მუხლის შესაბამისად (in fine))“. იხ. *Kobakhidze And Ninua v. Georgia (striking out)*, no. [14929/09](#), 11 October 2011; *Tchanturia v. Georgia (striking out)*, no. [2225/08](#), 18 October 2011.

²⁸⁸ Council of Europe Committee of Ministers, Resolution CM/ResDH(2012)29 on Execution of the decisions of the European Court of Human Rights 2 cases against Georgia, 8 March 2012. <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-109771>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁸⁹ Ibid.

არსებობს განსხვავებული მიდგომა. თუკი განსხვავებულ მიდგომას რაიმე ახსნა აქვს, ამის დანახვა მხოლოდ გადაწყვეტილებების ლოგიკური ანალიზის საფუძველზე შეუძლებელია, რამდენადაც მათში რაიმე მკაფიო კრიტერიუმები არ არის ჩამოყალიბებული და არც სასამართლო იძლევა რაიმე სახის მკაფიო განმარტებას. შესაბამისად, ამ მხრივ არის ბუნდოვანება, რაზეც ყურადღება შესაბამის ლიტერატურაშიც არის გამახვილებული, განსაკუთრებით კი ბუნდოვანების პრობლემურობა წარმოჩენილია იმ მნიშვნელოვან გარემოებაზე ხაზგასმით, რომ ზოგადად, კონვენციის 39-ე მუხლისგან განსხვავებით, 37(1)(ბ)-ე მუხლით ამორიცხვის შემთხვევაში გადაწყვეტილებები მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობას არ ექვემდებარება.²⁹⁰

რაც შეეხება კონვენციის 37(1)(ბ)-ე მუხლით ამორიცხული მეგობრული მორიგებების (34 მორიგება + 8 გადაწყვეტილება კონკრეტული მუხლის მითითების გარეშე) შინაარსობრივ მხარეს, ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც უშუალოდ კონვენციის 39-ე მუხლით ამორიცხულ საჩივართა უმრავლესობაში, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ პირობებთან დაკავშირებული საჩივრები ერთმნიშვნელოვნად ჭარბობს (დაახლოებით 55%), რომელთა უმეტეს ნაწილში სადავო საკითხები ეროვნულ დონეზე გადაწყდა. მათ შორის იყო შემთხვევები, როცა დავის შეწყვეტის საფუძველი 1. მთავრობის მიერ უკვე გატარებული ღონისძიებები იყო; ან 2. მთავრობის მიერ აპლიკანტისთვის კომპენსაციის გადახდის დაპირება; ან 3. ორივე ერთად.

ამასთან, გადაწყვეტილებებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ კონვენციის 37(1)(ბ)-ე მუხლით ამორიცხვის შემთხვევაში, ეფექტიანი გამოძიების წარმოების დაპირებას მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ჰქონდა ადგილი, ხოლო ზოგადი ღონისძიების გატარების დაპირება არცერთ გადაწყვეტილებაში არ იკითხება. რაც შეეხება დარღვევის აღიარებას, 39-ე მუხლით ამორიცხული მეგობრული მორიგებებისგან განსხვავებით, 37(1)(ბ)-ე მუხლით ამორიცხვისას მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში თუ შევხვდებით მთავრობის მხრიდან კონვენციის დარღვევის აღიარებას, მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში მთავრობა ამის პირდაპირ თქმას ერიდებოდა. კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ მიეთითებინა კონვენციის კონკრეტული მუხლის დარღვევაზე, მხოლოდ იმის აღიარებით შემოიფარგლებოდა რომ მთავრობის მხრიდან დაფიქსირდა ჩავარდნები და დეფექტები.²⁹¹

აღსანიშნავია, რომ 37(1)(ბ)-ე მუხლით ამორიცხულთა შორის არის ასევე 12 გადაწყვეტილება, რომელთა შემთხვევაშიც ამორიცხვის საფუძველი ეროვნულ დონეზე დავის მოგვარება გახდა, მხარეებს შორის მეგობრული მორიგების მიღწევის გარეშე (იხ. [დანართი I](#)). ამ გადაწყვეტილებების ანალიზი აჩვენებს, რომ მხარეთა მიერ წარდგენილი ინფორმაციით, რომელიც მთავრობის მიერ რეალურად გადადგმულ ნაბიჯებს აღწერს, სასამართლო დარწმუნდა, რომ მთავრობის მიერ დავის მოსაგვარებლად ნამდვილად გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები. თუმცა, გადაწყვეტილების ანალიზიდან იკვეთება ასევე ისეთი საქმეებიც, სადაც აპლიკანტი მართალია აცხადებს, რომ დავა ეროვნულ დონეზე გადაწყდა, თუმცა, არცერთ მხარეს ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ

²⁹⁰ ჯომარჯიძე, „ცალმხრივი დეკლარაცია და მორიგება - დავის მოგვარების მარტივი და ეფექტიანი გზა?!“.

²⁹¹ *Kasradze v. Georgia* (striking out) [Committee], no. [21300/09](#), 18 June 2013; *Badagadze v. Georgia* (striking out) [Committee], no. [23846/08](#), 17 September 2013; *Siradze v. Georgia* (striking out) [Committee], no. [56825/08](#), 12 November 2013.

წარუდგენია.²⁹² ამასთან, ასეთ შემთხვევაში ამორიცხვა მართალია ეროვნულ დონეზე დავის მოგვარებით იყო განპირობებული, თუმცა, საფუძვლად მიეთითა არა 37 1(ბ)-ე მუხლი, არამედ 37 1(ა)-ე მუხლი, რომელიც საჩივრის ამორიცხვას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დაასკვნის, რომ „მომჩივანს აღარ აქვს განზრახული ბოლომდე მისდოს თავის საჩივარს“.

ამ სახის საქმეებიდან (რომელშიც ამორიცხვის საფუძვლად მიითითებულია დავის ეროვნულ დონეზე მოგვარება და სამართლებრივ საფუძვლად გამოყენებულია 37(1)(ა)-ე მუხლი), საინტერესოა ერთი გადაწყვეტილების გამოყოფა - საქმეზე *ხოფერია საქართველოს წინააღმდეგ (Khoperia v. Georgia)* - რომელიც ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ერთ-ერთი უახლესი გადაწყვეტილებაა, რომელიც თავის მხრივ, 2019 წლის საჩივარს ეხება, ხოლო მეორე მხრივ, კი მნიშვნელოვანია შინაარსის გათვალისწინებით, რამდენადაც ისევე როგორც ილაშვილის საქმეში, ამ შემთხვევაშიც დავა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას ეხება და ამასთან, ეს საქმეც ეროვნულ დონეზე იყო გახმაურებული.

საქმეზე *ხოფერია საქართველოს წინააღმდეგ*, აპლიკანტი ამტკიცებდა, რომ მის მიმართ 2017 წლის 16 თებერვალს პოლიციის განყოფილებაში სამართალდამცავების მხრიდან განხორციელდა ძალადობა.²⁹³ როგორც თავად *ხოფერია*ს წარმომადგენლები აცხადებდნენ, აპლიკანტი წამებას დაექვემდებარა, სხეულზე არსებული დაზიანებები კი ოჯახის მიერ ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზით დასტურდებოდა.²⁹⁴ შესაბამისად, *ხოფერია* ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში პოლიციელების მხრიდან არასათანადო მოპყრობასა (წამება) და ამ ფაქტის არაეფექტიანი გამოძიების შესახებ დაობდა.²⁹⁵ 2019 წლის 20 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *ხოფერია*ს საქმის განხილვა დაიწყო და მხარეებს 2019 წლის 16 სექტემბრამდე მისცა ვადა მეგობრული მორიგებისთვის, თუმცა მეგობრული მორიგება ვერ შედგა.²⁹⁶ 2021 წლის 19 თებერვალს აპლიკანტმა შეატყობინა სამდივნოს, რომ სასამართლოდან საჩივრის გახმოზა სურდა, რადგან საქმე ეროვნულ დონეზე მოგვარდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება და განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხა *ხოფერია*ს საქმე.²⁹⁷

როგორც უკვე აღინიშნა, მორიგების დეტალები გადაწყვეტილებაში არ გაჟღერებულა. თუმცა, ეროვნულ დონეზე გავრცელებული ინფორმაციით ირკვევა, რომ 2020 წლის 28 ივლისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ *ხოფერია*ს წამების საქმეზე სამ

²⁹² *Javakhishvili v. Georgia* (striking out), no.42065/04, 2 October 2007; *Diasamidze v. Georgia* (striking out) [Committee], no.67857/11, 3 July 2018; *Khoperia v. Georgia* (striking out) [Committee], no.24736/19, 22 April 2021.

²⁹³ „საიამ ირაკლი ხოფერიას საქმესთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 13 აპრილი 2017. <https://gyla.ge/ge/post/saiam-irakli-khoferias-saqmestan-dakavshirebit-preskonferencia-gamarta#sthash.F1EOvLF1.5jn5c1Ot.dpbs>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁹⁴ Ibid.

²⁹⁵ „საიამ ირაკლი ხოფერიას წამების საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 25 აპრილი 2019. <https://gyla.ge/ge/post/saiam-irakli-khoferias-tsamabis-saqme-adamianis-uflebata-evropul-sasamartloshi-gaasachivra#sthash.q9DECij7.dpbs>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁹⁶ „საიამ ირაკლი ხოფერიას წამების საქმეზე ევროპულ სასამართლოში წერილობითი არგუმენტაცია წარადგინა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 11 მარტი 2020. <https://gyla.ge/ge/post/saiam-irakli-khoferias-tsamabis-saqmeze-evropul-sasamartloshi-tserilobiti-argumentacia-tsaradgina#sthash.HFT5HCPT.dpbs>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁹⁷ *Khoperia v. Georgia* (striking out) [Committee], no.24736/19, 22 April 2021.

პოლიციელს ბრალი წარუდგინა.²⁹⁸ 29 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ სამივე მათგანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. საზოგადოებისთვის საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის ის თუ როგორ დასრულდა ამ საქმის განხილვა. ამასთან, არათუ საქმის განხილვის შედეგზე, არამედ თავად განხილვის დაწყებაზეც კი არ არის მითითებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში (საჩივრის ამორიცხვის შესახებ). შესაბამისად, უცნობია: 1. იყო თუ არა სასამართლო ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ეროვნულ დონეზე საქმის განხილვის დაწყების შესახებ ინფორმირებული; 2. იყო თუ არა შედეგზე ინფორმირებული (თუ ეს პროცესი შედეგამდე მივიდა) და 3. რაზე დაყრდნობით იხელმძღვანელა საქმის ამორიცხვისას. კერძოდ, კონვენციის მიხედვით, სასამართლო განცხადების ამორიცხვის შესახებ განმცხადებლის სურვილის მიუხედავად, გარემოებათა ერთობლიობით უნდა დარწმუნდეს, რომ ადამიანის უფლებათა პატივისცემის ტესტი დაკმაყოფილებულია, რაც ამ გადაწყვეტილებით არ იკვეთება.²⁹⁹

ამ კონკრეტულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნების პარალელურად, საინტერესოა ზოგადად ევროპულ სასამართლოში საქართველოს მთავრობის პოზიციონირებასა და მის ქმედებებზე დაკვირვებაც. ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებების ანალიზით, ხოფერიას საქმე განსხვავდება არა მხოლოდ იმ საქმეებიდან, რომელთა შემთხვევაშიც მთავრობის მხრიდან დარღვევას 2013 წლამდე ჰქონდა ადგილი, ასევე, იმ საქმისგანაც, რომელიც უშუალოდ 2013 წლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს ეხება (ილაშვილი საქართველოს წინააღმდეგ).

ილაშვილის შემთხვევაში მართალია დარღვევის ფაქტი არ აღიარა მთავრობამ, თუმცა მეგობრულად მორიგდა აპლიკანტთან. ხოფერიას საქმეში კი ვერ იქნა მიღწეული მეგობრული მორიგება (უცნობია რომელი მხარის მიზეზით, რადგან მორიგების პროცედურა კონფიდენციალურია). თუმცა, პრაქტიკის მიხედვით, როცა მთავრობა მზად არის აღიაროს კონვენციის დარღვევა და ამ გზით დახუროს საქმე, ის ცალმხრივ დეკლარაციას წარადგენს. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, მთავრობის მხრიდან არც ამ სახის შეთავაზება გაკეთებულა.

ამასთან, პრაქტიკის³⁰⁰ მიხედვით, უმეტესწილად, როდესაც აპლიკანტი საჩივრის გახმოვას ითხოვს და საფუძვლად დავის ეროვნულ დონეზე მოგვარებას ასახელებს,

²⁹⁸ „ირაკლი ხოფერიას წამების საქმეზე 3 პოლიციელს ბრალი წარედგინა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 30 ივლისი 2020. <https://gyla.ge/ge/post/irakli-khoferias-tsamabis-saqmeze-3-policiels-brali-tsaredgina#sthash.Joe56lwu.dpbs>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

²⁹⁹ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით არის მითითებული, რომ სასამართლო ვერ ხედავს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით სპეციალურ გარემოებებს, რომელიც აპლიკაციის განხილვის გაგრძელებას მოითხოვდა.

³⁰⁰ ამ პრაქტიკიდან მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისია. საქმეში *Diasamidze v. Georgia*, (striking out) [Committee], no. 67857/11, 3 July 2018, სადაც აპლიკანტი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღდგენაზე დაობდა და სასამართლოს ახსნა-განმარტების გარეშე აცნობა რომ საჩივრის გახმოვა სურდა. მთავრობის მხრიდან ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაკეთებულა და სასამართლომაც დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნის გარეშე ამორიცხა. ასევე, გამონაკლისს წარმოადგენს ჯავახიშვილი საქართველოს წინააღმდეგ *Javakhishvili v. Georgia* (striking out), no. 42065/04, 2 October 2007, სადაც აპლიკანტი იყო ყოფილი პარლამენტარი და დაობდა უკანონო პატიმრობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლომ თავად გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ საჩივრის გახმოვას შესახებ განცხადებით მიმართვისას, აპლიკანტმა სასამართლოს არ მიაწოდა დამატებითი დეტალები, და მხოლოდ ის განაცხადა, რომ „საკითხი გადაწყდა“. ამ მითითების მიუხედავად, სასამართლოს არ ჩაუთვლია საჭიროდ დამატებით გამოეკვლია გარემოებები, თუმცა ამორიცხვის

საქართველოს მთავრობა, სასამართლოს, მის მიერ აპლიკანტის დასაკმაყოფილებლად გადადგმული ნაბიჯების შესახებ დეტალურ ინფორმაციას აწვდის, რაც შემდეგ გადაწყვეტილებაშივე აისახება.³⁰¹ ამ კონკრეტულ საქმეზე (ხოფერია საქართველოს წინააღმდეგ) სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ინფორმაციის ნაკლებობა, ართულებს იმის განსაზღვრას თუ რა ნაბიჯები გადადგა მთავრობამ, აპლიკანტმა თუ თავად სასამართლომ. თუმცა, ერთი ცხადია, რომ ეს გადაწყვეტილება, როგორც მინიმუმ, თავად საქართველოსთან მიმართებით განვითარებულ პრაქტიკასთან შესაბამისობაში არ არის.

როგორც ზემოთ განხილული საქმეებიდან ჩანს, არათანმიმდევრულობა ახასიათებს როგორც სასამართლოს, ასევე მთავრობასაც (რაც ზემოთ განხილული არაერთი მაგალითის საფუძველზე დასტურდება) და რთულია ზუსტად იმის განსაზღვრა თუ რა შემთხვევაში ხდება საქმეზე მეგობრული მორიგება, რა პრინციპით ხდება მორიგების პირობების განსაზღვრა და ამასთან, რის მიხედვით წყდება კონკრეტულად რომელი მუხლის საფუძველზე უნდა მოხდეს ამორიცხვა, რაც შემდეგში გავლენას ახდენს გადაწყვეტილებაზე აღსრულებადობაზე. მთავრობის მიდგომების უკეთ დასაანხად, განსაკუთრებით საინტერესოა ცალმხრივი დეკლარაციების განხილვა, რამდენადაც ამ მექანიზმით უკეთ ჩანს თუ რა შემთხვევაში სურს მთავრობას არ მიიყვანოს საქმე არსებით განხილვამდე და მეორე მხარის სურვილის მიუხედავად, დაასრულოს დავა. ასევე, ცალმხრივი დეკლარაციების შემთხვევაში, რამდენადაც მისი აუცილებელი პირობა დარღვევის აღიარებაა, კარგად გამოჩნდება თუ რა შემთხვევებში მიმართავს მთავრობა ამ გზას და რამდენად თანმიმდევრულია ამ მხრივ. საბოლოოდ კი ცალმხრივი დეკლარაციების პრაქტიკისა და მისი ანალიზის შემდეგ, შესაძლებელი იქნება რესპონდენტების მიერ ამ ორ მექანიზმზე გამოთქმული მოსაზრებების შეფასება, მათი განმტკიცება, უარყოფა ან იმ საკითხების გამოკვეთა, რომელზეც პასუხის გაცემას შემდეგი კვლევები სჭირდება.

შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოსთვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ აპლიკანტი პატიმრობიდან გათავისუფლდა. და ბოლოს, საყურადღებოა 2012 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Saria v. Georgia* (striking out) [Committee], no. [44984/07](#), 11 September 2012, სადაც მართალია აპლიკანტმა დაასახელა კონკრეტული მიზეზი თუ რის გამო სურდა საჩივრის გახმოზა, თუმცა, ეს არ უკავშირდებოდა უშუალოდ მის მიმართ მდგომარეობის გამოსწორებასა და სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრას, არამედ იმ ფაქტს, რომ მთავრობამ დროზე ადრე გაათავისუფლა საჩივრის ავტორის დედა, რომელსაც სხვადასხვა დანაშაულებისათვის ასევე თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარებული.

³⁰¹ მაგალითად, საქმეზე *Seidova v. Georgia* (striking out), no. [16956/09](#), 24 November 2009; *Elizbarashvili v. Georgia* (striking out), no. [28263/07](#), 9 November 2010; *Sanamasgvili v. Georgia* (striking out) [Committee], no. [26173/10](#), 14 December 2010; *Archaia v. Georgia* (striking out), no. [6643/10](#), 14 December 2010; *Gabedava v. Georgia* (striking out) [Committee], no. [65063/09](#), 28 January 2011; *Nizharadze v. Georgia* (striking out) [Committee], no. [34361/10](#), 8 March 2011; *Kurkhuli v. Georgia* (striking out) [Committee], no. [65103/10](#), 6 September 2011; *Karseladze v. Georgia* (striking out) [Committee], no. [25391/08](#), 10 January 2012; *Edigarashvili v. Georgia* (striking out) [Committee], no. [22325/10](#), 10 July 2012.

3.2.6.2. ცალმხრივი დეკლარაციით ამორიცხული საქმეები

საქართველოს წინააღმდეგ განსახილველ საქმეთა სიიდან ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველით აპლიკაციების ამორიცხვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების³⁰² ანალიზი³⁰³ გვიჩვენებს, რომ ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე საჩივრების ამორიცხვასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ 43 გადაწყვეტილებაა მიღებული³⁰⁴ (იხ. [დანართი 1](#)).

თუ ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე საჩივრის ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებების დინამიკას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ამ სახის პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით, 2012 წლიდან იწყება და 2015 წლის ჩათვლით ზრდის ტენდენცია ახასიათებს (პიკი - 2015 წელს - 15 გადაწყვეტილება). შემდეგ წლებში იკლებს, 2019-2022 წლებში საერთოდ არ ფიქსირდება. 2021 წელს კი მხოლოდ ერთი შემთხვევაა. ეს სურათი ცხადყოფს, რომ ისევე, როგორც მეგობრული მორიგების შემთხვევაში, საქართველოსთან მიმართებით, მთავრობის მიერ ცალმხრივი დეკლარაციების მიმართვისა და სასამართლოს მიერ მათ საფუძველზე დავის შეწყვეტის ზრდაც, ზოგადად, სასამართლოს მხრიდან ამ პრაქტიკის გააქტიურებას ემთხვევა (იხ. [გრაფიკი 6](#)) და რომ საქართველოს მიერ ამ მხრივ მეტწილად გაზიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზოგადი ტენდენცია (რაც, თავის მხრივ, ასევე, 2015 წლამდე ზრდის ტენდენციას (ამოვარდნა 2013 წელს) გულისხმობს, ხოლო 2015 წელს პიკურ მაჩვენებელს, შემდეგ კი კლებას (ამოვარდნა 2017 წელს), ხოლო 2019-2022 წლებში ეს მაჩვენებელი სრულად განულებულია).

ამასთან, ისევე როგორც მეგობრული მორიგებების შემთხვევაში, ცალმხრივი დეკლარაციების დიდი ნაწილიც (43-დან 19), პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საჩივრებზე მოდის. ამასთან, უშუალოდ ამ სახის გადაწყვეტილებათა (პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ პირობებთან დაკავშირებით ცალმხრივი დეკლარაციების საფუძველზე ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებები) დინამიკას თუ შევხედავთ, ყველაზე მეტად 2014-2015 წლებშია შესამჩნევი, 2016-2017 წლებში თითო-თითო გადაწყვეტილება გვხვდება და შემდეგ წლებში უკვე განულებულია ეს მაჩვენებელი.

ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე ამორიცხვის მოთხოვნით მთავრობის მიმართვას 43-დან 29 შემთხვევაში წინ წარუმატებელი მეგობრული მორიგების მცდელობა

³⁰²გასათვალისწინებელია, რომ გადაწყვეტილებათა რაოდენობა შესაძლოა არ ემთხვეოდეს საჩივართა რაოდენობას, რამდენადაც თითოეული გადაწყვეტილება შესაძლოა რამდენიმე, ზოგიერთ შემთხვევაში ათასობით საჩივრსაც კი აერთიანებდეს.

³⁰³ აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამის საძიებო სისტემაში მოცემული სასამართლოს მიერ ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებების ანალიზით მიღებული მონაცემები მცირედით (2 გადაწყვეტილება) განსხვავდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ანალიზის დოკუმენტებზე დაყრდნობით 2012-2022 წლებში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული დავების ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებების მაჩვენებლისგან (ზუსტი მიზეზების დადგენა ვერ მოხერხდა). კერძოდ, ამ უკანასკნელზე დაყრდნობით, სულ 45 შემთხვევაში დასრულდა ცალმხრივი დეკლარაციით. აქედან: 2012 წ. - 1; 2013 წ. - 3; 2014 წ. - 14; 2015 წ. - 14; 2016 წ. - 1; 2017 წ. - 7; 2018 წ. - 5; 2019 წ. - 0; 2020 წ. - 0, 2021 წ. - 0; 2022 წ. - 0. იხ: European Court of Human Rights, "Analysis of statistics" (2012-2022)

³⁰⁴ ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე ამორიცხული გადაწყვეტილებები: 2012 წელს - 1; 2013 წ. - 2; 2014 წ. - 14; 2015 წ. - 15; 2016 წ. - 1; 2017 წ. - 7; 2018 წ. - 3; 2019 წ. - 0; 2020 წ. - 0, 2021 წ. - 0; 2022 წ. - 0.

უძლოდა. ხოლო, 14 შემთხვევაში მთავრობამ პირდაპირ ცალმხრივი დეკლარაციით მიმართა სასამართლოს. გამომდინარე იქიდან, რომ მეგობრული მორიგების მცდელობის გარეშე ცალმხრივი დეკლარაციით მიმართვის მცდელობა, მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში ხდება³⁰⁵, საინტერესოა სწორედ ამ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება. თუმცა, როგორც კონკრეტულად საქმეთა სპეციფიკიდან, ასევე, სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე, საქართველოს მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებების ანალიზით, რთულია რაიმე კრიტერიუმის დანახვა და იმის განსაზღვრა თუ რა ლოგიკა იყო ამ შემთხვევაში.

მეტიც, თუკი უშუალოდ მეგობრული მორიგებით დასრულებულ საქმეებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ არაერთ შემთხვევაში, მთავრობამ სწორედ პირდაპირ ცალმხრივი დეკლარაციით დავის დასრულების სურვილი გამოიჩინა და შესაბამისი განცხადებით მიმართა სასამართლოს, თუმცა იმის გამო, რომ აპლიკანტი დათანხმდა ცალმხრივი დეკლარაციის პირობებს, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ეს შემთხვევები მიეჩნია და მათ მოჰყრობოდა ისე, როგორც მეგობრულ მორიგებას და შესაბამისად, კონვენციის 39-ე მუხლის საფუძველზე ამოერიცხა.³⁰⁶

ეს მონაცემები აჩენს განცდას მთავრობის სურვილის შესახებ, რაც შეიძლება მეტი დავა მოეგვარებინა ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე. თუმცა, უცნობია ის, თუ რა განაპირობებდა მთავრობის ასეთ სურვილს. კერძოდ, უცნობია ეს დავის დროული და მარტივი მოგვარებით არის ნაკარნახევი თუ კონვენციის დარღვევის აღიარების დეკლარირების სურვილით, დამატებითი ვალდებულებების აღებისა და მათზე მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის განხორციელების გარეშე. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ, შესაძლოა სწორედ აპლიკანტთა ინტერესებიდან გამომდინარეობს ან, ერთ-ერთი რესპონდენტის მოსაზრებას თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ახალი მმართველი გუნდის პოლიტიკით არის ნაკარნახევი, რომელიც მიზნად ისახავდა მათი წინამორბედების ქმედებების შესახებ რაც შეიძლება მძიმე სურათის დახატვას.

მართალია, შესაძლოა ცალმხრივი დეკლარაციით საქმის დასრულების სურვილს მთავრობის მხრიდან ჰქონდეს კეთილი განზრახვა და აპლიკანტის ინტერესის დაცვას ემსახურებოდეს, თუმცა ის ფაქტი, რომ მეგობრული მორიგების მცდელობის გარეშე, მთავრობა პირდაპირ მიმართავს სასამართლოს საქმის ამორიცხვის მოთხოვნით, გარკვეულწილად, უგულვებელყოფაა საჩივრის ავტორის ინტერესის, რამდენადაც მთავრობა საუბრობს არა აპლიკანტთან, არამედ პირდაპირ სასამართლოსთან და აპლიკანტს ფაქტის წინაშე აყენებს. 43 შემთხვევაში ცალმხრივი დეკლარაციით საქმის დასრულება კი თავის თავში გულისხმობს, რომ აპლიკანტები არ იყვნენ თანახმა მთავრობის მიერ შეთავაზებული პირობით საქმის დასრულებაზე, რის არგუმენტადაც,

³⁰⁵European Court of Human Rights, “Rules of Court,” Article 62A(2).

³⁰⁶ მაგ. *Bakradze v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [3658/10](#), 20 May 2014; *Tibilashvili v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [16516/10](#), 27 May 2014; *Abzianidze v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [23715/09](#), 27 May 2014; *Lanchava v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [28103/11](#), 23 June 2015; *Batilashvilebi v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [75737/11](#); 30 June 2015; *Bekauri And Others v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [312/10](#), 15 September 2015; *Chantladze v. Georgia* (friendly settlement) [Committee], no. [60864/10](#), 30 June 2015.

ზოგ შემთხვევაში, არასათანადო ოდენობით კომპენსაცია, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში, მთავრობის მხრიდან ნათელი და არაორაზროვანი აღიარების არ არსებობა ან/და ყველა სადავო საკითხზე პასუხის არ არსებობა იყო.

პროცედურულად, ცალმხრივი დეკლარაციის შემთხვევაში, აპლიკანტს შეუძლია გამოთქვას დეკლარაციის პირობებთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება და უარი განაცხადოს მის გაფორმებაზე, თუმცა, პრაქტიკიდან ირკვევა, რომ მისი სურვილი რომ არსებითი განხილვა გაგრძელდეს, არ არის გადაწყვეტი. ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რომელიც ამოწმებს: 1. საჩივარში წამოჭრილ სადავო საკითხზე სასამართლოს პრეცედენტული სამართლის არსებობას; 2. მთავრობის მხრიდან კონვენციის დარღვევის ფაქტის აღიარებას; და 3. საჩივრის ავტორისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას და ანაზღაურების ადეკვატურობას; 4. იმას, რომ ადამიანის უფლებების პატივისცემა არ საჭიროებს განაცხადის განხილვის გაგრძელებას. საქართველოსთან მიმართებით არსებული პრაქტიკიდან კი ირკვევა, რომ სასამართლომ მხოლოდ ერთ შემთხვევაში თქვა უარი ცალმხრივი დეკლარაციის დაკმაყოფილებაზე, თუმცა არ განუმარტავს უარის მიზეზი.³⁰⁷

ამასთან, ცალმხრივი დეკლარაციით საჩივრების ამორიცხვისას, გასათვალისწინებელია, რომ ამ სახის გადაწყვეტილების აღსრულება მინისტრთა კომიტეტისა თუ სასამართლოს ზედამხედველობას არ ექვემდებარება³⁰⁸ და მხოლოდ საჩივრის ავტორის მიერ კონტროლის ამარაა დარჩენილი, თუმცა ამ შემთხვევაშიც, საჩივრის ავტორი შეზღუდულია სასამართლოს ნებით აღადგინოს საჩივარი, რა ნებაც საქართველოსთან მიმართებით, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლოს ჯერ არ გამოუვლენია.

ცალმხრივი დეკლარაციების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანალიზისას ასევე საყურადღებოა თავად ამ მექანიზმის სპეციფიკა, კერძოდ, ის არ ითვალისწინებს მთავრობის მხრიდან ზოგადი ღონისძიების გატარების ვალდებულების აღებას, თუმცა, არც გამორიცხავს მას. ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ საქართველოს მთავრობას არცერთ შემთხვევაში არ აუღია ამ სახის ვალდებულება. მეტიც, უშუალოდ კონკრეტულ აპლიკანტთან მიმართებითაც, უმეტეს შემთხვევაში, მთავრობა კომპენსაციის შეთავაზებით შემოიფარგლებოდა და არა რაიმე, სხვა ინდივიდუალური ღონისძიებების გატარებით. ამასთან, 43-დან მხოლოდ 7 შემთხვევაში ვხვდებით უშუალოდ გამოძიების ეფექტიანად წარმოების ვალდებულების აღებას, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ აპლიკანტის შემდგომ კონტროლს ექვემდებარება და არა მინისტრთა კომიტეტის. მართალია, ადამიანის უფლებათა პატივისცემის ტესტზე მსჯელობისას, სასამართლო ითვალისწინებს, რომ საჩივარში წამოჭრილ საკითხზე აუცილებლად უნდა არსებობდეს სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს აღსრულების პრობლემები აქვს, შესაძლოა, მხოლოდ წლების წინ დადგენილ პრაქტიკაზე მითითება არ იყოს საკმარისი და მნიშვნელოვანი იყოს,

³⁰⁷ Gogvadze v. Georgia [Committee], no. [40009/12](#), § 5, 27 June 2019.

³⁰⁸ ცალმხრივი დეკლარაციით ამორიცხული საჩივარი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობას, თუ ამორიცხვა სასამართლოს გადაწყვეტილებით (judgment) მოხდა და არა ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებით (decision).

სასამართლომ კიდევ ერთხელ იმსჯელოს წამოჭრილ პრობლემაზე და თუნდაც ახლებური პერსპექტივით შეხედოს მას.

მეგობრული მორიგებისა და ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე საჩივართა ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილებათა ანალიზით დასტურდება, რომ ამ მექანიზმების გამოყენება 2013 წლიდან მოყოლებული, საქართველოსთან მიმართებითაც გავრცელებული პრაქტიკა იყო და იზიარებდა ევროპული სასამართლოს ზოგად ტენდენციებს. ამასთან, ანალიზით დგინდება, რომ ბოლო წლებში თითქმის არ გამოიყენება ეს მექანიზმები.

მართლაც, საქართველოს მაჩვენებლები კორელაციაშია სასამართლოს მიერ ამ მექანიზმების გამოყენების ზოგად მაჩვენებელთან. არაერთხელ დაფიქსირებულა წერილობით თუ სიტყვიერად, რომ ევროპული სასამართლო დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს პირველ რიგში, სწორედ სასამართლოს განსატვირთად მიმართავს, რაც ამტკიცებს ერთ-ერთი რესპონდენტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამ მექანიზმის ხშირი გამოყენება თავად სასამართლოს ინტერესში იყო. თუმცა რესპონდენტის მოსაზრების იმ ნაწილზე მსჯელობა, რომ საქართველოს შემთხვევაში მორიგებებისა და დეკლარაციების დიდი რაოდენობა განპირობებული იყო მთავრობის ინტერესით, რაც შეიძლება მეტ საქმეზე ეღიარებინა წინა ხელისუფლების დროს დარღვევების ფაქტები, მხოლოდ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეუძლებელია. ამ მხრივ გადაწყვეტილებათა შინაარსობრივ ანალიზში ამ ფაქტის გასამყარებელი მცირედი შესაძლო მინიშნებების მიუხედავად, მაინც შეზღუდულები ვართ, რამდენადაც, მეტწილად, მათში მითითებულია მხოლოდ შაბლონური ტექსტები მთავრობის მხრიდან მეგობრული მორიგების ან ცალმხრივი დეკლარაციის გაფორმების სურვილისა და მათი პირობების შესახებ და არა დასაბუთება იმისა, თუ რამ განაპირობა მათი მხრიდან ამ გზით დავის დასრულების გადაწყვეტილების მიღება და რამდენად იყო შესაძლებელი მთავრობას, შესაბამისი პოზიციონირების შემთხვევაში, დავა ქვეყნის გამარჯვებით დაესრულებინა.

ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი რესპონდენტის მინიშნება, რომელიც თავის მხრივ, დიდი რაოდენობით მორიგებებსა და ცალმხრივ დეკლარაციებში პრობლემას ვერ ხედავს, თუმცა მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმაზე დაკვირვებას თუ რამდენად შეინარჩუნებს ამ ტენდენციას მთავრობა. ამჟამად, არსებული მონაცემების გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ მთავრობამ ამ სახის პრაქტიკაზე მეტ-ნაკლებად უარი თქვა. ამ დრომდე უშუალოდ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით წარდგენილ საჩივრებზე მხოლოდ ერთი მეგობრული მორიგება ფიქსირდება. თუმცა, თუკი ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქმისწარმოების სპეციფიკას გავითვალისწინებთ, შესაძლოა ამ სახის დასკვნის გამოტანა დასაკვირვებელი პერიოდის გათვალისწინებით, ჯერ არ იყოს მიზანშეწონილი. თავის მხრივ, რადიკალური კლება შეიძლება აუცილებლად არ ნიშნავდეს იმას, რომ საქართველოს მთავრობამ უარი თქვა ამ მექანიზმზე, რამდენადაც წინა წლებში დაფიქსირებული მაღალი რიცხვი, მეტწილად, საქართველოს წინააღმდეგ

დაგროვილ, წლობით განუხილველ საქმეებზე პასუხი იყო. თუმცა, ასეთი დაბალი რიცხვი თავის მხრივ, საყურადღებოა სასამართლოს პოლიტიკის ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც 2019 წლიდან სატესტო რეჟიმში მეგობრული მორიგების შესაძლებლობაზე მსჯელობისთვის მხარეთათვის 12 კვირიან ვადას განსაზღვრავს და მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ გადადის წერილობითი არგუმენტაციის გაცვლის ეტაპზე.

გადაწყვეტილებათა შინაარსობრივი ანალიზიდან ამ მექანიზმის გამოყენებასთან დაკავშირებით იკვეთება არაერთი ბუნდოვანება და არათანმიმდევრულობა, როგორც მთავრობის მხრიდან, ასევე, სასამართლოს მხრიდან. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით თვალშისაცემია. კერძოდ, არ არის ნათელი მხარეთა შორის არსებული მორიგების შემთხვევაში როდის, რა საფუძვლით ამორიცხავს სასამართლო საჩივრებს. მაშინ როდესაც, აპლიკანტებისთვის მეგობრული მორიგებისა თუ ცალმხრივი დეკლარაციებით დავის დასრულება არც ისე მიმზიდველი გადაწყვეტაა, რაზეც ყურადღება ჩვენმა ერთ-ერთმა რესპონდენტმაც გაამახვილა, ამ სახის ბუნდოვანებები და არათანმიმდევრული მიდგომა, კიდევ უფრო მეტად აფერხებს მათ სასამართლოსთვის მიმართვის გზაზე, რამდენადაც ამ სახის პრაქტიკას, გარკვეულწილად, აქვს გადათქმევინების ეფექტი პოტენციურ აპლიკანტზე, რაც ასევე დასტურდება რესპონდენტის განცხადებით, რომელიც მის პრაქტიკულ გამოცდილებას ეყრდნობა. ეს ეფექტი კი განსაკუთრებით საყურადღებოა სასამართლოს შეცვლილი პოლიტიკის გათვალისწინებით, რაც დავის ალტერნატიული გზებით მოგვარების პრიორიტეტიზაციას ითვალისწინებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დავის შემთხვევაში, მეტწილად, ფინანსური კომპენსაციის მიღების პერსპექტივა შეიძლება პოტენციური აპლიკანტისთვის არ იყოს მიმზიდველი, რამდენადაც ადამიანებისთვის კონვენციის უფლების დარღვევით მიღებული ზიანის ფულადი ეკვივალენტი ხშირად არ არსებობს და მეტიც, ეროვნულ დონეზე სამართლის პოვნის შეუძლებლობით, ევროპული სასამართლოს იმედად დარჩენილი დაზარალებულებისთვის ხშირად გადამწყვეტი სწორედ ის არის, რომ მათი ხმა მოისმინონ, მათი სიმართლე გაჟღერდეს, რაც ცალმხრივი დეკლარაციითა თუ მორიგების კონფიდენციალური პროცესით, შესაძლოა ნაკლებ მიღწევადი აღმოჩნდეს.

მხოლოდ კომპენსაციის შეთავაზებით და დარღვევის ბუნდოვანი აღიარებით დავის დასრულება, მთავრობისთვის მარტივი და კომფორტული გზაა, რომელიც ხშირად სისტემურ პრობლემებზე თვალის დახუჭვის საშუალებას იძლევა და უხეშად რომ ვთქვათ, ამ პრაქტიკის სულ უფრო ხშირი ხასიათის მიცემის შემთხვევაში, ევროპულ სასამართლოს არა ადამიანის უფლებების დაცვის მთავარ გარანტად, არამედ ქვეყნის მთავრობებისგან „კომპენსაციის ამოღების“ ინსტრუმენტად აქცევს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, არ არის გამორიცხული ამ მექანიზმების გააქტიურებას გარკვეული ნეგატიური როლი ჰქონოდა იმ პირებზე, რომლებიც ევროპულ სასამართლოში დავის გაგრძელებასა და სამართლის პოვნას აპირებდნენ.

3.2.7. ხელმისაწვდომობა და არასამთავრობო ორგანიზაციების ფაქტორი

სასამართლოს მიერ გატარებული რეფორმების, დაწესებული არაერთი ბარიერისა და ზოგადად გართულებული სამართალწარმოების გათვალისწინებით, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. სწორედ ამ პრობლემაზე გაამახვილეს ყურადღება რესპონდენტებმა საქართველოსთან მიმართებითაც, თუმცა, საინტერესოა, რომ ეს პრობლემა აქტუალური, მაშინაც იყო, როდესაც სასამართლო შედარებით ლოიალური იყო და ნაკლებ ბარიერებს უწესებდა ინდივიდებს მისთვის მიმართვის გზაზე. ამას კი, როგორც აღვნიშნეთ, ზოგადად ახალი ინსტიტუციის მიმართ ცოდნის და როგორც თავად რესპონდენტები აცხადებენ, ამ სახის კვალიფიკაციის მქონე ადამიანთა ნაკლებობა განაპირობებდა. თუკი საჩივრების დაუშვებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ათეულობით საქმეში ერთი და იგივე წარმომადგენლები ფიგურირებდნენ, რომელთა ნაწილი, სამწუხაროდ, სასამართლოს მხრიდან სასტიკ საყვედურს იღებდნენ უპასუხისმგებლო ქცევის გამო, რითაც პირველ რიგში საკუთარ მარწმუნებლებს აზიანებდნენ, ხოლო შემდეგ - სასამართლოს.

მართალია დროთა განმავლობაში ადვოკატები გადამზადნენ, გაიღრმავეს კვალიფიკაცია, თუმცა როგორც ჩვენმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, ამ მიმართულებით სერვისი მაინც არ არის განვითარებული და სპეციალისტების ნაკლებობა შეინიშნება. კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და შესაბამისი სერვისის განუვითარებლობა პირდაპირ აისახება მოქალაქეთა ხელმისაწვდომობაზე, რამდენადაც მეორე თავში წარმოდგენილი, მთელი რიგი პროცედურული ცვლილებები ქმნის იმდენად დიდ ბარიერებს ინდივიდუალური აპლიკანტებისთვის, რომ აუცილებელს ხდის ამ პროცესში პროფესიონალის ჩართულობას.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების მხრივ ძირითად ბირთვს მაინც არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ და მეტი ცოდნაც სწორედ ამ სექტორშია თავმოყრილი, რომელთა საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ საჩივრის მომზადებით, არამედ კომუნიკაციის ეტაპზე შესაბამისი არგუმენტების წარდგენით (სასამართლოს მხრიდან გახშირებული კომუნიცირება ემთხვევა საჩივართა რაოდენობის შემცირების პერიოდს), ასევე თითოეულ გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის მონიტორინგითა (რაც დღემდე სერიოზულ პრობლემად რჩება) და შესაბამისი ანგარიშების მომზადებით, რაც დამატებით დიდ დროსა და ადამიანურ რესურსს მოითხოვს. როგორც ჩვენი რესპონდენტი აღნიშნავს, ეს უკანასკნელი სამუშაო არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან, ერთი მხრივ, ამ გზით შეიძლება სარგებელი არა მხოლოდ იმ ერთ კონკრეტულ მოსარჩელეს მოუტანო, რომლის საქმეზეც დადგა გადაწყვეტილება, არამედ ბევრ სხვა ადამიანსაც, რომლებიც მსგავს სიტუაციაში იმყოფებიან და მეორე მხრივ, პრევენციის როლი შეიძლება შესრულდეს იმის უზრუნველყოფით, რომ ასეთ მდგომარეობაში არ მოხვდნენ სხვები, რაც თავის მხრივ, მომავალში მსგავსი საჩივრების რაოდენობას შეამცირებს.


შესაბამისად, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა, არ არის მხოლოდ ფორმალურად საჩივრის შედგენა და სასამართლოში გაგზავნა, რაც თავის მხრივ, არაერთი ნიუანსის

გათვალისწინებას მოითხოვს, არამედ ეს არის მხოლოდ დასაწყისი ამ პროცესის, რომელიც სასამართლოს მიერ დადგენილი შესაბამისი ფაზების ზედმიწევნით მიყოლას მოითხოვს და რაც მთავარია, არც თუნდაც საჩივრის ავტორისთვის მისაღები გადაწყვეტილებით დასრულებით შემოიფარგლება, რამდენადაც, სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების გარეშე, რაც ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, მთელი ეს განვლილი გზა აზრს კარგავს.

სამართალწარმოების პროცესის კომპლექსურობა, სირთულე და შესაბამისი სერვისის არ არსებობა, თავის მხრივ, გავლენას შეიძლება ახდენდეს სასამართლოსთვის გაგზავნილ საქმეთა რაოდენობასა და პერსპექტიულობაზე. როგორც აღვნიშნეთ, ამ სახის ცოდნა მეტწილად არასამთავრობო სექტორშია აკუმულირებული რომელსაც ბევრი წარმატებით დასრულებული საქმე უკავშირდება და ასეულობით გაგზავნილი საჩივარი, რაც ბოლო წლებში ასევე შემცირებულია. აქედან გამომდინარე, ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტის მინიშნებით, შემცირებული მიმართვიანობის ახსნა ყველაზე უკეთ შესაძლოა სწორედ არასამთავრობო სექტორმა შეძლოს.

წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის, სიღრმისეული ინტერვიუს ფორმატში, ამ საკითხში გარკვევაში არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ დაგვეხმარა, რომელიც 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე აქტიურადაა ჩართული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების პროცესში. კერძოდ, 2004-2021 წლებში მათი მონაწილეობით ევროპულ სასამართლოში სულ 166 საჩივარი გაიგზავნა (იხ. [გრაფიკი 12](#)).

გრაფიკი 12: არასამთავრობო ორგანიზაცია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) ჩართულობით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივრების რაოდენობა (2004-2021წწ).



წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მოწოდებული მონაცემებით.

როგორც [გრაფიკი 12](#)-დან ჩანს, ამ პერიოდის განმავლობაში საიას მიერ წარმოებულ საჩივრებიდან, უშუალოდ საქართველოს წინააღმდეგ, 105 იყო მიმართული, დანარჩენი 61

საჩვარი კი რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი რიცხვი მნიშვნელოვანია, რამდენადაც კარგად წარმოაჩენს ორგანიზაციის დატვირთვას წლების მიხედვით.³⁰⁹ ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საჩივრების რაოდენობა არ არის აპლიკანტების რაოდენობის ეკვივალენტური და შესაძლოა აპლიკანტთა რაოდენობა მნიშვნელოვნადაც კი აღემატებოდეს საჩივრების რაოდენობას. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც თითოეული აპლიკანტის საქმე ცალკე დამატებით დროს და რესურსს საჭიროებს, შესაბამისად, მხოლოდ საჩივრების რაოდენობაზე მითითება შეიძლება არ იძლეოდეს ზუსტ სურათს ორგანიზაციის დატვირთვის შესახებ.

მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეთა რაოდენობას თუ შევხედავთ, 2004 წლიდან მოყოლებული (რამდენადაც ორგანიზაცია ევროპულ სასამართლოში საქმეებს 2004 წლიდან აწარმოებს) 2008 წლამდე გამოკვეთილი ტენდენცია არ შეინიშნება და სტაბილურად მცირე რაოდენობის საჩივრები იგზავნებოდა. ხოლო 2008 წლიდან - 2012 წლის ჩათვლით, საგრძნობი მატებაა. 2013 წლიდან კი, წინა წლებთან შედარებით, კლება შეინიშნება და 2013-2021 წლის ჩათვლით, ჯამში იმაზე ნაკლები საჩივარია გაგზავნილი (28 საჩივარი), ვიდრე მაგალითად 2009 და 2010 წლებში გაგზავნილ საჩივართა ჯამია (32 საჩივარი).

სანამ 2013 წლიდან წარმოებულ საქმეთა კლების მიზეზებზე ვისაუბრებთ, საინტერესოა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარდგენილ საჩივრებზე მოვლენების შემდეგი განვითარება. როგორც მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით გახდა ცნობილი, 2004 წლიდან 2021 წლის ჩათვლით გაგზავნილი საჩივრებიდან, 16-ზე დადგა გადაწყვეტილება.³¹⁰ 37 საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.³¹¹ ასევე, დავინტერესდით, თუ მეტწილად რომელი წლის საჩივრებზე მოდიოდა დაუშვებლად ცნობა და ასევე, რა სახის საქმეებზე. ორგანიზაციამ ამ სახის ინფორმაციაც დაამუშავა და გავგიზიარა. როგორც მონაცემებიდან ირკვევა, ყველაზე მეტი დაუშვებელი 2009-2012 წლების საქმეებზე გამოცხადდა (2009 წლის 6 საქმეზე, 2010 წლის - 7 საქმეზე; 2011 წლის - 7 საქმესა და 2012 წლის - 8 საქმეზე).³¹² როგორც [გრაფიკი 12](#)-დან ჩანს, სწორედ ამ წლებში გაიგზავნა ორგანიზაციის მიერ ყველაზე მეტი საჩივარი.

გამომდინარე იქიდან, რომ ყველაზე მეტი საჩივარი 2009-2012 წლების პერიოდშია გაგზავნილი, ჩვენ დავინტერესდით თუ კონკრეტულად რა სახის დავებს ეხებოდა წარდგენილი საჩივრები. ასევე დავინტერესდით, ეხებოდა თუ არა ისინი უმეტესწილად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უფლებების დარღვევებიდან წარმოშობილ

³⁰⁹ ამასთან + 2 საჩივარი 2017 და 2020 წლებში გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში გაიგზავნა.

³¹⁰ აქედან, 2010 წ. - 1 გად. (2006 წლის საქმეზე); 2011 წ. - 1 გად. (2006 წლის საქმეზე); 2012 წ. - 1 გად. (2007 წლის საქმეზე); 2015 წ. - 1 გად. (2012 წლის საქმეზე); 2016 წ. - 3 გად. (1 საქართველოს წინააღმდეგ 2012 წლის საქმეზე; 2 რუსეთის წინააღმდეგ 2007 წლის საქმეზე); 2017 წ. - 1 გად. (2005 წლის საქმეზე); 2018 წ. - 2 გად. (2008 და 2009 წლების საქმეებზე); 2019 წ. - 2 გად. (2007 და 2012 წლების საქმეებზე); 2020 წ. - 1 გად. (2009 წლის საქმეზე); 2021 წ. - 3 გად. (2010 წლის 2 საქმესა და 2012 წლის 1 საქმეზე).

³¹¹ რესპონდენტის განმარტებით ასევე დამატებით სავარაუდოდ 8 საჩივარი იყო დაუშვებლად ცნობილი, რომლის შესახებაც უშაულოდ ინტერვიუს დროს მონაცემების დაზუსტება ვერ მოხერხდებოდა.

³¹² მათ შორის 2010 წ. - 1 (2006 წლის საქმეზე); 2012 წ. 6 (2-2009 წლის საქმეზე; 2-2010წ.; 2-2010წ.); 2013წ - 5(1- 2008 წლის საქმეზე; 1-2010წ.; 3-2011წ.); 2014 წ. - 3 (1-2008წ.; 1-2011წ.; 1-2012წ.); 2015წ. - 2(1-2008წ; 2-2010 წ.); 2017 წ. - 5 (1-2009 წ.; 3 - 2012 წ.; 1 - 2017 წ.); 2018 წ. - 7 (1- 2008წ.; 1 - 2009 წ.; 2-2010 წლის; 3-2018 წ.); 2019 წ. - 1 (2009 წლის საქმეზე); 2021 წ. - 6 (1-2009 წ.; 3 - 2011 წ.; 2 - 2012 წ.)

დავებს. ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ ჩატარებული საქმეთა შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე, მისი განცხადებით ამ უკანასკნელ კითხვაზე პასუხი უარყოფითია. „თქვენი პირველი კითხვის პასუხად,³¹³ ამ საქმეების ანალიზი მაჩვენებს, რომ მათი უმრავლესობა დასახელებულ წლებში პატიმრების უფლებებს არ შეეხებოდა“- განგვიმარტა რესპონდენტმა. ამასთან, კითხვაზე თუ რა სახის საჩივრებზე მოდიოდა ძირითადად დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინებები, მან დაგვიზუსტა, რომ „ეს იმ უფლებებს შეეხება, რომლებიც ნაკლებ პერსპექტიულია ევროპულ სასამართლოში (მაგ.: საკუთრების უფლების შესახებ დავა, შრომითი დავები, მე-6 მუხლზე დავების ძირითადი ნაწილი, როდესაც საქმე გადაწყვეტილების დასაბუთებულობას ეხება და ა.შ.)“- განაცხადა თამარ ონიანმა.

მართლაც, კითხვაზე თუ რა შეიძლება იყოს მიზეზი, რის გამოც შემცირდა მათი მხრიდან ევროპულ სასამართლოში გაგზავნილ საჩივართა რაოდენობა, ჩვენთან ინტერვიუს დროს საიას წარმომადგენელმა გვიპასუხა, რომ მისი დაკვირვებით, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ პრაქტიკის განვითარება და დაგროვილი გამოცდილებაა.

„რომ გავანალიზებ, რა იყო მიზეზი, ამდენი საჩივრის გაგზავნის, ვნახე, რომ ისეთ უფლებებზე იყო დავა, რასაც ახლა არ ვაგზავნით, იმიტომ რომ ამაზე უკვე ჩამოყალიბდა პრაქტიკა, რომ სასამართლო ამ საქმეებს ნაკლებ პრიორიტეტს ანიჭებს და არ ადგენს დარღვევას, იქიდან გამომდინარე, რომ მეოთხე ინსტანციის სასამართლო არ არის, სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე და ასევე უფლებების შინაარსიდან გამომდინარე...

ამიტომ, ჩვენც ჩვენს საქმეებზე დაყრდნობით რომლებზეც დაუშვებელი ჩამოვიდა, უკვე ვაიდენტიფიცირებთ მომავალი საქმეები რა პერსპექტივით წავიღოთ... როცა ჩვენი ინსტიტუციური მეხსიერება გვკარნახობს, რომ ეს საჩივარი იქნება დაუშვებელი, იმ ტიპის საქმეზე აღარ ვაგზავნით, იმისთვის, რომ იგივე შედეგი არ მივიღოთ და ცრუ მოლოდინები არ შევუქმნათ ბენეფიციარებს და მათ შორის კონსულტაციების ნაწილშიც ამას ავსახავთ, როცა ისინი გვეუბნებიან, რომ მაგალითაც სურთ რომ შრომით დავაზე იდაონ“.

ამასთან, საიას წარმომადგენლის განცხადებით, მართალია ორგანიზაციის უცვლელ პრიორიტეტს წარმოადგენს არასათანადო მოპყრობის შესახებ საქმეები, თუმცა ასევე გამოცდილებისა და გართულებული სამართალწარმოების გათვალისწინებით, არაპერსპექტიული შეიძლება აღმოჩნდეს იმ სახის საქმეები, რომლებიც ეროვნულ დონეზე არ არის მათ მიერვე წარმოებული, რამდენადაც ასეთ საქმეებს შეიძლება დასაშვებობის ეტაპზე შეექმნას პრობლემები.

„საქმე, რომელიც ჩვენამდე მოდის და არ არის ჩვენ მიერ ნაწარმოები, მას შეიძლება ჰქონდეს შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის პრობლემა. ჩვენ ჯერ ეროვნულ დონეზე ვაწარმოებთ საქმეებს, მაგრამ სხვა შემთხვევაში, როცა ბენეფიციარი მოდის და გვეუბნება რომ მოხდა არასათანადო მოპყრობა და დღემდე არაფერი გაკეთებული არ აქვს, შეიძლება მივხვდეთ რომ ეს საქმე არ არის პერსპექტიული, რადგან არ აქვს ის ნაბიჯები

³¹³ რესპონდენტისთვის ინტერვიუს შემდეგ, ელექტრონული ფოსტის საშუალებით დამატებით დასმული დამაზუსტებელი კითხვა: „2009-2012 წლებში რამ გამოიწვია საჩივართა სიმრავლე? ეხებოდა თუ არა ეს საჩივრები ძირითადად პატიმრების უფლებებს?“

გადადგმული, რომელიც უნდა გადაეგდა. ასეთი საქმეები არ მიგვაქვს სტრასბურგში, ცხადია, ჩვენი რესურსების გათვალისწინების და ასევე ბენეფიციარების მოლოდინების არ გაცრუების მიზნებისთვის“.

რაც შეეხება კითხვას თუ რამდენად არის დამოკიდებული დონორის პრიორიტეტებზე საჩივართა რაოდენობა, კერძოდ, რამდენად განაპირობებს ევროპულ სასამართლოში საჩივრის შეტანას დონორის ინტერესები და დაფინანსება, ამასთან დაკავშირებით საიას წარმომადგენელმა განგვიმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმისწარმოება კონკრეტულად რომელიმე დონორზე მიბმული არ ყოფილა და ის ყოველთვის სხვადასხვა პროექტებით იყო გათვალისწინებული.³¹⁴ აღნიშნულ კითხვაზე პასუხად, საიას წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დააზუსტა და განმარტა, რომ მათ შემთხვევაში საჩივართა შემცირების განმაპირობებელი არა დონორის ფაქტორი, არამედ ინსტიტუციური გამოცდილებაა.

3.3. შეჯამება

საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება, გაწევრიანების დროისთვის ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საუკეთესო შესაძლებლობას იძლეოდა ერთი მხრივ, თავად ქვეყნისთვის, შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობისა და სათანადო ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, თუ არა მოკლევადიან, გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც, ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების დანერგვისათვის, ხოლო მეორე მხრივ, თითოეული ინდივიდისთვის, რომ ებრძოლათ მათი უფლებებისთვის, რამდენადაც ეს ეროვნულ დონეზე, იმ პერიოდში, თითქმის შეუძლებელი იყო.

მოულოდნელი არ არის, რომ გაწევრიანებიდან მალევე, სიტყვები „სტრასბურგში წავალ“ პოპულარული გახდა, რაც საქართველოს ხელისუფლების შტოებისთვის ერთგვარ გამაფრთხილებელ გზავნილს წარმოადგენდა. შესაძლოა ევროპული სასამართლოს მიმართ ნდობის ზრდას და იმედს, რომ „სტრასბურგი“ სათანადო პასუხს გასცემდა მთავრობას, 2004 წელს სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ პირველი გადაწყვეტილების მიღებამაც შეუწყო ხელი, რომლითაც სასამართლომ პირდაპირ მიუთითა ქვეყნის მთავრობას დაუყოვნებლივ გადასადგემლი ნაბიჯების შესახებ (რაც ზოგადად სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის არ არის დამახასიათებელი). სწორედ ამ პერიოდიდან შეინიშნება საქართველოს წინააღმდეგ მიმართვიანობის ზრდაც.

პირველ ეტაპზე ინდივიდუალური საჩივრების მიღებასთან დაკავშირებით, სასამართლოს ლოიალური პოლიტიკის მიუხედავად, როგორც აღინიშნა, „სტრასბურგში წასვლა“ მაინც არ იყო ისეთი მარტივი, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდა.

³¹⁴ გამოწვევისა საიას მიერ მის სტრატეგიულ პარტნიორთან, ადამიანის უფლებათა ევროპული ადვოკატირების ცენტრთან (EHRAC) თანამშრომლობის ფარგლებში წარმოებული სამართალწარმოება, რომლის ფარგლებშიც საია და (EHRAC), ერთობლივად წარადგენენ საჩივარს კონკრეტულად სამართალდამცავი ორგანოს მიერ ჩადენილ ქმედებებთან დაკავშირებულ საქმეზე.

როგორც კვლევის შედეგად გამოვლინდა, თავად სასამართლოს მიმართ ცნობადობის ზრდის მიუხედავად, უშუალოდ საქმისწარმოების შესახებ ცოდნა ეროვნულ დონეზე მწირი იყო, რასაც ერთი მხრივ, ქვეყნის შიგნით შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრების სიმცირე, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოს მხრიდან დროში გაწეილი სამართალწარმოება და ხშირად ბუნდოვანი პასუხები განაპირობებდა. ცოდნის ნაკლებობა, ისედაც გადატვირთული სასამართლოს, კიდევ უფრო გადატვირთვას იწვევდა, რამდენადაც ხშირი იყო როგორც უპერსპექტივო, აშკარად უსაფუძვლო საჩივრებით მიმართვის, ასევე საჩივრის ავტორთა მხრიდან საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები. ეს უკანასკნელი, ხშირად, სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიუწოდებულობაში გამოიხატებოდა, რაც თავის მხრივ, სასამართლოს მხრიდან საჩივარზე განხილვის შეწყვეტას განაპირობებდა.

პრაქტიკული გამოცდილების მიღებასა და მოკლე დროში „შეცდომებზე სწავლას“ ართულებდა სასამართლოს მხრიდან თითოეულ საქმეზე წლების შემდეგ გაცემული პასუხებიც და სასამართლოში გატარებული არაერთი რეფორმისა და გართულებული პროცედურებისთვის ფეხის სწრაფად აწყობის შესაძლებლობების ნაკლებობა. სასამართლოს მხრიდან დროული რეაგირების მოსპობა, ბევრი უპერსპექტივო საჩივრის დაგროვებასთან ერთად, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მნიშვნელოვან საქმეებსაც უყურადღებოდ ტოვებდა.

საქართველოსთან მიმართებით, საჩივართა რაოდენობამ საანაგრიშო პერიოდში ყველაზე მაღალ ნიშნულს 2008 წელს მიაღწია, რაც საქართველოს მხრიდან 2008 წლის ომიდან გამომდინარე რუსეთის წინააღმდეგ საჩივარზე, ამ უკანასკნელის მიერ გაცემული პასუხი იყო, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს წინააღმდეგ 3 300-მდე იდენტური ინდივიდუალი საჩივარი დარეგისტრირდა. რუსეთის სტრატეგია კი, ერთი მხრივ, საქართველოს შესახებ რაც შეიძლება მძიმე სურათის დახატვის მცდელობასა და მეორე მხრივ, სასამართლოს მაქსიმალურად გადატვირთვას გულისხმობდა, რაც ისედაც გადატვირთული სასამართლოს მხრიდან დროული რეაგირების შესაძლებლობის მოსპობას გამოიწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საჩივართა ნახევარი განსახილველ საჩივართა სიიდან 2010 წელს ამოირიცხა, ამ სტრატეგიამ სასამართლოში, უშუალოდ საქართველოსთან მიმართებით, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა და განსაზღვრა ის გარემო, რომელმაც მომდევნო 11 წლის განმავლობაში გავლენა იქონია საქმეთა განხილვის მიმდინარეობაზე და ამასთან, საქართველოსთან მიმართებით, სტატისტიკური მონაცემების „დაბინძურება“ განაპირობა.

მართალია საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეთა რაოდენობაზე მსჯელობისას, მხედველობაში არ უნდა მივიღოთ რუსეთის ორგანიზებით დარეგისტრირებული 3 300-მდე საჩივარი, მაგრამ მათი გამორიცხვითაც, 2008-2012 წლებში საჩივართა რაოდენობას ზრდა ახასიათებდა. უკვე, 2013 წლიდან კი კლების ტენდენცია ვლინდება. სასამართლოს, როგორც ახალი ინსტიტუციის ფაქტორს, თან ერთვოდა ხელისუფლების მიერ გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა, რამაც ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ მდგომარეობის შესახებ არაერთ წუხილთან ერთად, პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთვა გამოიწვია, რამაც კიდევ უფრო მეტად გააუარესა პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული მძიმე პირობები. შედეგად,

პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ პირობებიდან გამომდინარე, ევროპულ სასამართლოში ათეულობით (თუ არა ასეულობით) საჩივრის შედინება დაიწყო, რასაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა, ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით დადგენილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ პირობებთან დაკავშირებით, დასაშვებობის ეტაპზე, ყველა სხვა კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში, აპლიკანტებს შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალების ამოწურვისათვის მხოლოდ მინიმალურ წინაპირობას უყენებდა. მხოლოდ 2010 წლისთვის, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის რადიკალური ცვლილებების შედეგად, სასამართლომ დაინახა რა, ქვეყნის შიგნით ეფექტიანი შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალების შექმნა, უარი თქვა მის მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე. შესაბამისად, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ პირებს, არსებულ პირობებთან დაკავშირებით საჩივრით ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის გზაზე, შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალების ამოწურვის ვალდებულების სახით, მნიშვნელოვანი ბარიერი დაუწესდათ, რაც შესაბამისად აიასახა მომდევნო წლებში მსგავსი საჩივრების შედინების დინამიკაზე. თუმცა, ამ მხრივ გავლენა ასევე იქონია პენიტენციურ დაწესებულებებში გატარებულმა არაერთმა რეფორმამ, რეალურად გაუმჯობესებულმა პირობებმა, განსაკუთრებით კი 2012 წელს არჩევნების გზით, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ახალი მმართველი ძალის მიერ გამოცხადებულმა უპრეცედენტო ამნისტიამ, რამაც გაანახევრა პატიმართა რაოდენობა (იხ. [გრაფიკი 10](#)).

არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებით, პირველ ეტაპზე, საზოგადოებაში გაჩნდა მოლოდინები, ადამიანის უფლებების მხრივ მდგომარეობის გამოსწორებისა და „პრობლემების“ ქვეყნის შიგნით მოგვარების შესაძლებლობის გაჩენაზე, რის პირობასაც თავად ახალი ხელისუფლებაც აქტიურად იძლეოდა. ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის შიგნით ხელისუფლებისა და მოლოდინების ცვლილების პერიოდი ემთხვევა სასამართლოში „ინტერლაკენის შემდგომი“ პერიოდის აქტიურ ფაზაში შესვლასა და ევროპულ სასამართლოში ერთმანეთის მიყოლებით განხორციელებულ ცვლილებებს, რომლის მთავარ მიზანს სასამართლოს უმოკლეს დროში განტვირთვა წარმოადგენდა, რასაც ინდივიდების წვდომის თვალსაზრისით არაერთი პროცედურული ბარიერი მოჰყვა.

როგორც კვლევამ აჩვენა, ისევე როგორც ზოგადად სასამართლოს შემთხვევაში, საქართველოს წინააღმდეგ განსახილველ საქმეებთან მიმართებითაც, სასამართლოს შედარებით განტვირთვა, საქმეთა კატეგორიზაციას, პრიორიტეტულობის პოლიტიკის შემოღებას და შესაბამისად, სასამართლოს დანაყოფებზე გადანაწილებას, განსაკუთრებით კი ერთი მოსამართლის დანაყოფის შექმნას და მისთვის აშკარად დაუშვებელი განცხადებების განხილვის უფლებამოსილების მინიჭებას უკავშირდება. ამ უკანასკნელმა თავის მხრივ, 2010 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში, საჩივრის ავტორთათვის ბუნდოვანი არგუმენტებით, არაერთი საჩივარი გაფილტრა. მართალია ბუნდოვანება თავის მხრივ, არ გულისხმობს რომ ეს გადაწყვეტილებები აუცილებლად არასწორად იქნა მიღებული, თუმცა, სამწუხაროდ, ამ სახის გადაწყვეტილებები აჩენს ეჭვს მათი უმართლობის შესახებ. ამასთან, ნათელი კრიტერიუმების არ არსებობა, ვერ უზრუნველყოფს სასამართლოს მხრიდან მომავალში მსგავსი საჩივრებისგან დაცვას, ან/და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია,

შესაძლოა ინდივიდებში სასამართლოსთვის მიმართვის გადათქმევინებას იწვევდეს. მართალია, არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები თუ რამდენად ჰქონდა ამ უკანასკნელს ადგილი საქართველოს მართლებით, თუმცა, კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტები, პრაქტიკული გამოცდილებიდან, ამ სახის წინააღმდეგე ყურადღებას ამახვილებენ.

გადათქმევინების ეფექტის ჭრილში ასევე მნიშვნელოვანია მთელი რიგი პროცედურული ცვლილებები, მათ შორის, საჩივრის წარსადგენად გართულებული ფორმის შემოღება და მის ზედმიწევნით შევსებასთან დაკავშირებული სირთულეები, დასაშვებობის კრიტერიუმების გამკაცრება, საჩივრისთვის წარდგენის ვადის დაცვის გამკაცრებული პოლიტიკა და თავად შემცირებული ვადა. აქვე უნდა დასახელდეს სასამართლოს მხრიდან ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებით დავების დასრულების პრიორიტეტიზაცია, რაც მეგობრული მორიგებისა თუ ცალმხრივი დეკლარაციების მაქსიმალურად წახალისებას გულისხმობს. მართალია, ამ მექანიზმების გამოყენება, თავისთავად არ არის პრობლემური, თუმცა პრობლემურია მათთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის ბუნდოვანება და არათანმიმდევრულობა, რაც საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების შემთხვევაში გამოიკვეთა. პოტენციურ აპლიკანტზე შესაძლოა გადათქმევინების ეფექტთან ერთად, ამ მექანიზმებთან არსებული კითხვის ნიშნების ფონზე, მათი ხშირი გამოყენებით, შესაძლოა მათი კონვენციის სულისკვეთებასთან შესაბამისობის საკითხიც დადგეს დღის წესრიგში.

ყველა ამ ცვლილებისა და ბარიერის დაწესების ფონზე, მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, როგორც მინიმუმ, პროცედურული ხელმისაწვდომობის საკითხი, რაც განსაკუთრებით პრობლემური შეიძლება იყოს საქართველოს კონტექსტში, რამდენადაც ამ სახის სერვისი, ორი ათწლეულის განმავლობაშიც კი სათანადოდ არ განვითარებულა. კერძოდ, კერძო სექტორში ამ სახის ინტერესი, მოტივაცია, ან/და კომპეტენცია ნაკლებად შეინიშნება, ხოლო ამ მიმართულებით არასამთავრობო სექტორის პოლიტიკის განმაპირობებელი ფაქტორების დადგენა, ცალკე კვლევას საჭიროებს. როგორც კვლევიდან დასტურდება, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შემთხვევაში, საჩივართა კლებას, არა იმდენად შეცვლილი პოლიტიკა, არამედ წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და ამასთან, შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების მაქსიმალურად ამოწურვისკენ მიმართული მცდელობები განაპირობებს.

4. დასკვნითი დისკუსია

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განსაკუთრებით იგრძნობოდა „რიცხვებზე დამოკიდებულება“, რამდენდაც მთავარ პრობლემად სწორედ საქმეთა რაოდენობის უკონტროლო ზრდა და აქედან გამომდინარე, მთავარ ამოცანად, ინდივიდუალური საჩივრის უფლების შენარჩუნებით, სასამართლოს გადატვირთვის პრობლემის მოგვარება სახელდებოდა. შესაბამისად, სასამართლოს საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშებში უდიდესი ყურადღება სწორედ სტატისტიკურ მაჩვენებლებს ეთმობოდა, რაც პირველ რიგში, თავად სასამართლოს მუშაობის ეფექტიანობის საზომს წარმოადგენდა და იმ კუთხით მუშავდებოდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო უშუალოდ სასამართლოს გადატვირთულობისა თუ მისი განტვირთვის შესახებ მონაცემების მიღება, ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად მომდევნო რეფორმების დაგეგმვა და გატარებული რეფორმების შეფასება.

სტატისტიკურ მონაცემებზე დამოკიდებულება და მათზე ხაზგასმა უცხო არც საქართველოს კონტექსტისთვის არის. კერძოდ, განსაკუთრებით 2015 წლიდან მოყოლებული, როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო, ასევე სასამართლოს ხელისუფლების წარმომადგებლების მხრიდანაც, პერიოდულად, თუმცა ხშირად, ვხვდებით განცხადებებს ევროპულ სასამართლოში საქართველოსთან დაკავშირებული სტატისტიკური მაჩვენებლების ცვლილების შესახებ (ძირითადად სასამართლოში შეტანილი, სასამართლო დანაყოფებისთვის განსახილველად გადაცემული და მიმდინარე საჩივრების რაოდენობის შემცირების შესახებ), რომლებიც, მათი განმარტებით, ქვეყნის შიგნით ადამიანის უფლებების დაცვის, და მათ შორის, სასამართლო ხელისუფლების მუშაობისა და მის მიმართ ნდობის ხარისხის მხრივ მდგომარეობას ასახავს. კერძოდ, როგორც არაერთ განცხადებაშია აღნიშნული, 2013 წლამდე პერიოდთან შედარებით, 2013 წლის შემდეგ ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების რაოდენობის 11-ჯერ შემცირება, ქვეყნის შიგნით, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესებისა და მეორე მხრივ, ეროვნული სასამართლოების მიმართ ნდობის გაზრდით (შესაბამისად, უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ეროვნული სასამართლოებისთვის მიმართვითა და ამ უკანასკნელის მიერ დავის გადაწყვეტით კმაყოფილებით) არის განპირობებული.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მთავარ მიზანს, სწორედ ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ საქმეთა წარმოების დინამიკაზე გავლენის მქონე ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების შესწავლა წარმოადგენდა და ამ გზით, იმის დადგენა, ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი, სასამართლოს დანაყოფებისთვის გადაცემული და მიმდინარე საქმეების რაოდენობის ცვლილება რამდენად წარმოადგენს სათანადო საზომს ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების მდგომარეობისა და სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობის ხარისხის შესახებ.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, როგორც ზოგადად სასამართლოსთან, ასევე, კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებით, არსებული გარემოებები, რომლებიც პირდაპირ მიანიშნებს მხოლოდ საანგარიშო პერიოდების მიხედვით არსებული მონაცემების შედარების გზით ამ სახის დასკვნების გამოტანის შეუძლებლობაზე. ერთ-ერთი ასეთი თვალსაჩინო გარემოება 2008 წლის ომიდან გამომდინარე საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი ათასობით საჩივარია, რომლის მაგალითზეც კარგად ჩანს თუ როგორ შეუძლია თუნდაც სხვა ქვეყნის მიერ მართულ კამპანიას, რადიკალურად შეცვალოს მეორე ქვეყნის სტატისტიკური სურათი. მხოლოდ ომთან დაკავშირებით საქართველოს წინააღმდეგ 3 300-ზე მეტი იდენტური, ინდივიდუალური საჩივრი დარეგისტრირდა, რამაც გავლენა იქონია არა მხოლოდ 2008 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე, არამედ შემდეგ წლებში საქმეთა განხილვის მიმდინარეობაზეც. ცხადია, ამ საჩივრების ჩათვლა ქვეყნის შიგნით ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ მდგომარეობის შესაფასებლად, მისი კამპანიური ხასიათიდან და აშკარად უსაფუძვლობიდან გამომდინარე, დაუშვებელია. ასეთ შეცდომას თუ მაჩვენებლებით განზრახ მანიპულირების მცდელობას, ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებში ხშირად ვხვდებით, რამდენადაც საქართველოს წინააღმდეგ საჩივრების 11-ჯერ შემცირებაზე აპელირება, თავისთავად მოიაზრებს, რომ ავტორები ხსენებულ 3 300-ზე მეტ საჩივარს არ გამორიცხავენ და მათ ქვეყნის შიგნით უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობის შესაფასებლად იყენებენ.

ამასთან, გარდა ამ თვალსაჩინო გარემოებისა, კვლევით გამოიკვეთა უშუალოდ ევროპულ სასამართლოში მიმდინარე პროცესების (რომელიც კვლევის ფარგლებში ეგზოგენურ ფაქტორებად არის მოხსენიებული) გავლენა, როგორც მთლიანად სასამართლოს წინაშე, ასევე კონკრეტულად საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეთა დინამიკაზე. კერძოდ, კარგად ჩანს რიგი რეფორმების, იქნება ეს სასამართლო დანაყოფების, პრიორიტეტულობის პოლიტიკის ცვლილება, პროცედურული წვდომის თვალსაზრისით ბარიერების შემოღება, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების პოპულარიზაცია, გადაწყვეტილებათა აღსრულებადობაზე გაძლიერებული ზედამხედველობა და აშკარად დაუშვებელ თუ განმეორებად საჩივრებთან საბრძოლველად მიღებული არაერთი მექანიზმი, შედეგი სასამართლოს გადატვირთულობასთან ბრძოლის თვალსაზრისით. ევროპულ სასამართლოში საქმისწამორების მხრივ დაგროვილმა ცოდნამ და გამოცდილებამ, რაც სასამართლოში კონკრეტული საჩივრის პერსპექტიულობის მეტწილად განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა, ამასთან, პროცედურული თვალსაზრისით შექმნილმა არაერთმა ბარიერმა, მნიშვნელოვნად გაფილტრა სასამართლო საქართველოს წინააღმდეგ უიმედო და აშკარად დაუშვებელი საჩივრებისგან, რაც განსაკუთრებით პირველი წლებისთვის იყო დამახასიათებელი.

ჩამოთვლილ ეგზოგენურ ფაქტორებთან ერთად, საქართველოს შემთხვევაში საქმეთა დინამიკის ცვლილებაზე ასევე ეროვნულ დონეზე მიმდინარე პროცესებმაც (რომელიც კვლევის ფარგლებში ენდოგენურ ფაქტორებად არის მოხსენიებული) იქონია გავლენა. განსაკუთრებით თვალშისაცემია განმეორებადი საჩივრების შემცირების მხრივ პენიტენციურ დაწესებულებებში პირობების გაუმჯობესების მიმართ გატარებული პოლიტიკის შედეგები და უპრეცედენტო ამნისტია, რამაც პატიმართა რაოდენობა

მყისიერად გაანახევრა. უფლებების დაცვის შიდა სამართლებრივი საშუალებების მხრივ, როგორც მინიმუმ *de jure* გაუმჯობესებებმა კი დამატებითი ბარიერი გააჩინა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის გზაზე. საქართველოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში საქმეთა რაოდენობის კლება განსაკუთრებით შესამჩევია 2013 წლიდან ხელისუფლებისა და მასთან დაკავშირებული მოლოდინების ცვლილების შემდეგ. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პერიოდი სწორედ ინტერლაკენის შემდეგ პერიოდსა და სასამართლოს მიერ ინდივიდუალური აპლიკანტისთვის დაწესებულ არაერთ ბარიერს ემთხვევა, რამაც, ზოგადად, სასამართლოს წინაშე მიმართვიანობა საგრძნობლად შეამცირა.

შესაბამისად, მართალია საქართველოს შემთხვევაში, საჩივართა რაოდენობის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას ვერ გამოვრიცხავთ ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ ეროვნულ დონეზე მდგომარეობის გაუმჯობესების არგუმენტს, თუმცა, იმის გადაჭრით თქმა, რომ სტატისტიკური მონაცემის ცვლილება, უტყუარად მხოლოდ ამ ფაქტორით არის განპირობებული, არასწორია, რამდენადაც მთელი რიგი ეგზოგენური ფაქტორების გავლენა თვალაშისაცემია. მით უფრო, რთულია მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, საჩივართა რაოდენობის კლებასა და ეროვნული სასამართლოების მიმართ ნდობის ხარისხს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა.

თუ მხოლოდ სასამართლოს აბსოლუტურ მაჩვენებლებს დავაკვირდებით და მაგალითად, სასამართლოს დანაყოფებისთვის წლების მიხედვით გადაცემული საქმეების რაოდენობით ვიმსჯელებთ, ვნახავთ, რომ რუსეთიც კი, რომელიც დღეს კონვენციის წევრ ქვეყანას აღარ წარმოადგენს და ადამიანის უფლებათა დაცვის სურვილის არ ქონა თუნდაც სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის შესახებ გადაწყვეტილებითაც დაადასტურა, საქართველოს მსგავსად, კონვენციის რატიფიცირებიდან პირველ წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, შემდეგ 2010 წელს აღწევს პიკს და 2014 წლიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მკვეთრ კლებას განიცდის.

ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საუბარი საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას. შესაბამისად, ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებისთვის მნიშვნელოვანი არა ქვეყნის წინააღმდეგ საჩივრების აგრეგირებული დინამიკა, არამედ ინდივიდუალურ დონეზე მათი ხასიათია. ადამიანის უფლებების კრილში საჩივრების თვისებრივი პერსპექტივა უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე რაოდენობრივი. ამასთან, ქვეყნის წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი, თუნდაც ის ზრდიდეს სტატისტიკურ მონაცემს, მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდუალური აპლიკანტის უფლების რეალიზებისთვის, ასევე თავად ქვეყნისთვის. შესაბამისად, თითოეული საჩივრის მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემად და ამ მონაცემების „გამფუჭებლად“ დანახვის ნაცვლად, ქვეყნისთვის სწორი პოლიტიკა, სწორედ ინდივიდუალური საჩივრის საშუალებად აღქმაა. მასზე სათანადო რეაგირება და რაც მთავარია, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა კი თავისთავად მომდევნო პერიოდში საჩივრების რაოდენობაზე კლების კუთხით აისახება, რამდენადაც გამოირიცხავს მსგავს და უკვე გადაწყვეტილ საკითხზე სხვა საჩივრების შედინებას.

„რიცხვებით თამაშის“ ნაცვლად, არსობრივი ანალიზის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება თავად ევროპული სასამართლოს ყოფილმა პრეზიდენტმა. ამიერიდან, სასამართლოს წარმატების საზომად უარი ითქვა ძირითადად მოცემულ პერიოდში

განხილული საქმეების საერთო რაოდენობის განსაზღვრაზე და ახალ ინდიკატორად განისაზღვრა, ის თუ როგორ განიხილავს სასამართლო ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებს პრიორიტეტულობის პოლიტიკის გათვალისწინებით.

სტატისტიკური მონაცემებით თვითიმედოვნების ნაცვლად, არსობრივ ნაწილზე მსჯელობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომელიც იმ იშვიათ გამონაკლის ქვეყნებს შორის მოხვდება, რომლის მხრიდანაც სასამართლომ კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა. ამასთან, განსაკუთრებით საყურადღებოა ჯერ კიდევ 2020 წლის 23 მარტს, სასამართლოს წინაშე წარდგენილი განაცხადი საქართველოს მხრიდან, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობამ სასამართლოს კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე, დეროგაციის უფლებით სარგებლობის შესახებ შეატყობინა და რომელიც, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით თითქმის 2 წელი გაგრძელდა, ოფიციალურად კი მხოლოდ 2022 წლის 31 დეკემბერს მოხდა ამ უფლებით სარგებლობაზე უარის თქმა.³¹⁵ თუნდაც ეს გარემოება არ გახდეს ინდივიდისთვის უფლების დაცვის გზაზე დამაბრკოლებელი ფაქტორი, ამ განცხადებას აქვს მნიშვნელობა იმის განსაზღვრად თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის თუნდაც ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიც კი, ადამიანის უფლებების დაცვა.

³¹⁵ Notification – jj9436C Tr./005-302 – 31 December 2022 – Withdrawal of a Derogation related to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (ETS No.5). იხ. <https://rm.coe.int/notification-jj9436c-tr-005-302-georgia-withdrawal-of-a-derogation-rel/1680a9991b>, წვდომის თარიღი: 30/04/2023.

დანართი 1: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დანაყოფების მიერ, კონვენციის 37-ე და 39-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საჩივრებზე, ამორიცხვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები (31.12.2022-ის მდგომარეობით)

	საქმე	საქმის ნომერი	თარიღი	მეგობრული შეთანხმება		37 1 (c)		37 1 (a)	37 1(b)
				39	37 1 (b)	გალმობრივი დეკლარაცია	(სასამართლოს მიერ დადგენილი რაიმე სხვა მიზეზით, საჩივრის შემდგომი შესწავლა აღარ არის გამართლებული)	(მომჩივანს აღარ აქვს განზრახული ბოლომდე მისდიოს თავის საჩივარს)	(დავა გადაწყდა)
				(48 +8)	(14)	(43)	(7)	(94)	(32)
<u>1</u>	ხუცურაული საქართველოს წინააღმდეგ	7268/05	12.04.07				✓		
2	ლაზიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	23155/05	27.06.07				✓		
<u>3</u>	ჯავახიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	42065/04	02.10.07					✓	
4	ფულარია საქართველოს წინააღმდეგ	25079/05	12.02.08				✓		
5	მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	21121/03	24.06.08					✓	
6	ჩაკვეტაძე საქართველოს წინააღმდეგ	269/07	21.10.08	✓?	✓?				
<u>7</u>	ხმიადაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	26920/07	27.01.09	✓?	✓?				
8	ინდუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	16299/07	12.05.09					✓	✓
9	კომაროვი საქართველოს წინააღმდეგ	18619/06	07.07.09					✓	
10	ავეტისიანი საქართველოს წინააღმდეგ	19358/09	17.11.09	✓?	✓?				
11	ბერიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	14127/05	24.11.09					✓	
<u>12</u>	სეიდოვა საქართველოს წინააღმდეგ	16956/09	24.11.09					✓	
13	ხუბულავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	32553/04	24.11.09					✓	
14	აბაიევა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (აგვისტოს ომთან დაკავშირებით)	52196/08; 52200/08 49671/08; 46657/08; 53894/08	23.03.10					✓	
<u>15</u>	ელიზბარაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	28263/07	09.11.10					✓	
<u>16</u>	თოდუა საქართველოს წინააღმდეგ	6024/10	09.11.10					✓	
17	სამიევი საქართველოს წინააღმდეგ	9934/10	16.11.10						✓
<u>18</u>	სანამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	26173/10	14.12.10					✓	

19	ხეთაგუროვა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (აგვისტოს ომთან დაკავშირებით 1549 საჩივარი)	43253/08	14.12.10					✓	
20	არჩაია საქართველოს წინააღმდეგ	6643/10	14.12.10					✓	
21	გაბედავა საქართველოს წინააღმდეგ	65063/09	28.01.11					✓	
22	ნიჟარაძე საქართველოს წინააღმდეგ	34361/10	08.03.11					✓	
23	კაკაბაძე საქართველოს წინააღმდეგ	7791/08	08.03.11					✓	
24	ქურხული საქართველოს წინააღმდეგ	65103/10	06.09.11					✓	
25	პოკლონოვი საქართველოს წინააღმდეგ	63856/10	06.09.11						✓
26	გამრეკელაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	6439/10	06.09.11					✓	
27	ჩხიკვიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	47551/09	11.10.11					✓	✓
28	ვოზაზიძე და ნინუა საქართველოს წინააღმდეგ	14929/09	11.10.11	✓?	✓?				
29	ცეცხლაძე საქართველოს წინააღმდეგ	50613/06	18.10.11					✓	✓
30	ჭანტურია საქართველოს წინააღმდეგ	2225/08	18.10.11	✓?	✓?				
31	პარასტაიევი რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ	50514/06	13.12.11					✓	
32	ქარსელაძე საქართველოს წინააღმდეგ	25391/08	10.01.12					✓	
33	მჭედლიძე საქართველოს წინააღმდეგ	4276/06	24.01.12					✓	
34	ჩხეიძე საქართველოს წინააღმდეგ	10547/06	24.01.12					✓	✓
35	ბენიაშვილი საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ	39549/02	13.03.12					✓	
36	ალადაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	17491/09	03.04.12					✓	
37	კოჭლამაზაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	42270/10	03.04.12					✓	
38	ივანოვი საქართველოს წინააღმდეგ	8708/07	10.04.12					✓	
39	მუსაევი საქართველოს წინააღმდეგ	10076/10	10.05.12					✓	
40	ედიგარაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	22325/10	10.07.12					✓	
41	მოწონელიძე საქართველოს წინააღმდეგ	73250/10	10.07.12					✓	
42	სარია საქართველოს წინააღმდეგ	44984/07	11.09.12					✓	
43	ნაჭყეზია საქართველოს წინააღმდეგ	55486/10	02.10.12	✓					

44	თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	46055/06	16.10.12			✓			
45	კაკულია და ბულისკირია საქართველოს წინააღმდეგ	3484/06	06.11.12	✓					
46	ცხომიძე საქართველოს წინააღმდეგ	51767/09	27.11.12	✓					
47	ოფროშიძეები საქართველოს წინააღმდეგ	60596/09	11.12.12	✓					
48	კარახმაზილი საქართველოს წინააღმდეგ	49627/09	12.03.13					✓	
49	ჯინჭარაძე საქართველოს წინააღმდეგ	38277/10	12.03.13					✓	
50	ჭანტურია საქართველოს წინააღმდეგ	50817/06	12.03.13				✓		
51	ონიანი საქართველოს წინააღმდეგ	29180/10	09.04.13	✓					
52	ბერიძე საქართველოს წინააღმდეგ	16206/06	30.04.13			✓			
53	გუჯეჯიანი საქართველოს წინააღმდეგ	40123/10	14.05.13		✓				
54	კეკელია საქართველოს წინააღმდეგ	32997/10	14.05.13		✓				
55	ნემსაძე საქართველოს წინააღმდეგ	49506/08	14.05.13						✓
56	კიკვაძე საქართველოს წინააღმდეგ	5456/09	14.05.13		✓				
57	ხარშიანი საქართველოს წინააღმდეგ	4584/11	04.06.13	✓					
58	მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ	39830/11	04.06.13	✓					
59	Z საქართველოს წინააღმდეგ	44706/10	04.06.13	✓					
60	შუბლაძე საქართველოს წინააღმდეგ	63875/10	04.06.13	✓					
61	ზედელაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	34782/09	04.06.13	✓					
62	მელიქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	35424/09	04.06.13	✓					
63	თაბაგარი საქართველოს წინააღმდეგ	70820/10; 60870/11	18.06.13			✓			
64	ჯღამაძე საქართველოს წინააღმდეგ	50049/08	18.06.13		✓				
65	კასრაძე საქართველოს წინააღმდეგ	21300/09	18.06.13		✓				
66	გულდედავა საქართველოს წინააღმდეგ	61370/09	18.06.13	✓					
67	აბაშიძე საქართველოს წინააღმდეგ	51437/10	18.06.13	✓					
68	ალიმონაკი საქართველოს წინააღმდეგ	51086/09	17.09.13		✓				
69	ხვედელიძე საქართველოს წინააღმდეგ	23920/07	17.09.13					✓	

70	ზადაგაძე საქართველოს წინააღმდეგ	23846/08	17.09.13		✓				
71	მუკბანიანი საქართველოს წინააღმდეგ	44697/09	17.09.13					✓	
72	რაზმაძე საქართველოს წინააღმდეგ	5478/09	01.10.13		✓				
73	აირაძე საქართველოს წინააღმდეგ	56825/08	12.11.13		✓				
74	პატარაია საქართველოს წინააღმდეგ	64006/10	22.10.13					✓	
75	მაზანაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	19882/07	28.01.14			✓			
76	ვაშაკიძე საქართველოს წინააღმდეგ	41359/08	28.01.14	✓					
77	ვაშაკიძე და გოგბერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	25120/07	28.01.14		✓				
78	ბარათაშვილები საქართველოს წინააღმდეგ	30968/08	04.03.14			✓			
79	ფურცხვანიძე საქართველოს წინააღმდეგ	26056/11	04.03.14						✓?
80	ფარღაღვა საქართველოს წინააღმდეგ	3980/06	04.03.14		✓				
81	მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	26315/10	04.03.14					✓	
82	სამსიანი საქართველოს წინააღმდეგ	2012/08	04.03.14	✓?	✓?				
83	სართანია საქართველოს წინააღმდეგ	2177/08	04.03.14		✓				
84	ბარბაქაძე საქართველოს წინააღმდეგ	13008/11	11.03.14						✓?
85	ბაკურიძე საქართველოს წინააღმდეგ	26538/10	11.03.14						✓?
86	ქობულაძე საქართველოს წინააღმდეგ	30385/10	11.03.14						✓?
87	კიზირია საქართველოს წინააღმდეგ	4728/08	11.03.14	✓					
88	სარუხანიანი საქართველოს წინააღმდეგ	51616/09	11.03.14						✓?
89	ბალაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	5168/06	18.03.14	✓					
90	გამცემლიძე საქართველოს წინააღმდეგ	2228/10	01.04.14			✓			
91	სანადირაძე საქართველოს წინააღმდეგ	64566/09	08.04.14	✓					
92	მარაქველიძე საქართველოს წინააღმდეგ	17295/09	08.04.14			✓			
93	მოღებაძე საქართველოს წინააღმდეგ	43111/10	08.04.14	✓					
94	კიკილაშვილი და გურაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	37701/08	14.04.14					✓	
95	წიკლაური საქართველოს წინააღმდეგ	17775/09	06.05.14			✓			

96	ხოხიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	65594/09	06.05.14	✓					
97	მამულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	71672/10	06.05.14			✓			
98	ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ	3658/10	20.05.14	✓					
99	პეტრიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	44953/09	20.05.14					✓	
100	სავოსტინა საქართველოს წინააღმდეგ	25300/10	20.05.14					✓	
101	ხოტუა და არქანია საქართველოს წინააღმდეგ	60909/08	20.05.14	✓					
102	თიბილაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	16516/10	27.05.14	✓					
103	ოქროპირიძე საქართველოს წინააღმდეგ	15583/11	27.05.14	✓?	✓?				
104	ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ	35199/10	27.05.14			✓			
105	ბასილაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	51603/09	27.05.14			✓			
106	ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	54110/09	27.05.14	✓?	✓?				
107	აბზიანიძე საქართველოს წინააღმდეგ	23715/09	27.05.14	✓					
108	მაზმიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	35220/09	24.06.14	✓					
109	ქოიავა საქართველოს წინააღმდეგ	44654/08	24.06.14	✓					
110	მიმინოშვილი საქართველოს წინააღმდეგ	10300/07	24.06.14			✓			
111	სურმანიძე და ართმელიძე საქართველოს წინააღმდეგ	11323/08	24.06.14	✓					
112	კავთელაძე საქართველოს წინააღმდეგ	31420/10	24.06.14			✓			
113	ჭადიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	19312/07	02.09.14			✓			
114	კასრაძეები საქართველოს წინააღმდეგ	46780/07	04.09.14			✓			
115	კვირიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	13906/10	09.09.14			✓			
116	მეზნაური საქართველოს წინააღმდეგ	67813/11	09.09.14	✓					
117	მჭედლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	43174/08	23.09.14			✓			
118	მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	39726/04	30.09.14	✓					
119	მზექალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	8177/12	10.02.15	✓					
120	ვოჰაძე საქართველოს წინააღმდეგ	58228/09	10.03.15	✓					
121	ოზოლაძე და ლომჯანიძე საქართველოს წინააღმდეგ	31197/06	24.03.15			✓			

122	დოლიძე საქართველოს წინააღმდეგ	40207/05	24.03.15			✓			
123	იეჰოვას მოწმეების კავშირი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	72874/01	21.04.15			✓			
124	O.K. საქართველოს წინააღმდეგ	44851/09	21.04.15					✓	
125	ჯაყელი საქართველოს წინააღმდეგ	51247/10	12.05.15	✓					
126	დე პიტა საქართველოს წინააღმდეგ	22958/11	19.05.15	✓					
127	ბრეგაძე საქართველოს წინააღმდეგ	21785/10	01.06.15			✓			
128	გოგია საქართველოს წინააღმდეგ	2274/10	09.06.15					✓	
129	ჭითავა საქართველოს წინააღმდეგ	7130/11	09.06.15					✓	
130	ყვარელაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	28987/08	16.06.15			✓			
131	ბულია და კვინიკაძე საქართველოს წინააღმდეგ	5609/08	23.06.15			✓			
132	ლანჩავა საქართველოს წინააღმდეგ	28103/11	23.06.15	✓					
133	ჩანტლაძე საქართველოს წინააღმდეგ	60864/10	30.06.15	✓					
134	ბათიაშვილები საქართველოს წინააღმდეგ	75737/11	30.06.15	✓					
135	სტუდია მაცესტრო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	22318/10	30.06.15	✓					
136	ძიძიგური საქართველოს წინააღმდეგ	60814/10	30.06.15						✓?
137	ჭიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	61783/11	30.06.15			✓			
138	ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	2204/12	30.06.15			✓			
139	ბოჭორიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	652/10	30.06.15			✓			
140	მანიძე საქართველოს წინააღმდეგ	56080/10	30.06.15				✓		
141	მირგხულაძე საქართველოს წინააღმდეგ	18372/04	02.07.15	✓					
142	ხერგიანი საქართველოს წინააღმდეგ	12928/10	25.08.15		✓				
143	ხაჩირიძე საქართველოს წინააღმდეგ	4769/10	25.08.15					✓	
144	ასათიანი საქართველოს წინააღმდეგ	29845/07	14.09.15					✓	
145	შპს კერამოს საქართველოს წინააღმდეგ	41504/06	15.09.15					✓	
146	გამსახურდია საქართველოს წინააღმდეგ	59835/12	15.09.15	✓					
147	ბეჟაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	312/10	15.09.15	✓		✓			

148	ცაგურია საქართველოს წინააღმდეგ	65969/09	15.09.15			✓			
149	ბერიძე საქართველოს წინააღმდეგ	28297/10	15.09.15			✓			
150	მენაბდე საქართველოს წინააღმდეგ	4731/10	13.10.15			✓			
151	გეგენავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	65128/10	20.10.15	✓					
152	ეგიაზარიანი საქართველოს წინააღმდეგ	40085/09	24.11.15			✓			
153	თედლიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	64987/14	24.11.15			✓			
154	მანუკიანი საქართველოს წინააღმდეგ	49448/08	03.05.16			✓			
155	ჟორჯოლიანი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	1838/08	28.06.16	✓					
156	აბაშიძე საქართველოს წინააღმდეგ	6926/10	13.09.16						✓?
157	ბარაძე საქართველოს წინააღმდეგ	19419/12	13.09.16						✓?
158	სს ვაზიანი საქართველოს წინააღმდეგ	19377/09	13.09.16	✓					
159	ჭუმბურიძე საქართველოს წინააღმდეგ	9605/09	13.09.16					✓	
160	ბინიძე საქართველოს წინააღმდეგ	15556/11	13.09.16						✓
161	შარაშენიძე საქართველოს წინააღმდეგ	542/11	08.11.16	✓					
162	X საქართველოს წინააღმდეგ	30030/07	06.12.16						✓?
163	დვალი საქართველოს წინააღმდეგ	64260/09	06.12.16	✓					
164	მიქელაძე საქართველოს წინააღმდეგ	25759/08	06.12.16						✓?
165	ნიკოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	16716/10	06.12.16						✓?
166	გელაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	21098/09	24.01.17			✓			
167	ჯავახაძე საქართველოს წინააღმდეგ	17847/10	24.01.17			✓			
168	ნურბეგიანი საქართველოს წინააღმდეგ	9593/09	07.02.17			✓			
169	ლოღელიანი საქართველოს წინააღმდეგ	44674/07	21.02.17					✓	
170	ღუმბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	74113/11	07.03.17						✓?
171	ბასილაძე საქართველოს წინააღმდეგ	4013/07	07.03.17						✓?
172	კბილცეცხლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	29873/07	07.03.17					✓	
173	ხოლუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	27926/10	07.03.17					✓	
174	გეთიაშვილი და ხაჩიძე საქართველოს წინააღმდეგ	28405/11	07.03.17					✓	

175	ბერაძე საქართველოს წინააღმდეგ	933/12	07.03.17					✓	
176	წულაია საქართველოს წინააღმდეგ	17398/10	21.03.17			✓			
177	ასათიანი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	42174/11	04.04.17						✓?
178	კვარაცხელია საქართველოს წინააღმდეგ	12309/09	04.04.17					✓	
179	ხურციძე საქართველოს წინააღმდეგ	5787/08	06.06.17					✓	
180	თევზაძე საქართველოს წინააღმდეგ	33695/09	06.06.17					✓	
181	სურმანიძე საქართველოს წინააღმდეგ	915/12	27.06.17					✓	
182	ქოქაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	51902/10	27.06.17						✓?
183	კოტრიკაძე საქართველოს წინააღმდეგ	43398/09	27.06.17						✓?
184	ლაგვილაძე საქართველოს წინააღმდეგ	65879/10	21.07.17		✓				
185	გოგიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	2291/10	29.08.17						✓?
186	დარსალია საქართველოს წინააღმდეგ	3693/13	19.09.17					✓	
187	არქანია საქართველოს წინააღმდეგ	26344/13	19.09.17					✓	
188	ოტიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	10145/08	19.09.17					✓	
189	ზოლბინი საქართველოს წინააღმდეგ	10057/09	19.09.17					✓	
190	წითელი ჯვრის საზოგადოება საქართველოს წინააღმდეგ	56006/11	19.09.17						✓
191	ღვინიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	2692/12	19.09.17					✓	
192	ზურაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	52168/12	19.09.17			✓			
193	პატარიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	43655/09	19.09.17			✓			✓?
194	გაბუნია და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	37276/05	19.09.17	✓					
195	ოგბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	36298/12	19.09.17					✓	✓?
196	ჩიჭუა საქართველოს წინააღმდეგ	65150/14	10.10.17			✓			
197	გობეჯიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	51158/08	07.11.17					✓	
198	მიქელაძე საქართველოს წინააღმდეგ	70753/10	07.11.17					✓	
199	ჯავახიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	57437/12	07.11.17					✓	
200	ზოიძე საქართველოს წინააღმდეგ	34989/12	28.11.17					✓	

201	ურუშაძეები საქართველოს წინააღმდეგ	37395/09	13.02.18	✓					
202	ხადური საქართველოს წინააღმდეგ	52282/10	13.02.18					✓	
203	წიკლაური საქართველოს წინააღმდეგ	377/11	13.02.18					✓	
204	ჭოლაძე საქართველოს წინააღმდეგ	35852/11	13.02.18					✓	
205	ხალილოვი საქართველოს წინააღმდეგ	26083/12	13.02.18					✓	
206	ხიმშიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	43983/12	13.02.18					✓	
207	დიასამიძე საქართველოს წინააღმდეგ	67857/11	13.02.18					✓	
208	ბერია საქართველოს წინააღმდეგ	43302/08	12.06.18				✓		
209	ბოჭორიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	42293/09 ; 8443/12	12.06.18						✓?
210	გორგოძე საქართველოს წინააღმდეგ	16446/09	10.07.18					✓	
211	დუდაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	13533/10	11.09.18					✓	
212	წივწივაძე საქართველოს წინააღმდეგ	43098/10	11.09.18					✓	
213	ხარებავა საქართველოს წინააღმდეგ	64831/12	11.09.18					✓	
214	მრეთები საქართველოს წინააღმდეგ	22523/09	18.09.18					✓	
215	Y საქართველოს წინააღმდეგ	44331/10	18.09.18					✓	
216	ილიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	22715/07	09.10.18			✓			
217	ალასანია და ბარდაველიძე საქართველოს წინააღმდეგ	12611/08 ; 25500/08	09.10.18			✓			
218	ორაგველიძე საქართველოს წინააღმდეგ	65517/09	06.11.18					✓	
219	დანელია საქართველოს წინააღმდეგ	56610/11	06.11.18					✓	
220	ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ და ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	7607/07 ; 8710/07	27.11.18			✓		✓	✓
221	მანუკიანი საქართველოს წინააღმდეგ	2146/10	31.01.19	✓					
222	ზაქარაძე საქართველოს წინააღმდეგ	71880/12	20.06.19					✓	
223	ბეგიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	2661/12	29.08.19					✓	
224	ბერიძე საქართველოს წინააღმდეგ	34998/12	29.08.19					✓	
225	ჯაყელი საქართველოს წინააღმდეგ	35020/12	29.08.19					✓	
226	ველიაძე საქართველოს წინააღმდეგ	35038/12	29.08.19					✓	

227	დუმბაძე საქართველოს წინააღმდეგ	61414/12	29.08.19					✓	
228	ავალიანი საქართველოს წინააღმდეგ	7220/11	12.12.19					✓	
229	კულუმბეგოვი საქართველოს წინააღმდეგ	15213/09	30.04.20					✓	
230	ილაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	62866/19	29.09.20	✓					
231	შავაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	31315/12	13.10.20						✓
232	კილურაძე საქართველოს წინააღმდეგ	9013/12	12.11.20						✓
233	ბალაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	27842/11	21.01.21					✓	
234	გორგოშაძე საქართველოს წინააღმდეგ	65070/10	08.04.21					✓	
235	ხოფერია საქართველოს წინააღმდეგ	24736/19	22.04.21					✓	
236	თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ	72475/10	02.09.21				✓		
237	გრიგალაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	9808/19	05.05.22					✓	
238	თავაძე საქართველოს წინააღმდეგ	49947/21	08.12.22					✓	

შენიშვნა:

*გადაწყვეტილებები, რომლებიც ქვედა ხაზით არის გამოყოფილი, უშუალოდ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პირობების შესახებ დავას ეხება.

**კომიტეტის გადაწყვეტილებები HUDOC-ის გადაწყვეტილებათა ბაზაში მხოლოდ, 2010 წლის აპრილის შემდეგ ჩნდება, შესაბამისად, ცხრილი შეიძლება არ შეიცავდეს ამ პერიოდამდე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

*** ცხრილში გამოყენებული შემდეგი აღნიშვნა „✓“? მიანიშნებს, რომ ამორიცხვის საფუძველს ფაქტობრივად მხარეთა შორის მეგობრული მორიგება წარმოადგენდა, თუმცა სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არსებობს.

დანართი 2: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დანაყოფების მიერ, კონვენციის 35-ე საფუძველზე, საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საჩივრებზე, დაუშვებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებები (31.12.2022-ის მდგომარეობით)

საქმე	ნომერი	თარიღი	35 (1)	35 (2)(ბ)	35 (3)	ნაწილობრივი
-------	--------	--------	--------	-----------	--------	-------------

				ვადის დაუცველობა; შიდა სამ. საშუალებები არ არის ამოწურული	არს. იგივე	(ა)ზოროტად გამოყენება; შეუთავსებელია კონვენციასთან; აშკარად უსაფუძვლოა (ბ) - მნიშვ. ზიანი	ნაწილობრივ დასაშვები, ნაწილობრივ დაუშვებელი	ნაწილობრივ დაუშვებელი, ნაწილობრივ ამორიცხვა
1	აბსანძე საქართველოს წინააღმდეგ	57861/00	15.10.02			✓	✓	
2	ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ	71503/01	12.11.02			✓	✓	
3	იეჰოვას მოწმეთა გლდანის კონგრესის 97 წევრი და 4 სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ	71156/01	06/07/04			✓	✓	
4	დონაძე საქართველოს წინააღმდეგ	74644/01	25.05.05			✓	✓	
5	დანელია საქართველოს წინააღმდეგ	68622/01	06.09.05			✓	✓	
6	სარქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	73239/01	06/09.05			✓		
7	იოსელიანი საქართველოს წინააღმდეგ	64803/01	06.09.05			✓		
8	დავითიანი საქართველოს წინააღმდეგ	73241/01	06.09.05	✓		✓	✓	
9	ქიშინიძე საქართველოს წინააღმდეგ	69852/01	13.09.05	✓		✓	✓	
10.	გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ	71678/01	05.01.06	✓		✓	✓	
11	ქათამაძე საქართველოს წინააღმდეგ	69857/01	14.02.06			✓		
12	კერეჭაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	5667/02	02.05.06			✓ ბოროტად გამოყენება		
13	საქართველოს ლეიბორისტული პარტია საქართველოს წინააღმდეგ	9103/04	20.06.06			✓	✓	
14	ფანჯიკიძე და 6 სხვა საქართველოს წინააღმდეგ	30323/02	20.06.06	✓		✓	✓	
15	გალუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	40008/04	24.10.06	✓		✓		
16	რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ	1706/06	27.06.07			✓	✓	
17	ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ	7932/03	19.07.07			✓	✓	
18	ღვალაძე საქართველოს წინააღმდეგ	42047/06	11.09.07	✓		✓	✓	
19	კიკოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	37341/04	03.02.09			✓		
20	ბეგო ევროპის საბჭოს წევრი 46 ქვეყნის წინააღმდეგ	36099/06	16.06.09					
21	ფონდი "მრეგლი" საქართველოს წინააღმდეგ	25491/04	05.05.09			✓		
22	დავითაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	22433/05	12.05.09			✓		

23	ხეჩია და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	26446/06	23.06.09			✓ ბოროტად გამოყენება		
24	ნაზარეთიან საქართველოს წინააღმდეგ	13909/06	07.06.09	✓		✓		
25	ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	30272/04	07.06.09			✓		
26	მინდამე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ	21571/05	17.11.09	✓		✓	✓	
27	ყაჭეიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	55793/09	24.11.09			✓		
28	ფირცხალაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	44328/05	29.04.10			✓ ბოროტად გამოყენება		
29	სულთანაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	40091/04	04.05.10			✓		
30	ანდრონიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	9297/08	22.06.10			✓		
31	ბეჭაური საქართველოს წინააღმდეგ	14102/02	29.06.10			✓	✓	
32	შავიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	21519/05	09.11.10	✓				
33	ბაღათურია საქართველოს წინააღმდეგ	46365/06	16.11.10			✓		
34	არჩაია საქართველოს წინააღმდეგ	6643/10	14.12.10			✓		
35	ლანჩავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (სულ 48)	25678/09	07.02.12			✓		
36	ახვლედიანი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (სულ 10)	22026/10	06.03.12			✓		
37	ბენიაშვილი საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ	39549/02	13.03.12	✓ (საქ. მიმართებით)				
38	ნაფიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	44303/05	13.03.12	✓		✓		
39	აბაშიძე საქართველოს წინააღმდეგ	47974/07	04.09.12	✓				
40	კობრიძე და რამიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	17092/07; 22032/07	25.09.12	✓				
41	მანუკიანი საქართველოს წინააღმდეგ	53073/07	09.10.12			✓		
42	თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	46055/06	16.10.12	✓		✓		✓
43	შამათავა საქართველოს წინააღმდეგ	4484/07	27.11.12			✓		
44	ტალახაძე საქართველოს წინააღმდეგ და სხვა აპლიკაციები	40969/06; 14001/07; 14694/07	27.11.12			✓		
45	ბაქრაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	1700/08	08.01.13			✓		
46	ბერიძე საქართველოს წინააღმდეგ	16206/06	30.04.13			✓		✓
47	აფრასიძე საქართველოს წინააღმდეგ	32220/07	21.05.13	✓		✓		
48	თაბაგარი საქართველოს წინააღმდეგ	70820/10; 60870/11	18.06.13	✓		✓		✓

<u>49</u>	ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ	9043/05	25.06.13	✓		✓	✓	
<u>50</u>	მაზანაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	19882/07	28.01.14	✓		✓		✓
51	ფარალავა საქართველოს წინააღმდეგ	3980/06	04.03.14				✓	
<u>52</u>	ბარათაშვილები საქართველოს წინააღმდეგ	30968/08	04.03.14	✓		✓		✓
53	გამცემლიძე საქართველოს წინააღმდეგ	2228/10	01.04.14			✓		✓
<u>54</u>	მარაქველიძე საქართველოს წინააღმდეგ	17295/09	08.04.14			✓		✓
<u>55</u>	მამულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	71672/10	06.05.14	✓		✓		✓
56	ინასარიძე საქართველოს წინააღმდეგ	2101/09	27.05.14	✓				
<u>57</u>	ბასილაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	51603/09	27.05.14	✓		✓		✓
58	სუბარი და კობიძე საქართველოს წინააღმდეგ	37678/10 ; 37789/10	27.05.14	✓				
<u>59</u>	მიმინოშვილი საქართველოს წინააღმდეგ	10300/07	24.06.14			✓		✓
<u>60</u>	კვთელაძე საქართველოს წინააღმდეგ	31420/10	24.06.14	✓		✓		✓
61	გორგაძე საქართველოს წინააღმდეგ	57990/10	02.09.14			✓ ბოროტად გამოყენება		
62	ჭაღიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	19312/07	02.09.14			✓		✓
<u>63</u>	კასრაძეები საქართველოს წინააღმდეგ	46780/07	04.09.14			✓		✓
64	X და Y საქართველოს წინააღმდეგ	5358/14	09.09.14	✓		✓		
<u>65</u>	კვირიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	13906/10	09.09.14	✓				✓
66	სიდიანი-აფრასიძე საქართველოს წინააღმდეგ	32220/07	10.03.15	✓				
<u>67</u>	ოზოლაძე და ლომჯინიძე საქართველოს წინააღმდეგ	31197/06	24.03.15			✓		✓
<u>68</u>	დოლიძე საქართველოს წინააღმდეგ	40207/05	24.03.15		✓	✓		✓
69	იეჰოვას მოწმეების კავშირი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	72874/01	21.04.15			✓		✓
70	დე პიტა საქართველოს წინააღმდეგ	22958/11	19.05.15	✓				✓
<u>71</u>	ყვარელაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	28987/08	16.06.15	✓		✓		✓
<u>72</u>	ბრეგაძე საქართველოს წინააღმდეგ	21785/10	16.06.15	✓				✓
73	ბეჭაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (სულ 10)	312/10	15.09.15			✓		✓
74	D.T. ნიდერლანდებისა და საქართველოს წინააღმდეგ	28199/12	15.09.15			✓		
75	ფომკინი საქართველოს წინააღმდეგ	21004/02	20.10.15			✓		

76	ეგიაზარიანი საქართველოს წინააღმდეგ	40085/09	24.11.15			✓		✓
77	თედლიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	64987/14	24.11.15			✓		✓
78	კოკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	21110/03	01.12.15			✓		
79	დავითაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	11182/10	01.12.15	✓				
80	ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ	37051/05	19.01.16			✓ (მნიშ. ზიანი)		
81	აკადემიკოსი-7 საქართველოს წინააღმდეგ	8075/05	26.01.16			✓		
82	გიორგაძე საქართველოს წინააღმდეგ	25177/05	26.01.16			✓		
83	ჭრაძე საქართველოს წინააღმდეგ	9289/08	02.02.16	✓		✓		
84	ჭრაძე საქართველოს წინააღმდეგ	52240/07	26.04.16			✓ (მნიშ. ზიანი)		
85	მანუკიანი საქართველოს წინააღმდეგ	49448/08	03.05.16	✓				✓
86	კვანტალიანი საქართველოს წინააღმდეგ	38736/05	27.09.16	✓		✓		
87	დევაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ +3 აპლიკაცია	21727/05	11.10.16			✓		
88	კიკნაძე საქართველოს წინააღმდეგ	33953/05	11.10.16			✓		
89	ჯიქია საქართველოს წინააღმდეგ	37302/05	11.10.16			✓		
90	ნურბეგიანი საქართველოს წინააღმდეგ	9593/09	07.02.17	✓				✓
91	წულაია საქართველოს წინააღმდეგ	17398/10	21.03.17	✓				✓
92	ბურდიაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	26290/12	04.04.17			✓		
93	ნოზაძე საქართველოს წინააღმდეგ	41541/05	09.05.17	✓				
94	თორთლაძე საქართველოს წინააღმდეგ	28739/06	06.06.17	✓		✓		
95	მარიამიძე საქართველოს წინააღმდეგ	9154/06	19.09.17	✓		✓		
96	დიაკონიძე საქართველოს წინააღმდეგ	33201/07	19.09.17			✓ ბოროტად გამოყენება		
97	შარაძენიძე საქართველოს წინააღმდეგ	43486/07	19.09.17			✓ ბოროტად გამოყენება		
98	თოფურია საქართველოს წინააღმდეგ	56283/08	19.09.17	✓				
99	ელბაძიძე საქართველოს წინააღმდეგ	5137/09	19.09.17			✓		
100	დათუნაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	40099/09	19.09.17			✓ ბოროტად გამოყენება		
101	ჩიჩუა საქართველოს წინააღმდეგ	65150/14	10.10.17			✓		✓
102	ღვალაძე საქართველოს წინააღმდეგ	42047/06	10.10.17			✓		
103	რონლი ჰოლდინგი საქართველოს წინააღმდეგ	41444/05	07.11.17			✓ ბოროტად გამოყენება		

104	შანიძე საქართველოს წინააღმდეგ	60867/08	07.11.17			✓		
105	შპს კავკასიონი საქართველოს წინააღმდეგ	60249/09	07.11.17			✓ ბოროტად გამოყენება		
106	ბურჯანაძე საქართველოს წინააღმდეგ	50365/09	05.12.17	✓		✓		
107	ფარჯიანი საქართველოს წინააღმდეგ	57047/08	15.05.18	✓				
108	ჭრელაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	23919/09	15.05.18	✓		✓		
109	ალი საქართველოს წინააღმდეგ	41710/05	12.06.18	✓		✓		
110	ბერია საქართველოს წინააღმდეგ	43302/08	12.06.18			✓		✓
111	ქერდიყოშვილი საქართველოს წინააღმდეგ	35868/10	12.06.18			✓ ბოროტად გამოყენება		
112	ბურჯანაძე საქართველოს წინააღმდეგ	2155/09	28.08.18			✓		
113	კაჭიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	55793/09	11.09.18			✓		
114	შავლობოვა საქართველოს წინააღმდეგ	4800/10	18.09.18	✓				
115	მელაძე საქართველოს წინააღმდეგ	30635/09	02.10.18	✓		✓		
116	მეტრეველი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	64540/12	02.10.18			✓		
117	ხუციშვილი და სს ქართუ შენიშნული საქართველოსა და ქართული ოცნება საქართველოს წინააღმდეგ	64623/12; 64819/12	02.10.18			✓ ბოროტად გამოყენება		
118	ილიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	22715/07	09.10.18			✓		✓
119	ალასანია და ბარდაველიძე საქართველოს წინააღმდეგ	12611/08; 25500/08	09.10.18			✓		✓
120	ჭითიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	42281/10	23.10.18	✓		✓		
121	ბადუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	18720/08	06.11.18			✓		
122	ნანიევა და ბაგაიევ საქართველოს წინააღმდეგ	2256/09; 2260/09	20.11.18			✓		
123	კუდუხოვა და კუდუხოვა საქართველოს წინააღმდეგ	8274/09; 8275/09	20.11.18			✓		
124	ძიგოიევა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	24964/09	20.11.18			✓	✓	
125	ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ და ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	7607/07; 8710/07	27.11.18			✓ ბოროტად გამოყენება		✓
126	ტოპალოგლუ საქართველოს წინააღმდეგ	25406/08	11.12.18			✓		
127	ფეიქრიშვილი და ბასილაძე საქართველოს წინააღმდეგ	53191/10	05.02.19			✓		
128	შპს ტურეკს საქართველოს წინააღმდეგ	22398/10	26.02.19			✓		
129	მასობოვ საქართველოს წინააღმდეგ	70243/11	19.03.19			✓		

130	შანიძე საქართველოს წინააღმდეგ	7156/11	17.09.19			✓		
131	ციონი საქართველოს წინააღმდეგ	7720/12	16.06.20	✓		✓		
132	შპს სონი ცენტრი თბილისი და შპს ლაზერი-2 თბილისი საქართველოს წინააღმდეგ	17959/11	13.10.20			✓ ბოროტად გამოყენება		
133	<u>კეკელაშვილი</u> საქართველოს წინააღმდეგ	35861/11	17.11.20	✓		✓		
134	ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ	72006/12	14.01.21			✓		
135	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს წინააღმდეგ	2703/12	19.01.21			✓		
136	მიქიაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	18865/11; 51865/11	19.01.21			✓		
137	დიასამიძე და ბათუმელები საქართველოს წინააღმდეგ	49071/12; 51940/12	25.03.21			✓		
138	ელიაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	74019/12	22.04.21	✓				
139	<u>ბოსტოღანაშვილი</u> საქართველოს წინააღმდეგ	26072/11	27.05.21			✓		
140	ცუცაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	59329/16	27.05.21			✓		
141	შველიხოვა საქართველოს წინააღმდეგ +4 აპლიკაცია	45431/08	05.10.21	✓		✓		
142	ბეჭიყევა საქართველოს წინააღმდეგ + 3 აპლიკაცია	48347/08	05.10.21	✓		✓		
143	თორაძე საქართველოს წინააღმდეგ	12699/18	02.12.21	✓				
144	სახვაძე და ზურაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	70619/11	02.12.21			✓		
145	ცხოვრებოვა საქართველოს წინააღმდეგ +369 აპლიკაცია	43733/08	03.03.22			✓		
146	დოლიძე საქართველოს წინააღმდეგ	37662/11	10.03.22	✓				
147	ახალაია საქართველოს წინააღმდეგ	30464/13; 19068/14	07.06.22			✓		
148	გვანცელაძე საქართველოს წინააღმდეგ	32545/20	22.09.22	✓		✓		
149	ბოლქვაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	17354/19	10.11.22	✓				
150	<u>ჯანელიძე საქართველოს</u> წინააღმდეგ	25395/11	10.11.22			✓		

შენიშვნა:

*გადაწყვეტილებები, რომლებიც ქვედა ხაზით არის გამოყოფილი, უშუალოდ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პირობების შესახებ დავას ეხება.

**კომიტეტის გადაწყვეტილებები HUDOC-ის გადაწყვეტილებათა ბაზაში მხოლოდ 2010 წლის აპრილის შემდეგ ჩნდება, შესაბამისად, ცხრილი შეიძლება არ შეიცავდეს ამ პერიოდამდე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

*** ერთი მოსამართლის დანაყოფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ არის საჯარო, არ ქვეყნდება HUDOC-ის გადაწყვეტილებათა ბაზაში, შესაბამისად, ცხრილი არ შეიცავს ამ სახის გადაწყვეტილებებს.